


დავითიანი

ქ. წიგნი ესე, რომელსა
ეწოდების სახელად
დავითიანი,
თქმული გურამიშვილის
დავითისაგან

iswavle swavlis mZebnelo
mohyev daviTis mcnebasa.
jer mware sWame, kvlav tkbili,
Tu eZeb gemovnebasა.



ეს კაცი ასე ილოცავს
(ავტობიოგრაფიულ ვარსკვლავთმეტყველებას)

ღმერთო, მაჩვენე ყანები
ამ სარწყავთ მონაყვანები;
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა.

ყოვლად წმინდაო, დამადევე
წყლურზედ წამალი სამთელი,
შემაძლებინე აღვანთო
მე შენს წინაშე სანთელი.

ამ წიგნთა გამლექსავის
გვარისა და სახელის გამოცხადება

1

დავითიანი ვსთქვი დავით გურამისშვილმან გვარადო,
ხილად ვსთქვი სიტყვა ღვთისა და ძე კაცთა ნორჩის მგვანადო;
ცხოვრების წყაროს უხსენე ხე ცხოვრებისა ღარადო,
ამად ვსთქვი ჯვარზედ ვნებული ცრემლნი იდინოთ ღვარადო.

2

ვენახის ღვინო დაძვირდა, ქართლს დაემტერა რა ჭარი,
ვიმცვრივე ჭალას ბაბილო ნაქაჯი, დანაჭაჭარი;
მოსახსენებლად ჩემდა ყრმათ უმზადე ტკბილი მაჭარი,
ავს სარგებელსა არა იქს ამ უსასყიდლოს ვაჭარი.

3

ამისთვის მე არ შევსძექვე, რაც დავრგევე იგავთ ხე ველად,
უფრო ადვილად ადვლიან ზედ ყრმანი დასარხეველად.
სასმელად უძღვენ თერმონი, არ ცუდად დასანთხეველად,
ყრმათ შევაგედრე ეს წიგნი, არ შექმნან დასახეველად.

4

ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა.
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა,
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და.

5

ვით მხედარს-ყრმისა მცირისა წკეპლასა ზედან ჯდომანი
მიემზგავსების ცხენოსანს ჯოხით რბენა და ხლდომანი,
ეგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსთ მიხდომანი,
ცუდად მომიხდა გვაჯითა ბაძით უმზგავსო ნდომანი.

6

მე ყრმათა მზგავსად მომიხდა ნამცვრევთ წაღკოტთა მცვრევანი,
ბზაკალითა და წიწკიტით მონადირეთში რევანი;
ვერც ხილი ვჰპოვე, ნადირთაც ძალა არ მაქენდა რევანი,
ვაი, შემრჩა ცუდსა მეთევზეს უბრალოდ წყალთა მღვრევანი.

7

მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს-ჩაღის ძირსა;

მაგრამ მიმროთიც კეკლუცნი ტურფად მოიკაზმენ პირსა;
ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა,
დრო მოვა რომ გატკბილდების, ხილად სშვამენ პანტის ჩირსა.
8

ცხენი მარტო მორბენალი მუხლმოკლედიც გამაღდების,
სად მაღალი არცად იყოს, მუნ დაბალი გამაღდების.
თვალან ნასსა ალამაზებს, ვის ლამაზი არ ახლდების,
ამ წიგნს წიგნად მოიხმარებს, ვინც სხვას წიგნსა ვერ მიხვდების.
9

მე საწუთრომ ბერწოვნება მომახვედრა თავში კობლად:
ქე არ მომცა, არც ასული, შემქნა სახლ-კარ დასამხოვლად,
ამ ლექსს თავი მოუყარე, საცა მეთქვა თვითო ობლად,
აგების რომ ბრძანოს ვინმე სიტყვა ჩემთვის შესანდობლად.
10

მე უშვილომ ეს ობოლი მძლივ გავზარდე დიდის ჭირით:
რაც ვიცოდი საცოდნელი, მას ვასწავლე სიბრძნემცირით.
მოვკვდი, დამრჩა უნათლავი, ვერ შევიძელ მე სიმწირით,
ვინც მონათლავს, მე მას ვლოცავ ცოდვილისა ჩემის პირით.
11

ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს;
თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს,
ან თუ იყოს მატყუვარა, ეცადოს, რომ განმიმართლოს,
სხვასი ნურას მოინდომებს მაზედ მეტსა უსამართლოს.
12

ამად ვიხობბე, შეგვარიბე ცრუს საწუთროს ყბედობა,
მე ქე არ დამრჩა ბედკრულსა, ეს არის ჩემი ბედობა.
ყრმაო, შენ ძმობას გენუკვი, ასულო, მიყავ შენ დობა,
ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი, მიბრძანეთ ცოდვილს შენდობა.
13

ღმერთმან თქვენ, ძმანო ცოცხალნო, გიხსნასთ ყოვლისა ჭირითა!
გარდაგიქციოსთ სიცილად, რასაც რომ ღმერთს შესტირითა;
თქვენ მე ცოდვილს მკვდარს მიბრძანეთ ცხოვნება კაის პირითა,
აგების ღმერთმან დამიხსნას ჯოჯოხეთისა მწვირითა.
14

რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა, მეთქვა გრძლად, თავი მეცადა.
ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა!
მესწრაფა სევდის ლახვარი, საკვდავად გულსა მეცა და,
აწ ამას ვლონობ, არ ვიცი, ქვესკნად წავალ თუ მე ცადა!

15
ამისთვისა ვარ მოწყენით, ვსტირი და არ მემღერების,
პირს შემდები არს სიკვდილი, არავის დაეფერების;
არც ხვეწნით, არცა ქრთამითა, არც ხრმლითა მოიგერების,
მაშინვე ქვეშ ამოიდებს, ვისაც რომ დაეძგერების.

16
მამაო, თავსა მფარავი დაგედვა კარგი კარავი,
განიარი და მაღალი ხელთაგან მოუკარავი,
შიგ ვიყავ, სადღაც გამაგდე, პალური ამამკარ ავი,
მით ცრემლი ჩემი ზღვად გახდა თვალთაგან ნაწანწკარავი!

17
ფუ, შენ, ცრუო საწუთროვო, რად არ მძულდი, რად მიყვარდი?!
შენ ყოფილხარ მწარე, შხნაკვი, მე მეგონე ტკბილი ყანდი.

აქ საკვდავად რად მოგყვანდი, თუ მუნ ცოცხალს წამიყვანდი?
რატომ აგრე უწყალო ხარ, სასიკედილოდ არ შაგწყალდი?!

18

პაპის პაპა, ბებიაანი, მამის მამა, დედის დედა,
მამა, დედა, ძმანი, დანი, ცოლი, შვილნი, ზედი-ზედა
ღმერთმან ყველა მას უცხოვნოს თვით აშოროს მას წარწყმენდა,
ვინც ეს წიგნი განაწიგნა კითხვად შეს[ა]ქცევლად ჩვენდა!

წ ი გ ნ ი ა თ ა ვ ი შ ე ს ა ვ ა ლ ი

ა. ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი

1

ღმერთო, რომელსა გაქონან არსის საყდართა ჯდომანი,
რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფიალთ სურვილის ნდომანი,
რიტორთა-ლექსი გულისა სიღრმე სიბრძნისა ზომანი,
შენ მიმახვდინე წადილსა, არ მაქენდეს ცუდად ცდომანი.

2

დავიწყო სიტყვა სიბრძნისა, პირველ ბრძენთაგან ბრძნობილი,
მის მგრძნობელისა დიდისა სულისა მიერ გრძნობილი,
შევაძეო ერთი უფალი ღვთივ ზეცით ქნვენად მკობილი,
ქართველთ სპა-ჯართა, ყოველთა ერთა მსაჯულად ცნობილი.

3

ვსთქვა უფალთ მეგვარტომობა, არ შორად მისხი მისხისა,
ვინ მთქვის მე კაცი ხის დარად, დამრგის, ქვე წყალი მისხისა,
ზედან გამომცის ნაყოფი, ფურცელი მკვიდრად მისხისა,
დარგულად ჩვენად საჩრდილად შრტოდ მონაბამნი მის ხისა.

4

ნერგად მას ვსახავ, იგ რაც ხე ისახა იესესითა;
ვინცა გამოსცა ნაყოფი თვისთა ნათქვამთა, ხეს ვითა;
შურდულ-ქვით სძლია მებრძოლთა დამბადებელის ესვითა,
შტო-მორჩად ქართველთ უფალთა, ვინც მაზე ბმულ ჩანს ფესვითა.

5

თუმცა მიჯობდა შრტოდ თქმასა, სწორედ სახელი მეწოდა,
მეხარა, მე მით მეხარა, საჩრდილად იგ ქვე მეწოდა,
მით დამეშრიტა სახმილი, რისგანაც გული მეწოდა;
მაგრამ ვერ მივხვდი სალბუნთა, რომ წყლური მეხო, მეწო და.

6

ვერა ვსთქვი, მე ვერ შევიძელ მის ხის სახელის წოდება,
სოფელს ერგო და სოფელელთ თქვეს: „მრუდია, არა სწორდება“;
აღიძრენ ერნი, იზრახეს ცუდისა მიდებ-მოდება,
გაყიდეს, მოსჭრეს, გამსყიდველს მიხვდა მით ცეცხლის მოდება.

7

სახით მისებრივ სხვა მორჩი ქვეყნად არ დაიბადება,
მე მისის ხილის ჭამითა პირი არ გამიმწარდება,
მაგრამ ჯერ ძირთა სახელთა მწადიან გამოცხადება;
წესია საშენთ აღმშენთა პირველ საფუძვლის დადება.

8

საფუძველი არს ყოველთა დაუსაბამო პირველი,
მამა ყოველისა მპყრობელი, ცათა და ქვეყნის მჭირველი;
მიუწდომელი, უზომო, გამოუთქმელი, მბრწყინველი,
ღმერთი, აბელის მსხვერპლისა კეთილად შემაწირველი.

9

არავინა ფლობს ხელმწიფედ ღვთის უდიდესი ძლიერი!
ღვთის გამო ქმნილ არს ყოველი, არსმყოფობს რაც ნივთიერი.
მას მორჩილებენ სულნი და ურიცხვი სპა-ჯარი, ერი;
მან შეიწიროს მცირედი მსხვერპლი ეს ჩემაგიერი.

10

ერთი ვპოქვა ქვეყნად უფალი, ღვთისებრ მსაჯულად მქცეველი
მასწავლებელი უსწავლელთ, უსჯულთ მომაქცეველი,
აღმ[მ]ართებელი დაცემულთ, აღმართულთ გარდამქცეველი;
თვისთა სამწყსოსა ცხვართათვის სისხლისა დამაქცეველი.

11

თქმულა სიბრძნესთან სიგიჟე, ვითა ცოცხალთან მკვდარია;
ამა უფლისა საქებრად ბრძენიც ჭკუვაზედ მცდარია;
მე ვით შეეშართო უცებმან, რადგან ის მიუმხვდარია?
მაგრამ დავით თქვა: „აქებდით გლახაკი და მდიდარია!”

12

მდიდარი ეგრეთ ძნელ ცხონდეს, ეგოდენ შესაწირითა,
ვით ერთი მწირი მხეველი ედემს ზის ორის მწვლილითა.
სარწმუნოება მცირედი მთას გარდასცვლისო ძირითა,
ამად არ ვღუშებ, ვრიტორობ გონება-სიბრძნემცირითა.

13

მისი ქება და გამოთქმა ბრძენთაცა უძნელდებიან:
ჰქექენ, სჩხრეკენ და ეძებენ, და კვალსაც ვერ მიხვდებიან;
რაზომცა აღვლენ მალლამდე, კვლავ ისევ ქვე ბრუნდებიან.
მე რომ ვერ მივხვდე უცები, მაგაზე რად შემწრფებიან.

14

მე სიბრძნისაებრ ჩემთასა არ დავადუმებ ბრძნობასა,
რასაცა მომცემს მომცემი შეტყობასა და გრძნობასა,
დიდად მიიხნევს უფალი მწირთაგან მცირეს ძღ[ვ]ნობასა,
მით შევეცნევი უცნაურ, რასაც მივსწვდილვარ ცნობასა.

15

თუ ვისმე ჩემი ნათქვამი შაირი ენასებთან,
მეც უთხრა მისი პასუხი, თუ გული ენას ებმიან;
ყოველი წული მშობელთა, მზგავსი მზგავს[ს] ემზგავსებინ,
ვინდ იყო კოჭლ-ბრმა, ქაჩალი, დედ-მამათ ეთავსებთან.

16

მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მალონებსა;
ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა?
თუ არ შევკრებ და არ უძღვნი ყრმათ ია-ვარდის კონებსა,
ცოცხალიც არვის ვახსონვარ, მკვდარს ვინდა მამიგონებსა?!

17

ერთბამად ფრინველთ უწოდენ შავარდენსა და ძერასა:
არ სჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა, ბუღბუღთა ტკბილად მღერასა,
ფარშამავისა შვენებას, ბუკიოტისა ბღვერასა:
აწ რომ არ მიხმონ მეღექსედ, მემართლებიან მე რასა?

18

შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება,

მეფე ვახტანგ და იაკობ [დაბლა] ზილს მიეტკებურება;
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება,
დვრინვენ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურება.

19

ბევრთა და ცოტას მწველელნი სწორეთ გავლიან ბერასა,
განაყენებენ მშრალს ცალკე, ამაღ მოიწველს ვერასა;
სჯობს ქვემო ბოლოს შინ დგომა შიგნით გარედამ მზერასა,
მღერენ და მეც ბანს შევაწყობ, დამგმობენ ამაზე რასა?

20

კარგ საქმეზედა მიბაძვა არა რა დასაძრახია!
სმენა, თქმა, სწავლის ძიება მოძებართაგან ახია.
ცუდის, ტყუილის მოზღაპრე სიცრუის კანანახია,
სწავლაზე ურჩი და მორცხვი თვალით არ დასანახია.

21

ეს სიტყვა მაშინ მოხსენდეს უწვრთელსა, უცოდინარსა,
გაჰბრძელებოდეს რა დამე ძილგამკრთალს, დაუძინარსა,
ეძებდეს, ვერას პოებდეს საქმესა სამჯობინარსა,
თავს იწყევლიდეს, ამბობდეს დედ-მამის შესავინარსა.

22

საღმრთოს რომ ვერას გალობდეს, იმღერდეს, „ხართა ლაღასა“,
ჯავრობდეს, თავზედ იყრიდეს ქოქოლას და ვაღაღასა;
ძვირს უხსენებდეს მშობელთა, ლანძღევდეს თავის ლაღასა,
რომ არ ვსწავლობდი, რად არა მცემდიან ტაჯგანაღასა.

23

ნუ გენადვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი,
მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლურების ტკივილი
რა მოიზარდოს, მოყვინჩლდეს, მამლურებ შექნას ყივილი,-
უფრთხილდი, მისგან წყენითა არაზე შექნა ჩივილი.

24

რაც არა ჰხამდეს ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკლადა,
დანაბი თავს ნუ ანებებ ვარიათ დასაპეკლადა!
რადგან აბრამ ძე საკლავად გამოიმეტა მსხვერპლადა,
შენ გემეტების რად არა ძე წვრთაზე გასაწკეპლადა?

25

უწვრთელი ძაღლი მიხვდების გარეთ სიცივით თრთოლასა,
საჭმლითაც არვინ განაძღებს, პილწად დაიწყებს წრწოლასა;
გასწავლებული პატივით შტაქუნზე შეიქს წოლასა,
სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა, უწვრთელის შვილის ყოლასა.

26

ძაღლი უწვრთელი პატრონსა ასეთს რას დაუშავებსა,
რომ შვილი ბრიყვი, უცები, დედ-მამას განათავეებსა?
უცოდინრობით ასეთსა საქმეებსა იქს ავებსა,
გვარსა და ნათესავეებსა სირცხვილი სჭრიდეს თავებსა.

27

პატრონსა ძაღლი უწვრთელი მეტს ვერსა ჰკადრებს წყენასა:
ან პურს მოსტაცებს, ან ხორცსა, ან წყალს ამოჰკრავს ენასა;
მშობელთა შვილი უწვრთელი აროდეს მისცემს ღხენასა,
სულთა წარწყმენდას და ხორცთა მიუთხრობს მით შერცხვენასა.

28

უსწავლელი ძაღლი კარში ყეფს და გარეშამოს ჰფარავს,
ნადირს აფრთხობს, ქურდს აშინებს, ძნელად რასმე მას მოპარავს;

ბრიყვი კაცი წამოწევის, ღამით კარსაც არ მისჯარავს!
თვით იქნების გასაკმარი, ვინც ამ სწავლას გამიკმარავს.
29

ყრმა სწავლაში მომწვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების,
უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწილდების;
რიკ-ფაინის დრო გარდუა, ველარ გაჰკრავს, ჩაჰბილდების,
სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!

ბ. სწავლა მოსწავლეთა

ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის

30

ისმინე, სწავლის მძებნელო! მოყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა, –
ჭირს მყოფი ღხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.

31

დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოისხენებსა,
ძის სიხარულით დაჰკარგავს ილაოს მზგავსთა სენებსა;
მაშინ იხარებს მწინდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა,
ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს, განისვენებსა.

32

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილებს ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი;
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

33

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების!

34

ჩემის უცებით შევატყევე, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია.
ავი და კარგი გარჩევით, ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია.
მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია.
ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია!

35

ვით უსაჭურლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს,-
ეგრეთ ჭკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

36

ვსძებნე დ ავერა ჰვპოე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა:
ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა!

37

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა,
მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნელი ოფლითა ცხელითა,

გლახა კარის-კარ თხოვნითა,—შენა გწადს აწ რომელითა?
38

ზოგი ხომ ძოდან გაჩვენე შვიდიოდ სარჩოს ძირობა;
მერვე-ხელმწიფე დარჩების, ვისაც აქვს ქვეყნის მჭირობა.
მეცხრეა—არჩენთ მწყემსობა, უქნიათ მენახირობა,
მეათე—მიჯნურთ სურვილი, ტრფიალთა შენამზირობა.
39

მიჯნური, მწყემსი, ხელმწიფე, გლახაკი, გინა მხვნელია,
მოლაშქრე, ვაჭარ, ხუცესი, ოსტატი, ბრძენ-მსიტყველია.
ათისავ თვითო მოგითხრა, რომელი რისაც მქნელია.
რომელიც გინდა, იქონე, ერთ-ერთს მოჰკიდე ხელია!

ა.

40
მიჯნურმან უნდა ტრფიალი გულ-მართლა შეიყვაროსა,
მუდამ გვერთ ახლდეს სურვილით, აროდეს გაეყაროსა;
უმისოდ ჭირად სახევედეს ყოველსა გასახაროსა,
ტკბილად სჩნდეს მისთვის სიკვდილი, სიცოცხლე გაიმწაროსა.

ბ.

41
მწყემსობა უნდა სიფრთხილით, აქნდეს მცირედი ძილია:
მუდამ მხნედ სამწყსოს უგლიდეს, დღე ყინელი თუ თბილია;
“მწყემსმან კეთილმან ცხვართათვის დადვისო სული ტკბილია”.
ვინც ბრძანა, მან მე მარიდოს უხილავეთ მხეცთა კბილია!

ბ.

42
ხელმწიფე უნდა მართალი, ვით ბრძენთა დაუწერია,
ბრძენი, უხვი და მოწყალი, მრისხველი ზომიერია;
სჯულმტკიცედ, სწორეს სამართლით იყოს და ყვანდეს ერია,
მწესიდეს, მწყემსობის ნიშანი-ხელთ სკიპტრა-მას უჭერია.

დ.

43
გლახაკი უნდა მდაბალი, ტკბილისა ენა-პირისა,
მლოცველი ყოველის სულისა, სულ დიდისა და მცირისა;
უყვარს, ვით იობ, უფალსა გლახა მომთმენი ჭირისა;
სძულს ღმერთსა ამპარტავნობა მეტადრე გლახა მწირისა.

ქ.

44
უნდა მხვნელთა და მთესველთა, მწიდვნელთა, გინა მბარავთა,
მზის აღმოსვლითგან ჩასვლამდე შიგ არ შეხედონ კარავთა,
ცხელის ოფლითა დამწვართა ჩირდილთ ქვეშ მიუკარავთა,
რაც იმუშაკონ, ჭამონ და აჭამონ ქვეყნის მფარავთა.

კ.

45
მოლაშქრე უნდა ჭაბუკი, თამამი, თავ-მდაბლოვანი,
მეპატრონეთა ერთგული, მორჩილი, სამართლოვანი,

მსნე, ამხანაგთა მოყვარე, მამაცი, ძალგულოვანი,
გულ-სრულად მებრძოლთ მებრძოლი, არ სუსტი, მაგარ-მკლოვანი.

ზ.

46

ვაჭარი უნდა სარფისა, სამთვრალოს არას სვემდესა,
ყომარბაზობას ერიდოს, სიწმინდით თავსა სცევედესა,
მეტად უზომოდ არამსა ალაღში არა რევედესა
სწორეს ადღსა და სასწორსა ხელში არ ამრუდებდესა.

ც.

47

ხუცესი უნდა მამაცი, არ თუ ჯაბანი, მხრდალია.
ხუცეს[ს] არ ეთქმის: “ჭირშიგან ვერ შევალ, სარიდალია”.
ხუცესმან უნდა დამარხოს, თუ კაცმან სული დალია,
ხუცესიც ბევრს რიგს დანაკლებს, თუ მეტი ღვინო დალია.

თ.

48

ოსტატი, უფლის მოშიში, დავითმან ქებით შამოსი:
ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი ნაყოფთა თვისთა ჭამოსა!
ცოლით არს ვით მსხმო ვენახი კიდესა სახლ-მიდამოსა,
შვილნი ხელ ზეთისხილადა ურგს ტაბლის გარეშამოსა.

ი.

49

აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია.
ცხოვრებდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია;
ბრძენმან არ უნდა იკადროს, ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახედების ერია.

50

ათივ ეგ იყო, მოგითხარ, სხვა არა მისგან კიღია.
რომელიც გინდა, ირჩიე, აიღე, ხელი ჰკიღია:
გერჩიოს, გლახათ იარე, გერჩიოს, ყანას მკიღია,
მე შენთვის აღარ მცალიან, ყმაწვილის ვალი მკიღია.

51

ვით ძნიად წნორი ბერფუყი დაიგრიხების წნელადა,
ეგრეთვე კაცი მსცოვანი განისწავლების ძნელადა,
ვით ახალ მორჩი ვაზისა ხელს მიყვეს საფურჩნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს-გასაწვრთნელადა.

52

ერთს სიტყვას გეტყვი, მისმინე, ყმაწვილო, შენს მორჩენასა!
თვალს ნუ ახეხებ ბნელთათვის, ნუ ჰკარგავ ნათლით ჩენასა;
ნუ ეშურები ფეხითა უკეთურთაყე რბენასა,
ხმა მოუდაბლე ორღანოს, აშიყ-მაშიყად სტვენასა.

53

იქმოდე გულის თქმისასა გემოვნებისა თმენასა,
თავს თაფლი, ბოლოს ძირმწარე ნუ გეტკბილებს ენასა;
გულით უფრთხოდე, ყურითა, სასაფრხოს სიტყვის სმენასა,
მით შეაყრები საყვარელს, შენს ღამაზს სულის ღხენასა.

54

აღაბუღათი ნუ ავსებ წმინდად გარცხილსა მენასა,
გაგიჭირდების გარეცხა, შეიქ ოხვრას და ქმენასა;
იტყვი: „რა უყავ ჩემს თავსა“,–დაიწყებ კბილთა ღრჭენასა,
„დავით რომ კარგათ მასწავლა, მე იგი რასთვის მენასა!“

55

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო?
ვით რემა ხნარცეს არ ჩავარდეს ულაგმო და უსადაო?

56

უნდა ქალმან და ყმაწვილმან დაჰხუროს ბაგე კბილოსა,
ფეხი არ ახსნას საბლითა და ენა შებორკილოსა:
არ მისცეს ნება შექვრისა წარბს, წამწამს, თვალის კილოსა,
არცავინ თვით სხვა გაკილოს, არც სხვისგან გაიკილოსა.

57

ნუ მეტყვით: ჩვენ რად გვასწავლე, რაც თვით არ გაქვნდა ზრდილობა?
რად გვიქე კაცმან ჯაბანმა მამაცთა ხმალ-მოწვდილობა?
უცოდინრობა ავია, მაქვს მისი გამოცდილობა,
ჩემსავით სიცხით ნუ იწვით, მონახეთ ნიაგ-ჩრდილობა.

58

სოლომან ბრძენი სიბრძნითა თავი არს ყოვლის ბრძნებისა;
ბევრი რამ კარგი დასწერა წიგნები ღვთის ბრძანებისა;
ერთი იმასაც მოუხდა გატეხა რამე მცნებისა,
თუ გიჯობთ ნურცა მას უსმენთ, სიტყვა დამირთავს ნებისა.

59

მრუდი ხომ არა მითქვამს რა, ამასაც ვიტყვი სწორსაო,
საქმესა თვალით ნახულსა, არ მოგონილსა, ჭორსაო:
მინახავს ერთი პირუტყვი გორსა თუ ახალგორსაო,
თავისთვის მუტრუკს აკეთებს, სხვათ გაუკეთებს ჯორსაო.

60

რაგინდ ბრძენ იყოს მკურნალი, კარგად ატყობდეს მაჯასა,
სხვისას შეიტყობს, თავისას ვერას გაიგებს ხვანჯასა;
თვით სხვას უწამლებს, თავისთვის სხვაზე მიჰყუდებს ბარჯასა,–
მე ვერ ვირგე და თქვენ გარგე ამად რად მიზამთ ჯაჯასა?

61

თუმცა ბრმა ვარ, კიდევ ვხედავ ქვეყნად ჩემგან უფრო ბრმათა;
ბერს გამოცდილთ არა ვჰკადრებ, მოგახსენებ ახალ ყრმათა:
თუ ცურვასა არ ისწავლით, ვერ გაუხვალთ წყალთა ღრმათა,
წიკპლის ცემით დაშუშხვა სჯობს საუკუნოდ ცეცხლში ბმათა!

გ. საქონლი[ს] შეკრებისთვის

62

ჭკუვა პურია სახითა მჭამელთა შესარგებელი,
ცოდნა და საქმი[ს] ხმარება–მარილი დასაწებელი.
ბედს რომ იტყვიან, არ ვიცი, რა უქო ბედს საქებელი;
ბედმან შეკრიბოს, ჭკვამ ფანტოს, მექნების რა სარგებელი?

63

ბედი არს ქცევა წუთისა, ვით დღისა ნათობ-ბინდობა,
ავდარობა თუ დარობა ცის მოღრუბულა და წმინდობა;
ხან მოსწავეს ნამთა სიმცირე, ხან აღპობს ღვართა დიდობა,
დღეს მომცემს, ხვალ კი წამართმევს, ამად არა მაქვს მინდობა.

64

ბედს საქონრითგან თვალით უჩინს, ქალის სახე აქვს ბრმისაო;
დაიარების ქვეყანადა, ხელით მიქებნელი ქრმისაო;
ვისაც ხელს მოჰკრავს, აიყვანს, ნახავს, გაუჩხრეკს პირსაო,
თუ მოეწონა, დაიჭერს; თუ არა, დასცემს ძირსაო.

65

აწ ბედი, გითხრა მართალი, მე ახლა მამაგონდაო;
რაზომცა სჩხრეკდენ საწუთროს, ბრძენთ ბედი არ მოსწონდაო,
ამად არც ლხინსა, არც ჭირსა გრძლად ბოლო არა ჰქონდაო.
ბედი მას ჰქვიან, ვინც რომე არ მოკვდა, სულით ცხონდაო.

66

ჭკვის უკეთესი საქონლად არა რა საქონელია,
მაგრამ თუ ნდობა გულს აბრმობს, არ ადვილ საშოვნელია.
რაც ხელთ აქვს, მასაც დაჰკარგავს, უმზგავსო საპოვნელია;
საქონელისა შემკრები საქმედა საცოდნელია.

67

ხდომა ბნელს ნათლად აჩვენებს, დანაბრმობს ნათლად მხედველსა;
ხდომა მხრდალს გაჰხდის მამაცად, შებედავს ძნელს საბედველსა;
ხდომა სხვის სწავლას მიიკრავს ეგრეთ, ვით ცერცვი კედელსა!
ნდომა მიიყვანს მიმყოლსა შესარცხვენს, წარსაწყმენდელსა.

68

ფილასოფოსი ეპიკურ გვაუწყებს, ამას გეპირდება:
აგებულობით მყოფელი აროდეს გაღარიბდება.
თუ კაცი ნდომას მიჰყვების, მიდღეში არ გამდიდრდება,
როცა პატარას იშოვნის, მერმე დიდს მაეკიდება.

69

ვის სიყვარული დაიპყრობს და ნდომა დაიმონებსა,
რაც თვით არ მოსწონს, მის მეტსა აღარას მოიწონებსა;
ვარდის კონასა დაფუშავს, ანძალას დაიკონებსა,
მკვიდრს მიჯნურს ზურგსა შეაქცევს, წუთ[ს] გულზე დაიკონებსა.

70

ერთს კიდევ ვიტყვი იგავსა, თქვენგნით დამერთვის თუ ნება:
ზოგს კაცსა საკლმად მიუჩანს თვისი სიმყრალის სუნება;
რაგინდ ბევრს ავსა შერებოდეს, არა აქვს მისი წუნება,
ხაჭას გულ-ტკბილად უყოვებს და ცოლს კი ებუზღუნება.

71

აწ მე საერო წაღკოტი მგონია პატიოსანი;
მიყვარს და მალ-მალ მსურია მისთა ყვაველთა ყნოსანი,
განვშორდი საღმრთოს ბაღნართა, ვსთმე მის ბულბულთა ოსანი,
მიჰყვევ საწუთროს ზღაპართა, შევიქენ არაკოსანი.

72

ამად ვისწრაფი სათქმელად და არა მცალის საყენად:
თქმულა, საუნჯე უხმარი არა-რად გამოსაყენად.
წაღკოტს ვიშენებ, შევიკრებ ხილთ უმჯობესთა ნამყენად;
მოვისთვლი მისთა ნაყოფთა მარგედ, არა თუ საწყენად.

73

ახლა ვსთქვა ჩემი სათქმელი, რაც მაქნდეს ჭკუვა, გაგება:
უგვანათ დიდთა მიქებნელთა პატარაც დაეკარგება;
სულ რომ არა ვსთქვა არარა, ის უფრო არ ევარგება,
მეც მრევენ მერანთ ჯოგშიგან, თუ შევსძელ გაჯაგჯაგება.

74

რომელმან ცანი, ვითარცა კარავანი შეგვიმზადისა,
ზედ მიადგინა მნათობნი ნივთთა ყოველთა მზარდისა,
მას ქვეშ ქმნა ვით ბაღ-წაღკოტნი, რაშიგაც დავით ხადისა,
იგ არს მიზეზი ყოველთა, ფარულისა და ცხადისა.

75

მოდი, მსმენელო, ისმინე, დაჩუმდი, ვიტყვი, სუ, რასა,
უკვდავებისა წყაროთი მოგართმევ სავსეს სურასა,
ისმარე ექსი, დაჰხედე ბრძნად ბრძენთგან ნაექსურასა,
გაშინჯე, სახით ვინც მე შრტოდ გითხარ, მოჰბმია თუ რასა.

76

ვისგანცა იგი სამყარო არს ნათლად აღნაკეთები,
მისგან არს ძირნი და ფესვნი, მორჩნი ყოველთა ხეთები;
იგი არს იმ შრტოს ძირი და მისივე შენაერთები,
დავითს მოჰბმია, რომელსა თავზედ ეპოხა ზეთები.

77

წინასწარმეტყველთ ქადაგეს ბრძანება ღვთის მაგიერი,
გამოგვიცხადეს, გვასწავეს, გვაცნობეს სიტყვა ძლიერი.
ვით ღამე ბნელსა მზიანი მოჰბმია დღე ნ[ა]თლიერი,
ეგრეთ აბრამის ყვავილი, დავითზე ნაყოფიერი.

78

დავით თქვა ღვთისა მაგიერ სიტყვა ძლიერი ერთია:
გარდამოხდესო, ვით წვიმა, საწმისზედ მონაწვეთია;
ვით მან თქვა, ნათლად მობრწყინდა მის ნათლის შენაერთია,
მისვე დავითის ძედ თქმული, იესო ქრისტე ღმერთია.

79

მამისა სიტყვა სახითა, ვით შრტო ძირთაგან, ეხარა;
მიიბა მთამან პოხილმან, პოხიერებით ეხარა.
ძედ სიხარული სოფლისა ქალწულს მარიამს ეხარა,
მით ცრუვ ყვნა ღმერთმან კერპითა ცუდ-მოიმედე მკვეხარა.

80

სიბრძნე მის ბრძნისა არ ძალუც ენას გამოთქმა ბაგითა;
მაგრამ ნათლად ვსთქვა ნათელი, რაც ოდენ მიჩნდეს ბაგითა,
ძირი ვენახთა შრტოზედ რტოდ, ვით ახალ-მორჩი ბაგითა,
აგრევე მზრდელი ყოველთა ვსცანთ გასაზრდელი ბაგითა.

81

რა იგი ჩხვილი ასაკით სახით აღმორჩდა, ახევედა,
მის უმჯობესსა ნასახსა მსახველი ვერას სახევედა!
მით იკურნოდა სნეული, ბრმა თვალით დაინახევედა,
მისგამო მისი მრხეველი უკვდავებ[ა]სა არხევედა.

82

მას მორჩსა სიკვდილთ მომკვლელი ზედ ერთი ხილი ებადა;
სიმწიფის უამი მოსლოდა ნაყოფის გამოღებადა:
ზოგს სასიკვდილეთ მიანდათ და ზოგთა უკვდავებადა,
შეინთქენენ ერნი, აღიძრნენ ცუდისა განძრახებადა.

83

ერთა თქვეს: მისი ნაყოფი არ არის საქებურიო,
ჰკურნებს და ერთა აცდუნებს, საქმე სჭირს ბეზელბურიო;
სჯობია, – მოცავაკვდინოთ, ნუ არის ფეხზედ მდგმურიო.
თორემ და ბევრს ერს მიიყვანს თავისთან ეგ მაცდურიო.

84

ვერ იცნეს, იყო მოსილი ღმერთი კაცობრივ ცმულითა;

კაციც ძნელია საცნობლად, ღმერთს ვინ იცნობდა გულითა!
მაგრამ ნათლად ჩნდა ნათელი, მისის დავითის თქმულითა,
ნახეს და ვერ დაინახეს იმ ბრმითა თვალ-ახმულითა.

85

ელმად სჭვრეტდენ მას მართალსა, ნათელს ბნელით შენამოსრად.
ამად იყვნენ ლეწა-მტვრევით ერთმანერთის შენამოსრად;
ბრძენთა სთხოეს: “სახით შენით მოგვივლინე შენ ამოს რად”.
მოჰხდა, ნახა ბრმათა თვალმან ღაწვნი ცრემლით შენა-მოსრად.

86

მას უცნაურს მეცნიერნი ათორმეტნი უდგნენ მცველად,
ამად რომე მისი საქმე მათ სმენოდათ უფრო ვრცელად,
არ უნდოდათ უჟამურად საიდუმლო გასაცრცველად,
შესცდა ერთი მათგანიცა, იქმნა უცხოოდ ზურგმაქცველად.

87

ის ერთი თორმეტთაგანი იყო მოყვარე ვერცხლისა:
მან აღიშენა სამყოფი, ბნელ, საუკუნო ცეცხლისა,
სიხარბით ნათლად ვერა სცან შარავანდელი მზე ცხლისა,
გაყიდა, სისხლი იტვირთა განმწმენდი ბრალთა მრეცხლისა!

88

განმსყიდველმან რა მსყიდველნი გასყიდულს თავს წააყენა,
რა იხილეს მისთა მცველთა, მიხვდათ გულში დიდათ წყენა,
შაეშინდათ, დასამალად მირბიოდენ შამბთაყენა.

ერთი ტირდა: “რად გავექეც”, ცრემლის გუბი წანაყენა.

89

შეიპყრეს, მისთვის მომზადეს ლურსმან-კვერ-გაზ-მარწუხები.
მის მშობელს ესმა, დაუდგა ავი დღე შესაწუხები,
იტყოდა; “ვამე, მეცემის თავს მეხი მონაქუხები,
ვაიმე გულო, დაგულო, რა მწარედ გაიხუხები!”

90

შემოეხვივნენ გარშამო, დაუწყეს ჭრა და კოდება!
ძის დასჯისათვის დედასა მიხვდა სახმილის მოდება,
შექნა თავს ცემა და ტყემა, ტირილი, მოთქმა, გოდება,
მით მის განმსყიდველს ნებითა ხვდა ყელთ საბელის მოდება.

91

ჯვარს აცვეს რა, მოაკვდინეს, აღმდგენელი გარდაიქცა,
სულ შეიძრა ქვეყანა და კლდე განსკდა და გარდაიქცა;
თვის მნათობთა შუქ-ნათელით ბნელდებოდა მაზედ იგ ცა.
ნეტა, როგორ მოისვენებს სულით, მხსნელო, ვინც რომ მიგცა!

92

ჯვარზედ მკვდარსა ერთმან ვინმე გვერდს ლახვრითა უწყო გმერა,
მის ლახვრითა ნაჭერთაგან შექნეს სისხლ-წყალთ გარდმოჩქერა;
გახუკვირდა, რა იხილა, ზედ დაუწყო ამოდ ცქერა,
მან თქვა მისი: “ჭეშმარიტად, მე ეს კაცი ღვთის ძედ მჯერა!”

ე. ჯვარცმის ამბავი

93

ურიათ გმეს და უარყვეს უფალი ტკბილი იესო,
მათ მისი სწავლა მოძღვრება არარად მიიჩნიესო;
არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეაჩნიესო;
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდა, ხორციელს და სულიერსო,

94

მკვდარს აღუდგენდა, კურნევდა კეთროანს, წყალმანკიერსო;

ბრმას თვალი უხელდა, ცისცისად არჩენდა ეშმაკიერსო;
უტყვეს ენას ძღვნიდა, ყრუს-სმენას, კუტს-საპყარს-სვლას შვენიერსო;
პურს მცირეს დიდად, წყალს ღვინოდ უქცევდა-ჭამე, სვი ესო.
95

ამის მეტს არას ეტყოდა: -ესევედით ღმერთს ზეციერსო.
მშვიდათ ცხოვრებდით, ნუ უზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო;
გაიკითხევდეთ გლახაკთა, ასმევე-აჭმევდეთ მშიერსო.
ღასაც კეთილს იქო, ღმერთი თქვენ მოგაგებსთ მის მაგიერსო.
96

აწ, ნახეთ, მისად სანუფქოდ რაც მათ მას შეამთხვიესო;
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო;
ღვთის საიდუმლო გატყვეს, გულში ვერ დაიტყვესო,
თავიანთ მაცხოვრებელი წ[ა]მწყმენდლად მიიცივიესო.
97

ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს, ისიც კი დანაბნიესო;
შეიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი მოახვიესო;
მაგრა შეუკრეს ხელები, უფალსა არა სთნიესო,
ურიგო სიტყვა შეკადრეს, გალანძღეს, გაათრიესო!
98

ყვრიმაღს სცეს თვალეზაკრულსა, ჰკითხეს: ვინ გცემა, თქვი ესო?
ფრჩხილთა უყარეს ლერწამი, ნუნები აატყვიესო,
ავაზაკხედა გასცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო!
რალი ვერ პოეს, დასაჯეს, პილატე მიუსიესო.
99

ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო,
შოლტით სცეს ხელ-დაბანილთა, მსხვერპლს სისხლი შეურიესო.
დაადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიიწვიესო;
შესამოსელი გახადეს, ქლამინდი მოახვიესო;
100

ჯვარზედ განაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაუწიესო;
წყალი ითხოა, მხართვეს, ძმარში ნაღველი რიესო.
უგმირეს გვერდსა ლახვარი,-ვაიმე ვითა ვსთქვი ესო!
მოკლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო;
101

მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
თავს კრეტსაბმელი განაპეს, ბოლომდი შუა ხიესო!
ჯვართთ გ[ა]რდმოსხნეს, წაგრაგნეს, ტილოში წაახვიესო;
დამარხეს, მკვდარსაც არ ენდვნენ, გარს მცველნი შემოხვიესო.
102

ქმნა სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო.
დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო!

ქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო.
დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო!

ვ. ტირილი ღვთისმშობლისა

103

მოდით, ყოველნო შვილმკვდარნო დედანო, შეიყარებით!
შემწყნარებ[ელი] აწ თქვენი მარიამ შეიწყნარებით,
ისმინეთ მისი ტირილი, თქვენც ცრემლნი გარდმოყარებით,
სულს ეცით მისგან ნუგ[ე]ში, გულს ჭირნი უკუყარებით.

104

ოდეს იხილა მშობელმან ძე თვისი, ღვთისა ცხებული,
ეკლის გვირგვინით მოსილი, შიშველი, გაკიცხებული,
ჯვარზედა ხელ-ფეხ მიკრული, გვერდსა ლახვარიც ხებული,
ათრთოლდა, ზარით დაეცა, გახდა ვით დამარცხებული.

105

მოედვა მწარედ სახმილი, შეიქნა დადაგულობით;
დაეწო გული და ღვიძლი, ნაწლევი გათანგულობით.
თქვა: დამეკარგა საწუთრო ჭირნახულ-დაკარგულობით,
დამიჭენა გულის ყვავილი, გაგხდი ვით გალი რგულობით.

106

იცემდა მკერდსა და გულსა, იტყებდა, ესრეთ ტიროდა:
ვით შტოზედ მორჩო ახალო, ფესვ-არსოანო ძირო და!
ვირემ შენს ჩრდილთა ქვეშ ვიჯექ, მე თავი არ მემწიროდა,
ახლაც გვ[ედ]რივარ, უშენოდ არ შემქნა, არ გა[მ]წირო და.

107

ვაიმე თვალთა ნათელო, სხიო მის მზეთა მზისაო!
სახით ვით ნორჩო, ნაყოფით ძირ-კეთილ, შრტოვ ვაზისაო,
გამარკვეველო, გამწმენდო, მნათობო ბნელის გზისაო,
შენ იყავ ჩემი გამღები სამოთხის კართ რაზისაო.

108

და ესმა დედის ტირილი ძეს მიკრულს ჯვარსა ზედაო,
შამუღაბნა მშობელი და მისკენ გადმოხედაო.
გამოედრახა, უბრძანა: ეჰა, ნუ მტირი დედაო!
მე წავალ, შენ ჩემ სანაცლოდ იონე გყვანდეს ძედაო.

109

და გაიგონა დედამა ხმა ტკბილი თავის ძისაო,
მოხსენდა მის ძის ხელთ-ჭერა, ძუძუთ წოება სძისაო,
მსხვერპლად ისაკის სანაცვლოდ მოვლენა ცით ვერძისაო,
მით მისმან კერძმან ლახვარმან ჭრა უფრო მიჰკერძისაო.

110

გამწოებული იტყოდა დაწვთა სისხლითა მღებარე;
არ ვიყავ მამაკაცისა მხურვალებისა მხებარე;
ვით გაღს უთესლოდ უცხო ხე ებას ნაყოფის მღებარე,
ეგრეთ შენ მე ბნელს, ნათელო, აწ ვით მიშრტები მთებარე.

111

ძეო, შენს თავსა მნატრიდენ ყოველთა ძეთა დედები;
ბედნიერობას მიქებდენ, მოსწონდათ ჩემი ბედები.
აწ ჩემის ბრალით იწვიან დღეს შენი შემომხედები,
ხელ-ფეხთ დაგრჭმია ლურსმანი, ლახვრით დაგჭრია გვერდები!

112

ვაიმე ლახვარ-სობილსა და გულსა დანა-ვლებულსა,
შენის წყლურების ცეცხლითა დაგულსა, დანავლებულსა,
შენს უკან წუთის სოფლიტგან გულ-კენესით ხან-წარებულსა!
ძეო, მეტკობის სიკვდილი სიცოცხლე-გამწარებულსა.

113

ძეო, შენს უწინ გენუკვი ჩემს სულის ამორთმევასა!
გემუდარები, ნუ მიზამ შენ მე ამაზედ თნევასა;
მომკალ, წინაწინ წავიდე, შენი ვახარო ევასა:
იესო მოვა, დაგიხსნის, მორჩები პირველს წყევასა!"

114

სოფელს უხარის, მიიღებს აწ განთავისუფლებასა;
ჩემნი იწვიან ნაწლევი, ვხედავ შენს ჯვარზედ ვნებასა,
რომელსა ყოველთათვისა დაითმენ, იქ მათს ნებასა.
შენ, ძეო და ღმერთო ჩემო, უფალო, გძღვნი დიდებასა!
115

ჯვარით გადმოხსნეს, წაგრაგნეს არმენაკითა წმინდითა;
დამარხეს, კარი საფლაავთა დახურეს ქვითა დიდითა;
დაბეჭდეს, მხედართ უბრძანეს: საფლავს სამ ღღემდის სცვიდითა,
მკვდარი არავინ მოგპაროსთ, მას დიდად გაუფრთხილდითა!

ზ. მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი

116
ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვრებელი შენ მათი წამწყმენდლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

117
ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ღვთის საიდუმლო გაგტყვეს, გულში ვერ დაგიტიესო,
ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც კი დანაბნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

118
ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შეგიპყრეს თვისი დამხსნელი, საბელი მოგახვიესო;
მაგრა შეგიკრეს ხელები, უფალსა არა გთნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა უფალო, იესო!

119
ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ავაზაკხედა გაგცვალებს, ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს, გაგათრიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა უფალო, იესო!

120
ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ფრჩხილთა გიყარეს ლერწამი, ნუნები აგატკიესო,
ყვრიმაღს გცეს თვალებ-აკრულსა, გკითხეს: ვინ გცემა, თქვი ესო?
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

121
ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბრალი ვერ გპოეს, დაგსაჯეს, პილატე მოგისიესო;
ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

122
ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ხელ-დაბანილთა შოლტით გცეს, მსხვერპლს სისხლი შეურიესო;
დაგადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიგიწვიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

123
ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შესამოსელი გაგხადეს, ქლამინდი მოგახვიესო!
ჯვარზედ გაგაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაგიწვიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

124

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგაჩნიესო!
წყალი ითხოვე, მოგართვეს, ძმარში ნაღველი რიესო;
წმინდასა შენსა საღმრთოსა გვერდსა ლახვარი მიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

125

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგაჩნიესო!
მოგკლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო;
მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
თავს კეტსაბმელი განაპეს, ბოლომდი შუა ხიესო.

126

ჯვართ გარდმოგხსნეს, წაგ[გ]რაგნეს, ტილოში წაგახვიესო:
დაგმარხეს, მკვდარსაც არ გენდგნენ, გარს მცველი შემოგხვიესო.
ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

127

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგაჩნიესო!
არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეგაჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი, კურნევი კეთროანს, წყალ-მანკიერსო;
ბრმას თვალთ უხელდი, ცისცისად არჩენდი ეშმაკიერსო.

128

უტყვეს ენას ძღვნიდა, ყრუს-სმენას, საპყართა-სვლას შეენიერსო,
პურს მცირეს დიდად, წყალს ღვინოდ უქცევდი,-ჭამე, სვი ესო.
ამის მეტს არას ეტყოდ: ესევდით ღმერთს ზეციერსო!
მშვიდად ცხოვრებით, ნუ იზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო!

129

გაიკითხევდეთ გლახაკთა, ასმეგ-აჭმევდით მშიერსო;
რასაც კეთილს იქმთ, ღმერთი თქვენ მოგაგებსთ მის მაგიერსო!
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდი: ხორციელს და სულიერსო.
ამის სანუფქოდ შენ მათა სიკვდილსა შეგამთხვიესო!
ჰქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ც.უკვდავების წყაროს იგავთ ახსნა

130

მან უცნაურმან საცნობლად თავისა ჩენა ინება;
ვით ვეშპის მუცლით იონას ხვდა მესამეს დღეს ღხინება,
ეგრეთ იესოს ქრისტესა საფლავით წამოდგინება.
მისგან ცხოვრების წყარომა ჩვენთვის დაიწყო დინება.

131

ცხოვრების წყარომ დაშრიტა ჯოჯოხეთს ცეცხლის ალები.
ზედ მიესხურა, დამოსა ხორცითვე მკვდართა ძვალები;
ჩაუდგა სული უკვდავი, მისცა აღდგომის ძალები.
ეშმაკთ დაუღპო წერილი, ადამს გარდუწყდა ვალები.

132

ეს ის წყარო არს, ძოდანას რომ მოგითხარყე სუ რითა,
მოიღეთ წმინდა ჭურჭელნი, წაიღეთ, ვისაც გსურითა!
ვით საწამლავი გექმნებისთ ჭურჭლითა უწმინდურითა,
გაფრთხილდით, ძმანო, არ მოკვდეთ მყრალ-ზნოანისა ჭურითა!

133

იესო ქრისტე ეჩვენა კართა ხშულთ მცნობთ მსხდომარესა,
გვერდ-ჭრილი, ხელ-ფეხ ნალურსმი იცნეს და განიხარესა.
მიბერა სული, ახარა მან მათსა საყნოსარესა,
კვლავ ქვეყნით ზეცად ამაღლდა, ჯდა მამის მარჯვნით მხარესა.

134

ქვეყნად ძე მოკლეს უგბილთა, არ მამა ზესკნეთოვანი!
იგიცა ისევ განახლდა, ვითარცა ორბი ფრთოვანი;
ძემ ხორციით მოკლა კაცები, ცხოველ ქმნა სული მღვთოვანი,
ადამს სამოთხით განძებულს მით მუნვე მოურთო ვანი.

135

მამას და ძესა და სულსა სიტყვით აქვს განყოფილება,
მაგრამ ერთ ღმერთად ითქმიან, ამას არ უნდა ცილება.
მამა უვნებლად მალდა ჯდა, ქვე ძეს ხვდა მოცაკვდინება,
სულს რაღა შეახებოდა, თვალთაგან არ იხილვება.

136

ერთი არს ღმერთი ყოველთა ქმნულთა, მის მიერ ქმნულისა.
ბრძენიც არა ჩანს აღმრაცხი მის სარიცხველთა ნულისა.
ვითარ შესწვდების გონება უცებით ქვე დანთქმულისა!
აქეთ და გაქექთ ნულარას, გესმოდესთ ჩემის თქმულისა!

137

ვითა ტორუა ქვეყნითგან ცამდის შეიწყებს სტვენასა;
ვერ უწევს, ქვევე ბრუნდების, რომ ველარ შესძლებს ფრენასა,
ვერეთვე კაცი რიტორი რაზომც ამჭერვებს ენასა,
დაშვრების, ვით ჰხამს, ვერ აქებს მას ერთსა ღმერთსა ზენასა.

138

ღმერთი არის თვით ხელმწიფე, თვით უფალი, თვით მჭირველი;
არავინ ყავს მოზიარე, აქვს მპყრობლობა უცილველი.
ღვთისგან ნივთობს ყოვლი ნივთი, ხილული და უხილველი,
სუფევს ყოვლის სულისაგან ძვირ-უთქმელი, უკილველი.

139

მას აქებენ; ანგელოზნი, ცა, ქვეყანა, ბნელ, ნათელნი,
ზღვა, ხმელეთი, ხე, ბალახნი, მთა, ბორცვი, ტყე, მალნარ, ველნი,
პირუტყვ-მხეცნი, მფრინველ, თევზნი, ვეშაპ, ყოვლნი
ქვემდრომელნი,
ცეცხლი, ქარი, წყალი, მიწა, კაცი ცხოვლად პირმეტყველნი.

140

მზე და მთვარე, ვარსკვლავები, ღრუბელ-ნისლი, ცისსარტყელი,
ზამთარ, ზაფხულ, ყინვა, სიცხე, თოვლი, წვიმა მწყურნებით მრწყველი,
ელვა-ქუხილ-მეხ-ტატანი, ხორშაკ-სეტყვა ხილთ მბერტყელი,—
ყოველი სული აქებდით უფალს იტყვის წინასწარმეტყველი.

141

ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰფინა, ყველა ჩვენთვის განაჩინა;
თვალ-მარგალიტ, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თუ ქვა და რკინა;
ჭიაც ჩვენთვის ამუშაკა, ჭიჭნაური აპარკინა,
ჩვენცა გვმართებს ღმერთს დაუთმოთ, სწავლად გვემით რაც გვატკინა.

142

ვიდგეთ, ვიჯდეთ, ანუ ვიწვეთ, ხანსა ცუდად არ დაემზიდეთ;
ვსტიროდეთ, თუ ვიცინოდეთ; ვლექსობდეთ, თუ ანუ ვზმიდეთ,
ღმერთს ვაქებდეთ, ღმერთს ვამკობდეთ, ღმართს დიდებას შევასხმიდეთ,
ღმერთს მივსცემდეთ მადლობასა, პურს ვშჭამდეთ, თუ წყალსა ვსმიდეთ!

თ. ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთან
შეორგულება

143

ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად უხსენე გვარია.
თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონაგვარია;
ერთი დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია,
მეორე ვახტანგ მესუთე, ქართველთა მეფედ მჯდარია.

144

იყო ის ერთი უფალი გლახაკო ნუგეშის-მცემელი,
მეფსალმუნე და მეტყველი, ღვთის ქებით ბობლნთა მცემელი,
შრტო ძირისაებრ თვისისა ნაყოფის გამომცემელი,
მწყემსი ცხოვართა დამხსნელი და მეელთა არ მიმცემელი.

145

მას მორჩილებდენ ქართველნი, ვით წესი იყო მონისა,
უმისოდ ჭირად მიაჩნდათ ცხოვრება სიამოვნისა;
მაგრამ კვლავ შესცდენ მის გზითა, რა ცოდვის ბურმან მონისა.
ჩაცვივდნენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა.

146

გულ-მანკიერად შეიქმნენ, ქმნეს სამსახურზედ კლებანი,
დაცაივიწყეს მათ მისი ურიცხვი მოწყალებანი.
ზოგიერთს ვისმე შეუხდა ეშმაკის მანქანებანი,
დავით მამისა მისისა დამუსრეს ფსალმუნთ ებანი.

147

გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცემი ხარკისა,
ბაგით პატივ-სცეს, აჩვენეს გული მტყუვარი ზაკვისა;
უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა,
რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავიანთ ნამუშაისა.

148

სწავლიდიან რჩეულნი თავიანთ ქვეყნის მეფისა.
წაუკითხიან ბრძანება გამოთარგმნილი კეფისა:
იქმნით ხარკის მიმცემნი, აღმსრულებელნი სეფისა.
მოვიდა დიდი ძვირობა, დრო წახდა სიიეფისა.

149

ღვთისმშობელმან ჰრქვა: იწამეთ, ვინ ცით გვიწვიმა მანანა.
ქვეყნად უმამოდ ქალწულსა ძე მარწებინა, მანანა,
პაპად, ბებიად ითნია იოკიმე და მან ანა,
შესანდობელად ყოველთა მით ცოდვა თქვენი მანანა.

150

არ დაიჯერეს, არა ქნეს სარწმუნო დასაჯერები;
დაყრუედნენ, ბრმანი შეიქმნენ, საქმე ქნეს გასასტერები!
თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერები,
დამცირდენ მადლით მოყვრები, ცოდვით განმრავლდენ მტერები.

151

დაჯაბდნენ გულად მამაცნი მძლეთა მებრძოლთა მძლეველნი,
ნებით შეიქნენ უბრძოლლად თავისა მტერთა მძლეველნი;
ციხე განუღეს, შეუშვეს დამქცევი, დამამძლეველნი,

მტერი სამკვიდროთ მომშლელნი, ტრფიალთა წამართმეველნი.
152

განუცვდათ შმაგთა ხელობა, ტრფიალთა მიჯნურობაო,
ვერ სძლიევს მძლეთა მებრძოლთა, ვერა ქნეს გულ მაგრობაო,
შეშინდნენ, ტრფიალთ გაექცნენ, შეჰკადრეს უარობაო,
წუთს მოყვარესა დამოყვრდნენ, მკვიდრსა დაუწყეს მტრობაო.

153

ვერ გაუმაგრდნენ, ოდესაც მტერთა დაუწყეს ბრძოლანი,
ნება ყვეს თვისთა მერჩოლთა, არვინ ინება რჩოლანი!
გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხაჭასთან შექნეს რბოლანი,
ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი!

154

შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება—ქერივთა, ობოლთა, მწირისა.

155

მან ბრძენთა ბრძენმან რა ეს სცნა, ბრძანა აღება ხელისა,
რისხვით გაშვება მის თემთა, გარდახდა საფარველისა.
მიუგო: რჯულთა გამრყენელნო ახალისა და ძველისა!
თქვენცა იხილოთ ამიერ მოსპოლვა საფუძველისა!

ი.საწყაულის მოწყვა ღვთისაგან

156

მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა;
ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიდროდისა;
ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა.
მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა!

157

მოუგის დიდი სიყმილი, შემუსრის ძალი პურისა;
აღარვინ იყვის ღვინითა აღმავსებელი ჭურისა.
შემცირდის ხართა ნახნავი, მოსწყდის ნაწველი ფურისა,
ყვნის სასწაული, არ იყვის კაცი მიმგდები ყურისა!

158

უეცრად მეხთა დაცემა, იყვის ელვა და ქუხილი;
ნამი არ გასტყვრის; გოლვამან მოწვის ბალახი, თუ ხილი.
ჭმუნვიდენ, არად შესწევდათ ცოდვის უნანლად წუხილი,
ასე ჰხედევდენ ნიშებსა, ვით ნათელს თვალ-დაწუხვილი.

159

გამოუვლინის ნადირნი, მჭამელნი კაცთა ხორცისა.
მოთხარის მკედარნი საფლავეთ, ცოცხალიც ბევრი ხოცისა:
ხმაღ-კაპარჭთ რიდი არ აქნდის, არცა ხელმეხას ტყორცისა,
დედ-მამათ შვილი სალხინო წამზე საჭიროდ მოსცისა!

160

უცხო რამ აქნდის მას მხეცსა ხერხი და მეცნიერება,
საცხოვარს არას აწყენდის, ვერ ვსცნი რა აქნდის ფერობა,
საცა რომ კაცსა შემოხვდის, მედგრად იხმაროს მტერობა,
ანაზღად ეცის, დაფლითის, მოკლის და შექმნის სერობა.

161

არც მით მოიქცნენ! შეჰყარა უცხო, უწყალო სენები;
ხოცა კაცნი და პირუტყვნი, ცხვარნი, ძროხა და ცხენები,

კვლავ შეაყენა, მახვილთა სისხლით აღივსო ხევნები,
სრულად აღსრულდა მათზეთა დავითის მონახსენები.

162

ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას-ოც-და ერთსა
ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოეხსენა ღმერთსა;
აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა,
ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს, ან კახეთსა!

163

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწვერი.

164

თურქი, სპარსი,ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტო,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუღვა ძმასა ყისტო;
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვერდრეს ხიშტი!

165

ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას ცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,—
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

166

ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზე მერცხვინება.
მტერს შეესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება.
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხედეს გინება.

167

ტყუილი ვჰოტკვა, ჩემი თქმული შეიქმნების რა სავარგი?
მართალი ვჰოტკვა, მეშინიან, ვა, თუ გავხდე დასაკარგი!
კაცს მის მეტი არა აქვს-რა სიკვდილს უკან თან საბარგი,
სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი: ავსა ავი, კარგსა კარგი.

168

აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქვო?
კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ სიკარკაცე აქო?
ავს კაცს კარგი ვით უძებნო, ორმოს ჩამსვა, თავს დამარქო?

169

პირს- ფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო.
სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო;
ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,
მაზე სული არ წარსწყმინდო, რა გინდ ხორციით დავიკარგო.

170

მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

171

ამისთანას მკურნალს ვაქებ, მიღესევდეს ფაზარ-ხუთოს,
არ თუ მასა, უწამლობით პირში სული ამამხუთოს.
ამისთანას ბატონს ვაქებ, მან ერთი ყმა განახუთოს,
არ თუ ხუთი აღარც ერთ-ქმნას, ასე საქმე თავს მოურთოს.

172

მართალია, მძრახველს ძრახნა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების;
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხეების.

173

ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის, კულავ აღარ ჩაიდინოს;
სხვა გაფრთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა რვინ ჩაიდინოს.
კაცმან უნდა თავითგანვე საქმე კარგა მაიხდინოს,
თორემ ბოლოს ვით იქნების, ავზედ ძრახვა დაიცდინოს?

174

ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს, ნურასა იქს საძრახავსა:
თავის[ი]ცა განიმაგროს, ნუ აფოფნებს სხვის ნიფხავსა.
ჭეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის განმკითხავსა,
მაგრამ ავზედ ავი ითქმის, კარგს არავინ გაჰკიცხავსა!

175

ამას ვსწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ;
ბაძით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ.
ვინ დაჰფარავს მათ ნათესსა, თვით უმიწოდ ქვიშას ფარცხვენ,
ქვე საწუთროს ქვიტკირსა ზდგმენ, ზე სამკვიდროს ფიხით ფაცხვენ.

176

რა გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს,
ვერ გაუძღვებს რაც კაცს სენი გუღსა უკოდს, სჩხვლევტს და მსჭვალავს.
სხვის არ მკრძალავს რად ემდურის, ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს,
თვით ვერ ხედავს, სხვის საჭკერეტად, თუ არ უნდა, პირს რად ჰკალავს?

177

მე კი ვჰფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს;
მეტად მწარედ გუღი მტკივა, მაჰრუოლებს და ტანში მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავემო, აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს,
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხვერელს, ამამზარავს!

178

ერთი კაცი უკუღმართად ვნახე ერქვანთ ასხამს ფთებსა;
კვლავ მეორე მისებრ მრუდსა მისთვის კაბდოს აკეთებსა.
მხვნელსა ვკითხე: რად ეგრეთ იქ? თქვა: ძალა ხნავს აღმართებსა,
მფარცხვენელმა თქვა: დაღმა ვფარცხავ, აღმა-ხნულსა ეს მართებსა.

179

ვინც რომ ისე უკუღმართად, მრუდათ ხნას და თესოს, ფარცხოს,
ის მე პურსა ნუღარ მაჭმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.
ვინც ძმის სისხლი გამოიცხოს, ან თვით ძმასა გამოაცხოს,
მისი სული სატანამა, თუ არ კუპრში, რაში გარცხოს?

180

რად გეშინის მართლის თქმისა, ფუ, შენ ჩემო უღვაშ-ბილო!
ვინც არ გჯერა, ასე უთხრა: მიბძანდი და ნახე თიღო,
მე წიღს ნუღარას დამიდებ, რაც შენ მუნით წამოიღო.
თუ გაგმტყუნდე ამაზედა, მე შენ შვიდეულად გიზღო.

181

აწ დავიწყო თქმა მართლისა, მომსმენელნო შემოკრებით,
ზოგნი შინა აქ ბძანდებით, ზოგნი გარეთ, შემო კრებით,
მოვიტიროთ ჩვენ სამკვიდრო თავში ხელის შემოკრებით,
ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა ჩვენდა გარეშემო მტრებით.

182

კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს,

უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს;
ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს,
ორნივ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!
183

უკუღმართად ხენა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო:
მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!
თარჯ-თომრიან ჯიღონი გაგვიხადა, ქმნა უჯიღო!
მხამს გიტყვებდე მეფის ბილით, ვარსამისა სავსე მჯიღო.

ია. რუსთ ხელმწიფისაგან ქართველთ მეფის ვახტანგის
თავისთან მიპატიჟ[ე]ბა

184

აქ ცხადად ითქმის ყველაი დასაბამ-დასასრულისა,
მეფის ვახტანგის ამბავი, მოწყალის, სიბრძნით სრულისა,
მეზედან ქართლის არაკი, მტერთაგან გაბასრულისა,
მერმე თვით ჩემის თავისა, დაკარგულ-დაბაწრულისა.

185

იჯდა ყაენად შახ-თამაზ, ძე ძისა შააბაზისა.
მან შექმნა ბილწად დრანჯობა, ბევრი ღვინო სვა ვაზისა,
აღარ ახსოვნდის სიმთვრალით ხელში მირთმევა არზისა,
მით სამართალი დაფასდის ცხრა ქანქრად ცხრა აბაზისა.

186

შეყვარებოდა ორივ მას-ლოთობა, მეძაობანი;
მით დაჰბნეოდა, წართმოდა თავისი ჭკვა და ცნობანი.
მუდამ შინ იჯდის განცხრომით, ვერ გასძლის გარეობანი,
მის გამო ვედარ შეიძლო მან ქვეყნის პატრონობანი.

187

მისგან წამხდარი საქმენი სხვა მოგახსენო რაღანი?
სამხრეთით აღძრა ოსმალო, აღმოსავლეთით ავღანი:
ჩრდილოეთის მხარეს რუსეთსა გიღანით მისცა დავღანი,
დაღისტნით ქართლსა, კახეთსა წაართო ყუმაშ-ყავღანი.

188

მით გასახმილდა წინწყალი, გირგლად გარდიქცა სიონი,
მისგან შეირყა მეტეხი, მისგან დაიქცა სიონი;
მან ვახტანგ, ძე ლევანისა, შეიპყრა ბაგრატიონი,
უპატიოდ ყვნა შვიდ წლამდის იგ დიდათ საპატიონი.

189

იყო ჩრდილეთის ხელმწიფე, თეთრის რუსეთის მჭირველი,
თვითმპყრობელობის მიმღები, პეტრე ცხებული პირველი,
პირველ-უმურ-ხრმალ-რბილ, პირ-ბლაგვთა მწობელი, გამომპირველი
ადიდოს ღმერთმან სულითა, ბევრი ყავს მლოცველ-მწირველი.

190

ვირემდის იყო ცოცხალი, რუსეთზე გარდამწვდარია;
ბრძენ-უხვი, მართალ-მოწყალე, სამართალ-დაუმცდარია;
მტერთა მებრძოლთა ყოველთა მან ყველას ხელი დარია,
მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარია.

191

პეტრეს აქეთნი მეფენი, რომელნიც ტახტზე ჯდებიან,
პეტრეს ბრძანებას მოწმობენ, მის მცნებაზედა დგებიან,
გინდ, უჩნდესთ წინააღმდეგად, მას წინ არ აღუდგებიან,
არს პეტრეს თქმულნი უკვდავნი, მიდღეში არ მოკვდებიან.

192

პეტრეს ხელმწიფის ბრძანებას სრულყოფად არა ზარობენ,
წინ უძესთ მისი ანდერძი, მით დგანან, მითვე მგზავრობენ,
მითვე ლაშქრობენ, ვაჭრობენ, მოღუქან-მობაზარობენ,
მით ჰკვლენ და ჰკარგვენ, რომელნიც მათ წესზედ აბეზარობენ.
193

არს მოსაწონი მნახველთა გაწყობა რუსის ჯარისა,
ათას-ხუთას კაცთ ერთფერად ტანთა ცმა, სხმა აბჯარისა,
მწყობ-რიგად შესვლა-გამოსვლა, ქცევა ვით ბრუნვა ჯარისა,
დამუსრვა ციხის მოქლოთა, მაგროვნად დანაჯარისა.
194

კურთხეულმცა არს ღვთისგან პეტრეს ხელმწიფის ხსენება!
რა საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შველა ენება;
ზღვა გავლო, დაჰკრა ავღანთა, სოლალს დაუწყო შენება,
დაღისტანს მიხვდა ღვთის რისხვა, მრავალგზით განაწყენება.
195

ხრმლის სიფოლადეს სპარსთასა ჟამი რამ მიხვდა ღობობისა;
ხმა დაუმდაბლდათ, მოუღბათ სიტყვის თქმა ამაყობისა,
რა ნახეს ცეცხლი ნაწვიმი ყუმბარისა თუ ბომბისა.
ვაიმე, კარგთა სათქმელთა ძალი არ შემწვეს მობობისა!
196

ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა: მოდი, მიგიჩნევ მამადო,
იესოს ქრისტეს მიენდევე, ნუ მოგატყუებს მამადო;
გიჯობს, მე ზურგი მომყულო, გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზე მიმიძღვე, ვით თივას ცეცხლებ მამადო.
197

მდივანთ ხელმწიფის ბრძანება რა შეასრულეს წერითა,
დაბეჭდეს, შეკრეს, შეხვიეს ზარქაშის მონაჭერითა.
კვლავ ჩაფარ-ელჩთა უწოდეს სასწრაფოთ გულის ძგერითა.
უთხრეს: თუ ჩქარად არ ივლით, ვერ გასძღეთ მზისა ცქერითა!
198

მათ ჰკადრეს “ტოჩას სუდარი”, სიტყვის თქმა მათი სწრაფისა.
ცხენთა შესხდენ და გაქუსლეს, სიტყვა თქვეს რა მუქაფისა.
მესამეს მწუხრზედ, ნობათთა რა ცემა იწყეს დაფისა,
შევლეს ციხე და ქალაქი, კარები სეიდაბისა.
199

საღამოს ჟამსა ხალვათად მეფე თვით იჯდა მარტოდა;
ქვეყნის არევის მიხეზით გულს სევდა მას მიმატოდა.
მალღითგან ნახა, სირბილით კიბეზე კაცი ახტოდა,
რასაც ის კაცი იტყოდა, გულთაც მას ინატროდა.
200

ვით სითბოთ ვარდმან ყვავილი, სუნი გამოსცეს იამა,
დაბუხებულმან, ნაზამთრმა მხარი აღისხას ჭიამა,
დიდის სიცხითა მაშვრალსა აამოს სიო-ნიაგმა,—
ეგრეთ ხელმწიფის ბრძანება მეფეს რა ესმა, იამა.
201

რა მოეხსენა მეფესა ამბავი საამურია,
ჭმუნვა განაგდო, გარდუწმდა, გულს ეკრა რაც ჯანგ-მურია;
მალ-მალ იკითხის ამბავი, ბრძნად მას მიუპყრა ყურია.
კვლავ მოიტანეს ვახშამი, სუფრად გაშალეს პურია.
202

შეიქნა წვევა ჩუმ-ჩუმად ვაზირთა, თანგანმზრახისა,
გაგრძელდა სმა და პურობა, ხმა წინწილისა, ვახისა,

შაეცყობოდათ, განთიად ჩაცმა არ სწადდათ თალხისა,
ეგონათ სწორედ ტრიალი მრუდის საწუთროს ჩალხისა.

იბ. რჩევა ქართველის ბატონისა

203

შეკრბენ ქართველთ ბატონ-ყმანი, ერთად თავი მაიყარეს,
დასხდენ რიგით, ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს.
ვინც ხედევდა ბოლოს საქმეს, იმათ არად განიხარეს,
თქვეს თუ: უფრო წავხედებითო; მაგრამ ზოგთ კი განიკმარეს.

204

გამკმარველთა უპასუხეს: გეტყვით, ძმანო, ვერ გეტნებით,
ვერა ბძანეთ ეგე რჩევა კაის ჭკუით, კაის მცნებით,
ქრისტიანის ხელმწიფისა ხელ-დებულნი შევიქნებით,
ჩვენ მაგაზე რად წავხედებით, თუ არ უფრო გავკეთდებით!

205

მათ მიუთხრეს: თუ უჭკო ვართ, ნახავთ, ბოლოს გამოჩნდების;
არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, თუ ეგ საქმე მალ მოხდების,
მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების.
ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგებების.

206

ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა;
ამჯობინებდა წასვლასა, თუმცა არ მიეშუროდა.
ვინც არ ემოწმის, მაზედა ერთგულად არ უყუროდა.

207

რა მეფის ნდომა შეიტყვეს, ყმათ რჩევა შექნეს სხვაფრადა,
შეჰკადრეს: რადგან არ იშლით, სჯობს რომ წაბრძანდეთ ჩაფრადა;
გარს მტერი გვადგას ამდენი, ასს მთას ეყოფის მკაფრადა,
ვინ იცის, ჩვენზედ მოვიდნენ, თქვენ მოგვეშველნეთ საფრადა.

208

თუ წაბრძანდებით, წაბრძანდით, ხანსა ნუდარას დაზმითა;
თან ცოტა ყმანი იახელ, ნუ გაეწყობი რაზმითა,
ფარვით იარე გზაზედა, არ მეფეთ მოსაკმაზითა,
მტერთა არ გიგოძნან საწადი აშკარად ანუ აზრითა.

209

მან ბრძანა: ვითარ ვიკადრო მეფემან საქმე ქურდული,
დავფარო ქრისტეს კვართი და ქნარი დავითის, შურდული;
თან არ ვიახლო სპა-ჯარი, ჩაფრულებრ შევქნა ძუნძული,
ვითარ-და ვნახო ხელმწიფე, ან უცხო თემთა კუნძული!

210

სჯობს, შევიყარო ლაშქარი, ვქნა მისი ანგარიშები;
ჯერ ჩემთა წინააღმდეგომთა დავსცე ზარი და შიშები,
წავიდე, განჯის მომთხრელთა დავდვა მუქაფის ნიშნები.
და გამოვბრუნდე, კვლავ ვნახო რუსების შუბ-ფარ-შიმშები.

211

ყმათ ჰკადრეს: თუ ეგ ხდებოდეს, თქვენ რჩევას ვინ დაგცილდესა?
კარგია, თუ კაცს საწუთრო გრძლად საქმეს დააცლიდესა,
წაუბორძიკოს არ ფეხი გზასა, რაზომსაც ვლიდესა.
მაგრამ რაღა ვქნათ, თუ ლხინსა სწრაფ ჭირად შეგვიცვლიდესა!

212

მეფემ აღარა ბრძანა რა, ინება თვისი წადილი;
გულში დაესკვნა საქნელად იგი პირველი ქადილი.

გათავდა რჩევა, გარდასწყდა! ან მაითხოვა სადილი.
ბოლოს მხედველთა საცრემლედ გაშალეს ხელის მანდილი.
213

ტიროდენ, ამას იტყოდენ: ახლა არს ჩვენი დავსება!
ვერ მოგვიხდების კარგათა ამდენი წყვეტა, ტმასება.
მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება.
სამი ვეშაპი ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსება?!

214
მეფეს სძრახევდენ, იტყოდენ ეგევითარსა გმობასა:
სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!
ყენის სპასალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!

215
ჩვენს ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი:
რა სამთავ ცემა შეაქნასთ, ჩვენზე მათ შექნან ონარი,
გარს მოგვეჭიროს მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსაფონარი,
ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი!

216
ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!
შემოიყარა ლაშქარი, თვალს ვერვინ გარდაწვდინებდა,
წავიდა, განჯის მიდამო[ს] სისხლის ღვართ მოადინებდა.

ივ. მტერთაგან მეფის ვახტანგის ყვეთან შესმენა
და ყვენისგან ქართლის წართმევა და კახის
ბატონის მიცემა

217
რაგინდ კაცი სნეულობდეს, გვიან მოკლავს ერთი ჭირი,
რა მეორეც ზედ დაერთვის, მით საქმე აქვს გასაჭირი,
წახდენის დროს მამა-შვილთაც არა ჰქონდათ ერთი პირი,
არჩევდიან, არ მოსწონდათ ერთმანერთის ნავეზირნი.

218
ორთავ შუვა მტერს ეშმაკსა ჩამოეგდო რაღაც შური,
მისგან წახდა, დაგვიანდა საქმე კარგი, დასაშური;
ვერა ნახეს რუსთ ხელმწიფე, ვერ აჩვენეს სამსახური,
ყვენზედაც ავად დარჩნენ, მათ დაკარგეს ორგნივ პური.

219
ერთმანერთის ნავეზირი მათ მოსწონდათ ამაღ არა:
მამა რუსეთს იზიდევდა, შვილი ყვენისა კარა.
მათმან სვემა და სოფელმა სხვა რიგად რამ მოაგვარა,
ვერც მამამ და ვერცა შვილმან მოსახმარი ვერ იხმარა.

220
ყენის კარს მეფე ვახტანგს ბევრნი მტერნი უდგნენ მზირსა:
რასაც ავსა უნახევდენ, აძახებდენ მისთვის გზირსა;
ყენს ჰკადრეს: გაგიარმებს ვახტანგ ახშამს და აზირსა,
პირი მისცა საღალატოდ ეთმანდოლეს—თქვენს ვაზირსა.

221
ესმა ყენს რა ღალატი, იქმნა გულში შენამკრთალი,
გამოძებნა და შეიტყო, ყოველივე სცნა მართალი;
დაიჭირა ერთმანდოლე, განუწესა სამართალი,

უსიკვდილოდ დანასადა, აღმოსთხარა ორივე თვალი.

222

ხანი გამოჰხდა მცირედი, დღე წავიდა არ მრავალი;
კიდევ ჰკადრეს: მუხანათობს ვახტანგ გურჯისტანის ვალი,
თქვენ გიჭირს და არას გშველის, არის რუსეთს წამავალი.
თქვენცა გმართებს აწ გარდახდა, თქვენზედ დადგა რაც მან ვალი.

223

აწ მეორედ მეფე ვახტანგ რა რომ ყვენს შეასმინეს,
თითქმის ასე განირისხეს, ჭკუვისაგან შეაცდინეს.
ვახტანგ ქართლში ბრძანდებოდა, სხვაფრივ ხელი ვერ აწვდინეს,
ჩამოართვეს ქართლი, მისცეს ერეკლეს ძეს კონსტანტინეს.

224

კონსტანტინეს თათრის ენით ერქო მამად-ყული-ხანი,
იყო სანახავად ვარგი, მკვეთელობით უჩნდა ფხანი,
ისპაანის ტარულადა მორჭმით იჯდა კარგა ხანი,
ავის კაცის თავ-სავარცხლად აქენდის კარგი მოსაფხანი.

225

ჯერ კახეთი, მერმე ქართლი, ორივე ერთად მას უბოძა;
ყავნს სახლი ექცეოდა, სვეტად, ბურჯად მას უბოძა:
მოსწერა, თუ: ვახტანგ ჩემთვის რკინის ხრმალი დანაძონძა,
შენ გამოხსენ, განარჩიე, რაც რამ მათგან გამოკონძა!

იდ. რჩევა კახის ბატონისა

226

გაბრძანდა კახი-ბატონი, განიდგა კარაგ-სევეანი;
მიხმო მდივან-ვეზირნი, ბრძანა დიდებულთ წვევანი.
შემოყორულეს ყაფიჩთა, იმგრგვლივ მოავლეს დევანი,
დასხდენ და შექნეს საქმისა სამჯობინარის რჩევანი.

227

უბრძანა კახმან-ბატონმა ძმასა, ყმათა და მონათა:
“სიბრძნით მიჰხედეთ უღელთა ჩემთა სასწორის წონათა;
მე ერთი ხმელი კაცი ვარ, ძე არ მყავს, ვარ ბერწოვნათა,
რაც თქვენ გიჯობდესთ, არჩიეთ შვილთათვის მოსაწონათა”.

228

“მე ღმერთს წინაშე უცილოდ სიტყვის მთქმელი ვარ მართლისა;
სწორედ გარჩევა საქმისა წესია მოსამართლისა;
თუმცა მიბოძა ყვენმა, არ მხამს მიღება ქართლისა,
ამად რომ მტერთგან დამდნარნი ვართ, ვით ნაღვენთი სანთლისა”.

229

“მე ვახტანგს მეფეს შევრიგდი, პირობა მივეც ძმობისა,
შევფიცე, ვით-ღა ვიტვირთო ეს საქმე ფიცთა გმობისა?
თუ მე არ დაესთმობ, აწ მისგან უფრო არ დაითმობისა.
ვარჩევ, სჯობს ფიცთა გატეხას გატეხა ამ რაყმობისა!”

230

“ესეც ვიცი. შემიტყვია, ჭკუვა მიჭრის, გული მიგნებს;
მეფე ვახტანგ ამ რაყამსა არც ისმენს და არც იწიგნებს.
თუ ქართლსა ვსთხოვ, ამეშლები, ფიცხლავ იღებს ხრმალზედ იგ ნებს,
უნდა რომე ამ საქმითა ძაღლს აჭმევდეს ძმა ძმის შიგნებს!”

231

“მე კაცი ვარ ხორციელი, სულ ხომ ცას არ შავებერდები;
ვით ვყოფილვარ მიწა-მტვერი, ისრევ ისე გაჰვმტვერდები.
მე მტრად სხვანიც მეყოფიან, ძმასა რად-ღა დავმტვერდები?”

იმას ისრევ ქართლი ქონდეს, მე ჩემს კახეთს დავსჯერდები!”
232

“მოვისვენებ სანამდის ვერ, სანამ ლეკზე ჯავრს არ ვიყრი;
მე ჩემს ძმაზე სამტეროდა არაოდეს ჯარს არ ვიყრი!
კახეთს კარგა განვაძაგრებ, შემოვზღუდავ, კარს შავიყრი...
თქვენ რას ბრძანებთ ამისასა, ეს ასეა ჩემი ფიქრი!”
233

კახთ მიუგეს: “ვინც დაიკრას თვისის ხელით თავში ცული,
თავის ნებით წასაწყმენდლად ამოიძროს პირში სული;
რად გინდა რომ გაიბრუნო ღვთის წყალობა კარს მოსული;
შენ რომ შვილი არა გყვანდეს, ჰა ძმა შენი და ძმისწული!”
234

“რაც ღმერთს შენთვის მოუცია, რაღად ჰკარგავ შენის ნებით?
შენ რას გავნებს, რომ გასტეხო ფიცი ხელმწიფის ბრძანებით?
ჩვენ თუ იმის ბრძანებასა წინაღობად შავექნებით,
ვით თქვენ ბრძანეთ: “გართ დამდნარნი”, მაგით უფრო დაცავდნებით”.
235

“სჯობია, რომ აღასრულო ეგ ბრძანება, რაც წინ გიძე.
თეიმურაზ მიუგზავნო, თქვენი ძმას, მისი სიძე,
მამი-შენის ერეკლესი მაზე დიდი ამაგი ძე—
თუ გისმინოს, შეიძინე, თუ არა და, განიღვიძე”.
236

მან უბრძანა: “კახელებო! გამიგონეთ, ვიტყვი სწორად:
ყვენს შიშით თავითგანვე გაუხდივართ ერთი-ორად;
ახლა როდის შეგვაერთებს, საქმე გვიგდო მოსაღორად,
ქართლი მომცა ძმათ საჩხუბრად, ამხანაგთა მოსაშორად”.
237

“ერთსა კაცსა ცოლი, შვილი ყვანდეს ტვირთად; ზურგთ ეკიდოს,
არა ქონდეს სახლ-სამყოფი, ფეხი ვერცად მოეკიდოს,
უკანიდამ მტერი სცემდეს, წინ მოყვარეს წაეკიდოს,—
იმისთანას უგუნურსა უნდა ცეცხლი წაეკიდოს”.
238

“მართალს ვიტყვი, არ დავიშლი: მძულს ტყუილი, სიტყვა მრუდი.
მე მას მამად მოვიკიდებ, ვეშვილები, თუმცა უნდი;
გარს გვარტყია ვით სარტყელი, სულ სხვა-და-სხვა მტერთა გუნდი.
ჩვენ ერთმანეთს ხმალსა ვსცემდეთ, ეგ რჩევა არს დიად ცული!”

იე.წიგნის მიწერა კახის ბატონისაგან
ქართველთ ბატონთა: მეგობრობის თხოვნა

239
მოსთხოვა გურგენს მდივანსა ქაღალდი, საწერ-კალამი;
დახატა ცეცხლი გაღაგნად, შუგა ერთ გორად წალამი,
ზედ ორის ქვეყნის იგავი, მაზე თავდახრით ალამი,
ერთზედ დასწერა “ფეშქაშ-ღურ”, და მეორეზე “სალამი”.
240

მისწერა ვახტანგს: “შენ მამა, ჩვენ ვიყვნეთ შენი შვილები;
თუმცა მიბოძა ყვენმა, მე ქართლსა არ გეცილები.
გარს მტერთგან ცეცხლი გვედების, შუგა ჩვენ ვსდნებით ცვილები,
სჯობს, რომ ჩვენ ერთნი შევიქნათ, აგებ გვეღირსოს ძილები”.
241

“აწ გვიწყალობეთ პასუხი, თქვენგნით რა გვებრძანებაო.
თქვენი არ ჰკრეტა, შორს ყოფნა გონებით არ გვეთნებაო;

გეწადიან თქვენი გვერთ ხლება, თუმცა დაგვერთვის ნებაო,
მანდ გიახლებით, მოგვმადლეთ მამაშვილური მცნებაო”.

242

რადას ვაგრძელებ სიტყვასა და ვამბობ ყენებ-ყენებით...
მისცეს წიგნი და წაიღეს წამლებთა ცხენებჭენებით;
მიათვეს მეფე ვახტანგსა მოციქულთ გამომჩვენებით.
აქ ნახეთ, საქმე კეთილი ვით გაბოროტდეს ენებით!

243

მეფემ რა წიგნი გაშინჯა, სცნა ტკბილად მიწერილობა,
ბრძანა დიდებულთ მოყმეთა ერთბამად თავ-მოყრილობა:
აჩვენათ ქვეყნის იგავი, დროშისა თავდახრილობა.
იესე მეფემ რა ნახა, ჯავრით ხვდა წარბთ შეყრილობა.

244

სალამს, ალამს, ცეცხლსა, წამალს, ფეშქაშ-დურს და ქვეყნის იგავს
სთარგმნიდიან ვეზირები, იტყოდენ, თუ: ეს რას მიჰგავს?
მეფემ ბრძანა: რაც ხილია, ეგ სუყველა ჩვენს ბაღში რგავს;
ყველა კარგად შემიტყვია, ვერას ვხედავ მაგაშიგ ავს.

245

ზოგთ მტრობით ნარმა დაფარეს, ჭოთი აჩინეს ნუქარად,
ათარგმნეს ნაფეშქაშევი თხოვნადვე, არ ნახუქარად;
სიმდაბლით დროშის თავდახრა თავის დაქნევად, მუქარად.
შუვა წალმად თქვეს ქართველნი, გარს ცეცხლად კახნი მუშქარად.

246

მეფე ბრძანებდა: “მაგაში არა არის-რა ფლიდობა,
ფეშქაშ-დურ ქართლის მოძღვნა არს: სალამ-ალამი მშვიდობა;
გარს გალაგანი ცეცხლისა გარეშე მტერთა დიდობა;
წალამნი ჩვენ ვართ ორნივე, გვხამს ერთმანერთის მინდობა”.

247

“ამად გვისახავს ერთ გორად ორისავ ქვეყნის წალამსა,
მას ღვარი ვედარ შესწვდების, ვერც დაშლის, ვერცა წალამსა.
მშვიდობას თხოველობს სიმდაბლით, ამად თავს უხრის ალამსა,
ქართლს ისევ ჩვენვე გვანებებს, კახეთით გვაძლევს სალაამს.”

248

“თუ ორად დადგას, იქნების ორივე პატარა გორები;
დაქროლებს ქარი, გარდაქცევს, ზღვას შერთავს ნიაღორები,
ტიალთ ვენახთა მოსჭამენ დათენი, ძაღლნი და ღორები,
წარწყმენდილი არს, ვინც რა თქვას ძმასთან ძმის დასაშორები”.

249

მანვე ბრძანა: “სჯობს ვარჩიოთ, ჩვენ უბრალოდ არა ვბოდოთ:
მართალი ვსცნათ, რაც გვიჯობდეს, გულის ზღაპრით ღმერთს არ ვსცოდოთ,
მოუნახოთ წყლურთ წამალი, ზედ სალბუნი მას შემოვდოთ,
რადგან იმას მოსვლა უთქვამს, ჩვენცა გვმართებს მოუწოდოთ.

250

“აქ მობრძანდეს, ჩვენ გაეშინჯოთ, ის მოიქცეს რასაც სახით;
თუმცა გვმოყვროს, მდაბლად ბრძანებს;თუმცა გვმტერობს— ყადაგახით;
ხილთა ტკბილთა და მწარეთა შაეტყობის გემოს ნახვით,
თუ ვერა ვსჭამ ხილს სიმკვახით, დავარბილებ, დავბეჟ ქვა-ხით”.

251

იგ რაც რჩევა მეფემ ბრძანა, დაემოწმენ მას ვეზირნი;
ერთმანეთის შესაყრელად დანამტკიცეს, შეკრეს პირნი.
მაგრამ მახედ წინაღმდგომნი, ვით ერქვანთა ხისა ძირნი,
მათ კეთილთა მოგზაურთა გამოუჩნდათ გზაზედ მზირნი.

ივ. ჩხუბის ჩამოგდება ქართველის ბატონისა
კახს ბატონთან

252

ვახტანგს კონსტანტილეს წიგნი მოეწონა, რა გაშინჯა;
ბრძანა: კარგად გაუსაზღვრავს, თუ კი აღარ გარდაბიჯა.
მან მას კაცი გაუგზავნა,- მობრძანდიო- დაპატიჯა.
ეს იესეს მეფის გულსა, ვით ღახვარი, ხვდა, დაღრიჯა.

253

იესემ თქვა გულსა შინა: “ჩემი ძმა არს ჩემი მტერი!
პატიმრობით დამაბერა, დამითეთრა თმა და წვერი;
აგრე როგორ დავბრძავდები, შევიქმნები გიჟი-სტერი,
მე ივ ორნი შევათვისო, მე კი დავრჩე ვით ოხერი”.

254

“ჩემზედ იგი რად ვაცინო, ჩემი დღენი მისგან ვსტირი!
სამ წელიწადს ბნელში დამსვა, არ მაჩვენა მზისა პირი;
ერთი იყო, ისრე მიყო, მან იხსენა ჩემზედ ძვირი,
ახლა ორად გამიკეთდეს, რაღად მინდა მე სხვა ჭირი?”

255

იხმო ბერი დოდოველი, ვით მოწაფე მოძღვრად ინდობს;
უბრძანა, თუ: ჩემო ბერო, ეს ჩემი ძმა ეშმაკ-ფლიდობს.
არას კაცსა არ კადრულობს, ამპარტავნობს და გულდიდობს:
მე ძმა ვიყავ, არ დამინდო, კახ- ბატონსა ვით დაინდობს!

256

კახეთშიაც დიდათ წყინობს იმის გაბატონებასა,
აქ თუ მოვა, ფიცხლავ მოკლავს, მოხვეჭს იმის ქონებასა.
რადგან მადლის მოღვაწე ხარ, სთმობ ამ სოფლის ცხროვრებასა,
შენ ის სიკვდილს მოარჩინე, ღმერთი მოგცემს ცხოვნებასა...

257

რადას ვაგრძელებ: გაგზავნა მან ეპიფანე ბერია,
მისწერა კახსა ბატონსა: „ჭკვა თუ არ გარდაგერია,
რომ მოხვალ, როდის დაგინდობს, მოგკლავს, ეს შენი მტერია
შენს სისხლსა ვინ-ღა მოჰკითხავს, კაცი ხარ ერთი ღერია.

258

თუ მაგას იტყვი, შენ რომ გყავს ძმა, შენი ნახევარია,
ეგ სიძე არის ამისი, ქალი ყავს, მით მოყვარია.
შენ სავარცხელი შემწედ გჩანს, და მაგას ქრისტეს ჯვარია,
ამისთვის ეგეც ამისი საწადლის მომღვევარია.

259

თუ ეგ ყვენმა შეგიტყო, წაგართმევს ბატონობასა;
შენს ძმას ხომ არას მივიცემს, მტერობს ქრისტიანობასა.
თავად თვით ბრძანებთ— „დავმდნარვართ, უფრო დავიწყებთ დნობასა”,
აწ რომ ყენი დაჰკარგო, ვინ გიზამს მის ოდნობასა!

260

მე დამიჯერე, ნუ მოხვალ, თორემ გაებმი ბადესო;
ნუ მიეცემი ნებითა შენის წახდენის მწადესო;
მე შემიტყვია მართალი, რაც ამათ მოგიმზადესო,
მკვახეს ხილსავით ქვა-ხითა დაბეჟა დაიქადესო.

261

მიმავალსა წინ დაუხვდა კონსტანტილეს იგი ბერი,
გარდახდა და თავიანი სცა, ხელში მისცა მინაწერი.
მან გაშალა, წაიკითხა, დაიქნივა თავ-კისერი,

ფიცხლავ უკან გამობრუნდა, განამუღავნა არაფერი.

262

მისთა ლაშქართა რა ნახეს უკანვე გამობრუნება,
უკვირდათ: “ნეტარ ბატონმა რაზედ იცვალა გუნება;
რად მონინდომა უწინვე, არ იყო მისი თუ ნება?
ჯერ კი თქვა, მერმე უკუ-თქვა, რასთვის იკადრა მტყუვნება?”

263

სძრახევდენ კახსა ბატონსა: საქმე ვერ მოყავს გზიანად,
უჯობდა ქართველთ ბატონსა შეყროდა თავაზიანად.
ძმა ძმისა საზიანოსა თუ არ მიიხნევს ზიანად,
ორივ მტერთაგან დაიწვის სახლ-საბძელ-კალო ბზიანად.

264

მიმავალი მიუთხრობდა ამხანაგი ამხანაგსა:
დღეის იქით ამ საქმითა ნიშანს ვერა ვხედავ კარგსა;
ორს ეძიებს, მაგრამ ერთსაც ვხედავ მისთვის დანაკარგსა.
მის დროს ნახეს, ქართველები ხელს ატანდენ უკან ბარგსა.

265

დაუცარცვეს კახ-ბატონსა ჯორ-აქლემნი კიდებულნი,
დასჭრეს ზანდუკ-მაფრაშები, ამოიღეს შიგ დებულნი;
მიეშველნენ, ველარ მისწვდნენ უკან გამოკიდებულნი,
უამი შეხვდათ უჟამური, სადამო და ბინდებულნი.

266

კახ-ბატონსა კახთ აყვედრეს: “უღლით ტოლი გამოგეშო;
ვისიც გაქვნდა შენ იმედი, მისგან დარჩი უნუგეშო,
ტახტის ნაცვლად დორ-სუზანიც ქართველთ აგაცალეს ქვეშო,
თუ ამ საქმეს ვერ გაზრდიდი, გიჯობდა, რომ არც კი გეშო”.

267

მან უბრძანათ: “რას ნიშნს მიგებთ დიდის ვალის გარდამხდელსა?
ვინავარდე, საქმე ვსჩხრიკე, ვსცან და მოველ სახადელსა,
ახლა ყველას აღვასრულებ, მაგა თქვენსა საწადელსა!
ვიქ თქვენსა და მოგაგონებთ რჩევას ჩემსა აწინდელსა!”

268

„არ მინდოდა, გამარისხეთ, შემამყარეთ გულსა ჯავრნი;
მე მზასა ვარ, თქვენ მომზადდით, შეიყარეთ ახლავ ჯარნი.
მოირტყენით საომარნი საჭურველნი, ტანთ აბჯარნი,
წავიდეთ და დაუმტვრიოთ კარნი მაგრა დანაჯარნი!”

269

“მე მინდოდა ყოფილიყო ჩვენში სიყვარული ძმური,
ჩამომეგდო რიგი-წესი, სამართალი ბატონ-ყმური.
არ ინებეთ, არ მოჰშაღეთ ერთმანეთში თქვენი შური,
ცოდვა-ბრალი თქვენს კისერთა, თუ რამ მოჰხდეს უწესური!”

იხ. კახის ბატონისაგან ბერების მოციქულად გაგზავნა
ქართველთ ბატონთან და ქართლის თხოვნა

270

პირველად ჯერ ეს მისწერა: “მე თქვენი ნახვა მსუროდა,
კიდევ წამოვალ, მოგმართე, სასწრაფოდ მამეშუროდა;
მაგრამ მომესმა, სასმელთა მასმევედი, რაც არ მწყუროდა.
ველარ გიახელ, ამაზედ ნუთუ შენ დამემდურო და?”

271

ღმართმან იცის, ვაპირებდი საქმეს კარგა მონაგვარსა;
არ მიმინდევ, სახე უცან მახეს, შენგნით მონაგვარსა;

განგერიდე, რად მომხვიე გასაცრცველად მონა გარსა?
არას გთხოვდი, თუ დამხსნოდი სიყრმით ჩემით მონაგარსა.
272

ეგე ჩემი საქონელი გამოგზავნე, არ დამხუთო.
მორიელის ნაკბენარსა, სჯობს, მომასწრა ფაზარ-ხუთო.
შენ ოთხ რიგად გული დამწვი, არამც მე კი განვახუთო,
მერმე დამგმობ, დასაწვაავად წამისვაო გაძრას უთო”.
273

მათ მოეწერა პასუხი ადვილად მოსაშორები:
ვინ დაგიცარცვათ, არ ვიცით, ლარ-კიდებულნი ჯორები;
ეგ ჩვენს კაცს არვის უქნია, გსმენიათ მრუდი ჭორები.
რაც თქვენში მგლებმან დაჭამოს, ჩვენ ვითარ გიზღოთ ღორები?
274

კახ-ბატონს ესმა რა მათგან გულს ღახვრად დასაძგერები,
კვლავ მოციქულად გაგზავნა ჩინით რჩეულნი ბერები;
მისწერა წიგნი მართალი და ფიცი დასაჯერები:
“ჩვენ ერთმანეთსა ნუ ვახდენთ, თორემ წაგვახდენს მტერები”.
275

“ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ, გაფრთხილდი, ნუ მოსტყუვდები,
გასწყერ, დასტყერ და დახივე მტყუვანთ ტყუილის გუდები;
თუ არ ღვითთ, ვერას დააკლებს მკალიას ტარბის გუნდები.
თუმცა ლომი ხარ, ვეშაპთა ვერ სძლევე, გრძელი აქვთ კუდები”.
276

“გირჩევე, ნუ აქცევე ზღუდებსა, შენს ზურგის მისაყუდებსა,
ერიდე, ნუ შლი, ნუ ფუტკნი სახით არწივთა ბუდებსა;
იყავ, ვით ტრედი, უმანკო, უფრთხილდი შენსა ხუნდებსა,
თორემ კლანჭს გიკვრენ არწივნი, ჭირნახულს გაგიცუდებსა!
277

“ნუ ჰგონებ, კაცი თვით იყოს მდიდარი განაკეთია,
ანუ ღარიბი წამხდარი, ვის ჩოხა ტანთ გასცვეთია;
ერთის ათასად გამხდელი, ბევრის მიმცემი ღმერთია,
ვისაც წაართმევს, ექნების ათასით აღარც ერთია”.
278

“კაცს მართებს დაბლაც დახედვა, რაგინდ მადლამდის აროსა,
სიამპარტავნით ხარისხსა ძირი არ განებძაროსა.
ბატონის უპატიურ ყმას არ შერჩების აროსა,
არც ღმერთი ბატონს შეარჩენს ყმაზე საუდიაროსა”.
279

“ბატონს აწყინე, გაგიწერა, აბრაღე შენსა წყენასა,
აწ ღმერთიც გიწყენს, იცოდე, არა იქ თუ მოთმენასა,
დამორჩილება უფალთა უთქვამს დავითის ენასა,
შენ თუ შენს უფალს არ უსმენ, ნურც შენს მონას ეჭვ სმენასა”.
280

“ყვენს უმტყუვნე, გაგიწერა,—აქ ზიხარ შემამწყრალია;
ქართლი წაგართვა, მე მომცა, ჩემი ხომ არა ბრაღია.
თუ არ უსმინე, ვიქნები შენებრ ურჩების მთვრაღია,
სულ მომყრაღლების ქვეყანა, თავად მტერთაგან მყრაღია!”
281

“მე თქვენა ქართლსა არ გთხოვდი, თუ ეს არ მაქენდეს რიდალო;
თუ არ უსმინე, ყვენი მე გამიწყრების დიდალო;
შენ ხომ, ეგ არის, გიწყრება, არც ჩემზედ იყოს მშვიდალო.

რა ერთსაც ჩვენ მას მიუწყავთ, ის ჩვენ მოგვიწყავს "შვიდადო".

282

"ხელმწიფე ღალატს მოსძებნის, ღმერთი არ დასთმობს გმობასა,
თუ გინდა, წიგნში გაჩვენებ, რაც მითქვამს, მის მოწმობასა:
იუდა ქრისტეს მონებდა, ჩემობდა კაის ყმობასა,
სიხარბით ცეცხლში ჩავარდა, მიხვდა სატანას ძმობასა".

283

"იუდამ ქრისტე გაყიდა, ვერცხლი აიღო ფასადო;
კვლავ შეინანა, დაფანტა, დანაშაული თავს ადო:
"აწ სისხლი მიგეც მართალი, ახლა წავიდე, თქვა სადო?"
წავიდა, თავი დაირჩო, ეს მოუვიდა ნასადო.

284

"იტყვიან, სარწმუნოვებით პეტრეს იუდა სჯობდაო,
თუ თავი მას არ დაერჩო, სხვას ღმერთი შეუნდობდაო,
ამად რომ,– "სისხლი მართალი მივეცო", მაღლა ხმობდაო.
პეტრეს ჰკითხვედნ ქრისტესა, "ვერ ვიცნობ", ფიცით გმობდაო.

285

"აწ თქვენის სჯულის ამბავი თქვენ უმჯობესად იცითა,
მსმენია, ქრისტე შესულა ელუსარემში კვიციითა;
მუნ პეტრეს უვარს უყვია,– ვერ ვიცნობ,– უთქვამს ფიცითა,
მერმე კი შეუნანია, აწ მკვიდრობს კლდე სიმტკიცითა".

286

"ვინც შეინანებს, შეუნდობს უფალი თავის ცოდვასა;
წადი და მასვე ევედრე, დაეხსენ ცუდსა ბორგვასა!
ნებით სჯობს გაცლა მძლავრთაგან ქვა-კრებით გამოლოდვასა.
ვერა გონევი, თუ ტახტს არ დასცლით, მივხვდებით ჭრა და კოდვასა".

287

"მე მოგახსენებ მართალსა, ტყუილად არა ვსჩმახაო;
გული მტკივა და შეგკადრებ, ამაზე ნუ დამძრახაო:
გაქვს ნართი ავად დასთული მრუდის ტარებით მძახაო,
თუ ისევ შენ არ დასცერავ, სარგებელს ვერას ნახაო".

288

"იტყვიან ერთსა ანდაზას: ნემს-მახათს ნუ სცემ მდიჯებსა,
შეგერჭმის, ხელთა დანახევ, წავიხდენ მკლავთა ჭიღვებსა!
ნუ ეშუღლები ყვენსა, თორემ მოგიშლის ჯიღვებსა;
რუსეთისაკე გაგზავნის, იმოკლებ გრძელთა ბიღვებსა!"

289

"მირჩევია ჭეშმარიტი: შენი საქმე დანაშურე,
თავსა ცოდვით შებღალულსა წმინდა წყალი შენ ასხურე!
ვის უვარ-ჰყავ სამსახური, წადი, მასვე ემსახურე;
ვინც მოგხადა თარჯ-თომარი, იმისგანვე დაიხურე!"

290

"ნუ მრუდ-მრიცხლობ, სწორედ გაქვნიდეს შენ ეგ შენი ანგარიში,
ავს ნუ იქ და ავისაგან, თქმულა, ნუღა-რა გაქვს შიში;
თავს თავითგან გაუფრთხილდი, არცად უკუ-აგდო ჭირში,
თორემ ბოლოს არას გარგებს სიმწუხარით კვნესა-ვიში".

იწ. კახის ბატონის მოციქულების დაჭერა
ქართველის ბატონისაგან

მიუხაროდან დიაკვნებს საქართლოდ გაჩაფრულებსა:
„გაწირვინებენ ქართველნი, ვიშოვნით მრავალს ფრულებსა;
საქონლით სავსეს მოვასხამთ ჯორ-აქლემთ დაყათრულებსა!“
ეს არ ეგონათ, საკანში ჩაყრიდენ ხელ-შეკრულებსა!

292

ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს ნურითა,
მეორემ – თევზით გავძლები ზურგიელ-გელაქნურითა,
მესამემ – მივიბრუეები ღვინითა ატენურითა,
მეოთხემ – კიდევ დაგვთოკენ საბლითა მაზმანურითა!

293

ვით მდინარე ღვარ-შერთული ზვირთს ისვრიდეს, სჩქერდეს დიდად,
მას ქვეითამ ვერ შებედოს, გადოს რამე მაზე ხიდად;
გატყდეს ხიდი, ზედ მავალნი გახდეს ხავსთა მოსაჭიდად,
ეგრეთ ბერებს მიუვიდათ, რაც მოგითხარ, მაგალითად.

294

მეფე დახვდათ ჯავრიანად, შესაზარი შესახედლად,
მისგან ბერებს გაუძნელდათ პირად სიტყვა შესაბედლად;
გამოიდეს წიგნი წინა, მიიმძღვარეს საფარ-კედლად,
მიართვეს და ზოზღნად რასმე სიტყვას მოყვნენ ერთობ დედლად.

295

მეფე წიგნის კითხვას მოყვა, ბერებს აღარ უგდო ყური,
წაიკითხა, რაღაც ნახა სიტყვა ყიფურ-ამაყური;
პირსა ოფლი მოედინა, თავს დაადგა სიცხის ბური.
თივა ცეცხლს ხვდა, ქარმან ჰქროლა, აღმან შექნა აწ გურგური!

296

გახდა ვითა ნაკვერცხალი, მეტის წყენით ექცა ფერი.
ბერებს უთხრა: „რად მოგქონდათ თქვენ ასეთი დანაწერი:
რისთვის იმას არ ურჩივეთ, ზედ თუ გესხათ უღვაშ-წვერი;
თუ არა და წყალს არ სცვივდით, თუმცა გაღონებდათ მწერი!“

297

„რად არა ხართ მონასტერში, არ ილოცავთ, ღმერთს არ ესავთ?
გამოსულხართ და დასდიხართ, ენობთ და ჩხუბსა სთესავთ;
ჩვენთა ხრმალთა გამახულთა მაგით უფრო თქვენ აღლესავთ,
ღმერთი როგორ დაიდუმებს, არა გკითხავსთ მაგდენს თქვენს ავთ!“

298

გაწყრა, ბრძანა: „ჰხედავთ ბუში სიტყვებს მკადრებს როგორ მქისებს!
არ ვიცი, თუ რით მაშინებს, რა ხაზინა უძეს ქისებს!
მე, ვით ორბსა, მღევს კირკიტა, დამტრიალებს, დამკისკისებს.
ჩემგან იგი რას წაიღებს, მე მოვიტან თუ არ მისებს!“

299

უბრძანა თავის მოყმეთა: „მე ცეცხლსა ეს მიკიდებსა;
თვით გიჟი ჭკუვას მასწავლის, უსჯულო მე სჯულს მიდებსა;
უყურეთ ცალ-გვერდ ჭიანსა, რა სიტყვებს ისვრის დიდებსა!
აწ ხელი ჰკიდეთ ციქვებსა, მაგ მატყუარა ფლიდებსა!“

300

„დაიჭირეთ და წაასხით, ჩაყარეთ ღრმასა ხაროსა;
თავს დააყენეთ დარაჯა, არავინ გამოთხაროსა.
მომზადენ ჩემი სპასპეტნი, ლაშქარი შეიყაროსა,
წავიდეს, მოსპოს კახეთი, მტრის ჯავრი ამამყაროსა!“

301

აწ გ[ა]უმჯღაენდათ რჩევანი, რაც ქართველთ ივეზირესო;
მოხსენდა კახსა ბატონსა, ბერები დაიჭირესო.
მათ თქვენი მიწერილობა დიად შორს დაიჭირესო.
ემზადებიან სალაშქროდ, ნაღარა დანაყვირესო.

302

კახ-ბატონსა წინა დღითვე მზასა ყვანდა თვისი ჯარი;
იგ რა ესმა, წამოვიდა, დაიჭირა ავლაბარი;
ნარიყალა მიმბაშს ეყურა, შაის-ტახტი, ციხის კარი,
რა მივიდა, ფიცხლავ მოსცა, გაიკეთა მუნ-საფარი.

303

შემოებნენ, დაამარცხეს, მან მიმართა მუხრან-ჭარსა;
უთხრა: ქართველთ გამაწილეს, არც მე შეგჭამ იმათ ჯავრსა:
შეიპირა ჭარელები, სასყიდელი მისცა ჯარსა,
წაუძღვა და ხელმეორედ მიაყენა ჯარი კარსა.

304

ქართლს, კახეთსა გარდებდა მაშინ ღვთისა საფარველნი,
ოდეს გარსა შემოადგნენ თიფლის კახნი და ჭარელნი!
გაუთენდათ სომეხებსა დღე შაბათი საზარელნი,
ზოგი მოკლეს, ზოგი დასჭრეს, ზოგს წაგვარეს საყვარელნი!

305

სალხინოს დღეს მოქალაქე დიად ავად შეაქცივეს,
წამოუხვნეს საქონელნი, სახლ-დუქნები დააქცივეს,
დანამარცხეს ქართველთ ჯარი, ვახტანგ მეფე გააქცივეს.
თეთრსა მტკვარსა წითლად დებდა, რაც მათ სისხლი დააქცივეს!

ით. ოსმალოსაგან ქართლის დაჭერა და
ქართველის ბატონის რუსეთს წაბძანება

306

კახთ ნაჩინხლთ წინწკალთ დაერთო ქართველთა ქარი აღზედა;
რა იგი ორნი შეშულდნენ, ვით ქორნი გარიალზედა,
გამოედვიდა არწივსა ჩხუბსა და მათს ყრიალზედა,
გარიელს კლანჭი მან უკრა, სხდენ ორნივ ცარიალზედა.

307

სჯობდა იდუმალ ენუკათ ქორთ თვისი სანუკარია,
წილად ერთს მხარი ეწიწკნა, მეორეს საწიწკარია:
სრულ არ მიეცათ მტრისათვის თავიანთ საკენკარია.
თუ ამას ავად ვამბობდე, პაღური ამომკარია.

308

ვახტანგს ძიმწარის უმწარე ეტკბილა ვითა შაქარი.
ძილ-გაკრთობილმან საზღაპროდ მძინარე შეძრა ხვანთქარი,
აღასაშენებლად სრა-ვანთა გაგზავნა ორი სარქარი,
წინ მოუძღვარა ხუროთა იესე-ძმა, ძე-ბაქარი.

309

მოტყუედენ ხუროთმოძღვარნი, იხმარეს ავნი ხურონი:
ძველთაგან მკვიდრად ნაშენნი, საქართლო-საკახურონი
მოშალეს, ველარ იშენეს სრა-ვანი საკვეხურონი.
ყმა და მამული მტრებს მისცეს, თვით დარჩნენ უმსახურონი.

310

... მეტად უზომოდ გაჯავრდენ, ვერ გასძლეს გულის ჯავრნია;
ანქარდნენ, ველარ გასინჯეს მათ საქმე საშინჯარნია,
მტერთ ნებით კარნი განუღეს მაგროვნად დანაჯარნია,
კახთ იხმეს ლეკნი საშველად, ქართველთ – ოსმალოს ჯარნია!

311

ოდეს სცნა კახმა ბატონმა, ლაშქარი სარასკარისა
საქართველოსა მოადგა, ვით გოლსა ბრბო ფუტკარისა;
წინაღმდეგობა არ ეძლო, ქმნა მათის სანუკვარისა,
წინ მიეგება, მიაართვა კლიტენი ციხის კარისა.

312

ოსმალო თიფლის შევიდა, კარები დახვდათ ღია რა,
იესე მეფე მათ შერჩა, მათს მოძღვარს მან აღიარა;
ვახტანგ რუსეთსა წაბძანდა, რაჭაზედ გარდაიარა.
სხვას იმის ამბავს კვლავ გეტყვი, ჯერ არა გამიგია რა.

313

კახმა ბატონმა მიმართა ფშავ-ხევსურეთის კიდესა,
კახთა ცოლ-შვილით თვალიესა მძლივ ფეხი მოიკიდესა:
რაც ხანი იყვნენ, სარჩოსა ვერც სთესდეს, ვერცა მკიდესა;
რაც აქვნდათ თვისი საუნჯე, სულ პურ-ღვინოზე ყიდესა.

314

შეწუხდენ კახნი-ქართველნი, მიადგათ რა ეს ჭირები.
შეინთქვნენ, შექნეს ფიცებით, ერთმანერთს მისცეს პირები,
არჩივეს: „გორის ციხესა გამოუთხაროთ ძირები“.
კახმა ბატონმა მომართა დაბდაბნი და საყვირები.

315

იესეს მეფეს მოხსენდა, გორს ადგას ქართველთ ჯარები.
მან შეიყარა ოსმალო, იქმნა თიფლისით მარები.
მოხვდენ ერთმანერთს, დაიქცა რაც მაშინ სისხლის ღვარები,
აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს, თუმცა სდებოდა ღარები!

316

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიხდა მწკალტევით,
არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით;
მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით,

მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნაღლატევი.

317

ვაი იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ.
საცა შეხედისთ მუშა-კაცი, გლახა მწირსა თავსა სჭრიდენ;
გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ,
ტანთ მარხველი არა ყვანდა, მელა-ტურა გამოხვრიდენ!

კ. დავით გურამისშვილის ლექთაგან დატყოება

318

ვაი იმ დღისა დამსწრებსა! აწ სათქმელადაც ძნელია,
კაცთაგან თვისი აუგი საზარლად საუბნელია!
ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია ბნელია,
ხელში ნაჭერი კეთილი შეგვექნა საძებნელია.

319

ქართველთ მაღლს ცოდვამ დასძლია, რა აღმწონელმან აწონა;
წუნებულ იქმნენ ღვაწლითა, თავი ველარვინ აწონა;
მის გამო მტერთა მათხედა დანაცემინა აწონა,
აღარ სცა მტვერი მარილი, არც ლუკმა პური აწონა.

320

წაღმა მბრუნავმა დრო-ჟამმა უკუღმა შექნა ტრიალი,
ფრთა მოჰკრა ქართლსა, კახეთსა, შეაქნევიანა ხრტიალი:
მამლები ტურამ დაჭამა, დედლები დარჩა ტიალი,
მიღვა ყოვი და ყორანი დანაწყებინა წკრტიალი.

321

მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა!
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მოურჩა წამლადა;
დადედლებულნი შიშითგან აღარ ვარგოდენ მამლადა,
აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადა.

322

კახს-ბატონს კონსტანტილესა საქმე მოუხდა ყალათი,
ტანთ ხვანთქრის ქურქი ჩაიცვა, დასთმო ყვენის ხალათი;
მტერს დამორჩილდა ნებითა, ველარა ქნა რა ძალათი,
მიენდო, თავის თავზედა ახმარებინა ჯალათი.

323

რაც მოგახსენე, მოგგვარა ჩვენ ერთმანერთის ბრძოლამა!
ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლექთა მოლამა;
მით ჩვენმა სისხლმან ნადვარმან ხვენები სულ ამოლამა.
სუნით მოიცვა მთა-ბარი ჩვენის მკვდრის მძორთა ყროლამა!

324

მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე გორისუბანსა;
ჯვარობას ჩვენი ქალ-რძალნი იცვამდენ არ ავს ჯუბანსა;
მუნით გამტყორცნა საწუთრომ, გარდამაცილვა ყუბანსა,
ვაი, რა კარგა მოვსთქვემდი, მეტყოდეს ვინმე თუ ბანსა!

325

მო, ყური მიგდე, მოგიტხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა.
ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრობდი სხვის ქვეყანასა,
სადაც უხმობენ სახელად, ქსნის ხეგზე, ლამისყანასა,
მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას უპირებლით ყანასა.

326

დილაზე ავდექ, წინაწინ წაველ კაციოთა ორითა,
ვსთქვი, მუშას სადილს უმზადებთ ძროხით, ცხვრითა და ღორითა;
არ შეყრილიყო ჯერ მუშა, იყვნენ მოსასვლელ შორითა,
ჩვენ თურმე გენახეს, მოგვამართეს ლეკოთა ირტოზის გორითა.

327

მუნ ახლოს წყარო დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპ[ა]რნენ, დაგვისხდ[ე]ნ თხუთმეტი კაცი მზირადო;
ავისხენ თოფი და ხმალი, მივეყუდე მუხის ძირადო;
იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჭირადო.

328

შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიღვეს გენია,
გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია;
მუდამად თვალთა ნაკადი მღუღარე ცრემლი მდენია,
მაჭამეს ღუმა და ხალი, მახვრიტეს ხინკლის წვენია.

329

მე ღუმის ჭამას არ ვჩივი, ნეტავი მაძლირე მქონოდა;
არ ვინაღვლიდი, ცხიმითა რომ ტუჩი გარდამქონოდა;
მე ეს მიმძიმდა, მხარ-შეკვრით მოვეყვანდი ოსოქოლოდა.
ვაი, რად დარჩი ცოცხალი, შენ, თაო, ჩასაქოლადა!

330

მამიყვანეს, არა-ღირსთა ღირსეულად მიმსახურეს.
არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს.
უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდლად დამაშურეს.
გავეპარე, დამიჭირეს, რად წახველო, დამპალურეს.

331

მარტო ვიყავ, არვინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი,
არცა მაქნდა საიმედოდ საჭურველი სამხედრონი;
ღმერთს მივენდე, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი,
ხელმეორედ გავიპარე, რაკი ჰვპოე ჟამი, დრონი.

კა. ოდეს დატყობულმან ურჯულოს ქვეყანას
საყვარლის სახე და სურათი ველარ ნახა, იმისი
მოთქმა დაგითისაგან

332

სახით სიტყვა-შვენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო,
ვეძებე და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო;
გვაჯები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო,
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო!

333

ვამე ჩემო საესავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო,
გავეყარე შენს სახესა, ვა, თუ ველარ შავეყარო!
აწ შენვე გთხოვ, შენ შემყარო, ვინც გარდასთენ ცა-სამყარო,
მასაც გვედრებ, ვინც გამყარა, მისი ჯავრიც ამამყარო!

334

საყვარელო, სახით თქმულო, უსასყიდლო მარგალიტო!
ვის გადარო, ჩემთვის მკვდარო, მზევე, მზეთა-მზის მაგალიტო!
გვედრები შემობრალო, თავს მომჭრიან მანგალიტო,
ოდეს სული ამომგლიჯონ, შენკე მისწი მანგანიტო!

335

მტანჯვენ, სომეო: აწ ვით დაგთმო, ვით უმანკოვ ტრედო, გვრიტო?
შენ, შარბათი, ვით დაგღვარო და ძიმწარის წვენი ვხვრიტო;
ბნელსა ვზივარ, გეაჯები სასინათლო ამიხვრიტო,
ამოვსძვრე და გამოვიქცე, მოვიდე და შენა გჭვრიტო.

336

შენ იესო, წყემსო ჩვენო, ჩვენთვის სისხლის დამანთხეო!
ვით ცხოვარი ვარ წყმენდილი, ნუ დამკარგავ, მომნახეო;
ჩემხედ მხეცთა უხილაგთა ნუ მოუშვებ შერისხეო,
მარცხნივ თიკანთ განმარიდე, მარჯვნივ კრავთან შემრაცხეო!

337

სამკურნალოს ცვარ-ცხებულო, სნეულთ წყლურების შემხვეო!
სნეულება განმიკურნე, მო, საღბუნი მომაცხეო;
გამაგონე ხმა საყვირთა, ამოიდე ხმა მჭახეო,
ვით ლაზარეს დამარხულსა „აღდექ“ – თავსა დამძახეო!

338

ჩვენ ცხოვართა, წყემსის კვერთხო, ძელო ცხოვრებისა ხეო,
შენხედ ბმულით შეიმუსვრის ჩემი წარწყმენდის მახეო;
შენს ჩრდილთ ქვეშ დავჯდომილვარ, ჩემო სამოთხის დამრხეო,
განმაშორე მავნეთაგან, აესა ნურას შემამთხვეო!

კბ. ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა და მზე
ღრუბლის გამო თვალთ არა ჩნდა, იმაზე თქმული

339

მსურის ქება და დიდება ნათლისა წარუალისა,
მზეთა-მზის ვახში თავს მაძეს, მმართვეს გარდახდა ვალისა,
ჭირს საცნაურის მზისაცა სწორედ გამართვა თვალისა,
არამ-თუ უცნაურისა ცნობა გზისა და კვალისა.

340

სჯობს ვეტრფიალო მზეთა-მზეს, მზისათვინ თავი ვახელო,
ნათლისა გავხდე მიჯნური, რადგან თვალებსა ვახელო,
მის უკეთესი მოყვარე სად ვპოვო, სადა ვახელო?
მზე მიწყენს, თუ მზის სანაცვლოდ თინათინს ხელი ვახელო.

341

ვაი, თუ ქვეყნის გამსტრობად ვითა ძე დანი სად არი,
მზეს ღრუბლის გამო ვერ ვხედავ, აწ ბურმან დანისა დარი;
გულს მიკოდს სევდის ლახვარი აღმასის დანი(ს) სადარი,
დედ-მამა, ძმანი ღაგკარგე, არ ვიცი დანი სად არი.

342

ზურგთ მიძმე ტვირთი მკიდია ცოდვისა, არ სუბუქია;
გზა-შეცდომილი ვრონინებ, მაზრობს ქარი და ბუქია;
მასხია ცივი ნაბადი, არა მაქვს თბილი ქურქია.
სჯობს ვეტრფიალო მზეთა-მზეს, მომფინოს მზისა შუქია.

343

მზევ, მზისა მამხევებელო, მე შენსას ვერას ვზარობა,
მიუწოთმელო ნათელო, სად პირად მთვარობ, სად მზობა,
შენის ვერ ხილვის სევდითა სულსა რასთვისა მაძრობა?
მზევ, მომეშველე, განმათბე, სიცივით ნუ დამაძრობა.

344

ცად მომფენელი ნათლისა, რათ მეღანდები ბნელადა!
ჩემ თვალთა ჩინის მპოვნელი შემქმნიხარ საძებნელადა,
ცეცხლ-განმვლეველად მცხინვარებ, ცვარსა აკურებ ნელადა,
ცვართ გაამკურნე, ვერ ჩავხე ბითეზდას საბანელადა.

345

მზეთა-მზევ, მზემან მომნახოს, მითხრას მშვიდობა, სალამი,
თავს საფარველად მომმადლოს თავის აღდგომის ალამი;
რომ მოვკვდე, ჩამდვან საფლაავად, მაყარონ მე მიწა ლამი,
მიგრილოს, ცეცხლით არ დამწოს, ვით ჩალა ხმელი, წალამი.

346

განთიადისა ვარსკვლავო, მის მზეთა-მზისა მთიებო,
ვიკარგვი ბნელის ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო!
განმიაღვილე გზა და სვლა, მეტად ნუ განმიძნელებო,
თინათინითაც განმათბე, ყინვით ნუ განმაცივებო!

347

ვაიმე! მე ვინ მაღირსებს მის მზის ყუდროში დასმასა,
მის ნათლით შევებას, სიხარულს, ართუ ჭამასა და სმასა,
მე ყინვით დამძრალს გულზედა სათბუნლად ხელის დასმასა?
რომელიც ქალი მაღირსებს, ძმას ვანაცვალე, დას მასა.

348

მზეო, ყოველთა მნათობთა შენ სჯობხარ მანათობელად,
თუმცა ვერ გხედამ თვალითა, ხარ ძნელი დასათმობელად;
მე ყინვისაგან დამძრალი გენუკვი დასათმობელად;
გემუდარები, ნუ გამხდი ცეცხლზედა დასართობელად.

349

ისმინე ლექსთა მკითხველო, სიტყვა აგისხნა წინადა:
ძეს ღმერთს კაცებით მზედ ვსახავ, სახით მზეს თინათინადა;
ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზედ მამას ვსახ თქმად სასმინადა.

მე მზესა ვეძებ, თინათინ ყოველ-დღივ შუქს თვალის ჩინადა.

350

სახით იგავად სათქმელად მამა მზეთა-მზედ ითქოსა,
ძე ღვთისა მხოლოდ-შობილი მზე სიმართლისა იქოსა;
მისთვის საწუთროს მნათობმან მზემ თინათინი ირქოსა.
ეს წიგნი წმინდად სახმარი არავინ გამიჩირქოსა!

351

საწუთროს მზის ტრფიალობა მისთან არ განიხსენება,
ძისა მოგითხარ მზეობა, შენ მზისა ნუ გეჩემება:
ვინ საწუთროსა მზესთანა მიჩნს თინათინის შვენება,
გვრეთვე ძესთან საწუთრო მზე მიჩანს და მის თენება.

352

რაგინდ მე ასრე გავგიუდე, თავი ვახალო ტინზედა,
მხეცნი, ფრინველნი ვასერო ჩემსა ხორცსა და ტვინზედა!
იგ მარგალიტი თაღლითზე, ოქრო გავცვალო სინზედა,
გგონებ არც მაშინ გავცვალო იგი მზე თინათინზედა.

352

საწუთროს მზის თინათინი მოგითხრა რაცა ფერია;
სარკის მზის შუქით ციალსა უწოდენ ქართველთ ერია,
ვერას ხორციელს სულდგმულსა ბჭალში ვერ დაუჭერია,
ძე თინათინი მინათობს სახლთ კედელ-ყურე, ჭერია.

კგ. მზეთა-მზის ვედრება დავითისაგან, მზის თხოვნა
დასათობლად ტირილითა
თუ სიმღერის ხმითა
(ამის ხმას ეწოდების რუსულად მასონ)

354

მზევ! სიშორითა შენითა
ვსტირ გულზე კვნესით, ქშენითა;
ყინვა მკლავს და მარჩობს ბუქი;
განმათბე, მომფინე შუქი!“

355

მზეთა-მზეო, ამაღ ვსტირი,
სადღაც დაგიფარავს პირი.
საქებრად ხარ სასაღუქი,
განმათბე, მომფინე შუქი!

356

მზევ, ნუ გახდი კარგს დარს ავდრად,
ნუ ჩამაგდებ ყინვით ლადრად:
დამფუფქავს ლადართა თუთქი,
განმათბე, მომფინე შუქი!

357

მზევ, შენ ხარ კარგი ნარუქი!
ბრძენთაგანა ხარ არ უქი,
ზეგარდმო ნიჭი ნაჩუქი;

განმათბე, მომფინე შუქი!

358

მზევე, მახარე შენსა მოსვლით,
ახლით მმოსე შესამოსლით;
არ მათბობს მე ძველი ქურქი,
განმათბე, მომფინე შუქი!

359

მზევე, მომხედე პირის ბრწყინვით,
ნუ დამაძრობ ცივის ცინვით.
სხივთ სითბოს გიქებს ბარუქი,
განმათბე, მომფინე შუქი!

360

მზევე, საცნობლად შენსა მჭვრეტსა
თა(ვ)ბრუს ასხამ, შეაქ რეტსა.
გიმართავს ვერ მართლა თვალსა,
ვერ სცნობს შენსა გზასა და კვალსა!

361

რაზომც ენამუსიკობდეს,
ბრძნად გაქებდეს და გამკობდეს,
გარდინდის ვერ ახად ვალსა,
ვერ სცნობს შენს გზასა და კვალსა!

362

მზედა გსახავს მზის დამსახველს,
მით შეგიმკობს სახით სახელს;
ფერს შენი საცა დავალსა,
ვერ სცნობს შენს გზასა და კვალსა!

363

ვის უყვარხარ, მიაჩნხარ,
თუმც არ იცის, სადაც ზიხარ,
შენთვის სწავს ხორცსა და ძვალსა,
ის სცნობს შენს გზასა და კვალსა!

364

ზე ანათობ ცა-სამყაროს,
ქვე ხმელეთსა, ზღვასა, წყაროს;
გიღრუბლავს ჩემ თვალთა ბნელად,
შემქნისარ ჭკვით საძებნელად!

365

მე ეს საქმე დიდათ მიკვირს;
შენ მე მწყალობ, სად წვით მიჭირს;
ქარსა გრილს მიქროლებ ნელად,
შემქნისარ ჭკვით საძებნელად!

366

შენ შემქენ და შენ დამბადე,

თვალთა დამაფარე ბადე,
საჭკრეტლად შემექენ ძნელად,
შემქნიხარ ჭკვით საძებნელად!

367

თუმცა ვხედავ, დავალ ბეცად,
ჭკუვით გსაზრავ ქვეყნით ზეცად,
მეგულვი შენ ჩემად მხსნელად,
შემქნიხარ ჭკვით საძებნელად!

368

გეაჯები, მზეო, ღირს მყო.
ეს წყალობა შენ მე მიყო.
მიხილე მე ბრმასა თვალი,
მაცნობე სვლად გზა და კვალი!

კდ. მზეთა-მზის შესხმა და ჭეშმარიტის გზის
თხოვნა დავითისაგან

369

დიდება შენდა, დიდება, სახით მზეთა-მზეო,
მიუწლომელო ნათელო, გრძელო, ძველო დღეო,
უფალო უფლებათაო, მეფეთ მეუფეო!
უბერებელო, უკვდაო, მყოფო, შეურყეო, –
შენ გაქებ და გეაჯები დაკარგული ტყვეო,
მომხსენე მონა შენი, ნუ დამივიწყეო!
ვით მე გთხოვე, ჭეშმარიტი შენ გზა მაუწყეო!

კე. სვინიდისის მხილება დავითისა, ოდეს
დატყობულმან გამოპარვა გაივლო გულშია

370

გულმან მითხრა: ადეო! რაღათ მაიცადეო?
თუ არა იქ, ვით იქნას, რაც რომ დაიქადეო?
ჯერ რაც უფალო ყალანი გედვას, გარდინადეო;
სთხოე, ძალა მან მოგცეს, ვისგანც დაიბადეო,
კვლავ წადი და განხეთქე მტერთ მახე და ბადეო;
მას კაცს, ღვთისა საყვარელს, მიჰყევე, თავი ანდეო,
ვისაც დავით ხადოდეს, უფლად შენ მას ხადეო!

371

აადეო, ადეო! გულით მაიწადეო!
შორს ახლიხარ საყვარელს, ახლოს განემზადეო:
სახე მისი, სურათი თვალწინ მაილანდეო,
მის წინ ასე სტიროდე, იქ მას შეებრადდეო!
თუ გწადს, შენსა საყვარელს გულით შეუყვარდეო,
შენთვის ლახვრით დაჭრილსა სისხლსა ცრემლით ბანდეო:
ეგ რაც დავით გასწავლა, ზედ წამალი ადეო!

372

განავდეო, დადეო, ნუ სულ აგსა გაზდეო;

დამორჩილდი უფალსა, ხადე, უღაღადეო;
სული, გული მუსვრილი ღვთის წინაშე დადეო!
საყვარელი გიყვარდეს, სხვას ნურავის დაზდეო,
მის გაყრასა, ნუ იტყვი, რაგინდ თავს აწამდეო,
თორემ დიად გიძულეებს, შენ რომ სხვასა ყვანდეო,
დავითისა მცნებაზე დადექ, არ გარდახდეო!

373

აჰხადეო ბადეო, თვალთა მიეც ანდეო,
სცან ამ ლექსთა იგავი, თარგმნე, თუ გიყვარდეო!
ქრთილის პურის ქერქშია შიგ თათუხი ჩავდეო!
ქერქი გაფრცვენ, განავდე, შიგნით გულს-კი სჭამდეო.
მე ეს ხიდი საველელად დიად სწორეთ გავდეო,
შენ თუ მრუდად გაივლი, მე რა წყალში ვ(ვ)არდეო!
დავით სწორეთ მოგიტხრობს, თუ შენ შეიგვანდეო.

შენ თუ მრუდედ გაივლი, მე რა წყალში ვ(ვ)არდეო!
დავით სწორეთ მოგიტხრობს, თუ შენ შეიგვანდეო.
დავით სწორეთ მოგიტხრობს, თუ შენ შეიგვანდეო.

კვ. სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს
წასვლაზე მზად ყოფნისა

374

სავარგონია, მგონია, ეს სიტყვა გასაგონია;
ბად-წაღკოტისა მოქმედთა ვარდი დათესონ, რგონ ია.
თუ სნეულებას უფრთხოდე, ჭამე, სვი, შესარგონია;
თავს გაუფრთხილდი, არ უყო საქმენი ურიგონია;
დალივე საბრძნო წამალი, დაღვარე საშმაგონია;

ღვთად ნუ გრწ(ა)მს გამობერილი დასია, ბილ, დაგონია;
ის გრწამდეს, ვინც რომ დაგბადა, მოგცა ჭკუვა და გონია,
მას სთხოვე, ყველა მან მოგცეს, არს შენი რაც სარგონია!
შორს წამსვლელი ხარ, მზად გაქვდეს ნუზლი და საბარგონია,
დავითის მცნება ისმინე, განაგე გასაგონია!

375

ეს არ ჭორია, სწორია, რაც სიტყვა გითხარ ორია.
ქვად არა-წმინდათ (მ)ცონარი თქმულა კამბეჩის სკორია;
უქმად ბევრისა მჭამელი გაუმაძღარი ღორია;
ყურ-მძიმე, ლაფში დააფლული, ზანტი, უღონო ჯორია,
თუ ჩაწვა, ძნელად ადგების, თავშიც რომ სცემო ტორია.

ვერ მქნელი, დიდთა მეტყველი ენითა, ვით რიტორია,
დაეზარების წასვლასა, რაგინდ არ იყოს შორია.
ძალ-მოკლებულ არს მცონარი, ვითა მდინარე მღორია:
მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორია.
მხნე იყავნ და განძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია!

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორია,
მხნე იყავ და განძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია!
მხნე იყავ და განძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია!

კზ. ლოცვა, ოდეს დავითს ტყვეობასა შინა მოშივედა და
ღმერთს პური სთხოვა

(იაშბიკო)

376

მამაო, ყოვლის მპყრობელო, ღმერთო მოწყალეო!
ჩვენო გამაკაცებელო, შემქმნელ-დამბადეო!
რომელი ხარ ცათა შინა არსის საყდარზეო,
წმინდა არსი მაგალობე, შენი ეო-მეო.

377

იყავნ ჩემზედ მოწყალებით, შენ დამიფარეო;
სახელისა შენისათვის აწ მამეხმარეო;
შენი უხვი მოწყალება შორს ნუ წამგვარეო,
მოვედინ მოწყალებითა, ისევ შემყარეო!

378

სუფევა წარმოავლინე, მადლი მომფინეო;
შენი განჩენილი ვარ და შენ დამარჩინეო!
იყავნ ნება შენი ჩემზე, ჩემო მეუფეო,
ვითარცა პირველ მამათა შენ უწყალობეო.

379

ცათა შინა ისრაელთა საზღო უწვიმეო,
ეგრეცა ნათლის სვეტითა დამე ავლინეო,
ქვეყანასა ვარ უცხოსა დაკარგული ტყვეო,
ზედა მთასა ავართასა, აწ მამეშველეო.

380

პური არა მაქვს, მიბოძე, მშიან, მაჭამეო!
ჩვენი შენგნით მოცემული, რად დამიმალეო?
არსობისა პურს გამყარე, შამბი მაძოე!
მომეც, გვედრებ, შენი ვალი გარდაიხადეო!

381

ჩვენ გცოდეთ და შენ შეგვინდე სულგრძელ-მოწყალეო,
დღეს სადილად არა მაქვს-რა, გამომიჩინეო;
დავიკრიფე ყოვისფხილა და ისი ვსჭამეო!
მომიტევენ შეცოდება, თუ რამ შეგცოდეო.

382

ჩვენთანა შენი წყალობა ნუ განაქარვეო,
ნადებნი ძველნი სახმილნი ნუ განგვიხლეო,
ჩვენნი მსხვერპლი კაენისა ნუ მიაშგავსეო.
ვითარცა აბელ მართლისა შენ შეიწირეო.

383

ჩვენ მიუტევეთ თუ ძმათა, შენც მოგვიტევეო!
თანამდებთა გარდავიხდით, მივცემთ რაცა გვძეო,
მათ ჩვენთა აღნადგინებთა სხვათა ნუ აძლეო.

დამბადებელი მიბოძე, ეს რაც ვითხოვეო.

384

ნუ შემიყვანებ ღრმა ზღვათა, რომ არ დავინთქეო,
ჩვენ შენად სადიდებულად მთლად განგვარინეო,
განსაცდელსა მოგვარიდე, კარგო მენავეო,
არამედ მიხსენ, ვით მოსეს შუა განუპეო!

385

ჩვენო მოწყალეე! ეს ძღვენი გიძღვენ დავით მეო,
ბოროტისაგან დამიხსენ ყოველად ავით მეო!

კწ. სამების ვედრება: გზის წარმართვის
თხოვნა დავითისაგან

(იამბიკო)

386

რამეთუ გცოდე, უფალო, ვითხოვ შემინდეო!
შენი ვარ მონა, წყალობა შენ მე დამმართეო.
არსადა მყავს მისამართი, მე შენ მოგმართეო,
სუფევა შენი მშვიდობით გამოავლინეო.

387

ძალი და ღონე მიბოძე, მტერთა ვეყო მრეო.
დიდება შენდა ნათელო, ერთო, სამ-სახეო!
მამისა აბრამისასა სტუმრად მსხდომარეო,
დაბერებულთა მათ ბერწთა შვილით ახარეო,

388

ძისა მათისა ისაკით ძე მოასწავეო.
დამმარხველს, დამტირებელსა ვითხოვ, მიბოძეო!
წმინდისა სამებისაო მადლო, დამფარეო,
სულისა ჩემის საოხად, რაც ვთქვი, მახმარეო.

389

აწ დავით იტყვის: დიდება, შენდა, მეუფეო,
მარადის და უკუნითი უკუნისამდეო!
ამინთე მე ბნელს სანთელი და მამინათეო,
დავით მე შენ გევედრები, გზა წარმიმართეო!

კთ. ძის ვედრება დავითისაგან

(იამბიკო)

390

დამბადებელის მამისა საყვარელო ძეო,
აღმიპყარ ხელი, რასაცა ვითხოვ, მიბოძეო!
ვარ ვით ცხოვარი წყმენდილი, აწ მომიძიეო,
იესო, წყემსო კეთილო, კაცთა მეცხორეო!

391

თიკნად ნუ გამხდი, მარჯვნით კრავში გამრიეო;

განმარდე უხილავთა, მხეცთ ნუ შემაჭმეო.
უფალო ყოვლად ძლიერო, განმაძლიერეო,
რომელმან ქალწულისაგან ხორცი ივასხეო,

392

ადამიანთა ხსნისათვის ჯვარს დაემსჭვალეო,
მოჰკალ სიკვდილით სიკვდილი და განაქარვეო,
იხსენ ადამ საკრელთაგან, ევას ახარეო;
საფლავთაგან ადადგინე მკვდრეთით ლაზარეო.

393

შენ გახსენ ჩემი კრულება და წარმავლინეო,
ვით გამყარე სამკვიდროსა, ისევ შემყარეო.
იესო ძეო ღვთისაო, ეს შეისმინეო!
ლექსისა ამის შემწყობი, დავით, აცხონეო,
იმის სულს მიეც შეება და მეც განმისვენეო!

ლ. თხოვნა გამლექსავისაგან

394

თომავ, დავით მეო, ამ წიგნს მოგართმეო!
წაიკითხე, შენ გაშინჯე, კარგად შეიტყეო,
რომელიც ხმა შენ შეგეწყო, მეც ის შევაწყო.
თუ რამ შენთვის მამეპაროს, შენთვის გარდიწყო.

395

ტანსა რაც გინდა უყავი, თავს ნუ შემირყეო.
უკაცრაოდ ნუ ვიქნები, ძმაო, ამაზეო,
რომ ეს სიტყვა შემოგკადრე, ვერ გითავაზეო,
შენს ქალთა-მზეს ბევრითა სჯობს ჩემი მზეთა-მზეო,

396

ქვეყანაზედ არცად არის იმ სილამაზეო.
თუ ნახევდე, იკადრებდი მთხვევნას ფეხებზეო.
გამოვარჩივე მე იფქლი, შენ შახვეტე ბზეო,
ჩემს თეთრს თულუნს არვინ გაცვლის შენს შავს არაბზეო.

397

გამოვარჩიე მე იფქლი, შენ შეხვეტე ბზეო,
ჩემს თეთრს თულუნს არვინ გაცვლის შენს შავს არაბზეო.
ჩემს თეთრს თულუნს არვინ გაცვლის შენს შავს არაბზეო!

ლა. სიზმარი დავით გურამიშვილისა
ტყვეობასა შინა

398

ხმა მესმა ძიღსა შინაო: „რას ხვრივ, რასა ფშვინაო!
აქ რას უწევხარ საძილოდ, რატომ არ წახვალ შინაო!“
ფეხი წამომერა წყნარადა, ჯოხითა დამაშინაო:
„რატომ ვერ ბედავ წასვლასა, აგრე რამ შეგაშინაო?“

399

დამაწვეენელმან აქ შენმან აქ აღარ დაგაწვინაო;
მასთან გიბრძანა დაწოლა, ვისთანაც გაქორწინაო,
ადექ, იარე, წავიდეთ, მე წავიდვები წინაო!
მასთან გიბრძანა დაწოლა, ვისთანაც გაქორწინაო.
ადექ, იარე, წავიდეთ, მე წავიდვები წინაო!
ადექ, იარე, წავიდეთ, მე წავიდვები წინაო!”

400

მძინარეს ასე მეგონა, ცხადია, – არ სიზმარია;
ვსთქვი, თუ: ტყვე ვინმე მოსულა, ჩემსავით პატიმარია.
მე უთხარ: თუ რამ შაგეძლოს, შენს თავსა მოეხმარია,
არ გეშინიან, გზა იცი, შენ წადი, მე კი მარია!

401

მე მითხოვნია ღვთისათვის, რაც ჩემი სათხოვარია:
აწ ჩემი წინამძღომელი არს ქრისტე მაცხოვარია,
მან მწყემს-კეთილმან მომნახოს მე წარწყმედილი ცხვარია,
შენ ვერ გენდობი, ვერ გიცნობ, არ ვიცი ვინა ხარია!

402

მან მითხრა: ვისაც შენ ამბობ, შენზედ წყალობა მისია;
შენად ჯოხითა საცემრად მე იმან გამოძისია.
მან ბრძანა: ფარეხთ გარეთა რად დაგდებულა ისია,
რად არ ეშინის მგელთაგან, ღამეა, განა დღისია?!

403

მე უთხარ: თუმცა აგრეა, კაცი ყოფილხარ წმინდაო,
ოღონც ამდენი მაცალე, ვიშოვნო ქალმან-წინდაო,
ფეხთა ჩავიცვამ, წამოვალ, აქ ყოფნა მე არ მინდაო!
ღუმნა, აღარა მითხრა-რა, ღითხანს ხმა გაიკმინდაო.

404

ერთი ეს კი თქვა: არ ვიცი მე შენის ქალმან-წინდისა,
გზას გაძლევს ცრემლნი მოყვასთა, უკან ძმისა და წინ დისა;
ჩემგნით ეგ იყო მოთხრობა, ნიშნად მოცემა წინდისა!
თუ მიენდობი, დაგფარავს მაღლი სულისა წმინდისა!

ლბ. ტყვეობითგან გაპარვა დაუთისა

405

გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს დარი,
ვიტირე და გარდვადინე მე იმაზე ცრემლთა ღვარი.
ღმერთსა ვსთხოვე: მიწყალობე შენ ასეთი წინამძღვარი,
უვნებელად გარდმატარო ქრისტიანთა მტერთ სამძღვარი.

406

ვახსენე ღმერთი, წამოველ სითაც ხსნა მეგულებოდა,
გული ტიროდა, ცრემლითა თვალები მეგულებოდა,
აღარ მეგონა, მე თუ-და გული-და მეგულებოდა,
ვიტყოდი, ვაი, მოყვასნო ჩემთვის დაკარგულებო, და!

407

დღისით წიმიანდღვრად მზე მყვანდის, ღამით უჭკვრეტდი მთვარესა,
მივენდევ შვიდთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა;
ღამით შიშველს მთას მოვადექ შუვა დადისტნის არესა,
მუნ ჟამსა რასმე შევესწარ სიცოცხლის დასამწარესა.

408

ასტყდა ქარი და დაიწყო სეტყვა, ელვა და ქუხილი,
წამ-და-წუთ ელვის ზარითა თვალებმა შექნეს წუხილი;
არცად ჩნდა თავის საფარი, მაზედ შემექნა წუხილი,
თავს დავიხვივე სარტყელი, წავსწევ, ტანს არას უფთხილი.

409

სეტყვისა თავში დაცემის შიშითა პირქვე მხობილსა,
გულმან მოქვა: ადექ, იელვებს, იპოვნი გამოქობილსა.
ავდექ: იელა, მივად(ე)გ კარს მთა-ხვრელს ლოდ-გადრობილსა,
მიველ და მაშიგ უკუვსძვერ, ვმადლობდი მხოლოდ-შობილსა.

410

დამედვა დიდი იმედი, ვთქვი, თურმე ღმერთი მფარავსა;
თუ ჩემთვის კარგი არ სწადდეს, არ დამადგამდა კარავსა;
დამიხსნა წვიმა-სეტყვასა, ქარსა სასტიკად მზარავსა,
რაც კაცი ღმერთსა ენდობის, ღმერთი კარგს უზამს, არ ავსა.

411

ვსთქვი, თუ: ეჰ, ღმერთო, შენა ხარ ჩემებრ ცდომილთა მხსნელია;
თუ არ შენგნითა, წინასწარ საქმის შეტყობა ძნელია;
თვალე-დახუჭვილს მწოლარეს გარს მერტყა ღამე ბნელია,
გულით მაცნობე წინა-გზა და ვპოე საძებნელია.

412

სეტყვამ გარდილო, გამოველ. უფალსა მსხვერპლი შევსწირე:
არ მყვანდა საღმთოდ ზვარაკი, მხურვალეს გულით შევსტირე;
არც მაქვნდა სამლო წერილი, ცოდნაცა მაქვნდა მე მცირე,
„ღმერთო, დამიხსენ მტერთაგან!“, ეს ლოცვა გავიზეპირე.

ღბ. ოდეს დავით ავის დღისაგან შეწუხებული
სვინდისის მხილებით ელვისაგან გამოქობილი
კლდე იპოვნა და იმას შეაფარა, იქიდან
გამოსულმან ილოცა

413

შენ, ღმერთო ერთო, ხილულთა მე ვერას დაგადარებო,
არ ვიცი, ზიხარ, თუ სწევხარ, ფრინავ, თუ ფეხზე დარებო.
ნათლად ვთქვა, ძველ-დღედ ხელმწიფობ, მზით დღესაც შენ ადარებო,
უკვდავხარ, გნებავს ვისიცა, აცოცხლებ და ამკვდარებო.

414

მამა ხარ დაუსაბამო, არა გაქვს დასასრულია,
სიტყვა გაქვს ძედ მოთხრობილი, გვსმენია აქ მოსულია.
არა ხარ ღმერთი მტყუარი, გაქვს ჭეშმარიტი სულია.
ერთი ხარ, მაგრამ ამ სიტყვით სამად ხარ გაექსულია.

415

მზე და სხივი და ნათელი ვით სამად გაღექსულია,
იგ სამივე ერთი მზე არის, არ ცალკე გაქსაქსულია;
ეგრეთ მამა და ეგრეთ ძე, და ეგრეთ წმინდა სულია,
ვისაც სამება არა სწამს, სჯულთაგან გარდასულია.

416

ღმერთო, ცათა და ქვეყნისა მპყრობელო, შემამკობელო,
მამავ და ძეო და სულო, წინასწარ საქმის მცნობელო!
ჩვენად ხსნად, შენად საქებრად მის მთით მის ლოდის მძრობელო.
მე, დავით, მიხსენ მტერთაგან, მამის დავითის მთნობელო!

417

სახით, ვითარცა საწმისზედ, ცვარო ზეგარდმო წვეთილო,
აგარაკთაგან უთესლოდ ძირო მორჩადა ხეთქილო;
გამოუთქმელად ნათქვამო, მთით ლოდო გამოკვეთილო,
მიხსენ ცხოვარი წყმედილი, იესო მწყემსო კეთილო!

418

მეხო, ქუხილის ისარო, მტერთ გულზე დასარტობელო,
დავითის ვარდო, აბრამის ყვავილო დაუტკნობელო.
განსჯად ცხოველთა და მკედართა სამართლის გამამბტობელო,
მარცხენით თიკანთ მარიდვ, მარჯვენით კრავთა მხმობელო!

ღღ. ვედრება ღვთის-მშობლისა დავითისაგან,
ოდეს იმ ზეით თქმულს ლოდ-გამოკვეთილს კლდეს
შაეფარა ავის დღის მიზეზით

(ბოლო ერთი)

419

მთავ ღვთისავ, მთაო პოხილო, დავითის საგალობელო,
ვით აგარაკო ზეგარდმო ცვარისა შემატკობელო,
აღმოგვიცვენე უთესლოდ ნაყოფი, შესამკობელო.
მომეც ნაყოფი კეთილი, იესოს ქრისტეს მშობელო!

420

სიტყვა ძლიერთა მსმენელო, უცნაურისა მცნობელო,
სარწმუნოების ხარისხო, სჯულისა მტკიცედ მპყრობელო,
ქრისტიანეთა ზღუდეო, მფარველო, გარსა მღობელო,
შენ დამიფარე, დამიცვე, იესოს ქრისტეს მშობელო!

421

სახით აბრამის კარაო, ღვთის ტევნით გულთა მყრდნობელო,
სჯულთ კიდობანო, მოსიანთ ღვთის მცნების ჩასაწყობელო,
ვით შეუწველო მაყვალო, საღმრთო ცეცხლ-განუქრობელო,
მიხსენ, ნუ დამწვაგ სახმილით, იესოს ქრისტეს მშობელო!

422

ქუხილო მტერთა მკვეთელო, ეღვაგ სულთ მანათობელო,
ელისაბედის მომკითხო, მის ყრმის მის მუცლით მკრთობელო.

ვით სამოსელო უხრწნელო, შიშველთა დამათობებლო,
შემოსე მადლით შიშველი, იესოს ქრისტეს მშობებლო!

423

ბარბაროზთ სჯულთა დამხსნელო, სპ(ა)რსთ სიწმინდისა მთხრობებლო,
ცეცხლთა თაყვანისცემისა დამშრებლო, დამაცხრობებლო,
ღვთის ს(ა)მსხვერპლეთ, ფურნეთ, ცხოვრების პურთა მცხობებლო,
განმაძღე მადლით მშიერი, იესოს ქრისტეს მშობებლო!

424

ცხოვრების წყაროს ენბაზო, მბანელთა არ სამზნობებლო,
კანას წყლის ღვინად მსმეველო, მექორწილეთა მთრობებლო;
კვლავ კლდეო წყლისა მომცემო, ისრაელთ ცრემლთა მშრობებლო,
მასვი მე მადლით მწყურვალსა, იესოს ქრისტეს მშობებლო!

425

ნაყოფიერო ვენახო, ვით ვაზო მორჩ-უჭკნობებლო,
უკვდავებისა მტევანთა მოკვდავთა მოსართლობებლო,
მაჩრდილებებლო ნერგო და კეთილთა შრტოთა მყნობებლო!
მიგრილე ცოდვით საწვავსა, იესოს ქრისტეს მშობებლო!

426

სიტყვისა მღრთისა ხორცითა მტვირთველო, დამადგნობებლო,
ღვთის ძისა კაცად აღმზრდებლო, მით კერპთა დამადნობებლო,
ადამის მხსნელის დედაო, ძით ევას მახარობებლო,
შეწუხებულსა მახარე, იესოს ქრისტეს მშობებლო!

427

სიბრძნისა ღვთისა სავანევ, ტახტ-საყდარ-დასაჯდომებლო,
კეთილმორწმუნე მეფეთა გვირგვინად მოსახდომებლო;
ხიდო წიად-მყვანებებლო, კიბევ, ცათამდის მწდომებლო,
გზა სიმართლისა მასწავევ, იესოს ქრისტეს მშობებლო!

428

მის სიძის მღვიძრად დამხდომო, შუაღამ ძილთა მფრთხობებლო,
გაუქრობელის ღამპრითა ქალწულთა წინა მსწრობებლო;
სულელთა ღამპარ-შრეტილთა მრეკელთა კართა მსშობებლო,
მოწყალებისა კარ-მიღე, იესოს ქრისტეს მშობებლო!

429

ზეცით ღვთის სიტყვის საყვირო, ქვეყნად კაცთ მოსათხრობებლო,
არსის საყდრისა სასანთლევ, ღამპარ-გრძლად-გაუქრობებლო;
მის მთიებისა დედობით ბნელ ქვეყნის მანათობებლო,
შენ განმინათლე გონება, იესოს ქრისტეს მშობებლო!

430

ვით მამათ-მამის შურდებლო, მთავ, ლოდის გამამტყორცნებლო,
დამამტვრეველო კერპთა და საწუთოს ღმერთთა მხოცებლო.
პირველ წყვისა წერილთა ბრალისა აღმამხოცებლო,
მისხენ დედაო ღვთისაო და ჩემო ხატ-სალოცებლო!

431

დაურღვეველო ზღუდო, გოდოლო შეურყეველო,
ცათაგან დაუტევენელთა წიაღთა დამატეველო;
მარიამ ქრისტეს დედაო, ასულო სიონეველო,
შენ მეოხ-მეყავ ცოდვილსა, ქალწულო, ღვთისა მხეველო!

432

შენ გევედრები, ცისკარო საიდუმლოსა დღისაო,
ნათელო შარავანდელი საცნაურისა მზისაო,
დედაო მუცლად მღებელ[ლ]ო გამომხსნელისა ტყვისაო,
ტყვეობისაგან დამიხსენ, მშობელო ღვთის სიტყვისაო!

433

ნათელო და ბრწყინვალეო, თქმულო აღდგომისა ხატო,
სიტყვიერთა ცხოვართ ქნარო და უხილავთ მხეცთ დამსხარტო;
ტარიგის და წყემსის დედავ, მე ნუ დამიტევებ მარტო,
ძალი მომეც, გარდმახტუნე, სადაც დამხვდეს ცოდვის ფლატო!

434

შენ საქებრად რიტორიცა არს, ვით თევზი, უხმო, უტყვი;
მე ვით ვიტყვი, შენს ქებასა, ნაწვართი ვარ ვით პირუტყვი,
მიჭირდა და ჩემს მავნეთა შენგნით კვერთხი გარდაურტყვი.
ვით ენბაზო, განმიწმინდე მე ცოდვისა ბრალთა ტუტყვი!

ღე. ოდეს ზეით ხსენებულის გამოქობილ კლდიდამ წამოსულს
დავით გურამიშვილს უცხონი შეხვდენ და
მათის შიშით მუხლი მოეჭრა

435

რომელმანც მთამან დამფარა, მას მთაზედ იმ სეტყვებითა,
მეც იმ მთას მსხვერპლი შევსწირე, რაც გითხარ იმ სიტყვებითა;
მერმე ავდექ და წამოველ ტირილითა და ტყებითა;
სულ გავანედლე გამხმარნი შამბნარ[ნ]ი ცრემლთა რწყებითა.

436

კოჭამდის სეტყვას ვაპობდი, ფეხები მაქნდა შიშველი.
ყველაზედ გული მაგრობდა, არაზედ ვიყავ მშიშველი.
ვსთქვი თუ, რას მიზამს მაცდური, ან მგელი, ან დათვი, შველი?
შაკეპოვები არავის, თუ, ღმერთო, შენ კი მიშველი.

437

აწ ყველა წვრილად ვერ მოვსთვლი, რაც მაშინ გარდამხედია,
სამი დღე შამბში ვსწოლილვარ, მაღლა არ ამიხედია,
წინ გზისა შეკერის შიშითა წასვლა ვერ გამიბედია,
შიმშილისაგან მუცელი მიმკვრია ფერდზედ ფერდია.

438

ჩემს უკან მდევართ გარდვურჩი იმ წოლით დღითა სამითა,
ხუთი დღე-ღამე ვიცხოვრე შვიდის ტყემალის ჭამითა;
დღისით ჯაგნარში ვსძვრებოდი, მინდვრად ვიდოდი ღამითა,
დღე თერთმეტამდის ვიარე ყოფა-ქცევითა ამითა.

439

თუმც არ მეჭამა მე პური თბილ-თაჯა ჯავახურია,
არც მესვა ღვინო კახური, არ ვიყავ ნაბახურია;
ათის ღღის მშიერს მომერთვა სადილი საკვ[ე]ხურია,
მოუწევარი კვინჩხი და მკვახე მე კოწახურია.

440

პერანგი მეცვა ახალი, არ ძველი მე ტანზე ნარმა,
მუხლთ ქვეით გაგხდი შიშველი, შემომეცვითა ზე ნარმა;
დიდთა ჭირთაგან ვნებული ოდეს მცნა მამამ ზენარმა,
მან გამომირწყო წყლული და მიშვა მგრგენმა და მზრზენალმა.

441

მეთორმეტეს დღეს მოვადექ წყლის პირსა მე უჭალოსა,
შამბში ვსძვერ ვითა ნიბლია, ვსთქვი, არვინ არ ამბჭალოსა.
შავხედე, გაღმა ლეწევდენ მათრახის ცემით კალოსა;
ვსთქვი თუ, აგების უფალმან აქ მიხსნას საკანკალოსა.

442

ცოტას ხანს უკან მომადგა მე ორი კაცი ნავითა,
მეგონა, ამას მკითხევდენ: „მანდ რას აკეთებ, დავითო?
ისევ გაბრუნდნენ, შეშინდენ, ჩემის უქოჩროს თავითო,
მე მუნვე დავრჩი, დავღონდი, ვსთქვი, თუ: წავიდე საითო?

443

რა მნახეს, მათის შიშითა მეც ამეშალა ბაღანი,
მუხლი მომეჭრა, წამერთო ტანში ღონე და ძაღანი,
შორს ვეღარ წავეღ, უკუვსწევ, მუნ ახლოს იყო ჩაღანი.
გარდავიხადე იქიცა, რაც ღვთისა მედვა ყაღანი.

ღვ. უცხოთ ნახვის შიშით მუხლთმოჭრის დროს
დავითის ღოცვა და გალობა

444

ღმერთო, მომხედე, ვედრება მისმინე, გამიგონეო!
მუხლ-მოღებუ[ლ]ვარ, არ ძაღმიცს აქედამ დაძვრის ღონეო;
ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა მომიშვი, მომიფონეო,
მერმე შენ გზაზე მიმიძედე, სად გინდეს, წამიფონეო!

445

იესო წყემსო კეთილო, ჩემებრ წარყმენდილთ მპოველო.
ჩავარდი ცოდვის ხნარცვშია, ვსცადე და ვერ ამოველო
ბრძანე: „ძის თხოვნით მამასა სთხოვე, რაც გინდეს, მთხოველო“,
ვითხოვ, შემინდევ ცოდვანი, როს მკედარი განმაცხოველო.

446

აწ ნება შენი ჩემზედა აღსრულდეს აღსასრულითა.
მინდა და ვეღარ დავძრულვარ ძაღთაგან განასულითა;
თუ მიხსნი, ისევ გამსახურო ქრისტიანისა სჯულითა,
თუ არა, მომკაღ ხორცითა, ოღონდ ნუ წ[ა]მწყმენდ სულითა!

გალობა

447

მამავ, შენი ძეო, ვითხოვ, მიბოძეო;
ვიქცევი, ქვესკნეთს ვარდები, მისვეტ-მიბოძეო,
რად გძინავს, აღდეგ, უფალო, აწ განიღვიძეო,
მოდო, გამმართე წელ-გულში, სულ დავიბღუნძეო.
ღმერთო, დავითის მთნეველო, მამაო და ძეო,
ის მტერნი ჩემი მღევნელნი დევნე, განაძეო,
შენ გამირკვიე დავითსა, რაც წინ გზა მიძეო!

448

მჭამეო, მსმეო, ჩემო ტანთა მცმეო!
ვერ მოგეშევი ცოცხალი, თუნდა მაწამეო,
მიბოძე საზღო სულისა, მშიან, მაჭამეო,
კიდევ შემმოსე, სიცივით სულ ვკრკი ამ ღამეო,
ბალა-ჩალაში დავსძვრები, ვითა ღაღღა, მეო;
მივხვდი, ვით მწყერი ალაღთა დღეს მტერთა ღარმეო,
დავითის ძევ, დავით მიხსენ მე აქაღამეო!

ღზ. შეველა ღვთისაგან დავითისა, ტყვეობიღამ
გამოსველა სარუსეთოში

449

დაღამდა, სხვა დღე გათენდა, არვინ ჩნდა ჩემი მღევარი,
დილაზე ადრე წამოვსდევ უძილო, ღამის მთევარი;
წამოველ, გზაზედ უფალმან მიბოძა საზღო მღღევარი,
ორი კიტრი და საზამთროს ნაჭერი მე ნახევარი.

450

საზამთრო სიცხით დამჭკნარი ხელში მეჩვენა მე ცხლადა
წყალი ახლოს მხვდა მდინარე, ვიკაკვე გასარეცხლადა;
კიტრი უბიღამ გამცვივდა, გულზე მამედვა ცეცხლადა,
რომ მომეყიდა მიღირდა ას ოქროდ, ათას ვერცხლადა.

451

წყალმან წაიღო, მივდივე, ვეცადე, ვერ დავიჭირე;
ბეწვი მწყდა მისის დევნითა, მეც წყალში არ დავიძირე,
ღვთისაგან გულსა შემაკლდა, ვაყვედრე, ასე ვიტირე:
თუ მომეც, რაღათ წამართვი, აწ ასე რად გავიწირე?

452

შენის წყალობით იზღების ყოველი დაბადებული,
აწ მე შევქნილვარ რასათვის მე შენგნით გარდაგებული?
თუ არ გინდოდა ჩემთვისა, რად დამხვდა განმზადებული?
თუ არა, რასთვის წამართვი საზღო უბეში დებული?

453

მერმე რა მოველ გონებას, მასვე დაუწყე ვედრება,
შემინდვე ესევითარი უმეცრებითა ყვედრება;
რაც ავი მიყო, დავითმო, აწ იმას რა შეადრება,

მაგრამე ასე მშიერსა არ ძალმიც გრძლად გზაზედ რება.

454

თავს დაგემე, უთხარ შიმშილით რა გული დაგიყმედია?
მარხულობა და სასჯელი გონების გასაწმენდია;
მემთვრალეთათვის მაცდურნი მახეთა დაარწმენ დია,
ნებიერობა ხორცისა სულისა წარსაწმენდია.

455

მოვიდოდი და ვსტიროდი, მოვსთქვემდი ჩემსა ზიანსა,
ღვთის საბოლოშოს სიტყვებსა ვიტყოდი თავაზიანსა;
უეცრად ალაგს მოვადექ ტურფასა, ლამაზიანსა,
მსხმოიარესა ბაღნარსა, ატმიანს და ვაზიანსა.

456

დავღუნე თავი, უკუესძვერ ვაზნარსა შინა ბურვილსა,
აღმოვირეხვე ყურძნითა, მოვრჩი შიმშილსა, მწყურვილსა;
მაგრამ ღვთისა კი მრცხვენოდა მე ცოდვით პირ-შემურვილსა,
ვეტყოდი, რად არ მივენდე შენის საყვარლის სურვილსა?

457

კიტრი მომეც და წამართვი, ვერ მოვითმინე თმენითა;
შევსწუხდი, მაზე გაყვედრე, გცოდე პირითა, ენითა.
შენ, ღმერთმან, იგი დამითმე სულგრძელებითა შენითა.
აწ უმჯობესიც მომაგე პილპილად სავსე ტენითა.

458

რით გარდვიხადო მე, ღმერთო, ეგევითარი ვალობა,
რაც შენ მომაგე სავსებით ურიცხვი შენი წყალობა?
უწვრთნელ ვარ, არა ვიცი რა დავითის ფსალმუნთ ვალობა.
გთხოვ, უმეცარსა შემინდო ჩემი ცოდვა და ბრალობა!

459

თურმე წინასწარ ხედვედი შენ ჩემსა გზასა, კვალებსა;
შვების წყალობას უზემდი ჩემსა ხორცსა და ძვალებსა;
მე ვერ ვხედვედი, გცოდვედი, ლიბრი დამკროდა თვალებსა,
აწ ხორცმან გცოდა, ხორცს ჰკითხე, სულს ნურასა სთხოვ ვალებსა.

460

ხორცსა აქვს დანაშაული, სულისა არა ბრალია;
სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი მყრალია;
ხორცი ამ სოფლის გემოთი ნებიერობით მთვრალია,
სული იმ სოფელს დასჯისთვის, შიშითა სულ გამქრალია.

461

ეს სიტყვა ჩემთვის სხვას უთქვამს, ახლა მიუთხრობ მეც სხოსა;
უნდა მეღვინემ საღვინე კარგვარად გამორეცხოსა,
განეყრევინოს, გაწმინდოს, რაც შიგნით მწიკვლი ეცხოსა,
თუ მისგან წახდეს ღვინო-ღა, მე თავში კეტი მეცხოსა.

462

ეჰ, ღმერთო, შენა ამდერე ეს ჩემი სატყებ-სატირი,

ჭურსა ზნოვანსა მახმარე საძელ-მაწაწურ-ხაპირი;
აღმომიწმინდე მწიკვლთაგან გული, გონება და პირი.
ცოდვით ნამტკრევთა ნაბძარნი მადლით გახიზი, შაკირი.

463

აწ შეისმინა უფალმან ხმა ვედრებისა ჩემისა,
დაღონებულსა მომაგო ჟამი ნუგეშის ცემისა;
ხმა სამღერაღთა მასმინა, არა თუ ზართ დაცემისა.
საყდარს დარეკეს, გამოხდა ზრიალი ზართა ცემისა.

464

რა შემომესმა ზარის ხმა, გულმან დამიწყო ძგერანი,
ზეზედ წამოვდეგ, დავიწყე ბურვილით გამომზერანი;
შევხედე, საყდრის კარზედა პირჯვარს დაიწყეს წერანი.
ვთქვი, თუ: უცილოდ აქ არის ჩემი ბედი და წერანი.

465

გარდაიხდა უფალმან, ჩემი ემართა რაც ვალი,
მერა სიხარული გულისა, ანაზდათ ჭკეპაზედ შამცვალი,
ასე მიამა, პირიღამ გავეარე ყურძნის მარცვალი;
საჩქაროდ წასვლა მომინდა, არ ვიყავ ხანის დამცალი.

466

კიდევ შევხედე, გავშინჯე, გარჩევით დავინახეო;
თავთ იაღქანნი ქალთანი დევთა რქად გამოვსახეო;
ვთქვი, თუ: ვაი, თუ მაცდურმან დამირწყო რამე მახეო,
მუნ მისვლა ველარ გაებედე, შორს წასვლა განვიძრახეო.

467

მას ბაღში ხილი დაგკრიფე, საგრძალი მოვიმზადეო;
ზოგი უბეში ჩავიწყევე, ზოგი კალთაში ჩავდეო.
კვლავ სვინიდისმან მამხილა: ბინდამდის მოიცადეო,
დღისით ნუ წახვალ, არამცა მოგიდგას ვინმე ბადეო.

468

წაველ, უკუვსწევ ჩალასა, სად უფრო იყო ხშირია,
ღმერთმან თქვენს მტერთა შეყაროს, რაც მე ამიტყდა ჭირია,
წამოდგა კოდოს ლაშქარი, რა შევსძარ ჩალის ძირია,
მე დამარხობდენ უცილოდ, თუ არ დამეცო პირია.

469

რა შემაწუხეს მეტადრე, ვიტყოდი გაჯავრებული:
ვინც უნდა იყოს, მივიდე სიცოცხლე გამწარებული.
აღარ დავდივე, წამოვხტი, წამოველ განქარებული,
მუნ ახლოს კალოს ლეწევდენ, მიველ ვით დაბარებული.

470

მიუცხოეს და შემოკრბენ მუნ ჩემი გამშინჯვარები,
შემომეხვივნენ გარშამო კაცთა და ქალთა ჯარები;
მარტო პერანგით მოსილთა ყელზედ ეკიდათ ჯვარები;
მიველ და ჯვარსა ვემთხვივე, ვიწერე ზედ პირჯვარები.

471

ერთმან მიუთხრა მეორეს: „დაი ხლებათ, ლაზარი!“
„ხლება“ რა მესმა, დამეცა მე სიხარულით თავზარი;
მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექნა ზანზარი,
ვეღარ დაიგნეს სვეტებმა და გარდაიქცა ტაზარი.

472

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო;
სანამდის ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო,
რა რომ თქვეს პურის სახელი, მე იმან მომიფონაო;
ამ სიხარულმან დამშალა ჯავრით შეკრული კონაო.

473

როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მამიარაო,
როცა რომ მევანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო;
შევბრაღდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო,
სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოვლეული იანვარაო.

474

წყალს გამიყვანეს ნავითა, საყდარში შემიყვანესო,
დამაწერინეს პირჯვარი, ხატებსა მათაყვანესო;
კვლავ მიხმეს სამდივნოშია, მაყვირეს, მაყაყანესო,
მკითხეს: „ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ლამისყანესო?“

475

შევამოკლო აწ, რა მერგო, რაც ვიუბენ ამდენს ხანსა?
თერგიდამე სოლადს წაველ, სოლადიდამ აშტრახანსა;
მუნით მოსკოს მეფე ვახტანგს, ბაქარს – შან[ა]ოზსა ხანსა –
ვიახელ და თავყანსა ვეც; ბრძანეს: „სჭვრიტე ჯაბახანსა“.

476

მიწყალობეს მათ სახელო, მომცეს ჯაბადარბაშობა,
ღმერთამან ბევრჯელ გაგითენოსთ ხარებობა, ქრისტეს შობა!
კარგი იყვის აღდგომასა მეფეთაგან მეჯლიშობა:
ზმა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა.

477

ჯავახიშვილს გამაღექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა,
პირად მჭლესა, ტანად ხმელსა ვით ნუურიანს ხესა მრუდსა;
რაც მე უთხრი, მას მიაჩნდის ვით ნარცეცხლა უკან კუდსა,
ბევრჯელ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა.

ღმ. მეფის ვახტანგისა და ძისა მისისა ბაქარისა
დარუბანდს წაბრძანება

478

ექვსის წლით წინათ ჩემს უწინ ქართლიდამ წაბრძანებულნი,
რა მიველ მოსკოს, ვიხილე მეფე და ქართველთ კრებულნი;
რომლისაც ხელმწიფისაგან მუნ იყვნენ დაბარებულნი,
იმისთვის ვეღარ მიესწრათ, მით იყვნენ გამწარებულნი.

479

ერთს – დიდს პეტრეს – და ორს სხვასა მოშლოდათ წუთისოფელი:
წართმოდათ მოკლედ სამყოფი, ეშოვნათ გრძლად სამყოფელი;
მით სევდა ვახტანგ მეფესა გონების დასაყოფელი
სცემოდა გულსა, განეჭრა გრძლად ფილთის შასაყოფელი.

480

ამაზედ იყო მგლოვარე, ცრემლი ამისთვის ზდიოდა:
სამი ხელმწიფე ზედი-ზედ მოკვდენო, – გული სტკიოდა;
თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას ჩიოდა:
გაგრძელდა საქმე, გაძნელდა, რაღა ვსთქვა, რა ვარჩიო, და?

481

ოდესაც ანნა ხელმწიფე რუსეთზე გარდამწდომარე,
ბრძენ, უხვი, მართალ, მოწყალე, სამართალ-დაუცდომარე,
გვირგვინოსანი ტახტზედა მეფემ იხილა მჯდომარე,
მაშინ შეიქნა საქმისა მოხსენებისა მდომარე.

482

მეფე წადგა ხელმწიფესთან, ცრემლით დაწვნი დანასველა,
მოახსენა: – თქვენგნით ვარო არც მშიერი, არც შიშველა.
ამასა გთხოვ, შემიწყნარო, ბრძანო ჩემის ქვეყნის შეველა!
– შეისმინა ხელმწიფემა, რაც მან სთხოვა, მოსცა ყველა.

483

მან უბრძანა: მე მიჭირავს ზღვის მიდამო გაღმა მხარი,
სოლადსა და დარუბანდსა, ბაქოსა დგას ჩემი ჯარი;
მუნ მიბრძანდი; საჭურჭლისა მუდამ მზა არს ღია კარი,
ლაშქარი და ხაზინანი, ვით გენებოს, მაიხმარი!

484

მივსცემ ყველას ბრძანებასა ჩემთა სპათა, სპის მართავთა,
ამირთა და ამიღბართა, ათასის-თავთ, ასის-თავთა:
თქვენს ბრძანებას მორჩილებდენ, კარგთ იქმოდე, გინა ავთა;
თავს საკვდავად არ ზოგვიდენ, საცა მოიქნევდენ ხმალთა!

485

მეფემ მდაბლად ხელმწიფესა თაყვანი-სცა, ჰკადრა პირად:
ღვთაებრ უხვი მოწყალება ჰქენით ჩემზე, არა ძვირად;
ვმადლობ თქვენსა წყალობასა, მე-ღა მინდა სხვა განძი რად?
ღღვის იქით ენა ჩემმან ქება თქვენ[ნი] წართქვას ხშირად.

486

წინ წადგა და ტახტზე მჯ[დ]ომსა ხელმწიფესა ხელს აკოცა:
ხელმწიფეცა წამოუდგა, გზა მეფესა დაულოცა:
„ღმერთმან ასე გაგიმარჯოს, რომ არ იყოს ბევრი ხოცა“.
– სადღეგრძელო დაუღივა, თვით ბრძანა და მასაც მოსცა.

487

წამოვიდა პეტრებუხით, მეფე მოსკოს ჩამოვიდა.
მოემზადნენ მამა-შვილნი, ქართველნი ყვა ვინცა-ვინ და,
წასვლა წყლითა დაამტკიცეს, ბრძანეს: „ექვსი ნავი გვინდა“.
შექნეს ნავის შენებანი, მით ერთი თვე გამოვიდა.

488

ნავში ჩავსხდით და წავედით თოკებისა ხელის წვეთით:
ხან ჩქარა და ხან წყნარადა, ხან ვერც დაძვრით, ხან კი რყევით,
წინ ეტიკი მიგვიძლოდა, ედილისა წყალს დავეყვით.
ჩვენნი ავად სიარული სამს თვეს უკან შევიტყვეთ!

489

ვირემდის ზღვათა ბაგემდის ჩვენ ჩავიდოდით ნავითა.
გარდატრიალდა საწუთრო მრუდისა საბრუნავითა;
წინ სვიმონ აბრამისშვილი დაგვხვდა ამბითა ავითა,
აღავსო გული მეფისა მრავლითა საჭმუნავითა!

490

მოახსენა: „შამახია თამაზ-ხანმა დაიჭირა!“
მეფეს ესმა, თავში ხელი შემოიკრა და იტირა:
ესრეთ მოთქვა: „ჩემი ბედი ასრე როგორ გაიწირა,
გზა არცაით წარმემართა, წინ ერთი რამ ამეხირა!

491

ახლა რა ვქნა, სად წავიდე? გზა შემექნა დახლათული,
ქარი ქრის და აფრა-გაშლით ვარ ხომალდით ზღვას შერთული.
ბრძანებანი წინ წასულა ხელმწიფისა ხელ-ჩართული
ღმერთმან თქვენს მტერს წარუმართოს, ვით მე გზა მაქვს წარმართული.

492

დღეს რაც საზარელი სიტყვა მაისმინა ჩემმა ყურმა,
ეს სულ წყალში ჯდომამ მიყო, სიარულმა ბაყაყურმა!
პირში ლუკმა გამამაძრო თარაქამამ ნადი-ყულმა,
რალა ვქნა და რა ვივარგო სევდით გულ-ღვიძლ დანაყულმა?

493

– თუ დავბრუნდე უბრძანებლად, მკითხონ, რა მაქვს მე სათქმელი?
თუ წავიდე დარუბანდსა, მე ვიქნები რიღას მქნელი?
ღმერთო ჩემო, ეს რა მიყავ? მომივლინე საქმე ძნელი,
სულ სიცოფედ შემირაცხე, რაც ვისიბრძნე მე საბრძნელი!“

494

კვლავ ბრძანა: „გაეალ დარუბანდს, იქივ სჯობს სხაგან დგომასა,
იქ მოუყურო, თუ საქმე რა მოხდეს შამადგომასა;
რაც უწინ საქმე წამხდარა, წუხილით რა ვარგო მასა,
სჯობს მომავლისას უფთხილდე საქმისა არ წახდომასა!“

495

გაბრძანდა მეფე ხომალდით დარუბანდისა კიდესა,
მღღელნი სამღღელოდ მოსილნი მოვიდნენ, ხელი ჰკიდესა,
ციხილამ თეთრი ალაში გაშალეს, გარდმოჰკიდესა,
რუსთა ზარბაზნის შილინგით გარს ცეცხლი მოუკიდესა.

496

ლაშქარნი თოფთა ისროდენ, ხუცები რეკდენ ზარებსა,
ასე გვეგონა, ხმისაგან ცა იძვრის, მთა ზანზარებსა:

არ ვგვანდით აბუხს სტუმართა, არცა უბრალოს მგზავრებსა,
ცოტად მით გვეცა ნუგეში მუნ მისვლად დანაზარებსა.

ლთ. თამაზ-ხანისაგან შამახისა და განჯის აღება და
ოსმალისაგან თიფლისის დაცლა

497

აწ მოგიტხრა ნადი-ყული ან ვინ იყო, რისა მქნელი;
იყო ერთი თარაქამა ელთა თავი ხვარასნელი,
იმის გამო შაჰ-თამაზმა მიიყენა საქმე ძნელი,
თვისის ნებით, მისის ხელით გარდაიცვა ყელზე წნელი.

498

ასე რომე შაჰ-თამაზმა საქმე ასე მოიგვარა,
ლოთობა და მეძაობა მეტად დიდად შეიყვარა,
მისად წამლად ნადი-ყული, ვით ბრმამ, წინა აღიმძვარა,
ბეჭედი და სახელმწიფო, ჯარი სულ მას მიაბარა.

499

თვით იმ საქმით ნებიერად ჯდა განცხრომით, ამო შვეებით, –
მოიფონა ხრმალ-კაპ[ა]რჭი, მშვილდთ საბელი ქმნა მოშვეებით,
მისგან ხნარცვში უკუ-ვარდა, აღარ იქმნა ამოშვეებით.
მაშინდელნო სისხლთა ტბანო, აწ როდის-ღა აღმოშრებით?!

500

ეს გაუშვათ, იგივე ვსთქვათ, რაც გაეწყოს ბოლო თავსა,
კარგი წვითგან დაგანელთ, ცეცხლი მოუბოლოთ ავსა.
ღმერთი კარგსა რად უზემდა მას ბილწს, მეძავს და მლოთავსა?
ავის მქნელსა ავის საქმით ღმერთი საქმეს მოურთავსა.

501

რა ნადი-ყულ შაჰ-თამაზსა საქმის თავი ვერ უნახა,
დაიჭირა, დაპატიმრა, დარაჯას ქვეშ შეინახა;
გათამამდა ნადი-ყული, თოფი მართა, ხმალი ჩაღხა,
მოუქნივა წინაღმდგომთა, გან[ა]დინა თავში ჩახა.

502

ნადიყულობა განაგდო, მან დაირქო თამაზ-ხანი:
დაიმონა ყიზილბაშნი, ვითა მგელმან ცხვარნი, თხანი;
განიმრავლნა ბეგლარ-ბეგნი, ყულ-ნოქარნი, უზბაშ-ხანი,
გაიკეთა მეტად კარგი მან თოფხანა, ჯაბახანი.

503

რა თამაზ-ხან შაჰ-თამაზსა ამისთანა საქმე უყო,
იმისთანას დალატითა ყელზე გარდააცვა გულყო;
ორმო-ბნელში ჩაგდებულსა თავი აღარ ამოუყო,
ყოვლს ხელმწიფეს აცოდინა, თავი თვისი საცნაურ-ყო.

504

რუსეთს გაგზავნა დესპანი, სიტყვა მისწერა ასეთი:
„ჩვენ თქვენის ტახტზედ დაჯდომით თვისის წყალობით გვცავს ღმერთი,
მოკვდა შაჰ-თამაზ ყენი, მას შვილი დარჩა არც ერთი,

სახელად ვირქვი თამაზ-ხან, მე დავიჭირე სპარსეთი“.

505

მას, თამაზ-ხანის დესპანსა, სახელად ერქო ხულუფა,
მისცეს მას დიდი პატივი პეტრებუსს, კარგი ულუფა,
იმან სცნა ვახტანგ მეფისა საქმე და განძრახულობა,
ვინც უთხრა, კარგად ვერა ქნა იდუმალთ დამარხულობა.

506

ხულუფას უთხრეს: – ვახტანგ თქვა – „მე წავახდინო სუხავი,
ის არის ჩემის ქვეყნისა დამწველი, ცეცხლით მსუხავი;
შამახიაში ყუმბარა ვყარო მეხისებრ მქუსავი,
თუ ღმერთმან ეგ კი მაღირსა, სხვა რა მაქვს შესაწუსავი!“

507

მეფე რომ გაღმით წაბრძანდა, ხულუფამ გზაენა ჩაფარი;
მისწერა წიგნი თამაზ-ხანს, გაიმაგრეო საფარი,
აწ ვახტანგ მეფემ საომრად აიღო ხმალი და ფარი,
განძრახულობა არს მისი შამახიაზე ფარფარი.

508

თამაზ-ხანს ესმა, ეოცა, იქმნა მკბენელი ნეკისა,
სუხავის ჯარი მან შექმნა, ვით ისომ ამაღეკისა,
ჯერ შამახია დალაშქრა, ქვეყანა მოსპო ლეკისა.
კვლავ ხმა ასმინა განჯასა ოსმალოს კართა რეკისა.

509

ერთს დღეს თამაზ-ხან თავის ჯარს მიუძღვა ასე ხერხითა
ათი-ათასი ათასთა განასრესინა ფეხითა:
განჯის კარები დამუსრა ზალაყინისა ჯეხითა,
თიფლისი ნებით დაცალეს, გავლეს ბეცებით, ხეხითა.

მ. თამაზ-ხანისაგან რუსთ ხელმწიფის ფერთმაშალთან
წიგნის მოწერა და თავისის ქვეყნების თხოვნა

510

თამაზ-ხან სოლადს მისწერა, ვის აქვნდა ამიღბარობა:
„თუ მეგობარი ბრძანდებით, ჩემზე არ გმართებსთ ძალობა;
გარდმახდევინეთ სხვა-რიგად, თუ რამ მემართოს ვალობა,
თუ არა, ჩემის ქვეყნისა ხელმწიფემ მიყოს წყალობა.“

511

სოლადს, დარუბანდ არმოანს, თქვენ რა ხელი გაქვსთ ბაქოსა?
დასაბქველი მბაქველმან არც აგრე უნდა ბაქოსა;
რადა ხნავთ, ანუ რად სთესავთ თქვენ ჩემსა სათამბაქოსა,
ანუ ბაჟს, დავლას, რად იღებთ საღუქნეს, საქუღბაქოსა?

512

თუ არ დაუთმობთ ერთმანერთს, ის ჩამოაგდებს მტრობასა;
დასცალთ, თქვენთვის მიბძანდეთ, ისი სჯობს მანდ მაგრობასა.
მე რომე ვსინჯავ თქვენგნითა მაგ ჩემის ქვეყნის პყრობასა,
მაგდენი ბოლო არა აქვს ჩემსა და თქვენს მოყვრობასა“.

513

მას ამიღბარმა მისწერა: „თქვენ ჩემგნით ნუ გეწყინება, ვინემდის კარზე მივსწერდუ, თქვენ ქენით ეს მოთმინება. რაც მე იქილამ მომესმის, თქვენ ჩემგნით მოგესმინება; მე სისხარულით დაგიცლი, თუმცა ხელმწიფემ ინება“.

514

მალე მოვიდა კარიდამ ხელმწიფის გვამანსარია „სოლალის ციხე მოშალეთ, დასცალეთ გაღმა მხარია“. სანამდის თვითონ ამიღბარ ციხეს არ დასცა ბარია, მანამდის დასაქცეველად ხელი ვერავინ გარია.

515

თამაზ-ხან თამაზხანობა გარდირქო, მან ინაჯიშა, თამაზ-ხანისებრ სეფური შაჰ-თამაზ ვერ ივარჯიშა; ნადიყულობის ძალითა სახელად ირქო ნადი-შა. ჯერ არცადა ჩანს სპ[ა]რსეთში ნადი-შასთანა ფადიშა!

516

მან, ნადი-შამან ყენმან, შაჰ-თამაზს ხნარცვი უთხარა: ხლმით შეაშინა თურქეთი, დაღისტანი და ბუხარა. რუსთ ხელმწიფესაც მოსწერა: – „გამეცა, ბაქოს ნუ ხარა“. ინდოეთისა ხელმწიფე დადრკა, მას თავი უხარა!

517

ვახტანგს მეფეს მოუვიდა ამ ნადი-შას ჩაფარ-ელჩი. ებძანა, თუ: მობძანდიო, შენს ქვეყანას არას ვერჩი; მე გიჩვენო შენის მტრისა თავი შუვა განახეჩი, დამიჯერე, არ დაკარგო, რაც მე ხელში ჩაგაჩეჩი.

518

არ წავიდა, არ მიენდო, მისი ყმობაც ითაკილა, სიტყვა მისი მას გულს ეცა, თვალთა ქაცვი, ვით ასკილა; ვითა სმოდა პირველითგან, მით იხსენა, მითა კილა, თქვა: „მეც უნდა დამბორკილოს, ვით შაჰ-თამაზ დაბორკილა“.

მა. რუსთაგან გაღმა მხრის დაცლა და მეფის ვახტანგის აშტრახანს გაბძანება

519

რუსთ დარუბანდი დასცალეს, ყიზლარისაკე არესა: მეფე ვახტანგცა მიბრძანდა აშტრახნის არე-მარესა, იქ უვარესად შეესწრა ამბავსა საწყინარესა, მაშინ თქვა: წუთო სოფელო, ფუ შენ და შენს მოყვარესა!

520

წყეულო, ცრუო, მაცდურო, ასე რად დამემტერეო? ცხრა რიგი ჭირი შემყარე, ერთსა არ დამაჯერეო; გულს მქონდა ხმალი გაჩრილი, აწ შუბიცი დამაძგერეო, არც მამკალ, არც დამარჩინე, მატარე ზერე-ქვერეო.

521

მეფემ უბრძანა თავის შვილს: „შენ, შვილო ჩემო ბაქარო, ისმინე ჩემი ნათქვამი, ტკბილო, ვით თაფლო, შაქარო: ვეღარცად წავალ აქილამ, ვიქნები, რადგან აქ ვარო, ჩვენს დაქცეულსა ოჯახზედ უნდა, რომ შენ ისარქარო.

522

არ ვიცი რაღაც ეტლზედა შევიქენ, დავიბადეო: მე ბევრს ვეცადე, არ იქნა, აწ ახლა შენა სცადეო, ვეღარ შევიძელ მოწევა, დავბერდი, მშვილდი დავდეო, რაც უნდა წახდეს, გაკეთდეს, მე მას აღარას დავდეო.

523

რომელიც კახნი, ქართველნი ქართლიდამ გარდმოგვეოლია, ზოგს ქართლშივე ყავთ ცოლ-შვილი, ზოგს აქ შეურთავს ცოლია; ქართლურად მიეც ნება და რუსულად „დაი ოლია“, როგორც უჯობდესთ, ისე ქნან, მითამ არც ერთი მყოლია.

524

მთხოვენ და მივსცემ ვერავის, მე ვერ ვიტვირთავ ამასა: მე წაუხდინე ქვეყანა, შვილიც გაუცე მამასა? მე ღმერთი მიზამს რას კაის, ორმო უთხარო, ჭა მასა. სჯობს უჭმელობით სიკვდილი საყვედურითა ჭამასა!

525

მე ყველას დავსცემ დასტურსა, შევიქ თავიანთ ნებასა, ამას კი ვიტყვი რჩევითა, დაუგდებ ერთსა მცნებასა: კაცი ხომ ვერცად წაუა სიკვდილსა, ღვთის ბრძანებასა, მაგრამ ნურავინ შეიყრის თავისის ნებით სნებასა.

526

შვილმან შეკადრა მამასა: „შენ რა გაქვს აწ საჭმუნავი, რაზედ შექმნილხარ, არ ვიცი, შენის ცხოვრების მწუნავი? რა ახლა იცან საწუთრო დასაბამითგან მბრუნავი, მიბრძანე, მისი შემსხები ვინ დარჩა გაუთხუნავი?!

527

კაცი თავს ვერას გაუვა ცრუის საწუთროს მდურვასა, უნდა, რომ კაცმან გაუძლოს, ჭირს შეყრის ცხრასა თუ რვასა. სჯობია ისევ მოლხენა წუხილსა, ჭმუნვა-ურვასა, გირჩევ, დაეხსენ მაგდენსა ცრემლსა და ოფლში ცურვასა.

528

ერთს მოგახსენებ რჩევასა, მაზე ნუ გამიწყრებითა; ისი სჯობს, მოსკოს წავიდეთ წყნარად, ნებივრად რებითა; იქივ ვიცხოვროთ, ვით უწინ ვსცხოვრებდით ჩვენის კრებითა, ჯავრს დაივიწყებთ, ოდესაც ხელმწიფეს შაყერებითა.

529

უბრძანა: აღარ ვიქნებით როგორც ვიყავით ჩვენაო; მისთვის ვიმაღვი სირცხვილით, არ მინდა გამოჩენაო,

მრავალის ცრემლის დენითა დაუჰკარგე თვალთა ჩენაო,
ასეთი სენი შემყრია, ძნელია გარდარჩენაო.

530

წამაიხოქეს ქართველთა, თავს წაიშინეს ხელია,
იტირეს ბევრი მეფის წინ და ღვარეს ცრემლი ცხელია;
შეკადრეს: „რასთვის შექნილხარ ვით ველად მრბოლი ხელია,
ბრძანებთ: „ვემალვი სოფელსა“, ეგე რა გასამხელია?

531

ჩვენ გაგვიშვია ქვეყანა თვრამეტ-ცხრამეტი წელია;
სამსახურითა თქვენითა გვტკივა ზურგი და წელია,
ნამსახურობის ჩვენისა ეგე რა სასყიდელია?
თქვენ მანდ დაბრძანდით და ჩვენზედ ასე აიღე ხელია!“

532

მეფემ უბრძანა ტირილით: „თქვენ მართაღს ამბობთ ყველასა;
გიმსახურიან თქვენ ბევრი მშიერსა და შიშველასა,
მაგრამ რას მიზანთ, ვეცადე მე ჩემის ქვეყნის შევლასა,
არ იქნა, რით-ღა გარდვიხდი მე თქვენსა სასყიდელასა?

533

ვითხოვ, შემინდოთ, ჩემზედა თქვენ ჰქენით რაც საქნელია,
ენით დაგლოცავ, მის მეტი სხვა რა მაქვს საქონელია?
ღმერთმან მოგაგოსთ მუქაფა, ჩემგნით გარდახდა ძნელია,
სადაც კრულ იყვნეთ მტერთაგან, მუნ ღმერთიც თქვენი მხსნელია!

534

ერთი ამბავი მომესმა, მე გასაგონლად მენასა,
დიდათ მერჩივნა სიკვდილი მე ცოცხალს იმის სმენასა;
ამაზე ვსტირი, ცრემლითა ვავსებ ქვევრსა და მენასა.
მე თქვენი სხვათა მიცემა ვერ ვათქმევინე ენასა!

535

რაცა ვსთქვი, ჯავრით ეგე მკლავს, მაჩივლებს, ეგ მატირებსა,
წყეული წუთი-სოფელი, რაც არ მწადს, მას აპირებსა.
არ ვიცი, როგორ გარდღურჩე მჭვალს გულზე დანაჭირებსა,
თუ არ მდომოდით, გაგცემდით, არ შევიყრიდით ჭირებსა!“

536

რა ეს ისმინეს ქართველთა, კვლავ უფრო შემოსძახესა,
თავს იქით-აქეთ აწვევებდენ, ახლიდენ ქვასა და ხესა;
ჰკვირობდენ ჩვენი მჭვრეტელნი, მგონია, კიდევ გვძრახესა!
მათ არ იცოდენ, თუ ჩვენა გავებით რაგვარს მახესა.

537

მეფემ გვიბრძანა: „ქართველნო, კაია, ნუღარ სტირითა,
თქვენ გაიგონეთ ყურითა, რაც მე მოგიტხრა პირითა:
რაც საიდუმლო გსმენოდესთ, ხმა-მაღლა მას ნუ ჰყვირითა,
ნურც თქვენ სწუხთ, ნურც მე მაწუხებთ, გული მაქვს სავსე ჭირითა.

538

გულს ნუ იჩვილებთ, იყავით გულისა გამაგრებითა,
ჩემს შვილს ბაქართან მიბრძანდით ხელიერთპირად კრებითა;
თქვენ ის წაგიძღვესთ საითაც, უკან მიყევით რებითა,
მის უკითხავად წინა-წინ თქვენ ნურცად წაეჩრებითა!

539

ასრე მოგვითხრობს თარგმანსა ამ იგავის ხის მრგველია:
არს მორჩილება საქები, ურჩება საძაგელია.
მწყემსი უფთხილი სამწყსოსი ადვილად დამკარგველია,
სამწყსოს უმწყემსოდ მავალთა შეშჭამს ტურა და მელია“.

540

გამოესალმნენ მეფესა ქართველნი მუხლზედ ხვევითა,
მდაბლა თაყვანის-ცემითა, ხელსა და ფერხზე მოხვევითა;
წინ დაუყენეს ტბორენი ცხელის ცრემლ[ლ]ისა ნთხევითა,
იმათი თავის რახუნი ისმოდა ქვა და ხე ვითა.

541

წავიდნენ, ბაქარს შესჩივლეს: „მეფემ რაღაც ქნა იჭვია,
ნამსახურობის სანაცლოდ მოგვაგო ესე ნიჭია;
აწ თქვენა ხელაგთ თვალითა, რაც ჯილა თავთა გვირჭვია,
სულ გამოგეყარა ქართველნი, დარჩა ათი-ღა ბიჭია.

542

აწ მამა-თქვენი თუმცა რომ ღრმად საქმის გამჩხრეკელია,
წერილთა თარგმნით ვით როგორც იონე დამასკელია,
მაგრამ ეს ავად იფიქრა, აქ გაიკეთა კელია.
თვითან აქ დგების მარტოკა, ჩვენი შორს გამრეკელია“.

543

ბაქარ თქვა: „ეგ შემიტყვია მე თქვენგან უფრო აღრეო;
ნუ მომიკვდების შვილები ლევან და ალექსანდრეო,
ბევრი მიუთხარ მამა-ჩემს, ეგ საქმე რად იკადრეო?
არ დამიჯერა, ავად ქნა აქ დგომა მან მეტადრეო.

544

ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწდომარე,
რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე!
მე შვილი ვარ და ეგ მამა, არა ვარ წინაღმდგომარე.
მე მოსკოს წავალ, თქვენც მოხვალთ, ეგ იყოს აქა მჯდომარე!“

545

გვიბრძანა: მაღე წავიდეთ, არა სჯობს აქ გრძლად დგომაო,
გზა წავვიხდების, მოგვასწრობს, ახლოა შამადგომაო;
ცარიცინამდის წყლით წასვლა მიგვაჩანს, ნავში ჯდომაო,
ცარიცინს იქით მოსკომდი ეტლებ-უნებით ხლდომაო.

546

ყოველმან კაცმან საგზაოდ შევქენით მომზადებანი,
თავ-თავის საჯდომს ნავშიგან ნუზლთა და ბარგთა დებანი.
გსწუხლით მეფისა გაყრისთვის, გვწვევდა სახმილთა დებანი;
ბევრმან დავსწყევლეთ მას დღესა ჩვენ ჩვენი დაბადებანი.

547

ჩვენ წავედით, იგ მუნ დადგა, საქმე მოხდა არეული;
ათიოდე კაცი დარჩა, ხაბაზი თუ მზარეული;
სხვა იმან ყმა არ ინდობა, არ მემკვიდრე, არ ეული.
ვითა გოდოლთ მშენებელნი, გავხდით ენა-მზარეულნი.

მბ. დავით გურამისშვილისაგან საწუთოს
სოფლის სამღურავი

548

ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანი არს და უპირო!
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო;
დღეს რომე ღხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,
ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო, უწირო.

549

ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი, მობრუნავია!
წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია,
ყოველი ღხინი მუხთლისა კვლავ ისევ საჭმუნავია,
ერთი დრო გრძლად არ შეგრჩების, კარგი სთქვა, გინა ავია.

550

ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა განცხრომასა და შეებასა;
მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა, ვცდილობდი არ გაშეებასა.
ახლა თქვენც ხედავთ აწ ჩემსა მის გამო პირქუშებასა,
გული დაუწვავს სახმილით სულთქენასა და უშებასა.

551

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,
რაც მომებოძა თავიდგან, ბოლო-ჟამ ისევ წამერთო!
მან დამიკვანძა, მუხთალმა, მე რაცა მეხვეწა-მერთო,
მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო.

552

წყეულმან, ცრუმან, მაცდურმან, ფეხთ ქვეშ ილინჭა მომიგო:
პირველად მოყვრად მეჩვენა, ტკბილი რამ სიტყვა მომიგო,
გამეთამაშა, მაცდინა, საცხოვრებელი მომიგო,
რა წამახდინა, გამკიცხა, „რად ჰქენო“, ნიშნიც მომიგო!

553

ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?
სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივეყვარ სადაო!
მამა, დედა, ძმა თვალითა ველარა მხედავს, ა დაო,
ძეთა და ასულთაგანაც გამხადა უღირსადაო.

554

მე საწუთრომან მიმიღო, რაც საბადისი მებადა,
მისგან დარწმუნული მახენი თავსა ზე გარდმომებადა.
ორ-გზით კრულ შემქნა მტერთაგან, ხელთა საბელი მებადა,
მით ვსტირ, თვალთ ცრემლი მიბნელებს, დღენი მჩანს მე ღამეებადა.

555

მშვილდს მომიწივა მუხთაღმა, ისარი გულში მამასო,
არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის „მამასო“.
მან დამიხაგრა გონება და მტერი თავსა მამასო.
ღაფჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი, თუ: ვიშვილებ ამასო.

556

ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია,
სად კაცს არ უნდა, წარიყვანს, ყელზე საბელი უბია;
მისთვის ვსტირ ცხელის ცრემლითა, სველი მაქვს კალთა-უბია.
მე მსურდა ერთი, არ მომცა; ვის არ სურს, მისცა ტყუბია.

557

სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ღახვარი მამადერა.
სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამდერა.
ვით ბოლოკი მქნა ავრე[ხ]ი, ამაყოჩა, ამადერა.
თესლ-აშრეკით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა.

558

შემქნა უშრტო, უნაყოფო, ვით ხმელის ხისა გალია;
გულს დამასვა სამჭედურად, ღახვრად სევდის საგალია;
ზდიან ცრემლნი თვალთა ჩემთა, სწვავეს, ვით თევზთა საგალია.
ასე მიჩანს სრა სამყოფლად, ვითა მფრინველსა გალია.

559

ორგემაგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვაღავს;
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს.
ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისვრის, მშვილდს კი მაღავს.
მას დავნატრი, ვინცა სწორედ სვლად საწუთროს გზას გაჰკვავავს.

560

ორს მიაგებს კაცს საწუთრო, არა ერთსა დანაჯერებს:
ხან მოაწყენს, აატირებს, ხან მოალხენს, ანამდერებს.
ერთნაირად განატაროს, ასე არვის დანაბერებს.
ვით უქმნია მიწა ჭურჭლად, ისევ მიწად განამტვერებს.

561

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ დელავს!
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!

562

ამისთვისა ვარ ფაციცად, ვითა თავს მტერდანასხამი,
მისის ცეცხლით გული ჩემი ვალს ჭირისოფლდანასხამი.
მოწყვეტილა მოსაგრილად წყლურზე წყალი დანასხამი:
გული ასე დაუკუწავს, ვით გალესილს დანას ხამი.

563

ნადვლით დრენი შემიმოკლდა, აღარა მაქვს, დამელია;
ყველა მწარედ გარდამექცა, რაც რამ ტკბილად დამელია.
მძორთა ჩემთა შესაჭმელად მზას არს ტურა და მელია.

აწ წამოვალ მეც თქვენთანა, სად ძმა მიცდი, და მეღია.

564

ვით თავს მივსცე მოსვენება, ვით მივაგო ამო მრბოლსა?
სასიკვდილოდ მივსწურვილვარ, ყელში სული ამობოლსა.
ახალდაბას ნულარ ხარო, მეძახიან, ამო ბოლსა!
აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის ამ ობოლსა?

565

მითხარ, მტერო, დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა?
რად უყვედრე უშობელსა, ბერწობ, ვერა მოიგე-რა?
იმას შვილად ვერვინა სჯობს, დავით ვინც ძედ მოიგერა,
ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი იმით მოიგერა.

566

მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ვზრდი მომდერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა.
თუძცა ენა გასარეკლდა, გული მისთვის გამიზარდა,
მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა.

მგ. მეფის ვახტანგის ამიერ სოფლით მიცვლა და
ქართველთ თავადთა და აზნაურთ რუსთ ხელმწიფის
სამსახურში განწესება

567

აქ ნახეთ წუთის სოფლისა, ცრუ, მატყუარა, ფლიდისა,
მისგან სიბნელე ნათლისა, ზედან გარდაკერა ბინდისა!
ყმანი ვიყვენით კეთილნი მის ცხებულისა დიდისა,
გვწყალობდის, უხვად გვაძლევდის, სწავლით შვილურებ გვზრდიდისა.

568

მას მოგვაშორა მუხთალმან, გზა დაგვიბნელა სავალი,
სად რა გვეშოვნა მუდრეგად, სარგებლით გვთხოვა სავალი!
რაც მან მოიღო, არ ითქმის ჩვენს თავზე გარდასავალი,
თუ გეტყვი, მწარედ გულს დამწვაგ, შემხუსაგ, შემტუსაგ ალი!

569

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო.
ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი წავიდა, შორს გაგვექცაო,
გაფთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მაცა, მაგრა დექ ცაო!

570

მეფე მოგვიკვდა, ვიქმენით ჩვენ მწარედ ოხერ-ტიალი!
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა ბრწყინვა და ჭყრტიალი;
მოგვწყდა წელ-გული, შევექენით, ვით უმხროდ ჩიტმან, ფრტიალი,
დავიწყეთ, ვითა წიწილთა უკრუხობითა, წკრტიალი.

571

მის დროს რუსთა თქვეს: ქართველნო, ეს თქვენცა გაგეგონება,
თვით ქრისტე ბრძანებს: „ძნელია ორთა უფალთა მონება“

იწამეთ ერთი უფალი, თუმცა გენებოსთ ცხოვნება,
ან წადით, ანუ დადექით, თავს ნუ მიეცით ღონება.

572

ჩვენ ოც წელს იქით სტუმარსა ვერ უზამთ თავაზასაო,
შემოგვეწვევის თუ არას, მუდამ ვერ ვაჭმევთ მზასაო.
თუ რომ დასდგებით, ჩვენ თქვენთვის მოვმზადებთ კარგს მაზასაო;
თუ არ დასდგებით, დრო არის მიბრძანდებოდეთ გზასაო.

573

ქართველნი სცდენ და გატეხეს მეფის ვახტანგის მცნებაო:
წინ წაუარეს ბაქარსა, საქმე ქნეს თავის ნებაო.
სწორეთ იმ გზაზედ წავიდნენ, საითაც იყო სნებაო.
არავინ უწყის, მუნითგან ცოცხალი ვინ იხსნებაო!

574

იფიცეს კახთა, ქართველთა: „ჩვენში არ იყოს შურია,
ჩვენ სულ დიდთა და პატარათ ცხოვრება გვაქნდეს ძმურია;
დავსდგეთ, თუ სადმე წავიდეთ, ერთად ვიძებნოთ პურია“.
მეც გავვირვი, მეკეთა, რაკი მას მოგვკარ ყურია.

575

რა იგი ფიცი გარდასწყდა, გულში არ ქონა შურისა,
ხელმწიფეს არზა მიართვეს: „ჩვენ თქვენი ყმობა გვსურისა;
ლაშქარში წასვლა გვებძანოს, დრო არის სამსახურისა!“
ხელმწიფეს ესმა, იამა, ბრძანა მოგდება ყურისა.

576

თავის ვეზირებს უბრძანა, საყმო გარიგდეს მათიო:
თავადთა ოცდაათი და აზნაურთათვის ათიო;
თუ არ აღსრულდენ, კიდევ ათ-ათი მაზე სართიო,
მიეცით თანასწორადა, არა იყოს რა ხლათიო.

577

შურსა რა ესმა სისწორე, ერთობა მან იწყინაო:
რკინა რბილი და ფოლადი, თქვა, განასწორა ვინაო?
მართებელთანა დაგეხსება, ავრიგად შეგვასმინაო,
ათ-ათი ისევ მოგვიჭრეს, სხვა კი მოგვიგდეს წინაო.

578

შური უვარყო, ვისაც რომ ჭკვა ქონდა ნატამალია,
შეჯდა და გარდაეხვეწა, იხმარა ცხენი მალია.
მე მყვანადა ცუდი ჯაგლაგი, მით ვერცად დავემალია,
გაჯავრებული მომიხდა, გარდმომიჭირა ხმალია.

579

შურმან დაჩაგრა და მოკვდა ყაფლანისშვილი ტეტია,
შურმან ციციშვილს ადამას დაარტყა თავში კეტია;
დაშავებული მეც შურით დავიარები ხეტია;
დამბნელებია გონება, თავზე მეხვევის რეტია.

580

შურმან მე დიდათ დამკოდა, ხმალი შემომკრა მისრისა,
მსხვილს შვილებს ყელი დამიჭრა, წვრილები ფეხით მისრისა;
ცეცხლით დამიწო სახლ-კარი, ვამე, ჯავრი მკლავს მის სრისა!
ვით აღლესილი ლახვარი, მით სევდა გულსა მისრისა.

581

მას მეშურნესა პირველად არა აქენდა-რა ძალები,
გამოაჩინა ბოლოს დროს ფარული დანაკრძალები;
გვიმტყუნა, ხორცი თვით ჭამა, ჩვენ მოგვიყარა ძვალები,
ხე ვარჯჯოვანი დაგვახმო, აყოვნა ნაკუნძალები.

582

განაბოროტა კეთილი, შურმან აუბა თვალები.
წინა აღუძღვა ბრმა ბრმათა, არივა გზა და კვალები.
დაბენძლა, დაარიოშა, ოქროს მორივა რვალები.
გარდახდევინოს უფალმან, რაც ჩემი ედვას ვალები!

583

ვით თხასა ცხვარი, მივენდევ უპიროს, მოღალატესა.
წამიძღვა, სამჭმო მიხვენა, თავს წამაყენა ფლატესა.
მითხრა, თუ: „აგერ საფოთლი, კარგია, ვინც იქ გახტესა“.
თვით გახტა, მე შიგ ჩამაგდო, ჰგავს ეშმაკობით ანტესა.

584

შევსცდი და მწყემსსა წ[ა]უველ, გაუდექ მრუდათ ძოვნასა.
აწ დაგჰკარგულვარ თავთათვის, აღარ მოველი პოვნასა.
უძღებებამან რა მიყო, ხედავთ ამ ჩემსა შოვნასა
სიმსუქნისათვის დავიკვლი, ძაღლნი შესჭამენ ქონასა.

585

ავად მომიხდა უმხროდა გაფრენა, ქმნა ნავარდისა!
სად ამოსული ხნარცვითა კიდევ მეორედ ვარდისა;
ვაიმე, მამა-დედისა, ძმის დამკარგავი ვარ, დისა,
ველარ მნახავი მოყვრისა ტან-ლერწამ, პირად ვარდისა.

586

ჩვენი გითხრა სამსახური, სხვა რა გვექნა ამის მეტი;
ათას-შვიდას-ოც-და-ცხრამეტს ხოთინის კარს ვთხლიშეთ კეტი,
ოროც-და-ორს ფინდრიღავანს ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი.
ოროც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შეურყივეთ ტახტის სვეტი.

587

ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვეკრა, თავსა დაგვახვივა რეტი.
მე ჩემს ძმებსა დამაშორა, ლუწისგან დავრჩი კენტი.
მაღლებურხის ციხეშიგან დამსვა კარებ-დანაკლეტი.
მუნით ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა, ფეტი.

588

ფეტვი ბევრი მოვიყვანე, მაგრამ ვერა ვშჭამე მჭადი.
მე მომითხრეს: „მანდედამე ახლა ადექ, სხვაგან წადი!“
ძალ-უნებრივ წამიყვანეს, სადაც არა ვიყავ მწადი,
ვამე ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე გამიმწარდი!

წიგნი ბ

მდ. სიმღერა დავით გურამისშვილისა,
ტყვეობიდამ გამოსვლის დროს
დავითის შესხმა

1

ვინც რომე სახლში შემიშვა, გამათბო, გამამშუშაო,
დამიდგა კარგი სადილი, წინ ღვინით სავსე შუშაო,
მან შემიკვეთა: იმღერე, დავით, ის „ჩემო ყურშაო“.
კვლავ შენ მე რასაც შემიკვეთ, ვიქნები შენი მუშაო.

2

ამად მე ესრეთ შევაწყვე ქება დავითის შესხმითა,
ესე შაირი ბოლო-ერთ ერთმანერთზედა შესხმითა.
„ჩემო ყურშაოს“ სანაცვლოდ ჩახრუხაული ეს ხმითა
მიუთხარ, გამხიარულდენ ღვინისა თასებზე სხმითა.

დავითის შესხმა პირველი

3

მოიქცა დავით კაის სადავით,
ღვთის უღლისაკე მიიღო ქელი.
მალლით დასწივა, მდაბალთ აწვივა,
ერთად შეყარა ვაკე და ქელი;
ადიდა მამა მის ქნარის ხმამა,
ქე – სიტყვა მისი – ძალთა მოქმედი.
ქე დავითს რქადა ღმერთმან უქადა:
რქა აღგიდგინო, მით მტერთა რქენდი.

4

მამას ვსახ ძირად და ქეს შრტოდ პირად,
ვით უსახევედა მას მამის გვერდი,
დავით ახევედა და მას არხევედა,
შრტო მაიწოდა ზეიდამ ქვემდი,
ითვის-იტომა დავითის შტომა,
რქად აღამორჩა თვისი გამრქედი:
მოება ზედა, აღზარდა ძედა
მან მზრდელი, თვისი, მით მიხვედა ბედი.

5

ვითა ნამყენი, გამოსაყენი,
უკვდავებისა ხილთ მოსართლვედი,
უგბილთ იხილეს, არად იხილეს,
მოჰკვეთეს, ჰკადრეს: „ავს ხილს იბემდი“.
იგ მოკვეთილი, ნაყოფ-კეთილი
ისევ განცხოველდა, მე მით ვილხენდი,
მტრით დაცემული, ცეცხლს მიცემული
საგრილ-საჩრდილად მე მას ვირხევედი.

6

მან დამაყენა, წამოაყენა
მან მზეთა-მზემან შარავანდელი,
ბნელში მგდებარე გამოვედ გარე,
ვითა დავლამდი, ისევე გავსთენდი!
ძე მოგვებოძა, გვესვეტ-გვებოძა,
მე დაქცეული მისგან ავშენდი,
დავითს, დავითო, მიხამდა ვითო,
ვერეთ ნუგეშსმცა და მად ვაქებდი.

7

დავით არ ვაქო, მკითხონ, რა ვარქო;
კაცო, შენ იყავ გიჟი თუ ბრძენი?
ვაქებ მიტომა, დავითის შრტომა
ზედ გამოიბა კარგი ყურძენი.
ვინც იგი ჭამა, ღმერთი იწამა,
ბერთა და ბერწთა მისცა სულ ძენი;
მით აღიშენეს და დაიშვენეს
სახლ-კარ-მიდამო, გარე ფუძენი.

8

დავითს უროკავს, მე არ მიროტავს,
მართალი მითქვამს, რაც მსმია თქმული;
მის სანუფქადა, რაც მას უქადა,
ღმერთმან უბოძა, აღხდა აღთქმული;
მას მისცა ძენი, ჭკვიანი, ბრძენი,
ქვეყანაზედა ქებით განთქმული,
მის შრტოთა ხილი, ბრმათ თვალთ ამხილი,
სვიმიონისა მკლავთა აღქმული.

9

დავითს მროკავსა შეუმკობ კავსა,
რასაც კავითა ქვე იგ იწოდა,
მისთვის ფუნდრუკი, ვითა გუნდრუკი,
სთნდა, ღვთის წინაშე მს[ხ]ვერპლად იწოდა.
სულლო ცოდვილო, ხორცთ დაკოდილო,
გიჯობს მაღამად შენ იგ იწო, და,
შენ მან გაგკურნოს და არ დაგკრულოს,
ვინც შენს ნაქნარსა სასწვრით გიწონდა.

10

დავით ისამა, მან განისამა,
არამთუ იგი ერთი დაკარგა;
ბობღნით, ებნითა, ჰპოვა ძებნითა,
სამად ერთი მზე მოგვეფინა კარგა.
როკვით-სამებით, ცხონდა სამებით,
თქვა თუ: დასია ღმერთად არ ვარგა!
სანამდის რეკა, კერპნი გარეკა,
თან განატანა თავიანთ ბარგა.

11

დავით რჩეულმან, ღვთის მიჩნეულმან
მტერთა სარქვენლად ძე რქად ქადაგა;
იგ დაიხარა, მისგან იხარა,
ვით ძირი თვისი შრტოზე რქად დარგა!
ბეთლემს დაბადა, კანას დაბა, და,
ვინ წყალი ღვინოდ განაბადაგა,
ღმერთი გვაცნობა, კერპთა თქვა ჯმნობა,
ილეკრო აღნო, ხე წვა, ქვა დაგა.

12

დავით ღვთის ქებით, შურდულის ქვებით,
იქმნა შეჭურვილ, გმირთა მჯობნელი,
ფსალმუნთ გალობით და ღვთის წყალობით
მტერთ საქმე უყო, დასაჯა [ბნელი];
ქნარ-წინწილ-ებნით მან პოვა ძებნით,
რომელიც გვაქვდა ჩვენ საძებნელი,
მოგვფინა მზედა ღვთის სიტყვა ძედა,
მან განგვინათლა სავანე ბნელი.

13

დავით ქნარებით ბუქნა ქნა რებით,
სჯულის კიდობანს უროკა წინა:
მელქოლამ ნახა, დაგმო, დასძრახა;
მეფე ხლტის ვითო ყრმა პაწაწინა;
ცოლმან გაკილა, ქმარს ეთაკილა,
წყრომით რქვა: ვროკე მე იმისთვინა,
ვინც უმეტესად, მე უკეთესად
მამის-შენის წილ ტახტზედ მაჯდინა.

14

და კურთხეულ არს უფალი, რომელმან გამომირჩია,
უფროს მამისა შენისა ღირს მყო და მე მიმიჩნია
დაცადგინებად, მფლობელად ერისა ისრაელისა.
ამად ვმღერ უფლის წინაშე, ვარ შუშპრად მშლელი ხელისა.

მე. ოდეს დავით გურამისშვილი
კისტრინის ომში ცხენითურთ ღიაში დაეფლა,
იმის მონასიბად ღვთის-მშობლის შესხმა

1

ჩემ საყვარლის მომყვანელო ძედ, მარიამ ქალო,
სახით ოქროს სასანთლეო, ლამპარ-განუმქრალო,
ზმირინ-გუნდრუკო საკმეველო, საყნოსეღად ალო,
ქალწულთ გვირგვინთ სამკაულო, თავ-ჯიღოანთ ალო,
უსასყიდლო მარგალიტო, ძვირფასისა თვალო,
ანთრაკ-აღმას-საფირონო, იაგუნდო-ლალო,
ცხოვრების წყლის იათულო, ოქროვ, არა რვალო,
მასვი წყალი და მაპკურე, ცოცხალ-მკვდარი ვალო!

2

ზეცად გესავ, ერთო ღმერთო, ქვეყნად ერთ-უფალო,
ყოვლად წმინდავ ღვთის-მშობელო, დიდო დედოფალო,

ცოდვის ღიას უკუვარდი ღრმად შიგ დაეფევალო,
თუ შენ მე არ აღმომიყვან, ძნელად აღმოვალო,
თაყვანსა გცემ, გეაჯები, ვითხოვ შემიწყნარო,
მიმკვდარებულს მამაშველო უკვდავების წყარო;
მასვა, მკვდარი განმაცოცხლო, შენს ძეს შემამყარო,
ვით წესია საყვარლისა, ტრფიალს შემაყვარო,
მანენ-მაცდურს განმარიდე, ძელო, ქრისტეს ჯვარო!
ჩემი ცრემლი ზედ იდინე, ცხოვრების წყლის ღარო,
გაუფთხილდი, ცუდ-უბრალოდ არცად დამიღვარო,
დავითს წინ ძღვნად წარუმიძღვარე, ღვთის ძღვენთ წინამძღვარო!

სხვა ხმა

მოწყალების კარო, შენს ზღურბლს მოვეკარო,
უსახლკარო ვარო, ვითხოვ, შემიფარო!
ვით მოწყალე ხარო, ცოდვილთ მეოხარო,
რაც მე მოგითხარო, შენ მით განმახარო,
მასუმრ-მამასხარო, მაცინ-მახარხარო,
დავითის მტერთ ხარო ძირით აღმოსთხარო!

მე. ხარებობის დღის შესხმა:

„ახა წმინდა კოპალეს“ სანაცვლოდ სამღერალი

ქალ-ქალწულმან მარიამ წმინდად თავი ატარა;
ყოვლის კაის საქმითა თავი ღმერთსა აყვარა.
ოცდახუთს მარტს გაბრიელ ანგელოზმან ახარა,
ზეგარდამო მოკითხვა ჰრქვა: ყრმა შვაო პატარა!
ქალწულს ძნიად აღუჩნდა, შეკრთა, განასადარა:
„მამაკაცი არ ვიცი, ეგ მოხდების რაგვარა?“
მან რქვა: „სულის წმიდითა ძალ-მადლისამ დაგფარა!“
კვლავ ქალწულმან მადლობით ღმერთსა ხელი შეყარა:
„სიტყვისაებრ შენისა მეყავნ“, – სხვა არა თქვა რა.
ვსთქვათ იმ ყრმისა შობითა დაგვემართა სარფა რა.
გაიზარდა აწ ყრმა რა, სცა და კერპნი გაყარა,
თვით შეგვექნა ღმერთადა, დაგვიცო და დაგვფარა,
განიყიდა, ჯვარს ეცვა, ჩვენთვის სისხლი დაღვარა.
რასაც ვაღიოთ დაგვიხსნა, მის ვახშს გვთხოენ აღარა.
განიყიდა, ჯვარს ეცვა, ჩვენთვის სისხლი დაღვარა,
რასაც ვაღიოთ დაგვიხსნა, მის ვახშს გვთხოენ აღარა.
რასაც ვაღიოთ დაგვიხსნა, მის ვახშს გვთხოენ აღარა.

მზ. ღვთის-მშობლ[ი]ს მიცვალების
დღის შესხმა

1

გიხაროდესთ ანგელოზთ დასნო
და წმინდანო თქვენ ბევრად ასნო!

2

დედოფალი მეუფის დედა
ქვეყნით ზეცად აღმოვალს თქვენდა!

3

მოციქულნი ტყეებით, გოდებით,
მგლოვარენი სახმილთ მოღებით,

4

ცრემლოვანი უძღვიან წინა
აღტაცებულს ღრუბელთა შინა!

5

დედამ სული ძეს მისცა ხელთა,
მეშინისო ჰაერის მცველთა:

6

ქემან დედა ჰაერთა შინა
არავისგან არ შეაშინა.

7

აღახვენით, მთავარნო, ბჭენი,
მოვალს ნუგეშთ-ცემანი თქვენი,

8

სანატრელი აწ თქვენ მიერი.
პატიოსან და სახიერი!

9

ვით მოსიანთ დასაქადები
კიდობანი სჯულთა სადები;

10

ვით კარავი იგ წამებისა,
სახლ-საგანე არს სამებისა;

11

დედოფალი ღვთისა-მშობელი,
მოწყალების კართ არ მსშობელი,

12

ვით აბრამის ვანი, კარავი,
ეგრეთ მცველი, ჩვენი მფარავი.

13

ღვთის დედა არს სჯულთ კიდობანი,
ძისა მიერ აქვს წმინდობანი!

14

მისთვისა გვაქვს ჩვენ მინდობანი,
ქვეყნად მისგან არს მშვიდობანი.

15

მისგან დამცრდა გულთ-დიდობანი,
მით განწესდა ძმობა-დობანი;

16

ავის საქმის ჯმნა. რილობანი;
უშვერთ სიტყვის ხმის კმინდობანი!

17

უგალობლით მას მგალობელნი
ბობლნით მწყობრით, ტკბილად მხმობელნი!

18

დავით მეფე ქნარ-წინწილითა,
როკვით, ცეკვით, წინა-წინ ვლითა,

19

უგალობდეს სჯულთ კიდობანსა,
ქნარს ეტყოდეს აწ თვითონ ბანსა!

20

ღვთის-მშობელო, ვადიდებთ შენსა
მიცვალების შენისა დღესა!

21

ჩვენ გამოვსთქვით შენი გალობა,
შენ ყავ ჩვენზედ შენი წყალობა;

22

გვითხოვე შენს ძეს საყვარელსა,
ნუ აგვხდის ჩვენ ღვთის საფარველსა;

23

ცოდვა ჩვენი შესცვალოს მადლად,
წაგვიყვანოს ჩვენ მანდ პირ-ნათლად!

მწ. თავისის ცოდვის მოგონება და
სასინანულო სიტყვები
დავით გურამისშვილისა

1

ვაძე ცოდვილს და უნანელსა,
კეთილთ საქმის მე უქონელსა,

2

მიქცეულ ვარ სამღვთოს გზისაგან
ჩვეულებით ავის ზნისაგან:

3

ცოდვის მყვარ ვარ, არა მადლისა;
ბნელისა და არა ნათლისა.

4

ვითარ წარვსდგე სჯად ღვთისა წინა,
ვით დავმკვიდრდე წმინდათა შინა,

5

ვით იქნების ჩემი ცხოვნება
ზაკვით საგსე მაქვს მე გონება!

6
მე საწყალი დაღონებული,
ცოდვისა ვარ დამონებული;

7
ტკბილად მიხანს ცრუი სოფელი,
წუთი ანაზდისა მყოფელი.

8
ვამე, ვამე, სულო ცოდვილო,
ხორციოთ დაჭრილ და დაკოდვილო!

9
არა გაქვს რა შენ მოსაწონი,
ქრისტეს სასწვრიოთ შენ ასაწონი.

10
რაც იმრუშე, აქ შენ ისიძვე,
მუნ სასწორსა ზედა ისი ძე.

11
აწ ნუ გძინავს, ადექ, იღვიძე,
შუვადამეს მოვალს ის სიძე:

12
არ დაგიშტრეს შენი ლამპარი,
სამეუფოს დაგეხმას კარი;

13
თვალოთა ცრემლი შენ აწანწკარი,
ნუ ხარ[ო] გვეს-გლისპის მზაკვარი,

14
თუმცა გსურის სულის ცხოვნება,
დავით რაც გრძქვა, გხამს გაგონება!
თუმცა გსურის სულის ცხოვნება,
დავით რაც გრძქვა, გხამს გაგონება!
დავით რაც გრძქვა, გხამს გაგონება!

მთ. აღდგომის დღეს ყრმათაგან სამღერელი

1
აღდგა ქრისტე და აღმოიყვანა ადამიანი!
ბრალეულები, ბნელშიგან ბმუნნი, ბორგლინიანი!
აღილუია, აღილუია, აღილუია!

2
გვერდ განგმერილმან გვაპკურა სისხლი, გვეყენა გრილოვანად,

დამღერდეთ დაბდაბს, დავითს დურდუქს, დიდ-დიდროანად,
ალილუია, ალილუია, ალილუია!

3

ევას ელხინა, ეროდიასა ელდანი ეცა:
ვამე, ვიწვიო, ვერას ვიტყვიო, ვისსნები ვერცა!
ალილუია, ალილუია, ალილუია!

4

ზრუნავს ზარგანხდით, ზარობს, ზუზია ზატიკობასა,
ჭერნი [ჭ]ეტყოდენ ჭეროდიასა ჭეშმაკობასა!
ალილუია, ალილუია, ალილუია!

5

თამაშ-თულობით, თავის თხოვნით შენ, თავხედო, ბრიყო,
ირონო ირო, იონე, მოჰკალ, იმან ეს გიყო!
ალილუია, ალილუია, ალილუია!

6

კაპას-კახპობით, კაის კაცის კვლად, კადნიერებით,
ლექს-ღვინით მთვრალსა, ლხინად მჯდომარეს ღმობიერებით,
ალილუია, ალილუია, ალილუია!

7

მეფეს მოსთხოვე: „მოჰკვეთე თავი მართლის მეტყველსა“.
ნუ გიკვირს, მის წილ ნაცვლად მიეცე ნავთთ ტბას, ცეცხლს მწველსა!
ალილუია, ალილუია, ალილუია!

ობოლნი

1

დიდება შენდა უფალო, შენ[ა] ხარ კაცთა მოყვარე,
გეაჯები, რომ შემინდო, მე ვისაც რამე მოვპარე!
თუძცა გვარდუცი ვერცხლითა ვავსე, ყელამდინ მოვყარე,
ისევ ცუდ იქმნა ჩემთვისა, გვარდუციით ვერ წამოვყარე.

2

ცრუვმან საწუთრომ რაც მომცა, ისევ იმანვე წამართო,
ვით ხმელი შეშა საწვაგად მე ცეცხლსა ზედან წამართო;
აწ რითღა უნდა კეთილად მე ჩემი საქმე წარვმართო.
ან ისრაელად რით გაგხდე, ან რითღა მე ვიწარმართო?

3

ღმერთო, შემინდე აწ ჩემი ნაქნარი ცოდვა და ბრალი;
შორს განმარიდე ურიგო მე საქმე ფინთი და მყრალი,
შენ დამიმშვიდე მე გული ღრძუვი, ფიცხელი და მწყრალი,
რომ არ შევიქნა ღვინითა მე ჭირვეული და მთვრალი.

4

ვაი, თუ მოვჰკვდე ცოდვილი კაცი ავის ზნით მე ზრდილი,
წამერთოს დღენი მზიანი, ღამენი ცა-მოწმენდილი;

მდგომარეს ზღვისა ჭვრეტანი, ცა ვარსკვლავ-მთვარით ჭედილი.
უკეთეს ვნახავ ვედარას ხორც-მკვდარი, სულ-წარწყმენდილი.

5

ვაი, თუ მოვკვდე უმაღლო, შევიქნა ცოდვის ზიერი,
დავკარგო ხორცის სიმაძღრე, სულითაც ვიქნა მშიერი;
მისთვის მომადგეს რისხვანი ზეგარდმო, ღვთივ ზეციერი,
სრულად წამერთვას ქვეყნადა, მე მაქვნდეს რაც ნივთიერი.

6

ვამე, თუ შორს გზას წავიდე, საგძლად ვერა-რა წავილო,
წინ მებაუენი დამიხვდენ, რაც მთხოონ, ის ვერ გავილო,
ქრისტეს წინ წავდგე ქედ-დრეკით, თავი ვერ მალლა ავილო;
სასწორში ცოდვა დაჭარბდეს, უმაღლომ ვერ გარდავილო.

7

ვამე, თუ ჩემი სიკვდილით გული არავის სტკიოდეს,
გულ-უმხურვალოდ ტიროდეს, განგებ ხმამაღლა კიოდეს,
უბრალოდ იწირპლებოდეს, ცრემლი არ ხარბად ზდიოდეს,
რა მნახოს თვალებ-წუხილი, ჩემზედ ავს რასმე ჩიოდეს.

ნ. სიმღერა ქალ-კახეთის ჯვარობას
სანაცლოდ სათქმელი

ყრმავე, გონება უგუნური აგონიარეო,
თავს ნუ გახდი უღონოდა, აღონიარეო;
იქით-აქეთ მიიხედე, ათვალთიარეო,
სცან საწუთრო მუხანათი, საღმობიარეო.
არს გზა ვიწრო, ორმო-ხნარცვი მოგანიარეო,
გაუფთხილდი, არ ჩავარდე, ამოდ იარეო,
ნუ გახდები უფალთანა გულმანკიარეო.
გულმობილად ენა-პირი აღმობიარეო,
შეიყვარე საყვარელი, ანებიარეო,
არაფერი მიაყენო საუდიარეო;
რაც გეცოდოს, შეინანე, მღრდელს აღიარეო;
ილოცე და იმარხულე და ეზიარეო,
არ შესცვალო უბედურად საბედნიარეო,
დავით რაც გპრქვა შვენიერად, აშვენიარეო.

არ შესცვალო უბედურად საბედნიარეო,
დავით რაც გპრქვა შვენიერად, აშვენიარეო,
დავით რაც გპრქვა შვენიერად, აშვენიარეო.

ნა. სიტყვა ესე ღვთისა

სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი და სწ[ა]ვლა საყვარლისა,
ღვთისა და კაცისა ძისა, ყრმათათვის სიმღერად – „ეეო,
მეო, ქალო ქალთა-მზეო“-ს სანაცლოდ სათქმელი

1

ეეო, მეო, აქეთ მომხედეო,

რას მომითხრობს საყვარელი, ყური დაუგდეო!

2

არავინა არს უფროსი ღვთისგან უდიდო,
ღვთის სიტყვასა – კაცთა ძესა – სიტყვას მისმენდო.

3

გზასა რომელსა ხვიდოდე, წინ დაიხედო,
ფათერაკიანს საფრხესა არცად ჩავარდო.

4

თავს ასეთზედ ნუ იხარებ, ბოლოს ინანდო;
ასეთს ნურას მოივაჭრებ, რომ დასზიანდო.

5

მცან, მე ვარ შენი მოყვარე, შენ მე გიყვარდო,
ნურაოდეს დამივიწყებ, მუდამ გახსონდო.

6

ვინც გირჩევდეს ჩემს გაყრასა, ჰკარ და განაგდო,
ვინც მე მომდევს გაუყრელად, მეც იმასა ვზდო.

7

მე სულ ყოველთვის შენი ვარ, თუ შენ გინდოდო:
ვარ ჭირნანახი შენზედა, თორემ რას დაგდო.

8

თუ არ იცი, რაც მიქნია, გეტყვი, იცოდო,
რომ შენც იმის სანუფქოდა საქმეს იქმოდო.

9

ოდეს მამით და სულითურთ ძემ ვიმოქმედო,
მიწა-წყალი და ქარ-ცეცხლი ერთად შევმზადო.

10

ჩაგბერე სული ცხოველი, კაცად გავხადო,
ქვეყნად ყოვლი ნივთიერი, რაც რომ დაგბადო,

11

კაცის სახმარად გავხადე, სულ წინ დაუდო;
ყველას მოვრივე სიბრძნითა, რასაც შევსჭიდო.

12

კვლავ დედაკაცი შემწედ მას უქმენ, უმზადო,
დავარქვი ორთავ სახელი, განუზოგადო.

13

კაცსა ადამ და დედაკაცს ევა უწოდო,
დავსხი სამოთხის ბადშიგან, მცნება დაუდო.

14

უთხარ, ყოვლის ხილისაგან იმ ერთს არ სჭამდო;

თუ შეშტამე, უსაცილოდ სიკვდილით მოკვდეო.

15

მცნებას გარდახდა, შეტამა; გავსწყერ, განვაგდეო,
ადამ დავსწყევლე: ჭირით და ოფლით პურს შტამდეო;

16

კუროსთავთა და ბალახის თესლით რჩებოდეო,
მიწა იყავ და მიწადვე იქცე, გამიწდეო.

17

ევა დავსწყევლე: შენ, შვილთა კენესითა შობდეო,
ქმარს აქვნდეს შენზედ უფლება, შენ უმცროსობდეო.

18

რა საფარველი ნათლისა გარდაგეხადეო,
თავიანთ ნება ვამყოფე, ყური დაუგდეო.

19

ადამ მიუთხრა სატანას: თუ რამ იცოდეო,
ეგასა სტკივა მუცელი, წამლად დანადეო.

20

სატანამ უთხრა: მაგისი ჩემზედ მააგდეო,
მე შენ რაც გთხოვო სახსრადა, იმას მომცემდეო:

21

სული გირაოდ მომეც და ამას დასწერდეო,
თავით, ცოლითა, შვილითა ნათესავამდეო,

22

სანამდისინ უშობელსა შობილად ვსცნობდეო
და უკვდავი მოკვდებოდეს, მანამ შენ გყვანდეო –

23

ადამ მიუგო: ეგრეთ ვყო, ვით შენ ითხოვდეო!
მიჰყიდა სული, ჩავარდა ჯოჯოხეთამდეო.

24

შემბრალდენ, გული გამწყრალი მე დავიმშვიდეო,
ქვეყნად წყალობის თვალითა გარდმოვიხედეო.

25

მო[ე]ლინდი სიტყვა მამისად, ძედ დავიბადეო,
განგაცდი, ქვეყნად ვიარე და განვიყიდეო;

26

ვისაჯე ნებსით, ჯვარზედა გარდმოვეკიდეო!
მოვჰკვდი, სისხლითა ჩემითა ბრალი განვსწმინდეო!

27

მამამან ჩემან მადიდა, ვით ძემ ვადიდეო,

ადამის აღნადგინები გარდავიხადეო.

28

საფლავით აღვსდეგ, სიკვდილით სიკვდილი ვსთურგნეო,
ჯოჯოხეთშიგან სატანა რისხვით მივბნიდეო;

29

დავაბი მაგრის ჯაჭვითა, ცეცხლსა, ნავთში ვსდეო,
მარჯვნით დაუსვი იუდა, მარცხნივ ეროდეო;

30

მიველ, ადამს და ევასა ხელი მოვკიდეო,
აღმოვიყვანე სხვანიცა, არვინ დავაგდეო.

31

აწ შენც ადამის ტომი ხარ, მით შემეცოდეო;
სოფელსა შინა პატარა ხოჭიჭით ეგდეო.

32

მიგიდე, ძიძას მიგვარე, ძუძუს მოგკიდეო;
გასვი, გაჭამე, ჩაგაცვი, ჩხვილი გაგზარდეო;

33

გასწავლე, გაგაოსტატე, კაცად გაგხადეო,
მოგირთევ ზე-ქვე სავანე, ცოლიც გიბედეო..

34

ჯერეთ ქვეყანად ცოცხალი, გითხარ, ცხოვრებდეო,
მერმე რა მოკვდე, ზეცადა განისვენებდეო.

35

რასაც მე შენთვის გავსჯილვარ, ვითარ მოვსთვლიდეო!
აწ მე როგორ არ მეწყინოს, წახდე, გასცრუდეო?

36

მე დამთმო, აღარ მინდომო, სხვას მიუხვიდეო,
ან მტერმან სადმე დაგორუგნოს, მოჰკვდე, წამირწყმნდეო!

37

აწ ნუ ხარ გაუბედავი, გიჯობს, გაბედეო,
გაქსუებული ნუ ხვალ შორს, ახლოს მამენდეო.

38

ნუ გრცხვენის ჩემთან მოსვლისა, ნუ დამერიდეო,
თუ ჩემს საწყენსა რაშიგმე თავი ჩანაგდეო.

39

ან გემთხვა რამე სოფლისა, მით დაიკოდეო,
აწ ეს არს მისი წამალი, წყლულზედ დაიდეო:

40

ჩემს სახლამდის მოაწიო, ამდენს ეცადეო,

რაც მაწყინე, მისი მითხარ: გცოდე, შემინდეო!

41

თუ გულ-მხურვლად ეს ბოდიში შენ მაიხადეო,
მერმე შენი განსვენება ჩემზედ მოაგდეო.

42

თუ ვითარ გაგაყმაწვილო, აღარ დაბერდეო,
არა გაქვნდეს რა საჯავრო, სულ იხარებდეო,

43

თუ არ სხვას ვისმე უცხოთა, მარტო მე მხადეო,
ეს ყველა შენთვის მზა არის, რაც რომ გიქადეო.

44

მე შენ სხვას არას გენუკვი, ღმერთი ადიდეო:
მე შენთვის ნებისთ მომკვდარსა მამიგონებდეო,

45

მაგ ჩემს წერილსა წიგნებსა წაიკითხედეო.
რაც რომ ანდერძად დამეგდოს, აღასრულებდეო:

46

ღარიბს აჭმევდე, მშიერსა მწყურვალს ასმევდეო,
შიშველს შემოსდე უძღურსა, სნეულს ნახევედეო.

47

საპრობილეში მჭმუნვართა ნუგეშსა სცემდეო,
პატიმარს, ტყვესა, უცხოსა შეიწყნარებდეო.

48

შეიმსუბუქე ცოდვანი, ვირემ ავსწონდეო,
ასეთის სახით მეჩვენე, გნახო, მამწონდეო.

49

ასეთს ცოდვილს ნუმცა გნახავ, რომ გაგირისხდეო.
მაქვს საპრობილე ასეთი, თუ შიგ შეგაგდეო,

50

დაუმრეტელის ცეცხლითა უნდა იწოდეო.
გჭამდენ გველნი და ბაყაყნი, მატლში ეფლოდეო,

51

ეშმაკნი ცეცხლის მათრახთა გცემდენ, მიძახდეო:
ვაძე დავიწვი, მიშველე, ღმერთო, მომხედეო!

52

ნუ გონებ, კიდევ ხელახლა ვიშვა და მოგკედეო,
ან მისებრ ჯოჯოხეთშიგან მეღა მოვიდეო;

53

ან, ვით მამა-შენს აღამსა, ხელი მოვკიდეო,

ისე შენ ხელი მოგკიდო, ან შამებრალდეო.

54

უნდა იყო და იტანჯო უკუნისამდეო,
დავით, მისთვის მოგახსენებ, ამას უფროთხოდეო!

55

ისევ ხორციით შეინანე, რაც ხორციით სცოდეო,
თორემ სულით ვერას ირგებ, შენ ეს იცოდეო!
დავით, მისთვის მოგახსენებ, ამას უფროთხოდეო!

56

თორემ სულით ვერას ირგებ, შენ ეს იცოდეო,
დავით, მისთვის მოგახსენებ, ამას უფროთხოდეო!
დავით, მისთვის მოგახსენებ, ამას უფროთხოდეო!

57

ადექ, ადექ, ნულარ სწევხარ, ზეზედ წამოჯეო;
თავს გეველების ქურდ-მპარავი, მას უდარაჯეო.

58

გაუფროთხილდი, არ დათხაროს შენი საუნჯეო,
მღილთ საჭმელად რად ინახავ, გახსენ, დახარჯეო;

59

ორი გივის სატრფიალო, ორივ გასინჯეო,
რომელიც ჩნდეს უფრო მკვიდრად, მას ებლაუჯეო.
რაც რომ დავით შენ გასწავლა, მაგრა დაბლუჯეო.

60

რომელიც ჩნდეს უფრო მკვიდრად, მას ებლაუჯეო,
რაც რომ დავით შენ გასწავლა, მაგრა დაბლუჯეო.
რაც რომ დავით შენ გასწავლა, მაგრა დაბლუჯეო.

61

ადე, ადე, არ დასზარდე, რაც დაგპატიჯეო.
ადე პირი ღვთის საქებრად, ნუ გაიმუნჯეო.

62

ნუ აჭმუნვებ მკვიდრს მიჯნურსა, წუთი დადრიჯეო,
თუ სულით გსერს განსვენება, ხორცი გასარჯეო.

63

რად განშორდი შენსა მსხნელსა, რად დაიხვანჯეო?
ნუ ხვალ გზასა უკეთურსა, ნუ გარდიქაჯეო!
რაც გზა დავით წინ დაგიდვა, მაზედ აბიჯეო!

64

ნუ ხვალ გზასა უკეთურსა, ნუ გარდიქაჯეო!
რაც გზა დავით წინ დაგიდვა, მაზედ აბიჯეო,
რაც გზა დავით წინ დაგიდვა, მაზედ აბიჯეო!

ნბ. სიმღერა ფერხისული „აგერ მიღმარ ახოს“
სა[ნა]ცლოდ სათქმელი

ემშაკეულთ ახოსა ანგელოზმან მნახოსა,
მწეროს ჯვარი ქრისტესი, გულზედ გამომსახოსა;
თვისი მჭრელი ღახვარი ლესოს, გაიმახოსა;
ჩემს მტერს გულზედ აძგეროს, არა წყნარად ახოსა.
შეურისხდეს, დათათხოს, მჭახედ შეუძახოსა,
განეცალე, განშორდი, ნუ ხვალ დავითს ახლოსა,
ნურადეს გაივლი, სადაც ის ესახლოსა.
კაცმან უნდა სიწმინდით თავი შაინახოსა,
არაფერი ბოროტი გულით განიდრახოსა;
თვით ერიდოს საძრახავს, სხვასა არა სძრახოსა,
ვით სწადს სხვამ არ უმარცხოს, თვით სხვას არ უმარცხოსა,
რაც თვით ეხნას-ეთესოს, ანუ დაეფარცხოსა,
ის მოიმკოს, გალეწოს, დაიფქოს და აცხოსა.
უნდა კაცმან კეთილად სწავლა შეირაცხოსა,
ათის მცნების სიტყვები გულში დაიმარხოსა,
გულთმოდგინედ ისმენდეს, დავითს რაც ეჩაღხოსა.
ათის მცნების სიტყვები გულში დაიმარხოსა,
გულთმოდგინედ ისმენდეს, დავითს რაც ეჩაღხოსა,
გულთმოდგინედ ისმენდეს, დავითს რაც ეჩაღხოსა.

ნგ. ოდეს დავით გურამისშვილი
ბრუსიაში დატყოვდა და თუ რამ
აქენდა თავისი საცხოვრებელი,
ისიც დაეკარგა, იმისთვის
ტირილი

1
ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი
მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე,
ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი,
ასეთი საქმე მე მოგიგვარე!

2
გავხდი გლახაკი და დავრდომილი,
თუმცა საწუთროს მოვიანგარე;
ვარ ცარიალზე მე დაჯდომილი,
საუნჯისაგან კარს გარეთ მდგარე.

3
დავჰკარგე იგი ოქროს ბეჭედი,
რომლით ნიშნულ არს ჩემი შვებადი,
აწ მექცევიან ვანი გებადი
მე საუკუნო განსვენებადი.

4
სიზმრად ვიხილე, კარს გარეთ ვრეკდი,
ქორწილში შესვლად შიგნით ვიწვედი,

ქრისტე, მიბოძე ასეთი ბედი,
შენსა მას ქორწილს მეცა მიწვევდი!

5

მტერმან განმძარცვა მე შესამკელი,
ტანთ საქორწინე შესამოსელი,
ვა, თუ მით ვიქნა გარეთ მრეკელი,
ქორწილსა შინა ველარ შემსვლელი!

6

შენ ხარ, უფალო, აწ ჩემი მშველი,
ქრისტევ, შემმოსე მადლით შიშველი,
პეტრე და პავლე, სამოთხის მცველი,
ნუ მექნებიან კართა დამხშველი!

7

ნუ გძინავს, სულო, აწ განიდვიძე,
რომ არ შეიქნა ლამპარ-შრეტილი,
შუადამისას მოვიდეს სიძე,
გარეთ არ დარჩე კარ-დაკლექილი.

8

ნუ ხარ სულელი, ზარმაც-უდები,
არ დაგეკარგოს ქრისტეს ქორწილი,
ნუმცა იქნები წილდაუდები,
საინახისა არ ირგო წილი.

9

ვამე, ცოდვილსა და უბ[ა]დრუკსა,
მე ვინ მადირსებს ასეთს მაზმანსა,
რომ დამიგრეხდეს სანთლის პატრუქსა,
ან ზეთს მისხემდეს ჩემს მქრალს ბაზმანსა!

10

ვარ მე მტერთაგან მწარედ გაცრცვილი,
ტანთ საქორწინე საცმელთ ხეული:
სულ დამკარგვია ზეთი და ცვილი
და საკერასე გორგლად ხვეული.

11

ქრისტევ, განმკურნე ბრმა-ყრუ-საპყარი,
რომ მე აგინთო ბაზმა-ლამპარი,
მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი,
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!
მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი,
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!
რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!

ნდ. მეორე დავითის შესხმა

რუსულის სიმღერის ხმა: ნე დამ პოკოიუ,

პოიღუ სტაბოიუ.

1

აბრაჰ[ა]მის ღმერთი, საბაოთი ერთი,
მოქმედი ყოველთა მკვდართა და ცხოველთა,
ყოვლისა მპყრობელი,

2

არს ჩემი გამჩენი, შემნახავ, დამრჩენი,
მე იგი მრწამს მამად, არ ქაჩალი მამად.
დამბადებელს ვესავ!

3

სასოებას მამას დავით სთხოვდა ამას:
მამა, შენი ძეო, ვითხოვ, მიბოძეო
შესავედრებელად;

4

სული-წმინდა ფარვად თავს მადგიო კარვად!
ღმერთს სთნდა დავითისა, ისმა სიტყვა ღვთისა
ზეგარდამო ქვეყნად.

5

მოსცა სათხოვარი, ქრისტე მაცხოვარი,
სადიდებლად ღვთისა, ძე იგ დავითისა,
ჭეშმარიტი ღმერთი.

6

ფრიად საყვარელი, მცველი და მფარველი.
მან დაგვიდვა სჯული, დახსნა დახვანჯული,
ჯვარს ეცვა ჩვენთვის!

7

მე მისთვის თავს ვიდებ, ვაქებ და ვადიდებ,
მრწამს და აღვიარებ, ვდგები თუ ვიარებ,
უგალობებ მე მას!

8

მდიდარ ვარ თუ მწირი, ლხინი მაქვს თუ ჭირი,
ვიმღერი თუ ვსტირი, ქნარი მაქვს თუ სტვირი,
ზედ დავმღერი ამას!

ნე. რუსულის სიმღერის ხმა:

ჩთო ზა პრიჩინა, ვსედდა კრუჩინა.

1

ისმინეთ ერნო, გულთ მეცნიერნო,
მე დავსძრავ ბაგებს, მოგიოთხრობ კარგებს;
მიგდევით ყური.

2

სიტყვავ ძლიერო, ღვთივ ზეციერო,

თხრობილო მადლით, სმენილო დაბლით
ძედ წოდებულად;

3

კურთხევად ჩვენდა, არ შესახვენად,
ღმერთად ცნობილო, კაცათ შობილო
ქალწულისაგან;

4

უმამოდ ქვეყნით, უდელოდ ზეცით,
რომელ მოვლინდი და ქვეყნად ვლიდი,
იესო ქრისტე.

5

მწყემსო კეთილო, ნაყოფ-კეთილო,
ვარ გახდომილად ცხვარი ცდომილად,
აწ მომიძიე!

6

მოდი საძებრად, ვგდივარ სად მთხრებლად,
გამკურნე ჭირი, მთხრებლს ახსენ პირი,
აღმომიყვანე!

7

დამიხსენ ბნელით, ტანჯვითა ძნელით;
ნუ მიმცემ მგელთა, მატლთა და გველთა,
მელთ შესაჭმელად!

8

ამად გადიდებ, მავნეს მარიდებ,
ხარ ჩემი მყვარი, მრწამს შენი ჯვარი
სარწმუნოვებით.

9

ამად გიგალობ, მე შენა მწყალობ,
ჩვენთვის ჯვარცმულო, საყვარლად თქმულო,
აწ შემიყვარე.

10

აღმიყარ ხელი, მწვავს ცეცხლი ცხელი,
მაპკურე წყალი, დამშრიტე ალი, –
წვა დამინელე;

11

ტკბილო იესო, მხამს განვიღესო
წამლად სასმელად, წლურზე სასმელად
მე სისხლი შენი!

12

შენგნით ვიკურნო, არ დავიკრულო,
არ გაეხდე წბილად, ეშმაკთა შვილად, –
ვიყო მე შენი.

13

შენგნით ხმობილად, კეთილ-შობილად
ვისსენებოდე, შენ მამად მყვანდე
განუშორებლად.

14

ქრისტეს მაცხოვარს, გთხოვ ამ სათხოვარს,
მარიდე ცხოვარს, საცა მგლის ხრო არს,
მისსენ მათგანა.

15

მე დავით ესე ვხან და ვითესე,
ვინ ხართ ჭკვა[თ]მ[ყო]ფნი, ესე ნაყოფნი
ბრძნად მოიმკევით.

16

„არანანინას, თარანანინას“
ესე სჯობია, ღვთის სამკობია:
აღილუია!
ესე სჯობია, ღვთის სამკობია:
აღილუია, აღილუია,
აღილუია!

ნგ. მესამე დავითის შესხმა
პოლშის სიმღერის ხმა

1

აწ მე აღვიძრავ ენასა,
ვადიდებ ღმერთსა ზენასა;
ვიწყო მე გალობა,
მიყოს მან წყალობა.
მან ქმნა ვაჟ-ქალობა,
მისცა ტრფიალობა.

2

მე ჩემს საყვარელს შამყაროს,
არ შემაძულოს, მაყვაროს.
მაქვს ტრფიალთ წილდება,
მწვავს სახმილთ კიდება;
ამისთვის მინდება
ქება და დიდება.

3

დავით თქვა ღვთისა ქებანი,
უკრა ქნარ-წინწილ-ებანი,
ღვთისავე ნებითა
კარგისა მცნებითა
იპოვა ძებნითა!
ადიდა ებნითა!

4

ათძალს ალყანი აუბნა,
უკრა, ღვთის ქება აუბნა;
ორღანოს დაბერა,
ქნარზედა დამდერა,
ფსალმუნი აღწერა,
ღმერთს გული აჯერა.

5

აქებდა ღმერთსა ცათაგან,
ყოველთა მისთა ძალთაგან,
იროკა, ისამა,
საბაოთ იწამა,
მამის და ძისამა
და სულის თქმისამა.

6

სთნდა ღმერთსა ქნართა ხმობანი,
დავითის კარგი ყმობანი.
წინასწრ თქმულია,
ყურითა სმულია,
ვითარ აღთქმულია,
ძედ სახელ რქმულია.

7

მოსცა ძე ბრძენი, ჭკვიანი.
შეიქნა მეფე სვიანი.
ქალწულსა ახარა,
ძედ მუცლად სახა რა,
მადლითა დაფარა;
ყრმა იშვა პატარა.

8

„დიდება მაღალთა შინა
ღმერთსა“ – გალობდენ მაშინა.
ზეგარდმო თხრობილი,
ქვეყნადა შობილი,
კაცთა ძედ მკობილი,
ღმერთადა ცნობილი.

9

იესო ქრისტე სახელად
ეწოდა დასაძახებლად, –
გამოჩნდა მხსნელია,
განათლდა ბნელია!
სახმილი ნელია,
ადარა ძნელია!

10

ხმა გვეხმა გასახარელი:
მოგვეცა ძე საყვარელი!
აწ ერნო იხარეთ,
სიბრძენი იხმარეთ,

რაც მოგცათ, იკმარეთ
ეს ნუ გაიკმარეთ.

11

ძედ სიტყვა ღვთისა მოვლინდა;
კაცთა ძედ ქვეყნადა ვლინდა:
სნეულთა უღხენდა,
ბრმათა თვალს უხელდა,
მკვდართა აღუდგენდა,
წყალს ღვინოდ უქცევდა.

12

ვერ იცნეს, ვეცხლზედ გაყიდეს,
ზურგზედა ჯვარი აჰკიდეს,
გალანძღეს, გაკიცხეს,
თვალ-აკრულს თავში სცეს:
ვინ გცაო? – მას კითხეს,
მათ სისხლი თავს იცხეს.

13

საჯეს, ბრალეულ გახადეს:
ტანისამოსი გახადეს.
უბრალო დასაჯეს,
გოლგოთას ჯვარს აცვეს,
ეკალი თავს ადგეს,
ნადველი მას ასვეს.

14

უგმირეს გვერდსა ლახვარი,
გამოხდა სისხლი და წყალი.
შეიქნა მშობელი
თვალ-ცრემლ-უმრობელი,
გულითა მღმობელი,
ლახვართა მსობელი.

15

დაჯდა სატყებრად, გოდებად,
თავთა ხლად ხე-ქვა-ლოდებად,
გულსა სახმილის მოდებად,
შესაბრალ-შესაცოდებლად.
ვაი, რა შესაზარია
მისი მოთქმა და ზარია!
გოდება ანუ არია,
მოქმელთათვის ყველა მწარია!

ნზ. არია

რომელ არს გოდება,
რუსულად: ახ კაკ სკუშნო.

1

ვა, რა მაქვს დიდი მოწყენა,
სადა არს ჩემი მოლხენა!

მწარედ სახმილით დაგულსა
ლახვარი დამსმია გულსა.

2

ნაწლეგნი, ღვიძლი და გული
შემქნია ცეცხლით დაგული;
პირი შემკვრია წყენითა,
ვერა მითქვამს რა ენითა!

3

მომიხდა მე საზარელი,
სატირი დასაზარელი;
მით დღე მაქვს არ სახარელი,
მომიკლეს მე საყვარელი!

4

სიტყვა – ძედ ღვთისად თხრობილი,
ქალწულისაგან შობილი,
ურიათაგან გმობილი,
შეიქნა ლახვარსობილი!

5

მშობელსა თვისი შობილი,
დაჭრილი, გვერდგაპობილი,
წინ ედვა მუხლზედ მკვდარია,
ზდიოდა სისხლის ღვარია.

6

თავს დასტიროდა მშობელი,
დაწვთ არ ცრემლითა მშრობელი.
ეჭირა ხელით ხელია,
საწყლად გარდეგდო ყელია.

7

ტიროდა: ღვთივ დიდებულო,
შენ ჩვენთვის თავდადებულო,
გიხილუ ჯვარზედ ვნებული,
ხელ-ფეხი სისხლის დებული.

8

ვაი ჩემს თვალთა ჩენასა,
შენს უკან ჩემს დარჩენასა!
ვაი მე ამ დღის დამსწრებსა,
შენს გულზე ხელის დამკრებსა!

9

ძევ, რად გამხადე ოხრადა,
სატირლად და საოხრადა?
ოდეს გიჭვრეტდი შენ პირსა,
უკუვიყრიდი მე ჭირსა!

10

შენ, საყვარელო აწ ჩემო,
სახითა, მზეს მიგაჩემო,
მზევ, ჩახე, შეიქნა ბნელი,
მე საქმე მომიხდა ძნელი.

11

მზევ, წარუალი ნათელი
დამიშრტი, ვითა სანთელი;
დღე დამიღამდი მზიანი,
მით მომივიდა ზიანი.

12

მზევ, შენის პირის სახენი
აწ ჩემი იყო მამლხენი,
შენის პირისა სახითა
გამოხსნილი ვარ მახითა.

13

თავს დამცემია აწ ბადე,
შენ გეაჯები: ამხადე,
ბრმას აღმიხილე თვალები,
მაცნობე გზა და კვალები!

14

ბეო, მე გულით მენება
შენის სახელის ხსენება;
მაგრამ ვერ შესძლო ენამა
და თვალთა ცრემლთა დენამა.

15

ვაიმე, ეს რა ვნახეო,
შენ მიწაშიგან გმარხეო!
შვიდს მახვილს გული ვახეო,
ვსჭრი და იმაზე ვახეო.

16

ადამის წყლურთა შამხვეო,
მისთვის სისხლისა დამთხეო!
წადი, საღბუნი მას ცხეო,
ევა იხსენ და მნახეო.

17

ევა ტირს: ვამე, წავხეო,
მომიხდა ეშმაკთ საფრხეო!
ღვთის მცნებას მე გარდავხეო,
მით ჯოჯოხეთში ჩავხეო.

18

მაქვს სატანჯველი ძნელია;
სახლ-სამყოფელი ბნელია;
ხორცს მჭამენ მატლნი და გველნი:
სულს მიწვენ ცეცხლნი მდაგველნი.

19

ტკივილით ვიდრჭენ კბილსაო!
ვესავ იესოს ტკბილსაო,
რომელმან ივნო ჯვარია,
დანსთხია სისხლის ღვარია.

20

ზეგარდმო სიტყვავ ღვთისაო,
და ქვეყნად ძევ კაცისაო!
მიფონე, გახსენ კრულება,
განკურნე ჩემი წყლურება.

21

უფალო ტკბილო იესო!
გამოთქვა ვინც ლექსი ესო,
შეუნდევ შენაცოდარი,
ნაშფოთი დანაბორგარი!

ნწ. სიმღერა

რომელ არს ამისის ხმის სიმღერა რუსულად:
ნეთუ ზლოსთი ნადომნოიეუ, უმენშით მნე პეჩალ მოიუ.

1

რქვა: დიდება, ღმერთო, შენდა, ცად და ქვეყნად რაც აღშენდა!
დავით ხმითა ნესტვს აფშვენდა, გიგალობდა ვითა გშვენდა:
ღმერთო, მიყავ წყალობა, მე შენი ვსოქვა გალობა;
შენ გაქებდა ყოველი, შენგნით რაც ა ცხოველი, სულს აქშენდა.

2

ჩემსა კაცად მხატველს, მსახველს, რაც მე ძალმიცს, გიქებ სახელს,
შობითგან ბრმის თვალის ამხელს, ის მე მამხელს ჩემსა სამხელს,
არსის საყდრად მჯდომელო, ქება მიუწდომელო,
მზგავსი შენი სადარი ვსძებნე, აქ არცად არი, ვერც ვხვდი მნახველს.

3

ვამე, სიბრძნე არა მაქო! ვით შენ გიხამს, ვითარ გაქო?
შენსა სახელს რაც დავარქო, მტერი ჩემი მითა ვბაქო;
არს ჩემის ღვთის სახელი: მამის თანამძრახველი
ძე, მწე ჩემი არს, ქრისტე, მტერი მიწა დავქიშტე, ხრმლად ის მაქო!

4

მე დამწვარსა და დაგულსა, სახლ-სამკვიდრო დაკარგულსა,
სევდის მჭველიტა გათანგულსა, წასაწყმენდლად გაბარგულსა,
ის მყავს ნუგეშთ მცემელი, მტერთა არ მიმცემელი:
ქრისტე ჩვენთვის ჯვარს ეცვა, მით ნუგეში ჩვე[ნ] გვეცა საწყალს გულსა.

5

გზას მატარე კარგს სატარელს, ნუ ამხდი მე შენს საფარველს;
შემამყარე მე საყვარელს, ჩემის გულის გასახარელს.
ზე სიტყვაო ღვთისაო, ქვე ძევ დავითისაო,

ტკბილო იესო ქრისტე, გაუყრელად მაჭვრიტე ჩემს საყვარელს.

6

შენ ხარ ჩემი ამგებ-მშენი, სიყვარული მე მაქვს შენი;
ამად მინდი: ტურფად შევნი, სუნი გიდის კარგ საფშვენი,
აწ მომფინე სულია, მამით გამოსულია;
მისსენ საყნოსთ კარია, მტერთგან შენაკარია, დანახშენი.

7

მჭირს მე საქმე საკიცხელი, ვერას ვითმენ გულ-ფიცხელი,
მე შენ გცოდე ურიცხველი, მისთვის დამწვავს ცეცხლი ცხელი,
შენ დამასხი წყალია, დამიშრიტე ალია,
მისნელო, კაცთმოყვარეო, სევდა უკუმყარეო! ვარ ჭკვა-თხელი.

8

მე ამ წიგნის გამლექსველი, ტვინთა მფანტველ-გ[ა]მქსაქსველი,
ამად ვსტირ, ვარ ცრემლით სველი, საწუთროს კარგს არას ველი;
ცრუ არს წუთისოფელი, ანაზდისა მყოფელი,
მძმობელი, თუ მდობელი, – არის დაუნდობელი და მძმაცველი.

ნთ. სიმღერა დავითისა: ზუბოვკა

რომელ არს რუსულად ამისი ხმა: კაზაკ დუშა პრავდივია

1

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი.
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი.

2

ვკითხე: მზეო, სიდამ მოხვალ, ხარ სად წამავალი?
გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი;
შენთვის გული ქვათ გარდმექცა, გახდა, ვით კლდე სალი,
მასხი წყალი, დამიშრიტე, მე შენი მწვავს ალი.

3

ხმა გამომცა, გაგულისდა, სიტყვა მითხრა ავი:
„ავო კაცო, ვით გაბედე, შენ მე მთხოვე თავი?
ბულბულთ ნაცვლად ვარდ-კოკობმან რად დაგისვა ყვავი.“
მით ავსტირდი, ცრემლი ვღვარე ზღვათა შესართავი.

4

ასე მითხრა: „ჩამომეხსენ, გამეცალე, მარი,
არ მინდიხარ, არ მიყვარხარ, სხვა მყავს კარგი მყვარი, –
შენგან თვალად უკეთესი, ვაჟი-კაცი ქმარი“.
რა ეს მესმა, ჯავრით ცხვირსა წამედინა ძმარი.

5

მითხრა: „შენგნით ნუმცა მსმია სიტყვა მაგის მეტი“.
აილო და დამიშინა თავში დიდი კეტი.
დავრეცრეცდი, გარდავიქეც, დამეხვია რეტი;
შავ[ვ]ებრალდი, თავს დამად[გ]ა, ვით ბნელს, ნათლის სვეტი.

6

რა მოვბრუნდი, დაიხარა, ხელს მომკიდა ხელი;
ამაყენა, ასე მითხრა: „რად შექნილხარ ხელი?“
მე მიუთხარ: შენთვის გავხდი ასე ჭკვაზე თხელი,
შენ რომ მწუნობ, მით მედების გულსა ცეცხლი ცხელი!

7

მერმე ტკბილად დამიყოვა, კიდევ გამიცინა;
ასე მითხრა: „აქ ნუ ვსხედვართ, გვნახოს არავინა.
ახლა ავდგეთ, ჩვენ წავიდეთ თავთავისთვის შინა;
კულავ სადმე ამოივლი, მე დაგხედები წინა“.

8

სად წავიდა, ვერა ვნახე, ჩემი საყვარელი,
მან დამიგდო საიმედო სიტყვა სახარელი.
მე მის მონას ნუმც ამხდია მისგან საფარველი!
სად მიჭირდეს, მამეშველოს, სხვას აღარას ველი.

9

დამპირდა, თქვა: „კიდევ მოვალ“. აწ მე იმას ველი:
მისთვის ვსტირი, ცრემლითა მაქვს უბე, კალთა სველი.
სიკვდილის დროს მე მის მეტი არავინ მყავს მშველი.
მან გამიღოს სამყოფისა კარი შესასვლელი.

10

იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა,
აჰა, მისთვის გამიჯნურდა, გული მისთვის ხურსა,
იმედი მაქვს, რასაცა ვსთხოვ, მომცემს, არა შურსა,
უკვდავების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა.

11

ღვთისგან ვითხოვ, არ გამყაროს მე მის სიყვარულსა,
სხვას უკეთეს[ს] ვის ვიშოვნი სილამაზით სრულსა?
ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა სისხლით გაბასრულსა.

12

აწ, შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა.
ქვესკნე[თ]სა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა;
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!

ქვესკნე[თ]სა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა;
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!

დ. სიმღერა

ამისი ხმა რომელ არს რუსულადა: ჩუვსთუიუ სკორბი
ლუტი ვსიაკაო მინუტი

1

საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა, გულსაწვავი:
ნეტა რად ვიყო შენია,
სახით ავრიგად შეგენია!

2

მე ვარდი ვარ ბუღბუღო მრთავი, ყვავს რად მოგცე თავი?
მე მისთვის არ მიკადრა მან,
შეირთო სხვამ. პირ-ბადრამან.

3

მითხრა: მძულხარ, არ მიყვარხარ, ზინზლის სუნად ყარხარ;
მე არ მიყნოსე, ვარდია,
ანძალას ზედ შევარდია.

4

გამიწყრა და მცემა ჯოხით, გამამაგლო ქოხით.
ვეღარ მივსულვარ შინაო.
მან ასე შამაშინაო.

5

კარის-კარად დავალ გლახად, ტანთ მაცვია თაღხად;
შევიქენ გლახა-მწირია,
საყვარლის განაწირია.

6

მისგან დამწვარ-დადაგული ჩემი გახდა გული;
მწვავს მისის ცეცხლის ალია,
გამოყრჩის ნატუსალია.

7

მე მისთვისა ვსჭმუნავ, ვსტირი, მარიდა მან პირი;
ჩემზედ აიღო ხელია,
მამიდვა ცეცხლი ცხელია!

8

რით დავკარგე გახარება, ვითხრა აღსარება:
მიბრძანა რაც ბრძანებანი,
ვერ დავიმარხე მცნებანი.

9

მიბრძანა: თუ მე შენ გინდი, გაქვნდეს ჩემი რიდი,
ერიდე ჩემსა წყენასა,
ავს ნუ აუბნებ ენასა!

10

თუ შენა ხარ ჩემი მყვარი, ნუ ხარ გულმზაკვარი,
იყავ შენ გულმართალია,
როგორც რომ სამართალია.

11

ჩემი მცნება დაიმარხე, თავი შაინახე
თუ ჩემი თავი გინდაო,
იყავ ყოვლისფრით წმინდაო.

12

თუმცა გნებავს შეგიყვარო, გხამს არ გამეყარო;
გვერთ მახლდე გაუყრელადა,
მიგაჩნდე საყვარელადა.

13

რაც მე იმან შემიკვეთა, მე ის არ მეკეთა;
მომითხრა რაც საქნელადა,
ყველა მეჩვენა ძნელადა.

14

შენც დამგმობდი, თუ იცოდე, რაც მე იმას ვსცოდე;
შევიქენ მისი ურჩია,
მე აუბზუე ტუჩია.

15

მკვიდრს საყვარელს გავეყარე, წუთი შევიყვარე;
შემემთხვა დიდი ცოდვანი,
მისთვის მაქვს შფოთვა-ბორგვანი.

და. რეული

ეს რუსულად: პოლნო, პოლნო. ნე პრელშჩაისა.

1

კმარა, კმარა, ნულარა სცოდავ, სულს აგების მიხედვს შეება,
აწ დასწყნარდი, ნუ შფოთავ-ბორგავ, ნუ გაქვს ზმირინთ ზინზლად ფშეება!

2

ჩუმად იყავ, ნუ გამაგონებ, მაგ საქმეს იქს არცა სტერი.
საძულს ალხენ, საყვარს აღონებ, შექნილხარ შენ თავის მტერი.

3

საძავს საქმეს კაცს ვერას უქებ, კაცი კარგ საქმით იქნება.
სულს კი ამჭლობ, ხორცს კი ასუქებ, აწ ცხოვნება ვით იქნება!

4

მოკლე არის ეს ცრუ სოფელი, კაცსა გრძელადა არ შერჩე[ბის],
არს კაცთ სული უკვდავყოფელი, ხორცი სიკვდილს ვერ [მორჩების].

და. რეული

ახალი შემოღებული ქართულად

1

ხორცია მიწა ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი;
სული უსხეულ მყოფელი, აქვს საუკუნო სოფელი.
ხორცი მკვდარ-ხმელი ბალახი, აყოებულად ნანახი:
სული ცხოვრების მპყრობელი, ვით ბაზმა გაუქრობელი.

2

ხორცთათვის დღისა სავალსა საგრძაღს წაიდებ მრავალსა;
არ გებრალეების სულია, უსაგძლოდ შორს წასულია.
ხორცს აცმეგ ვახშსა და ვალსა, სული შიშველა დავალსა,
ხორცს გიფშვნის მუშკის სუნია, სულს აგდის ნატისუნია.

ფ. დინარი

„პატარა ქალო თინაო“-ს სანაცლოდ სამღერალი

1

ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო? – ღმერთი მაღალთა შინაო,
ვინცა შეამკო ქვეყანა, ღამე დღედ განაბრწყინაო;
ზღვით, ხმელით, ხითურთ, ბალახით მთა-ბორცვი აღმოფინაო,
ყოველი ნივთისაგანი მაშიგან განაჩინაო;
ჩვენ, კაცი, მიწა და წყალი შეგვზილა, ადგვადგინაო,
მოგვცა სიბრძნე და დაგვიდვა ქმნული ყოველი წინაო.
ჩვენც გვმართებს მსხვერპლი შევსწიროთ – დავით თქვა – იმისთვინაო.

2

აქე, ადიდე შენაო, ვინცა შენ აღვაშენაო,
შენ – შავი მიწა, ტალახი – რომ აგრე დავაშენაო:
ჩაგიდვა სული ცხოველი, დავაწყებინა ქშენაო,
გალაპარაკა, გასმინა, მოგცა პირი და ენაო;
დღე გაგიტენა ნათელი, გიბოძა თვალში ჩენაო,
ნდომა ცოლ-ქრმოების სურვილით, საჭმელ-სასმელით რჩენაო;
მას ღმერთსა მსხვერპლი შესწირე, დავითმა მოგახსენაო
ნდომა ცოლ-ქრმოების სურვილით, საჭმელ-სასმელით რჩენაო,
მას ღმერთსა მსხვერპლი შესწირე, დავითმა მოგახსენაო,
მას ღმერთსა მსხვერპლი შესწირე, დავითმა მოგახსენაო.

ფ. ზმიანი შაირი დავით გურამისშვილის თქმული

1

მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს წუხილი, ჭმუნვა, ვი[შობა].
ნუ მოგიშალოს ნადიმი მუდამ დღეთ სულ მეჯღლი[შობა];
ლაშქარი მოგცეს ურიცხვი, არ ჰქონდეს ანგარი[შობა],
მან მოგახმაროს, სად გინდეს, ვინც დღეს ქალწულთგან ი[შობა],

2

[მოგენი]ჭა ღმერთმან ძე თვისი და იშვა დღეს უშობელი,
რ[ქვა ბი]ნდის ფერად მცნობელნო, მიცანით მე უცნობელი!
ა[ბა გა]შინჯეთ ვარსკვლავით, მოგენთა სცნეს რა საცნობელი,
ში[შობა] ხელის წერილთა განაგდეს გამამპჭობელი.

ერთს დღეს აღდგომაც იყო და ხარებობაცა; დიაღაც
ციოდა მოსკოს და იმის მონასიბათ თქმული

მოსკოს ქალაქს მზეს ვე[ლოდი]თ და ვერ გნახეთ აქ[სუ დარო]!
სოლ[ად დგომა] გვირჩევენ[ია], აქ სიცოცხლე გვაქვ[ს უდარო];
კაპას ქარ[სა მჭვალე] ეკრას, რას გვიშველი, ვთქვათ, სუდარო;
შენ გაჰკურნე მწუ[ხარება] ადგომავ, და ქვაგ-სუდარო!

ერთმა ქართველმან თავადის-შვილმა მოსკოს ქორწილი ქნა
და ცოტად მდადს პურის ს[ა]უჭმელო დაუგვიანდა; აგრევე
მანამდის ქორწილს იქმოდა, ორს დაბაღს აზნაურთან
იღგა ფსონათა იმათზე მეტსა ხარჯევდა, იმის
მონასიბათ თქმული.

დადა[მდა, დი]ლა გათენდა, მდადს პური არ უჭამია,
[ეჯიბი]ს პირი გახსენით, ხელზედ აღირსეთ ნამია;
იქ ორწილი[ანს კაცთანა დახარჯის თვალის წამია;
ეგ მეც არ[მეფე]რებოდა, რაც მაგას დაუწამია.

ერთ დღეს ბატონებმა დავით გურამისშვილის ხალათის
ბოძება განიძრახეს, იმის მონასიბად თქმული
სიუხვის კო[კა ბა]ტონსა წინ უდგას, ვითა კულადა,
იქ უდი]ს მოწყალებანი ღარიბთა გასაკ[უ]რნადა;
[ახალ უხი]ლავს, ძველთ მცმელთა გულს არ გაუხდის წყლურადა
აქ ათი ბი]ჭი ვახლავართ, მარტო მე გულნაკლულადა!

ამიდანა ზმიანი

1

აწ ზმობს მღე[ქსელი]; მზა[სა ვარ, ცხელი] [მაქო] მწვადები, დარბაზს წაიღით.
მე[ფე იქ არი], სადაც ტახტ[ზედა] ზის დედოფალი მორთული ჯიღით.
[მას ტიკი]ს ღვინო წინ უ[დგი მი]ნით, [მას რა] სვამს მეფე დაიწყებს ღიღინთ,
ასწევს ფეხებსა, შეყოფს და გაყოფს, გულზედ მი[ი]კრავს ორისავე მჯიღით.

2

ცოცხალნი შობენ მეკდართა და მეკდარნი ცოცხალთა ბადებენ!
ამას არ ავხსნი, სანამდის მე სოფელს არ მიქადებენ;
ასე თქმისათვის მსმენელნი რად დანაშაულს მადებენ?
თვითანაც მალე ახსნიან, თუმცა რომ მაიწადებენ.

ეე. სიმღერა

რომელ არს რუსულად ამისი ხმა: ულექტელა ზაზუღინკო
ჩერეს დუბინუ

1

ვსთქვათ, რაც ვარდმან თავის თავზედ | ქნა საქმე ავი:
შეიძულა მან ბუღბული, | იყვარა ყვაავი.

2

ბუღბულმან სცნა, ბაღს შემოსწყრა, | მთად ქნა ნავარდი,
ასკილზედა დაიბუღა, | განაგლო ვარდი.

3

ვარდმან უთხრა: მე, ბუღბულო, | აკი გიყვარდი;
რატომ აგრე განმეშორე, | ხომ არ გიყვარდი?

4

ბულბულმან ჰრქვა: ვარდო, თუმცა | გაქვს კარგი ფერი,
ჩემთვის იყავ უფერული, | არ შემეფერი.

5

შენი კარგი სილამაზე | არს ჩემთვის ურგი,
გულს საკონლად რომ მიგიკრი, | მაქცივი ზურგი;

6

საკოცნელად მოხვეულსა | მარიდი პირი,
სხვას ახარი შეხვევნითა, | მე კი მატირი.

7

მე გატმევედი, მე გასმევედი, | მე გაცმევედი ტანთ,
შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა | სხვისგან მონატანთ.

8

მე ესე მკლავს, მით ღახვარი | გულს გამიყარე;
ჩემგან თვალად უვარესი | შენ შეიყვარე.

9

რაც მოგიოხარ, მით წამიხდა | მე შენზედ გული,
შენს საცოლქმროდ მე სურვილი | მაქვს დაკარგული.

10

აწ მე წავალ, დავიკარგვი, | აღარ მინდიხარ,
წადი მასთან, განისვენე, | მყვარი ვისიც ხარ.

11

რადგან ასე მომიგვარე | მე შენს შესართავს,
ის თუ გინდა, ქრმად შეირთვე, | ნება დამირთავს.

12

ფუ შენ ცრუო საწუთროო, | ხარ არაფერი!
ვარდს ყვავს შერთავ, ასკილს ბულბულს, | არს რა საფერი?

ფე. სიმღერა

რომელ არს ამისი ხმა რუსულად: ახ, სკოლიკო
ცველა ვლექტას მოლოდის!

1

ვა, რამდენი ყვავის ზაფხულს ახალნი,
არ ვიცოდი ჯავრი დროთა, ავთ ხანი;
ყოველთვის მე ვიყავ მისის იმედით,
არასა ვპყრობდი ჩემთა სითავხედით,
სასმენლად არ მინდოდა.

2

ბაღად ვიჯდი მასთან, ვისაც ვყვარობდი,
ვარდთა სუნით, ყვავილთ ჭკრეტით ვხარობდი;
არა მაქვნდა კვნესა, ვაი და ვიში,

არცა წარწყმენდისა რიდი და შიში,
ვნაღლობდი არასფერსა!

3

ცხოვრებასა ჩემსა მით ვატარებდი,
მოყვარესა ჩემსა თავს ვაყვარებდი,
განვსცხრებოდი, ვიშვებდი, ვიხარებდი,
ჯავრთა და სევდათა მე ვიქარებდი
მას ბაღში შექცევითა!

4

შამადგომამ მოუწოდა ყინვასა,
სიყვითლესა და ფოთოლთა ცვივნასა;
მამეშალა მე მით წუთი-სოფელი,
გამიცუდდა ყველა მაში მყოფელი,
წამიხდა ჭირნახული.

5

აყრევინებს ზამთარი ფოთოლთ ხეთა.
უხდენს სიკვდილი კაცთ კარგთა სახეთა!
აწ გაფთხილდით, ვისაცა ჭკუვა გქონდესთ,
რომე არა წარსწყმენდეთ, – სულითა სცხონდეთ, –
ჩემსავით ნუ მოსცდებით.

6

ვაი მოკლებულსა სიბერით ბრმასა,
ნეტავი მატებულს მოზარდსა ყრმასა!
ბერიკაცი დაღმა მიდის გორვითა,
ყრმა აღმართზედა ყინულზედ ცორვითა,
ბერს უმძიმს, ყრმას მსუბუქ ჩანს.

დზ. ამიცანად იგავი, ასახსნელად ადვილი

1

ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე-ღამე მზიანი,
იფქლი კალოზედ ეყარა განურჩეველი, ბზიანი;
ახალმან დღემან განწმინდა ღვარძლიან ნაკმაზიანი,
მის დღითგან მოჩანს გარჩევით სარგებელი და ზიანი.

2

სანამ დღე ძველი დღეს ახალს ჩვენ დღედ არ გაგვითენებდა,
მანამდის ჩვენსა დაშლილსა ვერავინ აღაშენებდა;
რა დღე გათენდა ახალი, ქვეყანას დანაშვენებდა,
ყურითაც კარგსა გვასმენდა, თვალითაც კარგს გვაჩვენებდა.

დწ. ანბანზედ თქმული დავითისაგან
პირველი თავიდგან და მეორე ბოლოდამ

ადამ ბრმა გველით და ევა ვერ[ა] ზოგვენ ჭე თმენასა,
იმ კრულმან ლახვრად მიაგო ნებით ორ-პირი უღერასა;
რაც სიტყვა ტკბილად ურჩივა, ფერხთ-ქვეშ დალატობს ყველასა,

შიგ ჩანს ცდენ ძნელ წყვლად ჭმუნვარნი, ხსნილ ჳნარცვს ჯდენ ჰე ჰიებსა.

მი ჰი ჯოჯოხეთად ჳდენ, ხვდათ ჳრა, წყვლა ძნელ ცეცხლ ჩენით;
შიგან ყრიან დადართ ქვეშე, ფუფქავს უყთ ტბა, სულთ რჯის უენით.
პირს ოხრევდინ ნადვლით მისთვის, ლხინი კენესით იწვართენით,
თაყვანს ჳცით, ზენარს ვედრეთ, ეს დიდ გვემით ბმა ახსენით.

* აშიაზე წითურით: „ეს ბოლოს სტრიქონი ორჯელ უნდა“. სტროფის ბოლო ტაეპებს ყველგან უზის ციფრი 2.

* დანარჩენი ტექსტი ჩამოგვაქვს სქოლიოში: „რომელიც რომ ზეით ხსენებული სამი საუფლო ლოცვანი არიან იამბიკო, რომელიც რომ ყოველს სტრიქონს თავად წითლურით უწერია, ის არავინ შესცვალოს ამისთვისა, რომე იმას სხვა მოქმედება აქვს – ცალკე წითლის თავდაღმა ჩამოკითხვასა“. (წითურით ნაწერი გამოცემაში დაბეჭდილია შავი შრიფტით).

* ავტორი შენიშნავს: „ეს ბოლოს სიტყვა ორჯერ უნდა“. ქვეთაც ყველგან სათანადო ადგილას მიწერილია ციფრი 2.

*

ყოველი სტროფის პირველი ტაეპის მეორე ნახევარი სამჯერ მეორდება (რედ.).

* ახლა იქნება რომ წამკითხველმა საჩქაროდ წაიკითხოს და რაზედაც ნათქვამია, ის ზმა, ვერ შეიტყოს; ამისათვის წითელი ხაზები ჩამიტანებია; რაც ხაზსა და ხაზს შუა სიტყვა არის იმაზედ არის ნათქვამი. (შენიშვნა ავტორისა).

წ ო ბ ნ ო ბ

ათ. გოდება დავითისა, საწუთოს
სოფლის გამო ტირილი

1

გული დონდება, ვიწყო გოდება:
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება:
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
სული მშორდება, ხორცი მშორდება:
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
რად მშვა დედამან, შავმან ბედამან,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

2

გამზარდა ჳირით, ძუძუთ და პირით,
სხვას მიმცა ქირით, ფასითა ძვირით,

ბევრჯელ მატირით მუცლისა მშივრით,
მაშინვე გიცან, რაც შიგან გიძცან!

3

რასაც უამ გნახე, ვსცან შენი სახე,
შენ ჩემთვის საფრხე დაგერწყო მახე;
თავს ვიეც ქვა-ხე და შემოვსძახე,
მოყვე ტირილსა, კივილ-ყვირილსა!

4

ხარ სატირალი, არ საცინარი:
ხარ საჭირალი, არ სალხინარი,
გაქვს საწყინარი ჩანადინარი,
მოსულხარ ქურდად, მატყუებ ცუდად!

5

ვინც შენ მოგენდოს და არ დაგხედოს,
– ვიტყვი, უბედოს, უმამ-უდედოს,
სწავლა-უხვედროს, გარდაუხედოს, –
წაიყვან მრუდად, არ ნათლად, ბუნდად!

6

მე ამად ვსტირი, არა გაქვს პირი,
შემაქენ ჭირი, საქმე საჭირი.
მე შენგნით მწირი, ვარ განაწირი,
რაზომც ან[ა]თობ, სულ მუხანათობ!

7

ხარ საძაგელი, არად სარგელი,
დასაკარგველი, გარდასაგელი,
კარგს არას გელი, ცხვარსა მჭამ მგელი,
მიძმობ თუ მიდობ, მაინც არ მინდობ!

8

ამად გემდური, ვარ უბედური.
მიდგი საცუდრი, მქენ უწმინდური;
მაქვს თავხედური მე საყვედური,
რაც რომ მაჭამე, სულ ჩამაშხამე.

9

მაცინ-მატირებ, მალხინ-მაჭირვებ,
ნათელს მაბირებ, ბნელს მიმაღირებ:
რასაც აპირებ, ვერ გამაკვირებ,
წუთო და უნდო, არ მართალ, მრუდო!

10

ამად შემძულდი, ყოფილხარ ცუდი,
მტყუანი, მრუდი, მპარავი, ქურდი;
ვისაც შენ უნდი, ყელს აძეს ხუნდი,
ზურგთა ჰკიდია ტვირთი დიდია.

11

გული არ მაგრობს, ამაზე ჩაგრობს,
მზე-მთვარე ბადრობს, დარი კი ავდრობს:
ყინვა ხორცს მაზრობს, სიცხე სულს მაძრობს,
სული და ხორცი ორივე დახორცი!

12

მე ამად ვჰყვივი, ვჰყვირი და ვჰკივი,
ვერ განვარკვივი შენი კივივი;
თბილი და ცივი ორივე მტკივი,
საით გავიქცე, რომ არ წავიქცე?!

13

დამივსე ვანი, კარავ-სევანი,
ბაღთ ხეივანი, გარს გაღავანი,
დედ-მამა, ძმანი, გამყარე დანი,
საცა რომ შამქენ, მუნ აღარა მქენ!

14

როცა დაგეცდი, ჭკვას მაშინ შევსცდი,
ღამაზ ქალს შევხვდი, მიჯნურად გავხდი.
ამაზე წავხდი, მცნებას გარდავხდი,
როგორც ვიგემე, ეგრეთ ვიგვემე!

15

ამას ვსჩივი, ვერ განვარჩივი,
რაც შენ მირჩივი, მე მივიჩნივი
ზედ დამაჩნივი, რაც დამაჩნივი,
თუ მაჭმევ ტკბილთა, ჩამამტვრევ კბილთა.

16

მაჭამე მწარე, გზა სწორეთ წარე,
აწ ნუ გამყარე კაი მოყვარე.
მისთვის მწუხარე აწ გამახარე,
თვალთ მახვენე, ნუ შემახვენე!

17

ამად არ მშვენი, არასფრად შვენი,
იქცევის შენი ნაგებ-ნაშენი.
მყავს მოვახშენი, თავში წამშენი,
მოდის სიკვდილი ხმაღ-ამოწვდილი.

18

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!

19

რაც ჩამოვსთვალე, შენ შემოგთვალე,
ღღესა, თუ ხვალე ჩემი მოვალე
მომასწრობს მალე. ვერცად ვემაღე,
სიკვდილი ცელსა მკრავს გულ-მიცელსა.

20

უმზგავსო მტილო, კარ-დაკლეტილო,
ნეხვით გავსილო, არ გახვეტილო,
მომზადე ტილო, საკრწყილ-სატილო,—
შემგრაგუნენ ტანსა, თან წარსატანსა.

21

ეს არს ქადილი, შენი წადილი:
ვახშამ-სადილი, ხვარბლის წანდილი!
გამატან საგრძლად, გამგზავნი სად გრძლად,
იმასაც სხვანი შესჭამენ ძმანი!

22

ესე გაქვს კარგი შენ ჩემთვის ბარგი:
საბრალოს სულსა, ხორცით გასულსა,
მიმიცემ ხელთა ჰაერის მცველთა,
შემაბმენ ყელთა ცოდვის საბელთა!

23

შემკვრენ, შემკონენ, არ მომიფონენ,

მყის წამიყონენ, არ დამიყოფენ;
მადლს ამიწონენ, არ მამიწონენ,
ცოდვანი სძლევენ, ცეცხლს მიმაძლევენ!

მადლს ამიწონენ, არ მამიწონენ,
ცოდვანი სძლევენ, ცეცხლს მიმაძლევენ!
ცოდვანი სძლევენ, ცეცხლს მიმაძლევენ!

ო. ისევე ბოღება, სხვა რიბი ხმა

თუმცა სიტყვა და ძალ[ი] ისევ არის,
იქნების კაცი ამ რიგს ხმას უფრო გაეწყოს.

გული ღონდება, ვიწყო გოდება!
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება.
სული მშორდება, ხორცი შმორდება!
რად მშვა დედამა, შავმა ბედამა?
წუთო სოფელო, ცუდ სამყოფელო,
ვამე, სიკვდილო, სულთა მძრობელო!

გოდება გამეორებაა წინარე ლექსისა, ოღონდ უმოძახილოდ, რის მაგივრობას აქ
ახალი, მეხუთე და მეექვსე ტაეები ასრულებს. ნიმუშად პირველი სტროფი
იბეჭდება.

ოა. სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა

1

ყველას გვეწვევის სიკვდილი, გემართებს დაუხედეთ მზათაო,
ის ჩვენკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად აუქცევთ გზათაო.
ვიგონოთ ოთხი საქმე ეს, არ უთქვამთ უმეცართაო,
სიკვდილ, სასჯელი, გენია, სასუფეველი ცათაო.

2

ამისთვის მწყდების წელი და უკანა ზურგის მალეები,
მოვა და მომკლავს სიკვდილი, მას ვერცად დავემალეები,
გაგექცე, ვერცად წაუვალ, ცხენებიც მყვანდეს მალეები,
შავება, ვერას დანაკლებს ჩემნი თოფნი და ხმალეები.

3

სიკვდილი ქრთამს არ აიღებს ოქროს, ვერცხლს, არცა რვალეებსა;
არც არას გვისმენს ხვეწნასა, არც არას შეგვიბრალებსა;
გარდგვანდევინებს ვახშითურთ მამა-პაპისა ვალეებსა,
დაგ[ვ]ხოცს და მატლთა შეგვაჭმევს, გვამგზავს თავის ძვალეებსა.

პასუხი კაცისა

4

სიკვდილო, მიკვირს მე შენი, ნეტა რაში გაქვს ძალები?
ტანზედა ხორცი არ გაკრავს, ხარ ცარიელი ძვალები;
თავის სოროებს მიგიგავს ცხვირი, პირი და თვალები.
ამდენის სულის ხოცითა რატომ არ დაიდალები!

პასუხი სიკვდილისა

5

სიკვდილმან უთხრა: ბერკაცო, ვისმინე რაც იტარტარე,
ყმაწვილნი ვხოცე წვრილები, პატარა არ ვაპატარე;
შენ ბერიკაცი ცოცხალი მაგდენს ხანს ფეხზედ გატარე,
აწ ჩემიც ნახე მხატ[ვ]რობა, რაც ჩემზედ შენ იმხატვარე.

6

გაუწყრა, უთხრა: ბერკაცო, სიტყვებს რად მკადრებ ავსაო!
ჯერ შენთვის არა მცალიან, ცელს უსვამ სალესავსაო;
როცა გავლესავ, თავს მოგჭრი, შენ ცოლს ჩავაცმევ შავსაო;
სულ ამოგიწყვეტ მოყვასთა, გვარსა და ნათესავსაო.

პასუხი კაცისა

7

სიკვდილო, დიდად გემდური ათათვის, განა ცხრისათვის,
ბარსა და ნიჩაბს ამზადებ ჩემის საფლავის თხრისათვის.
მატლნი, გველნი და ბაყაყნი, მიმელის გამოხვრისათვის,
რომ არ გადაგო, რად გაქო ცელით თავისა ჭრისათვის!

8

სიკვდილო, მე შენს ძაგებას წიგნად ვსწერ სამს-ოთხს ფურცელსა;
ვაღალა შენსა მაქებელს, შენის სიკეთის მფუცველსა!
კაცს რომე სენი შეყარო, ბრჭვალა ჰკრა გულსა, მუცელსა,
განა იმ სენით ვერ მოკლავ, რაღად უმზადებ მუნ ცელსა?

9

სიკვდილო, შენი იგავი არა გავს ფარსავს იგავსო,
ძვლები ხარ, მკვდარი, უსულო, ცელი კარგს მთიბავს გიგავსო;
თუ შენ გვთიბ, შენ გვჭამ, შენს ნაჭამს ვინ გიხვეტს, გიწმენდს, გიგავსო?
თუ არვინ გიხვეტს, უთუოდ ნეხვით ნიფხავი შიგ ავსო.

პასუხი სიკვდილისა

10

კაცო, არა ვარ მთიბავი, არც მე მჭამელი თივისა.
იამებიან საჭმელად, არ ვიცი, ის ფინთი ვისა?
კაცსა დაუკოდს გულ-ღვიძლსა სასმლის სმა მეტად ცივისა,
უდროოდ მუცლით ვინც კვლების, ტყუილად ჩემზედ ჩივისა.

პასუხი კაცისა

11

ღვთისგან წყეულო სიკვდილო, ამდენის საკლავთ ხოცითა
კიდევ მჭლე ხარ და მშიერი, ვერ გამაძღარხარ ხორციითა.
რაც შენ მე ცრემლნი მადინე, ვიწმინდე ხელსახოცითა,
იმდენი მეხი თავზედა დაგეცა ზეგარდმო ცითა!

პასუხი სიკვდილისა

12

არა ვარ ხორცის მჭამელი, არც თივის მთიბავ-მხვეტელი,
სული ვარ, ღვთისა ბრძანებით სამსახურისა მჭვრეტელი;
[ვარ] ხორციელთა ყოველთა მსოცელი, ამომწყვეტელი,
არვინ დარჩების ქვეყნადა თვალი ნათელდაუშრეტელი.

პასუხი კაცისა

13

სიკვდილო, თუ ხარ მარტოკა, ქვეყნას როგორ უხვალო?
აღმოსავლეთს და დასავლეთს, სამხრეთს, ჩრდილოეთს სულ ხვალო
აგრე ანაზღად მქცეველი რისაგან გამოსულხარო,
გამაგებინე მართალი, არ ვიცი რა, ვსწუხვარო.

პასუხი სიკვდილისა

14

კაცო, არა ვარ მარტოკა, ბევრნი მახლავან სენები,
სხვადასხვა ჭირნი ურიცხვნი, ვერ მოსთვლის კაცის ენები;
არს ბევრნი მოკვდავთ მომკვლელნი ცალ-ცაკე გასახსენები,
მრავალნი ხოცენ ერთმანერთს მე ჩემთვის განვისვენები.

პასუხი კაცისა

15

ახლა კი გაქებ, სიკვდილო, მამწყინდა შენი ძაგება;
სენები სთქვი და გამხსენდა ცივებით აძაგაგება;
ეგ მეც ვიცოდი, მაგრამე მე გამოგკითხე განგება,
სიკვდილ-სიცოცხლე, ორივე, არიან ღვთისა განგება.

16

სიკვდილო, შენად საქებრად ჩამაგდე გულისხმაშია.
ტურფა ხარ თვალად, ტანადა, სულად ერჩევი ჯარშია;
ტანზედა დიბის ქათიბი, გიხდების კაბის არშია.
ფეხზედ წითელი ჩახჩური, მწვანე კემუხტის მაშია.

პასუხი სიკვდილისა

17

კაცო, რად შენს თავს ვერ ხედავ, თვით გონჯო დაბრეცილო, და,
რომ დასჯექ ჩემად საკიცხრად, წიგნსა სწერ სასაცილოდა,
აწ მეცა მაგის პასუხად თავს მოგჭრი უსაცილოდა,
მის ამარ გაგხდი, ვინც ვივის სანუგეშ-საგენცილოდა.

18

კაცო, თვალთ გიჩანს, არ გიჭირს ნემსზედა ძაფის აგება,
ჩემის იგავის საცნობლად რად შენ თვალეზი აგება?
ვითარცა მხატვენი მხატვარნი ისე გეგონოს აგება,
რომ შენ მოიღე ჩემზედა გამოხრულთ მკვდართ კაცთ ძაგება.

19

კაცო, როდისაც მოკვდები, შენ ჩემებრ სახე გეცვლებს,
ძვლებ-გამოხრული გახდები, ტანთ ხორცი შემოგეცლებს.

სანამ ტვინი გიძს, ძვლებიდან მატლი არ გამოგეცლების,
მის ღროს კი ვეღარ მაძაგებ, შენ ჩემთვის აღარ გეცლების.

პასუხი კაცისა

20

რას მეპარები, სიკვდილო, განა არ ვიცი, მოხვალო!
ყოველთვის მზათა დაგხვდები, თუნდა დღეს, თუნდა მო ხვალო;
რა გინდა ჩემგნით, რად მდევნი, შენ მჭლეო, ტანთ ჩამომხმარო!
ვეჭობ, შენ ასე გგონია, არაეინ მეყანდეს მომხმარო.

პასუხი სიკვდილისა

21

გაწყრა, განრისხდა, სიკვდილმან გონება გაიფიცხაო,
კაცს შეუჭყესა ხმამაღლა, დათათხა, რადა მკიცხაო!
ვიც უნდა გყვანდეს მომხმარო, მე იმას არ გიკითხაო,
აწ მე შენ ასე გაგხადო, მშიერმან მეელმან ვით თხაო.

პასუხი კაცისა

22

სიკვდილო ჩემის შეჭმითა ვერ გასუქდები მწავადა,
შენ ღმერთი ცეცხლის ტბაშია ჩაგაგდებს დასაწვადა,
ეს ჩემი სული ზეცადა უკვდავის ხორციით წავა, და,
წამოგიჯდება ზეიდამ წაკულვად, საპრაწავადა.

23

ამ სიტყვაზედა გარდაწყდა მათი პჭობა და ცილობა;
საბრალოს ბერს-კაცს არ შერჩა სიკვდილის თავს აცილობა,
რას წამს გაღესა, შემოკრა, არა სცა ხანთ-დაცლილობა,
სიკვდილის მზგავსად გაუხდა კაცს ტანთ ხორცთ შემოცლილობა.

ობ. კაცისა და საწუთროსაბან ცილობა და პჭობა,
ერთმანეთის ძვირის ხსენება

1

ჰაი, ჰაი, ეს საწუთრო რას ტყუის და რას უპირობს:
თავს რა უყო, ა, იმ კაცსა, ნახეთ, ბოლოს რას უპირობს!
ოღეს ადამ იქმნა კაცად, ცვად სამოთხე მოებარა,
მისმან ხილმან ამოგვწყვიტა, ნეტამც არა მოება რა!

2

მას დღეს აქეთ ვალად გვაძეს, ჩვენზედ არის რაც ეს სესხი,
ნეტამც ვინმე ძირით გჭრიდეს, ჩემთვის, შხამო, რას ხეს ესხი!
თუმცა სესხი შვილს დასჯიდა, რად იღებდა მამა ვალსა?
ჰხედავთ სოფლის სიმუხრთლესა, ამ კაცისკენ მამავალსა?

3

ნახეთ, სესხმან მამისამან შვილს მოჰგვარა მოვალე სით!
ცელი ხელთა უჭერია, პირს მოუწყობს, მოვა ღესით.
ცუდი რამ ხარ, საწუთროვო, შენ ზნეთა გჭირს რადგან ასე,

მე ეს მიკვირს, რომ ვერა გთმობ, თუ კარგი ხარ, რად განასე?

პასუხი საწუთროსაგან

4

საწუთრომ უთხრა: შენ, კაცო, რადა მწერ სამასხაროდა?
შენ მე სიცრუის ხმას მიყრი, შენ უფრო ცრუვი ხარო, და;
შენ ჩემის ძვირის ხსენებით ჩასაგდები ხარ ხაროდა,
თვით ც[უ]დო, ცუდი რადა ვარ, უჩემოდ რა გიხაროდა?

5

დასაბამითგან მოგიოხრა რიცხვი ჩემისა ხნისაო:
შვიდ-ათას-ორას-ოთხმოც-და ორისა მე ვარ წლისაო,
შენ მე საწუთროს მეძახი, წლისა სამოც-და- ცხრისაო,
მე კიდე ბევრს ვძლებ, დრო არის შენი საფლავის თხრისაო.

6

რას მედავები, რა გინდა, რა მმართებს შენი ვალია?
რად ცრუდ საწუთროდ მახსენებ, რად დაგბრძობია თვალია?
თვით შენ ხარ ცრუი და წუთი და ადრე წამავალია.
შენც იმ გზაზედ ხარ წამსვლელი, სად მამა-პაპათ კვალია.

7

შენ მეტად გული მატკინე უმსგავსოს საუბარითა,
აწ რას გიშაგებ, რადა მგმობს პირითა საგმობარითა?
მე ღვთისაგან ვარ მკობილი, ცით, ქვეყნით, მთითა, ბარითა,
შენ მიწა-წყალო, ქარ-ცეცხლო, მჯობიხარ, თქვი, აბა, რითა?

პასუხი კაცისაგან

8

კაცმან ჰრქვა: ღმერთმან დამბადა თავის მზგავსებით მეფედო,
მე შენი თავი ყმად მომცა, მოსამსახურედ, სეფედო.
შენ მტრად შემექენ, არ მინდობ, შემქნიხარ სისხლთა მჩქეფედო.
სადაც იდუმალ გავივლი, დამდეგ ძაღლივით მეყეფედო.

პასუხი საწუთროსაგან

9

საწუთრომან ჰრქვა: რაც ბრძანეთ, ეგ სიტყვა სულ მართალია;
მაგრამ თქვენ ვერა ხელმწიფობთ, როგორც რომ სამართალია.
ავი და კარგი გაშინჯოთ, ამისთვის გქონან თვალია,
მე რა ბრალი მაქვს, გარდაგხდესთ თქვენ მამის-თქვენის ვალია.

10

თუ კი ვარ თქვენი ორგული, მტყუვანი დაუნდობელი,
რადღა მენდობით, რადა ხართ მოყვარე, მძმობელ-მდობელი?
ვეჭობ, ის იყოს ორგული, ვინც გახლავთ წინამძღომელი,
თვალ-გული ხარბი, ანგარი, მუცელი გაუძღომელი.

11

შენ თვალები ღმერთმან მისთვის მოგცა, – ხედო სახედარი,
სულ გამოსცნა ავი-კარგი, რაც ნასახი სახედ არი.,
დაიხსოვნო, რაც გარდაგხდა აწინ გარდასახედარი,
გზაზედ ასე ფრთხილად ვლიდე, ვით ვიდოდეს სახედარი.

12

თუ გწადს, ამ იგავს აგისხნი წასულსა, წინასწარებსა:

სადაც რომ ვირი დაეფლვის, იმ გზაზედ აღარ წარებსა;
ერთხელ რომ გემოდ გენახოს, მეორედ რად შჭამ მწარებსა?
ქნამდის გხამს შიშით წანწარი, იქ რაღა გაწანწარებსა?!

პასუხი კაცისაგან

13

კაცმან მიუგო: მე შენმან ქმნულებამ მამაწყინაო:
ხან დაბნელდები ღამისებრ, ხან დღესავითა ბრწყინაო:
ხან სიცხით დამწვაგ, დამდაგაგ, ხან სიცივითა მყინაო,
ნეტარ, ეს როგორ შენ მკადრე, ხვიდოდე ვით ყროყინაო!

პასუხი საწუთროსაგან

14

საწუთრომ უთხრა: რად წყინობ, რაც ვითხარ ეგ იგავია!
დაეხეტები ურიგოდ, აგიმჩერია თავია;
წინ არ იხედავ, არ შინჯავ, გზა კარგია თუ ავია,
ქვას ფეხს წამოკრავ, წაგაქცევს, ჩემი რა დანაშავია?

15

არ ასცილდების დაცემა უფთხილოდ გზაზედ მარებსა;
უზომოთ ბევრის მჭამელსა სიმაძღრით გულს დასძმარებსა.
მე კეთილად ვარ ნაზავი, ვინც ზომით მომიხმარებსა;
მისთვის ვარ ავი უძღები, ვინც საკმარს არ იკმარებსა.

16

აწ, მითხარ, შენ რომ ჩემთანა ჩხუბობ და სულ კამათობო;
მლანძღავ და მათრეგ, მაყვედრებ: „რატომ ბინდობ და მნათობო“.
რა ზიანი გჭირს, არ ვიცი, შენზედ რას მუხანათობო,
როცა დაგცხების, გიგრილებ, როცა შეგცივა, გათბობო.

17

რაც გიამების, გაამებ; გემრიელს გაჭმევ, გასმეო;
მრავალს რიგს ფერად-ფერადსა თავს გხურავ, ტანზედ გაცმეო.
მოგიწვენ თვალად ღამაზსა ქალსა თუ დედაკაცს მეო,
ახლა თქვენ ბრძანეთ, მეფეო, თქვენ მიწყალობეთ რაც მეო!

პასუხი კაცისაგან

18

კაცმან მიუგო: ვალაღა შენსა ცივსა და თბილებსა,
ახლა მეც გეტყვი პასუხსა მაგ სიტყვის გასაწბილებსა;
თუმცა შენ მაჭმევ საჭმელთა კარგსა, გემრიელს, ტკბილებსა,
სულ ჩამაშხამებ ბოლოს დროს, ტკივილით დამგლეჯ კბილებსა.

19

მაკვეხებ ფერად საცმელთა, ოქროსა, ვერცხლის ღილებსა;
აწ დაგდგომია თვალები, შეუჭამია მღილებსა;
სულ დაგლეჯილა, გამცვდარა, გვანან ძაღლთ დაღერდილებსა,
სულ დამიხოცე მოყვასნი, ერთიც არ დაღინდილებსა.

პასუხი საწუთროსაგან

20

საწუთრომ უთხრა: საწყალო, ყოფილხარ მეტად ბრიყვია,

არ შინჯავ ავსა და კარგსა, უმზგავსოს სიტყვებს იტყვია!
მსცოვან ხარ დედის მუცლითგან, რა თავი გამოგიყვია,
მას აქეთ გმონებ, ჯერაცა ვინა ვარ, ვერ შეგიტყვია.

21

ჩემი კაცისა მკვლელობა შენთვის ვის ულაყბებია,
ნეტამც ვნახავდე, ცემითა შემოვამტვრიო ყბებია!
ვეჭვობ, შენ არა გსმენია, ყოფილა რაც ამბებია:
არს კაცთა მკვლელი პირველი პაპაშენი და ბებია.

პასუხი კაცისაგან

22

კაცმან უწყინა: რად მითხარ შენ მე ურიგო პაპასი?
არა მსმენია, მყოლოდეს, ბებია აგრე კაპასი.
მათ ეწყალოდათ საკეჭნლად ცხვარი დუქარდით ნაპარსი,
ისინი კაცს არ მოჰკლევდენ? – სცა,ხმა გამოხდა ტყაპასი!

პასუხი საწუთროსაგან

23

საწუთროს თავი გაუტყდა უბე ავესო სისხლითა.
კაცს უთხრა: ჭკუვით იქცევი წონით არც ერთის მისხლითა;
ბებიაშენი გამოძდა ვაშლითა, ედემის სხლითა,
მით მოგვლენიათ სიკვდილი. შენ ჩემზედ რად ხარ რისხვითა?

24

დმერთმან მოგავოს მუქაფა, არ კარგო კაცო, შენ ავო;
გკითხოს, შეიდწილად მოგიწოს ჩემს თავში ჯოხით შენაო,
დაგაგლახაკოს, დაგშალოს, როგორც რომ ავაშენაო,
წაგართოს პირში სული და სუნთქვა, ფშვინვა და ქშენაო.

25

რა დავაშავე შენზედა, რა საქმე წაგიხდინეო?
გამომიცხადე, მამხილე, არ ვიცი, მაცოდინეო.
გაუშინჯავად, ანაზდად თავს სისხლი გარდმადინეო.
ბეწვი მიწყვიტე, უბრალოდ კინაღარ მამაკვდინეო.

პასუხი კაცისაგან

26

კაცმან ჰრქვა, თქმულა ბრძენთაგან: საწუთრო კაცს არ ინდობსო;
თუ მაინდომებ სამოყვროდ, არც გიმძობს, არცა გიდობსო.
სიტყვით ანგელოზს ემზგავსის, გულით კი ეშმაკ-ფლიდობსო.
თავს მოგაჩვენებს სიწმინდით, ძალღივით არაწმინდობსო.

27

გაბასრული ხარ მწიკვლითა, აროდეს განირეცხები,
ვინც რომე შენა გეხების, ფისივით ზედა ეცხები.
სადებლად კაკანს მოჰყვები, როცა არ დაიკვერცხები,
მაგრამ კი დასდებ ვერა რას, მუცლითვე დაიფერცხები.

28

ვინც მოგენდობის, არ ინდობ, არა გაქვს ერთი პირია;
ასეთის საქმის მქნელი ხარ, ხან ვიმდერ, ხან კი ვსტირია.
ბევრს მისდგომია შენგნითა ლხინის მლოდნელთა ჭირია,
შენი ვარდისა კონები გულზედ მჭვლად დანაჭირია.

პასუხი საწუთროსაგან

29

საწუთრომ უთხრა: რა გცოდნე, რატომ არ მეტყვი პირსაო?
რადა მცემ, ანუ რად მლანძღავ, თავზე რად მასხამ მწვირსაო?
არ ვიცი, მე თავს რად მადებ ქვეყნის ლხინსა და ჭირსაო!
თავიანთ ნებით შვრებიან, ვინცა მღერს, ან ვინც ტირსაო.

30

რამდენიც უნდა გამიწყრე, მე ვერ დავფარვ მართალსა;
მოციქული ვარ, მოგიტხრობ ბრძენთაგან შემონათვალსა.
მეფე ბრძანდებით, თვალრებით ნუ შვებით ავს სამართალსა,
გაფთხილდით, ხნარცვს არ ჩავარდეთ, ბრძნად გარდავლებდეთ გზას თვალსა.

31

ერთხელ ხომ დამეც ლახვარი, ახლა მეორე დამ[ე]ც სხო?
მართლის თქმისათვის მე თქვენგნით თავში კომბალი დამეცხო.
თქვენმან ძმამ მოკლა ძმა თვისი, მე სისხლი მისი დამეცხო,
თუ რომ თქვენ წმინდა ბრძანდებით, კარგსა იქთ, თუ გარდამრეცხო.

პასუხი კაცისაგან

32

კაცსა რა ესმა ეს სიტყავ, ეოცა, გაუკვირდაო;
უფრო ძალიან გარისხდა, თავს ცეცხლი მაიკიდაო;
თქვა თუ: ეს ცრუვი საწუთრო ნეტა რას გარდმეკიდაო?
პაპა-ბებია მისხენა, ახლა ძმებს მაეკიდაო!

33

საწუთროს ხმალი უღერა: თქვი, თორემ გაგჭრი ორადო,
ტანსა ძაღლებსა შევაჭმევ, თავს დაგიგორებ გორადო;
ბებიასი და პაპისა, ძმებისა, რაც სთქვი, ჭორადო,
ნუ მეუბნები იგავით, გამომიცხადე სწორადო!

პასუხი საწუთროსაგან

34

საწუთრომ უთხრა: მოგიტხრობ, შენ ყური მიგდე აპაო;
არს ევა შენი ბებია, კაინ –ძმა, ადამ – პაპაო,
ევა ღვთის მცნებას გარდახდა, ვაშლი ჭამა და ყლაპაო;
კაინ ძმა მოკლა, აბელის სისხლით ქვეყანა თხაპაო.

35

შეგასმენ, შენი ყურებით თუ ბანა გამოდებულა,
თავითგან კაცის სიკვდილი კაცთაგან შემოღებულა;
აბელის სისხლის დაღადი ცათამდის აღონებულა,
მას შეხებია ირისე, წითლად მის გამო ღებულა.

პასუხი კაცისაგან

36

კაცსა რა ესმა, დაფიქრდა, თქვა: ასე იყოს აგებო
არ შემომაკედეს უბრალოდ, ხრმალსა ქარქაშში ვაგებო;
ბოდიშს მოვიხდი თავმდაბლად, მასთან დაგებას ვაგებო,
კვლავ ვკითხავ წვრილად ამბავსა, ვაუბნებ, ვაქადაგებო.

37

ხრმალი ქარქაშში ჩანაგო, თავს ქუდი მაიხადაო;
საწუთროს თავი დაუკრა, ბოდიში მაიხადაო:
თუ რომ ეგ სიტყვა ჩემთვისა უწინვე განგეცხადაო,
რაც მე შენ მწიკვლი გაყვედრე, კმარდა მის სარეცხადაო.

პასუხი საწუთროსაგან

38

საწუთრომ უთხრა ბაყითა: რაღა არს ბოდიშთ ხდილობა?
ნუ გეწყინებისტ, არ გიჩანს მეფური ზნე და ზრდილობა.
მეფეს არ მართებს უსჯელად კაცის კვლის სიადვილობა.
არ გხამდათ აგრე ადვილა ჩემზედა ხრმალ-მოწვიდილობა.

პასუხი კაცისაგან

39

კაცმან ჰრქვა: ვითხოვ შემინდო, რაც მე ვქენ ყია-მყრალობა:
ნულარ იქნების ჩვენ შუვა ერთმანეთისა მწყრალობა,
შენ რომ მომითხარ ყვედრებით ცეცხლ-ქარ და მიწა-წყალობა,
რა იგავია, არ ვიცი, მიყავ თარგმნისა წყალობა!

პასუხი საწუთროსაგან

40

საწუთრომ უთხრა: თუ კი შენ იცი ხრმლით, ჯოხით შენაო,
სამოც-და-ცხრის წლის კაცი ხარ, ეგ რად არ იცი შენაო?
ღმერთმან რომ კაცი დაბადა, ოთხ ნივთით აღაშენაო,
მიწით, წყლით, ცეცხლით, ქარითა, ჩაბერვით მისცა ქშენაო.

პასუხი კაცისაგან

41

კაცმან ჰრქვა: მიმიძმს ის სიტყვა, გულზედ დამაჩნდა დაღადა,
შენ რომ სთქვი: „ქვეყნით ცათამდის აბელის სისხლმა დაღადა“
ორს ძმასა მთელი ქვეყანა სახნად, სათესად, ბაღადა
რატომ არ ეყოთ, ეს მიკვირს, ერთმანერთს ხოცდნენ რაღადა?

პასუხი საწუთროსაგან

42

საწუთრომან ჰრქვა: ჯაბანს კაცს გულს უკლავს სხვის მამაცობა:
თვით კარგკაცობა არ ძალუცს, სხვისა შურს კარგი კაცობა,
კაინის ამბის სმენასა სჯობს ყურში თითის დაცობა.
აბელის მსხვერპლი ღმერთსა სთნდა, კაინ ქმნა ამად ძმაცობა.

43

კაინ ღმერთს მსხვერპლი შესწირა, თავისი ნამუშააკევი,
ხეთა, ბაღახთა ნაყოფი, ნახნაგ-ნათესი, ნამკევი;
მსხვერპლში ურივა ნაკმაზი, თვით იპრიანა ნარკევი,
ღმერთმან შეუტყო, უვარყო ნაღალატ-ნაეშმაკევი.

44

შესწირა მსხვერპლი აბელმან ღვთის მოსაწონი, ქებული,

თავის სამწყსოში პირველი, რჩეული, გასუქებული.
შეიქმნა კაინ შურითა დამწვარ, გულჩათუთქებული,
სიმწუხარისა ოფლისა დენითა თავხვითქებული.
45

ღმერთმან უბრძანა: კაინ, რად შეიჭვნა შენი პირია?
გულის წყრომისა ოფლითა სველხარ, ჩამოგდის მწვირია;
სცოდე, მართლიად არ განჰყავ, არც მართლა შემამწირია,
აწ შენსა შენვე მსთავრობდე, შენთვისვე დაიჭირია!
46

კაინ მიუთხრა აბელსა: ერთად გავიდეთ ველადა,
რომლისა რისმე საქმისა ერთმანერთისა შველადა.
აბელ უსმინა, ძმას წაყვა გულმართლა, უზაკველადა,
კაინ მხარს კეტი გაიდვა აბელის დასაკურელადა.
47

კაინ ჰრქვა აბელს: შენ ღმერთსა რად უძღვენ ჩემზედ მეტია?
– მოუქნივა და დანარტყა უეცრად თავში კეტია.
აბელის თავის ნახეთქი ცას მოხვდა ანასხლეტია,
მისგან ცის მშვილდზედ სისხლი სწვეთს, ჯერაცა არ შესწყვეტია.

* სათაურის ზემოთ ხელნაწერში ცარიელი ადგილია დატოვებული შენიშვნით:
„ზამთარი დაიხატოს“. პოემის პირველი ექვსი ხანის მესამე, მეოთხე და მეხუთე
ტაეპებს უზის ციფრი 2, ხოლო აშიაზე ავტორის ხელით მიწერილია: „ეს ციფრი
არის, რომ რ[აც] გასწვრივ ლექსი[ა], ორჯელ უნდა ი[თ]ქვას ბოლომდის“.

წიგნი დ

წიგნი ესე მხიარული ზაფხული*
რუსულად ამის ხმის სიმღერას ეწოდების „ვესელა ვესნა“,
თქმული მისივე, დავით გურამიშვილის.

ა. ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლა

ერთს ქალს რუსული „ვესელა ვესნა“
ჩემთვის სახმილად ჩამოეკვესნა.
იმით ჩემი გული
იქმნა დადაგული,
მედების ალი!

2

ვიწვი, ვიდაგვი მწარედ საწყალი;
არავინა მყავს, დამასხას წყალი.
ღმერთო გეაჟები
წყლით სავსე გეაჯები
შენ მომაშველე!

3

უცვებით ბრმასა მიხილე თვალი,
შენი მაცნობე მე გზა და კვალი.
მომეც მე შეტყობა,
კარგ-სიტყვით შეწყობა
შემაძლებინე!

4

იჯდა ზამთარი ბროლის ტახტზედა;
ხელი ხედ ედვა ფარ-ხმალ-ლახტზედა,
მზად ყვანდა ლაშქარი –
თოვლ-ყინვა, მას ქარი –
მოსწონდა თავი!

5

ჯართ მყვანებელად, ევროს ამირად
ყვანდა კეკიად მოპირდაპირად;
შემდეგად მას ლიფსი,
ზეფიროს ფვინქსი,
ბორია, ნოტოს.

6

ზაფხულს ამირად ჰყვანდა კეკია,
სად ევროს იღვა ნაცარქექია,
შემდეგად არგესტი,
აპილი ერლასტი,
თრასკე ლივონტოს.

7

არგესტიმ უთხრა: დრო არის, ლიფსი,
ადე, გამეცა, რა ქვეშა იფსი!
ეს ლიფსმან იწყინა,
უფროსად გაყინა
ლილო-ლელმანი.

8

ლიფსსა და არგესტს შაექნათ ჩხუბი,
არგესტ საჯდომთა ლიფსს შასცა შუბი, –
დაიჭრა რა ლიფსი,
იხმო მან ფვინქსი,
მიუთხრა მასა:

9

არგესტს შავები, ნაცზე დავიჭერ.
უკაცრაოდ ვარ, შარდს ველარ ვიჭერ!
აწ ახლა შენ იცი,
ვით გაქვნიდეს შენ ფიცი,
შენ გაისარჯე!

10

არგესტ დაუხდსა, ქროლისგან დადგა,
ფვინიქსის ბრძოლად ერლასტი ადგა.
გარდაუდგა წინა,
ლაშქრად ახლდა წვიმა,
ფვინიქს[ს] ყვა თოვლნი.

11

ფვინიქს ერლასტის წამოუქროლა,
თოვლის ხორშაკით დაუწყო სროლა.
ერლასტიმ მას თოფნი,
წვიმა და ქარ-ჭყოპნი,
მას შეაყარა.

12

გატყდა, ამოსწყდა ფვინიქსის ჯარი,
ვერ მოიხმარეს თვისი აბჯარი;
ჩაუსველდათ თოფნი,

თავს დაესხათ ჭყობნი,
დეღგმა-ღოღფონი.

13

ერღასტს ეტყოღა ზეფიროს გმირი:
კმარა, დაწუმღი ნუ მადღა ყვირი.
ნულარ ჰქერი თბიღაღა,
თვარ გაგხღი წბიღაღა!
ღაღაშქრა თრთვიღიღ.

14

რა ზეფიროსმა შექმნა მუქარა,
აბიღიოტმა ფეხს მოუჩქარა:
ღაჰბერა მან თბიღი,
განუგღო მას თრთვიღი,
მზეც მოეხმარა.

15

ევროსთან იყვნენ ბორია, ნოტოს
ღა კეკიასთან თრასკე ლივონტოს,
მუნ შუამავღობენ,
მშვიღობას ცდიღობენ
ერთმანერთშია.

16

ამ ქარებს გარღა სხვანი ქარები
ღაუნღობეღნი, არზაქარები,
იყენ[ენ] შორს წასულნი,
ქეყენად დაქსაქსულნი,
მუნ ვერცად ვნახე.

17

რა ესმა ევროს[ს] ჯარის გატეხა,
ბორიას, ნოტოსს შემოუტეხა:
თქვენ აქ რაღა ხართო,
რატომ არ წახვალთო?
ჩვენს ჯარს უჭირსო!

18

ამას წყინობღა ევროს ამირი,
ავად სებმულა ზეფიროს გმირი.
აბიღიოტიო,
ქმნიღა მეოტიო
ზეფიროზისა.

19

ადღგა ჩრდიეთით ბორია ქარი,
გულით ფიცხეღი, ხელ-ფეხით ცქარი,
მძღაფრადა გაყინა,
სუყვეღას აწყინა,
ვისაც სემოხვღა.

20

სად ზაფხულისა ვღიღა თარეში,
სულ გაუყინა მადღა ჰაერში;
ასეთი ციოღა,
მკვღარი ძირს ცვიოღა
მადღიღიგან დაბღა.

21

თრასკემ ბორიას კარგათ უმტერა,

წამოუგირგლა, სულ განუმტკეპრა;
ჰაერში ახვეტა,
დაუწყო მან უღეტა
ბორიას ლაშქარს.

22

ბორია დადგა, წამოდგა ნოტოს,
თრასკეც დაყუნდა, აღდგა ლევონტოს.
ხვდა ლომსა ლომია,
შეიქნა ომია
მეტად ძლიერი!

23

ნოტოს დაჰყვირა ლევონტოსს მჭახედ:
ლევონტოს დახვდა გულმაგრა, მკვახედ;
დგენ გაბოტებითა,
სცემდნენ ტოტებითა
ერთმანერთს თავში.

24

ამირ კეკიამ იხმარა ხერხი,
ევროსს მოსტეხა ზარბაზნით ფეხი;
ასეთი შაშქეხა,
ევროს ქნა ტანთ გრეხა
შიშისაგანა.

25

იპყრა კეკიამ ხელთ ევროს ქარი,
სრულად დამარცხდა ზამთრის ლაშქარი!
გაიქცა ჩაფარი,
სად იყო ზამთარი,
ხელთ იპყრა ხრმალ-ფარი.
შეჯდა რაშხედა!

26

ოდეს მოხსენდა, სიტყვა ჩაფრისა,
ჯარის სიმარცხე, მოშლა საფრისა,
წამოდგა ზამთარი,
ხელთ იპყრა ხრმალ-ფარი.
შეჯდა რაშხედა!

27

სადაც ბანაკად დგა გაზაფხული,
ხრმალგალესილი, შუბგამახული,
მიმართა ზამთარმან,
ჯავრით, ვით აფთარმან,
მას შეუტივა!

28

ზაფხულს მიუგო ავი სიტყვანი,
გარდააყარა თავსა სეტყვანი.
ზაფხულმან თოფხანა
სტყორცნა, თავს მოჰფხანა
მეხით ზამთარსა.

29

მზემან მსახურა ზაფხულს კეტილად,
ზამთრის სიცივე შესცვალა თბილად.
გაიქცა ზამთარი,
რაშს სტაცა ფაფარი:

დასცეს კიჟინა!

30

შეჯდა კეკია, იყო ცხენ-ჩქარი,
დააწყებინა შუბსა ზანზარი;
გამოუდგა მღვერად,
უკან მოსაწვევრად
მიყვა ზამთარსა.

31

არ ჩამოეხსნა კეკია ქარი,
სანამ არ ჩაძვრა ქვესკნეთს ზამთარი.
აიღო ალაფი,
გარდასხა ღავს ლაფი
და გამობრუნდა!

* ამ სათაურის შემოთავც შენიშვნაა: „აქ უნდა ზაფხული დაიხატოს“.

ბ. ზამთრის დამარცხება და ზაფხულის
ბამარჯვება და წყმისტი პირობის დება *

32

ზამთარს წაუხდა აწ ჭირნახული;
ზურმუხტის ტახტზედღაჯდა ზაფხული.
შემოკრბენ ყოველნი
მუნ სულნი ცხოველნი
და მიულოცეს.

33

გაცვდა, გაძველდა ცივი ზამთარი,
შემოეცარცვა ტანთ საფარი.
ზაფხული განახლდა.
საცმელი თან ახლდა
ფერად-ფერადი.

34

ზამთრით გაცრცვილნი, შიშველ-ტიტველნი
ახლით დამოსა, გახადა ძველნი.
მისცა მან ბრძანება,
დასრთო სვლად მან ნება
პატიმრად მყოფთა.

35

ტანთა ჩანაცვა მწვანე კაბანი,
არა აქვთ სიცივით თრთოლა-ბაბანი.
თბილნი ქარნი ჰბერვენ,
ხმით მფრინველნი მღერენ,
განაქვთ ჭიკჭიკი.

36

ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახის ოფოფს გუგული;
შაშვი ამბობს ზილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
დვრინავს ქედანი.

37

სხვანი მფრინველნი ამბობენ ბანსა:
ქვემდრომთ ხმა ესმისთ, სახლს ხდიან ბანსა:
ჩაყრილნი ხაროდა
ზე გასახაროდა
ამოძვრენ ველად.

38

მზგავსად- მზგავსადმან იპოვა ტოლი,
ყველამ დანერბა თავისი ცოლი.
გამოვიდა დოლი,
გაიზარდა მოლი,
ხეთა ფოთოლი.

39

მხიარულს ზაფხულს მოყავს ყვავილი;
მოწყენილ ზამთარს თან გაყვა თრთვილი.
აწ წყემსნი ხარობენ,
ვინ ვისა ყვარობენ,
პირობას სდებენ:

40

„ვინ ვის გვინდოდეს, ერთად ვაძოოთ;
საერთო იყოს, ვინც რამე ვპოოთ“.
სამთ ქალთ სიხარულით
ცხვარნი სიარულით,
წანასხეს ჭაღად.

41

მირეკეს ჩიგვთან. სად ვარდის ფერად
ყვავილნი ნახეს, მუნ დასხდენ მღერად.
იმღეროდენ ტკბილად,
კარგ-ხმა-გაწყობილად
შაექცეოდენ.

42

ყვავილთ გაჰქონდა გაშლილს ბიბინი;
დაგლიჯეს, დაწნეს მისი გვირგვინი.
რაც ქალი იქ იყო,
ყველამ თვითო იწყო
თავისათვისა.

43

მარტოს ვერ სწნევდა თეთრს ვარდიანსა,
წავიდა ჭაღას შორს, ბარდიანსა,
ყვავილთა საძებრად,
კარგისა საკრეფლად
თავის კონისთვის.

44

მოესმა შორით ნესტვთა ხმობანი,
ეგონა ქალთა თამაშობანი.
სითაც ესმა სტგენა,
მიყვა იქითკენა
ყვავილთ კრეფასა.

45

აღმართი ავლო, რა გარდიხედა,
მუნ მწყემსი დახედა და წყალი სჩქერდა.
შეშინდა, შაჰყვირა,
გაქცევა აპირა,

ველარ გაბედა.

46

მალ-მალ შაჰყვირა: ვამე, ვამეო!
რა დღე მექნების, ან რა დამეო!
მას მწყემს[ს] გაუკვირდა,
თქვა „რა გაუჭირდა?“,
სწრაფ გამოიქცა.

47

მივიდა, ჰკითხა: „ვინ ხარ, რა მოხდა?
რა შეგაყვირა; წინ რა შემოგხვდა?“
ხელი ხელს მოჰკიდა,
თვალთ ცრემლი მოსწმინდა,
სცა ნუგეშინი.

48

ქალმან რა ნახა იმ წყემსის პირი,
სულ დაავიწყდა, რაც ჭირდა ჭირი;
მწყემსი შეუყვარდა,
ფეხთ ქვეშ შეუვარდა,
შესცინა პირსა.

49

ქალმან მიუთხრა წყემსს: „საყვარელო,
დღეს ჩემო მცველო და დამფარველო!
მეც სიტყვის დასტური;
რაც ვსთქვა, მიგდე ყური,
მისმინე თქმული.

50

რადგან შენ გახდი ჩემი ძალ-ღონე,
რაც მოგახსენო, ეს გამიგონე;
დღეს შენგნით მეფონა,
ხსნა აღარ მეგონა
ჩემის თავისა.

51

ეს კონა წნული იყოს შენია,
მე ვარდი შემქენ, იყავ შენ ია;
გაშინჯე, შენც ნახე
ჩემის პირის სახე,
თუ გონდეს, მითნიე!“

52

მწყემსმა ქალს უთხრა: „ნუ ასჩქარდები,
ჯერ შენვე გაქვნდეს შენი ვარდები;
ცოტა მოიცადე,
საქმე გამოსცადე,
შეიტყვე მართლა.

53

ჯერ დაივიწყე კვნესა და ვიში,
თქმულა: „სიყვარულს შე[ი]ქსო შიში“;
ხარ გულით შემკრთალი,
არ ვიცი მართალი,
გიყვარვარ თუ არ!

54

ცოტას ხანს საქმეს დაუგდოთ ყური:
ღვთიური არის თუ ეშმაკური;

დღეს შევიყვარენით –
რად შევიყვარენით,
ვსცნათ ერთმანერთი.

55

თუმცა მთნავს, მსურის შენთან დაწოლა,
მაგრამ შიშითა გულში მაქვს ძრწოლა.
ვინც რომ დაგვინახავს,
დაგვემობს, დაგვიძრახავს,
უწესურს საქმეს“.

56

ქალმან მიუთხრა: „რამ შეგაშინა?
ჩვენ ორთ ხშირს ტყეში გვიყურებს ვინა?!“
მწყემსმა რა ისმინა,
გულით გაიცინა
ამ სიტყვაზედა.

57

ქალმან მწყემსს ჰკითხა: „გასაცინარი
ჩემგნით რა გესმა? მითხარ, ვინ არი
აქ ჩვენი მნახავი,
რომ იქნას მძრახავი?
ვისგან გეშინის?“

58

მწყემსმა ქალს უთხრა: „თუ შენ მომისმენ,
სანამ ვიტყვოდე ჩემს თქმულს, მოითმენ,
ვისიცა მაქვს რიდი,
ან მე შიში დიდი,
გეტყვი ყველასა.

59

შენ ყური უგდე ჩემს ლაპარაკსა,
მე მართალს გეტყვი, არ თუ არაკსა:
ყოველს ხორციელსა
ვერ ნახავ ტიელსა,
არ ყვანდეს ტოლი.

60

ოდეს ქმნა ღმერთმან ადამ და ევა,
სჯულად უწესა ერთად შექცევა,
ერთად დაწოლა,
შეყოფით წულთ ყოლა
არს მიერთგან.

61

ვინც უნდა ნახოს ლოგინზედ მწოლი,
არვინ დასძრახავს, გვერთ უწევს ცოლი.
აქვთ უშიშრად ძილი,
შეყოფა მათ ტკბილი
სჯულიერებით.

62

ქმარნი და ცოლნი შეყვარებულნი
გულით არიან გახარებულნი,
თავის სახლ-კარადა
სხედან აშკარადა,
არ დამალულად.

63

შესაქცეველად დადიან ბადად;
უშიშრად, ურცხვად ხუმრობენ ლაღად
ხელი-ხელთ კიდებით,
თამაშით, ჭიდებით
ხეთ ქვეშ მწვანეზე.

64

უშჯულოებით შეეყვარებულნი
ტყეში დადიან შეპარებულნი,
ჯაგებში ძვრებიან,
ავს საქმეს შვრებიან,
აქვთ დიდი შიში.

65

საქმის შიში მაქვს ოთხის-ხუთისა,
ჩხიკე-შავ-ეკლისა, კაცისა, ღვთისა.
ამათ შეაშინეს,
კიდევ შეარცხვინეს
დედ-მამა ჩემი.

66

რაც მათ უნდოდათ, ვერც ის ქნეს კარგა,
მრავალი ქრთამიც მათ დაეკარგა;
რაც მათ მაეპარათ,
არც ის დაეფარათ,
გამოუმუღავენდათ“.

67

ქალმან მწყემსს უთხრა: წვრილად მითხარო,
ეგ როგორ ქმნილა, ან შენ ვინ ხარო?
შენ შემატყობინე,
მე გამაცნობინე
შენი თავიო.

ბ. მწუქმისაბან თავისის მამისა და ღელის ამბავის
თქმა და თავისის სახელის გამოცხადება

68

იყვნენ ერთს დაბას მოსახლე ორნი,
გლეხნი, სიმღიდრით, საქონლით სწორნი.
ორნივე ჭკვიანი,
მართალნი, ღვთიანი,
კაცნი კეთილნი.

69

ერთავ სამძახლოთ ეჭირათ თვალი,
მაგრამ არც ერთსა არ ყვანდა ქალი.
სურდათ მათ მოყვრობა,
არ ავად მოპყრობა
ერთმანერთისა.

70

ყვანდათ ერთავე საცოლოდ ძენი,
მომზადებულნი, ჭკვიანი, ბრძენი,
მამათა მორჩილნი,
დედათა – ვით ჩხვილნი,
ღვთის მორწმუნენი.

71

ამათ მოუხდათ ერთს დღეს ქორწილნი,
ორთავ მიეცათ ერთს ღამეს შვილნი:
ერთს ვაჟი, ყრმა წული,
მეორეს ასული
ღმერთმან უბოძათ.

72

მათ ქნეს პირობა, ვთხოთო ღმერთსა,
თუ დაიზარდნენ, ვრთოთ ერთმანერთსა.
უფალმან ინება,
მათ ლოცვის სმინება,
დაზარდა დიდნი.

73

იყვნენ ქალ-ყრმანი სახით შვენიერ,
მშვიდ, მდაბალ, კეთილ, გულით მეცნიერ,
ერთისა ხნისანი,
თექვსმეტის წლისანი,
ერთად შეზრდილნი.

74

რა ბიჭს დაუწყო გულისთქმამ ბრძოლა,
მაიწადინა გოგოსთან წოლა.
გოგომ თქვა უარი!
უთხრა თი: „ნუ არი
ჯერ შენსა გულსა.

75

ჯვარ-დაუწერლად ეგე საქნელი
ნუ გჩანს ადვილად, ცოდვა არს ძნელი.
ღმერთსა ეწყინება
საწოლთ შეგინება
უშჯულოებით.

76

აწ რომ დამიწვე და მუცლად ვიღო,
ქვეყნად როგორღა ხმა ამოვიღო?
თუმცა ვარ საცოლო,
შვილი რომ მაყოლო
მერმე რაღა ვქნა?!

77

ჩვენ დაგვარქმევენ ბოზთ, მეძავთს, მრუშებს,
და ჩვენ შვილებსა ნაბიჭვრებს, ბუშებს;
სახელი გატყდების,
ქვეყანა ასტყდების
ჩვენს საძრახავათ.

78

იტყვიან, რასთვის არ იქორწინეს
და წარიმძღვარეს მათ წინაწინ ეს;
საქმე ქნეს ურცხვადა,
გვირგვინით უკურთხადა
შვილი იყოლეს.

79

თუ ვისმე ვეტყვი მე სიტყვებს მკვახებს,
ის ფიცხლავ ამას მე წამომძახებს:
„მე ვით მკიცხავ, ურცხო,

თვით საქმე ჰქენ უცხო,
საუნამუსო!

80

გვარი მოსთხარე და ნათესავი;
სირცხვილით დასტერ სუყველას თავი;
საქმე ჰქენ კახური.
შენთანა ქალთ პური
ადარ ეჭმების!

81

მცირე ხანს თავი ვერ შაინახე,
სჯული და მცნება არ დაიმარხე;
თავ-დაუჭერლადა,
ჯვარ-დაუწერლადა
ბუში განაგდე!“

82

მე ეს მაქვს ზითვად და ასე მინდა,
შენ მოგიტანო მე თავი წმინდა.
მის დროს ვინცა მნახოს,
არა რა მე მძრახოს,
ურიგო საქმე.

83

სჯობს ქალი მოკვდეს და დაიმარხოს, –
ურიგო საქმე არ დაიმძრახოს:
ქალთ სახელთ გატეხა
არს თავთ მეხთ დატეხა
მშობელთა თვისთა.

84

ნამუსიანად მქცეველი ქალი
არს მარგალიტი, ძვირფასი თვალი;
უნამუსო ქალი –
ქვა ფიქალი, მქრქალი,
ქრმის საფლავთ ლოდი.

85

ქალს გასათხოვარს საქმროდ მოწეულს
უჯობს სიწმინდე საცმელს ძოწეულს;
უწმინდურთა ქალთა
ოქრო-ქსოვილთ კალთა
დაჰფარავს ვერა.

86

ქალთ დანაშვენებს პირთ კალვა-ხალვა
და უმეტესად ფარვა და კრძალვა,
თავის მთლად შანახვა,
მცნებათა დამარხვა
სჯულთა და წესთა.

87

სჯობს მარგალიტსა, ოქროსა, ვერცხლსა,
კაცი არ ვარდეს სირცხვილის ცეცხლსა.
გთხოვ, არ შემარცხვინო.
და შემანახვინო
თავი დრომდისა.

88

ქვეყანა დაგმობს ჩვენს დედ-მამათა:
„რად დაანებებს თავი ამათა,
უდაბურს ჭაღასა,
ხშირ ბაღახ-ჩაღასა,
არ მოარიდეს!

89

რად არ იცოდენ, არ აქენდათ იჭვი:
თექვსმეტი წლისა გოგო და ბიჭი
რომ ერთად შეყარეს
ერთმანერთს აყვარეს,
ამას იქმოდენ?!“

90

მეხსენ, ნუ გავხდით ჩვენ უბედურად
ჩვენს დედ-მამათა, მას საყვედურად
ნუ დავადებთ თავსა,
ნუ ვიქთ საქმეს ავსა.
მტერთ ნიშთ საგებსა.

91

ოდეს დავსხდებით მეფე-დედოფლად,
პირზედ დაგვესხმის ჩვენ ჭირის ოფლად,
თავთა შერცხვენითა,
არ ჩვენ მოლხენითა
გვექნების სხლომა.

92

დედ-მამა გვეტყვის: „რად შეგვარცხვინეთ?
ქვეყანას თავი დააძრახვინეთ.
რასთვის მაიპარეთ
თქვენ არ დაიფარეთ
ქალწულებანი?“

93

მე, შენს საცოლოს, შენს შესართავსა,
ნუ იქ, სირცხვილით ნუ მამჭრი თავსა!
სჯობს, გამომჭრა ყელი
და არ მახლო ხელი
ჯერ საიმისოდ.

94

თუ შენ მე გამხდი სასაცილოდა,
მე მოგიკვდები უსაცილოდა.
შენ წაიშენ თავსა,
ტანთ ჩაიცვამ შავსა
„შეიქ ნანვასა!“

95

ბიჭმან არ უგლო გოგოს თქმულს ყური,
სიტყვა შეწმასნა მან ეშმაკური.
[ჰრქვა]: „ჯვარის დაწერა
არცადა ჩანს ჯერა,
მოვიცდი ვერა.“

96

ბებია მოკვდა, პაპაც მიკვდება,
მით ჩვენ ქორწილი გვიგვიანდება.
მოწყენით არიან,
არავის სცალიან

ჩვენს საქორწილოდ.

97

მართალს მოვითხოვ, მე ვერ მოვითმენ;
შენ მალე დაგთმობ, თუ არ მომისმენ!
შენ ქალი ხარ წმინდა,
მოლოზნობა გინდა,
მე სხვას მოვნახავ!“

98

ბიჭი შემოსწყრა, წავიდა განგებ:
თქვა, შეშინდესო ეს გოგო აგებ.
სხვის გოგოს სტუმრობით,
თამაშით, ხუმრობით
აჩვენა თავი.

99

გოგომ რა ნახა სხვასთან მისული,
ჯავრით ამოხდა მას თითქმის სული.
მეტადრე ეწყინა,
გული მას ეტკინა,
შეშინდა დიდად.

100

იფიქრა: „ვაი თუ, სხვაზე სცდესო.
მისგან ცოლ-ქმრობა ჩვენ წაგვიხდესო;
მან სხვა შაიყვაროს,
მე გულს გამიყაროს
სევდის ლახვარი!“

101

ბიჭს უთხრა: „მწადდა, გექნა ღვთის რიდი:
შჯულთ უწესურად ქალწულთა ხიდი
ჯერ არ დაგეშალა,
მცირედ დაგეცალა,
და არა ჰქენი.“

102

სხვასთან ცოდვაში შენს ჩაგდებასა
ესევ სჯობია, ვიქ შენს ნებასა.
ჩამოეხსენ სხვასა,
მაგით ღვთის რისხვასა
ნუ მიიყენებ.

103

რადგან არ იშლი, შენ მატან ძალას.
ხვალ ერთად ცხვარი წავასხათ ჭალას.
იქ ნება შენია,
რაც გინდა ქენია!“
დართო ნებანი.

დ. ლოცვა ბობოსი და
თხოვნისა[ე]ბრ საქმის მოსვლა

104

შუვალამ ადგა, გოგომ ილოცა,
ჩოქით მიწაზე მუხლით იცოცა,
მან თქვა: „ღმერთო ჩვენო!“

ცოლ-ქმრობის გამჩენო,
შენ გეაჯები!

105

დომელმან შექმენ ადამ და ევა,
აბრამს და სარრას მიეც კურთხევა,
ყავ ჩვენზედ წყალობა,
ჩვენი ვაჟ-ქალობა
შენ დაიფარე!

106

ჩვენც თუმცა მცნება ვერ დავიმარხეთ,
შჯულთ უწესურად ჩვენ განვიძრახეთ
ხვალ ერთად შაქცევა,
შებმა თუ გაქცევა,
ყავ ნება შენი.

107

უკუთუ ჯერ-არს ესე საქნელად,
ნურას გაგვიხდი საქმესა ძნელად;
შენის მიშვებითა
გვახარე შვებითა
ჩვენ ერთმანერთთან.

108

უკუთუ არა ჯერა-არს ესე,
შიში, სირცხვილი ჩვენს გულში თესე;
მცნება არ-მარხული,
ჩვენი განძრახული,
შენ მოგვიშაღე“.

109

ბიჭი გულისთქმით გაცხარებული
ადრიან ადგა გახარებული;
ცხვარი გამორეკა,
გოგოს კარს დარეკა,
დრო არს, ადექო!

110

ოდეს მირეკეს ცხვარი ჭალაკად,
ბიჭმა გახადა გოგო მაღაყად.
რა რომ დაადირა
და ქნა დააპირა,
ჩხიკვმა შეყვირა!

111

ასე შეუკრთო მათ ჩხიკვმან გული,
ნდომა შეაქმნათ მათ დაკარგული.
თრთოლით, ცახცახითა,
მოშლილის სახითა
წამოხტნენ ჩქარად.

112

ცოტას ხანს უკან ნდომას მოვიდნენ,
სხვას ხმელს ფოთლიანს ტყეში შევიდნენ.
იქ ესმათ ძრიალი,
ჩაჩუნი, შრიალი,
ხმელის ფოთლის ხმა.

113

როგორც უნდოდათ, ვერც იქ შეაქცნენ;

კაცი ეგონათ, შაშვთა გაექცნენ.
ის გოგო და ბიჭი,
სადაც იყო ღიჭი,
წავიდნენ, შაძვრენ.

114

არ დაიხედა მან ნდომით წინა,
საჩქაროდ გოგო წამოაწვინა;
სადაცა ეყარა
მრავლადა ეკალა,
დასცა მაზედა.

115

საბრალომ გოგომ ტიტველი ნაცი
ზედ დანახივა, სად იყო ქაცვი.
რა რომ ის იტკინა,
გოგომ იმწვიტინა
გამწოებულმან.

116

ბიჭსა ჰკრა წიხლი, შორს გარდაგორა;
იქ იმ ბიჭს დახვდა ქვეშ ეკლის გორა.
ორთავე ტირილი,
დაიწყეს ყვირილი,
მეტის სიმწოვით.

117

მუნ თურმე კაცი შეშასა სჭირდა;
ყვირილი ესმა, „თქვა რა გაჭირდა?!“
მივიდა, მან ნახა,
მათ თავსა დასძახა:
„რა გაყვირებსთო?“

118

მათ ვერა თქვეს რა, ჩავარდათ ენა;
შიშით, სირცხვილით გულს მიხვდათ წყენა.
მან კაცმან რა ნახა,
დაგმო და დასძრახა,
ორნივ დალანძდა!

119

კაცი უკანვე გაბრუნდა ჩქარა,
ორთავე დასთხოვა დიდი მ უქარა:
„რაც მიგიპარავთო,
ვერ დაგიფარავთო
ქურდობა თქვენი.

120

თქვენს დედ-მამასთან გკითხავ მაგასო,
ორთავე ეკალი მანდ რამ დაგასო?
თქვენ რადა სძვრებოდით,
მანდ რასა შვრებოდით,
იქ გათქმევინებთ“.
მიუგო ბიჭმან: „ეს სჯობს მაგასო,
მე შენ კარგ-გვარად სასმელი გასო;
დაგიდლა ჭედილი,
წინ ვერცხლით ჭედილი
დაგიდგა კულა.

122

ქრთამად მოგართვა ოქრო და ვერცხლი,
რომ არ მოგვიდვა სირცხვილის ცეცხლი.

აგავსებ ძღვენითა,
ჩვენის შარცხვენითა
შენ რა გერგების?

123

ის კაცი იყო მათი მოყვარე,
იმავე სოფლისა, არ შორს მოსამძღვრე.

ახლო ნათესავი,
ერთად მხენელ-მთესავი
განაყოფობით.

124

გულით უყვარდა ბიჭის მამასა,
მამა ბიჭისა აგრევე კაცს მასა.

მის გამოვისადა
საქმე ქნა ღირსადა
იმ ბიჭისა.

125

ასე თქვა გულში: ქრთამს რომ დამპირდა,
მოდო გამოვსცდი, ვსცნობ, როგორ ღირდა!

უთხრა: „არ გაგცემო,
თუ რასმე მამცემო“;
იამა ბიჭსა.

126

ბიჭმან დაუკლა მსუქანი ცხვარი,
პური იშოვნა მან გამამცხვარი:

გოზაურით ღვინო,
გულთა საღიღინო
დაუდგა წინა.

127

მამას მოჰპარა მან ვერცხლის თასი, –
იყო წონითა დანგი ათასი, –

მისცა მას ფასადა,
შენ სთქვაო არსადა
ჩვენი საქმენი.

128

გაძღა, დაითრო, წამოდგა კაცი,
დალოცა ქაცვი, ტიტველა ნაცი:

„ვინც ეკალზედ დასცი,
ახივე, ზედ აცვი.
ღმერთმან დაგზარდოსთ!

129

მე დღეს ეკალამ კარგს ბედს შემყარა! –
მღვდელმან აკურთხოს, სადაც ყყარა! –

მას აშოროს ცეცხლი
მაშოვნინა ვერცხლი,
დამათრო ღვინით!

130

ამ ჯამს წავიღებ, ქალაქს გავყიდი,
კარგა გამივა, თასია დიდი;

ბევრს მამცემენ აბაზს,
ცოლს უყიდი კაბას

130

შვილთა ჩოხებსა“.

131

აილო კაცმან ცხერის ტყავი შავი,
ნარჩომი ხორცი მოუხარშავი,
რაც რომ ედგა წინა,
თქვა: „წავიდებ შინა“,
სულ წამოხვეტა.

132

თქვა: დაუპატიჯებ ჩემს მეგობარსა,
ჩემგნით ადვილად არ საგმობარსა;
ამ ბიჭის მამასა
შეუგობო ამასა,
დაუდგამ წინა“.

133

იპერა ხელთ კაცმან ის გოზაური,
მან ბიჭმან შექმნა აურზაური:
„თუ კი არ გვინდობო,
ეშმაკობ-ფლიდობო,
ეგ რად მიგაქვსო?“

134

კაცს წაეკიდნენ გოგო და ბიჭი:
„რად გაჰლექსეო ნაცი და ღიჭი?
ამად დაგქრთამეთო,
გასვით, გაჭამეთო,
რომ დაგეფარა!“

135

რადგან შენ აგრე გამოგვაცხადე,
ეკალზე დაგვსხი, ნაცს წამოგვსა[დ]ე,
ჩვენ რად მოგცეთ ფასი,
მოგვეც ჩვენი თასი“
კაცს დაეჭიდნენ.

136

კაცმან თასი არ დაანება;
მათ კაცს დაუწყეს ლანძღვა გინება.
ბიჭს ჯოხი უცხუნა,
სისხლით უთხუნა
თავი და პირი.

137

ბიჭი მოჩივრად გაგზავნა წინა,
თვით უკან მიყვა, მივიდა შინა;
დაწვა, დაიძინა,
ადგა, მაიწყინა,
დაჰკიდა თავი

138

ცოლმან მიუთხრა: „რამ დაგაფიქრა,
შენ შეგემთხვია: ან აქ, ან იქ რა?“
კაცმან თქვა: „მიკვირსო,
სათქმელად მიჭირსო,
რაც ვნახე სიზმრად.“

139

მიცვალებულნი მამა და დედა

131

ორნივ ჯავრობდენ მე და შენზედა:
შვილმა და რძალმაო
გვტანჯა, გვაწამაო
სიძვირითაო.

140

აღარ მოგვიგდეს თვალი და ყური,
მათ არ გვაჭამეს ჩვენ ლუკმა პური,
ხმა-მადლა ყიოდენ,
სიკვდილთან ჩიოდენ,
სამართალს სთხოვდენ.

141

განესამართლა მათთვის სიკვდილსა,
ჯერ რძალსა ვჭკითხავთ, მას უკან შვილსა;
იმათ თქვეს საჭმელი,
ანუ თუ სასმელი
რათ დაგიჭირესთ?

142

მე შავებევეწე, უთხარ: ნუ სჩივით,
გამოგიგზავნით წყლით, ნავით, ტივით.
სამის დღის ბორჯლითა,
დიდისა სასჯლითა
მძლივ დავეხრწივე.

143

ამ სამს დღეშია ჩემს დედ-მამასა
ჩვენ თუ არ უზამთ ალაპს, ჭამასა,
წამოვა სიკვდილი,
ცელ-ხმალ ამოწვდილი
შინ მოგვიხდება.

144

ჯერ შენა გკითხავს მას საკითხავსა:
პასუხს ვერ მისცემ, შენ მოგჭრის თავსა,
მას უკან მე მკითხავს,
ვიმართლებ მე კი თავს,
შენ დაგაბრალებ!“

145

ცოლმან მიუგო: „შენ საქმეს ვჭკვირობ.
შენ მისთვის სიკვდილს რისთვის მიპირობ?
ცხვარ-ძროხა გყავს ბევრნი,
სავსე ღვინით ქვევრნი,
გიდგს ფქვილი ბელლით.“

146

რატომ აჩივლებ შენს დედ-მამასა,
რატომ არ უზამ ალაპს, ჭამასა?
მაქვს პური დამცხვარი,
აწ შენ დაკალ ცხვარი,
მოხადე ქვევრსა.

147

მაღე ქენ საქმეს ნუღარ აყენებ,
კარზედ სიკვდილსა ნუ მამაყენებ;
თუ არ კმარა პური,
დამეც შენ დასტური,
მე გამოვაცხოვ“.

132

148

ქმარმან ცოლისა სიტყვა გაკმარა:
„ოცი პური გაქვს, ეგ რასა კმარა!“
ცოლი ადგა ჩქარა,
მან აღარა თქვა რა.
შექნა პურს-ცხოზა.

149

წამოდგა კაცი; რაც რომ ინითა,
ტიკნი დატენა კარგის ღვინითა,
ყვანდა ნაჩუქარი,
კარგად ნასუქარი,
დაკლა ფურ-ბერწი.

150

ორი ცხრა ცხვარი, ოცი ბატკანი,
გასწიქვიტა ბატო ხმა, ქათამთ კაკანი;
სასმელი, საჭმელი,
სანთელი, საკმელი,
ჩანაწყო ნავში.

151

მღვდელთ უთხრა: „საქმე მზად დაიჭირეთ,
როცა მოვიდეთ, მაშინა წირეთ“.
ჩასხა ნავს ხარჯთანა,
ატანა მას თანა
მზარეულითურთ.

152

სადაც იმ ბიჭის საქმე მან ნახა,
მის ახლო საყდარს მამა ემარხა;
იქა გაისტუმრა,
ყველა იქ ისტუმრა,
ვინც რომ უნდოდა.

153

მან დაჰპატიჯა სულ მეზობელთა,
ბიჭის და გოგოს შემქმნელ მშობელთა
მან დაუკრა თავი,
უთხრა: მზათ მაქვს ნავი,
მეწვიენითო.

154

ბიჭის დედ-მამამ კაცი გალანძღეს,
თქვეს: „მტრის აღაპში ვინ ძაღლი გაძღეს!
შენ მოგვპარე ცხვარი,
პური გამომცხვარი,
ღვინო და თასი.

155

თასი გთხოვს და შენ არ მიეცი,
შიილსა და სარძლოს ორსავ გვიეცი;
ნაცხედა ეც ღიჭი, ეკლით გოგო-ბიჭი
შენ დაგვიხივე!

156

ჩვენ ვერ მოვითმენთ გულის ტკივილსა,
ხვალ ჩვენ ვაპირებთ შენზედ ჩივილსა,
არცადა წახვიდე,
უნდა შენ მოხვიდე

133

სამართალშია!“

157

კაცმან გონება არ აღაჩქარა,
წინააღმდეგომი მან არა თქვა რა,
ჩუმად თავის წინა
გულში გაიცინა
ბიჭის ტყუილზედ.

158

მან კაცმან უთხრა ბიჭის მამასა:
„გთხოვ ყური უგდო, რაც ვსთქვა, ამასა.
ჯერ ნუ ასჩქარდები,
შენ ნუ გასჯავრდები
გაუშინჯავად.

159

ყველას მოგიტხრობ ჩემის პირითა,
ჭირში ჩავარდი რასაც ჭირითა,
რასაც მიზეზითა,
ან რასაცა გზითა
მე ვქენ ქურდობა.

160

მე სხვაგა ვიყავ, რა მოველ შინა,
სახლში დამიხვდა მეარავინა.
მე ასე მშოიდა,
რომ გული მტკიოდა.
მეტის შიმშილით.

161

მე შენს სახლშია სმისა, ჭამისა,
აგრევე ხმარება ჭურჭელ-ჯამისა
მაქვნდა ჩვეულება,
ხშირად წვეულება
გარდამხდომოდა.

162

წამოველ შენსა, შემოველ შინა,
ავადმყოფ მამას შენსა ეძინა;
მე დამიხვდა შინა
აქაც არავინა
მარტო მის მეტი.

163

მას გაღვიძება ვერ გაუბედე,
მიველ კიდობნად, უკუვიხედე,
თასსა და სამს პურსა,
სადვინისა ყურსა
დავაველე ხელი.

164

გამოვიტანე, ჩავდგი ურემში,
შევაბი ხარ, მე წავველ ტყეში;
შეშისა საჭრელად,
ღვინის სმით თვალ-ჭრელად
მიველ ჭალასა

165

რა რომე ღვინო თავში შემიჯდა,
პურით რომ გავძეხ, ხორციც მამინდა;

134

ხორცისა ნდობითა,
ადგომ-დაჯდომითა
ღონე წამერთვა.
166

მაგ შენს შვილს ყვანდა მუნ საცხოვარი,
მიველ და ვსთხოვე ეს სათხოვარი:
„აგრემც გაგზრდის ღმერთი,—
ნაჭერი მე ერთი
მაჭამე ხორცი!“

167
გუდა მიჩვენა და ხელსახოცი,
მითხრა: „წაიღე, თუ მაქნდეს ხორცი“.
დაუკარ მას თავი,
მე უთხარ: მაშ, შავი
ჭედილი დავეკლათ.

168
ცოტა რომ ჩვენ აქ მწვადად შევიწოთ,
სხვა სულ საღამოს შინა წავიღოთ.
თქვა: ვერ გავბედაო,
მამა და დედაო
გამიწყრებაო!

169
აღარა ვსთქვი რა, ჩემთვის დავსჩუმდი,
სად შეშას ვსჭრიდი, იქავ გავბრუნდი;
სად სძოვდა ჭედილი,
ხორცით დაყმედილი
წავაწყდი ზედა.

170
წამოვეპარე, დავავლე ხელი,
მაშინვე დანით გამო[ე]სჭერ ყელი;
რა გავხადე ტყავი,
კაჭკაჭი და ყვავი
სულ ზედ მომატყდა.

171
რა გამოვშიგნე, ცეცხლი ავანთე,
მწვადი დაუდეგ, შენს შვილს მიგმართე.
მას უთხარ: წამოდი,
ჩვენა ვსჭამოთ მწოდი;
მითხრა: „ვინ მოგცა?“

172
გამოუცხადე, არ დაუფარე;
უთხარ: მე შენა ცხვარი მოგპარე,
მწვადი წამოვაგე,
მე მაქვს სანოვაგე,
მოდი შავექცეთ.

173
შემომიძახა: „რას მეხუმრები,
მე დასაკლავნი სად მყვანდა ცხვრები?“
შექნა მან ტირილი,
თავს ცემა, ყვირილი:
„მამას რა უთხრა?!“

უთხარ: მაგაზე შენ რა გაწუხებს?
მამა-შენს თვით მე გაგსცემ პასუხებს.
მივიყვანე, დავსვი,,
ვაჭამე და ვასვი,
განვაძღე კარგა.

175

როცა დაითრო, აიღო თასი;
მითხრა: „ამ თასში მოგვეც რა ფასი?
ამდენი ქურდობა,
და არ დაუნდობა
შენ არ შეგრჩება“.

176

მე უთხარ: ძმაო, რაც მამიპარავს,
თვალით ჩანს ყველა, არ დამიფარავს.
თუმცა მამეპარა,
მხამდა დამეფარა
შენთვის ესენი.

177

რაც მე მიუთხარ, არ დამიჯერა,
საცემრად ჯოხი მან მამიღერა!
მით მე ამიჩქარდა,
გული გამიჯავრდა, ვერ მოვითმინე

178

თასი წავართვი, სახრეც უცხუნე,
თავპირი სისხლით გარდაუთხუნე;
მოეშველა ცოლი,
ჯერ არ თანამწოლი
სჯულიერებით

179

იმას ნაცხედა დაეკარ ეკალი,
უთხარ: შენ რა გრჯის, ჯერ შენ ხარ ქალი,
რად არ გრცხვენიან,
როდისა გშეენიან
ჯერ ეგ საქმენი?!

180

შენ შვილს მიძახდი, მე მჩანდი მამად,
ამად მოგექეც ასე თამამად.
შენს უკითხავადა
საქმე ვქენ ავადა,
დაგიკალ ცხვარი.

181

ბევრჯერ მიცოდავს, შენ შეგინდვია,
დიდს საწყენზედაც თავს არ გიდვია;
გთხოვ, ესეც შემინდო
და არა გამყიდო
ცოტას საქმისთვის

182

უპატიური რაც შვილს გიკადრე,
ბოდიშს მოვიხდი ხვალ დილას ადრე;
გიზღავ მე შენ ცხვარსა,
პურსა გამამცხვარსა,
თასსა და ღვინოს.

136

183

აწ წამობრძანდით ნუ მალოდინებთ!
თქვენის გაყრითა ცრემლს ნუ მადინებთ!“
მიუთხრა ტკბილადა:
„ნუ გამხდით წბილადა
თქვენ ამისთვისო“.

184

ბიჭის მამამ თქვა: „დღეს დაგვაცალე,
ჩვენ მოვიფიქრებთ, წამოვალთ ხვალე.
შევიტყობთ მართალსა,
შვილს ვკითხავთ და რძალსა
მაგ შენს ნათქვამსა.

185

რასაც შენ ამბობ, თუ მართალია,
შენი ყოფილა ჩვენზედ ვალია;
ჩემს შვილს უმტყუენია,
რაც შენთვის უენია.
რად არ გისმინა?

186

ხარიც დაგეკლა, არას გეტყოდი,
თუ არ მიზღვევდი, მე არას გთხოვდი,
არამ თუ შენ ცხვარსა,
პურსა გამომცხვარსა
არ დაგიომობდი.

187

ეს საქმე ავად მე გამაშინჯეს,
სიმართლის სამძღვა [რ]ს მათ გადაბიჯეს,
მომითხრეს მრუდადა,
მაჯავრეს ცუდადა,
ამას არ დავსთმობ.

188

შვილსა და სარძლოს ორსავე გ[ა]ვჯოხავ,
მათის ცემითა გულს მოვიოხავ!
რად არ დაგიჯერეს,
ჯოხი რად გიღერეს,
რად შემოგკადრეს?“

189

კაცი წამოდგა, დაუკრა თავი.
უთხრა: „რაც გცოდებ, თუ შენ ხარ მთნავი,
სუყველა გადადევ,
ნუღარასა დასდევ!
ადექ წავიდეთ.

190

თუ მათ დალახავ მიზეზით ჩემით,
გული დამეწვის მე მათი ცემით;
რა იცის საკადრი,
ექნების რა ყადრი
კაცისა ყმაწვილს?

191

მე მისთვის შენს შვილს არას ვემდური,—
არცა რა მაქვს რა მე საყვედური,—
საქმე ვქენ ავადა,

137

მე ვარ პირშავადა
შენთან და მასთან.

192

შვილსა და სარძლოს ტკბილად ხმა გაეც,
იქ წამოსვლისა დასტური დაეც;
სარძლოს დედა-მამა,
სადაცა მაქვს ჭამა,
იქ იქნებიან.

193

თქვენის ჯალაბით, ვითხოვ, მობრძანდეთ,
ამისგან უფრო არ დავეგვიანდეთ,
ხვალ მღრღელნი გვიცდიან,
რიგს არ გარდიხდიან,
სანამ არ მივალო“.

194

ბიჭის მამამა აღარა თქვა რა,
ხელიერთპირად კაცს გაყვნენ ჩქარა;
ნავითა, ტივითა,
კარგის პატივითა
წავიდნენ წყლითა.

195

მეორეს დღესა ნავით გადახდენ,
მომზადებულნი მათ მღრღლეები დახვდნენ;
კაცი მღრღელს გაენდო,
გულშია რაც ედო,
ყველა მიუთხრა.

196

რაც რომ ენახა გოგო-ბიჭისა,
ეკალზედ გორვა, შერჭმა ღიჭისა,
მალვითა, ფარვითა,
სიტყვისა პარვითა
გამოუცხადა.

197

მღვდეს შეხვეწა: „ნუ ეტყვი ერსა,
ნურც მოყვარესა და ნურცა მტერსა,
მარტო შენ იცოდე,
ეს საქმე იცოდვე,
უშველე რამე!“

198

ბიჭის მამასა არა სცალიან;
დედა მოუკვდა , გლოვობს ძალიან.
მამაც ყავს ავადა,
გახდა ძვალ-ტყავადა,
მალე მოკვდების.

199

რაც მერგებოდა აწ მე ჩემ წილად,
მე დღეს მზათა ვარ მის საქორწილად,
მე მისთვის ვქენ ხარჯი;
რასაც თქვენა გაგრჯი,
მოგართმევ ფასსა.

200

მე კი ნუ გამცემ, რაც მოგახსენე,

138

წირვას უკანა თვით განახსენე:
ჩემი არა სთქვა რა;
მოსწრაფებით, ჩქარა
თვით ბრძანეთ სწავლა.

201

საყდარს წირვაზე შემოკრებიან,
მათი დედ-მამაც აქ იქნებიან.
ბიჭს, გოგოს მდომარეს,
ერთადა მდგომარეს
ნახავთ თვალითა.

202

მის დროს უბრძანეთ მათ დედ-მამათა:
„რად ჯვარს არ დასწერთ აწ თქვენ ამათა?“
მიზეზსა იტყვიან,
არისო მით გვიან
მათი ქორწილი.

203

თუ მოგახსენონ სიმგლოვიართ,
მისად პასუხად თქვენ ეს უთხარით:
„საქმეს ვიქ ამგვარსა,
დღეს დავსწერ მათ ჯვარსა,
შორს ნუ დაიჭერთ“.

204

მღრდელმან მიუგო მას კაცს მოძღვრულე:
„მაგ შენს საწადელს სულ აღვასრულე.
ჯერ ჩვენ დაფარვითა,
მალვით, გაპარვითა
ამას ვეცადნეთ;

205

იქ წავიყვანოთ გოგო და ბიჭი,
სადაც შერჭმიათ ქაცვი და ღიჭი.
იმათაც ვჰკითხავ,
წიგნსაც წაუკითხავ
შეგინებულსა“.

206

კაცმან მიუგო: „აქ მომიცადეთ,
ბიჭს შემოვგზავნი, მას ჰკითხეთ, სცადეთ.
მას უბრძანეთ ყველა,
რაც იმისთვის შეველა
გწადიან თქვენა“.

207

კაცმან იღუმალ ბიჭს აცოდინა:
„მღრდელი გიძახის საყდარსა შინა“.
ის ბიჭი წავიდა,
საყდარში შავიდა
მარტო მღრდელთანა.

208

მღრდელმან ბიჭს უთხრა: „მე შენ ბედსა გწევ;
დღეს ჯვარსა დავწერ, შენს ცოლთან დაწევ“.
ბიჭი ხელს ემთხვია,
მუხლსა მოეხვი[ია],
მღრდელს მოახსენა:

139

„ვით აღსრულდების თქვენი ბრძანება?
 ჯერ სამაგისოდ დედ-მამათ ნება
 არ ჩანს ჩვენთვისა,
 რომე შეგვეთვისა
 ჩვენ ერთმანერთი“.

210

მღრღელმან მიუგო: „დედ-მამათ ნებას
 მე გამოგიტან, ვამცნებ მათ მცნებას.
 შენ შენთვისა იყავ,
 პირიცა დაიყავ,
 ნურავის ეტყვი.“

211

ნურცა დედასა, ნურცა მამასა,
 ნურავის ეტყვი საქმეს ამასა;
 შენ ნურახე სწუხარ,
 საცოლოს კი უთხარ
 მალვით ყურშია

212

თქვენ ეს საქმენი ნუ გაქვთ საეჭვოთ!
 გაიპარენით, სადაც შავ[ერჭოთ
 ქაცვი და ეკალი;
 შენა და ეგ ქალი
 ორნივ იქ დამხვდით!

213

ჯერ თქვენ ლოცვასა იქ წაგიკითხავ,
 უნდინხარ თუ არ, ქალსაცა ვკითხავ,
 მასუკან კი ვსწირავ;
 საქმესა გავპირავ
 თქვენს დედ-მამასთან“.

214

როგორც რომ მღრღელმან ბიჭს დააბარა,
 ბიჭმა საცოლო მუნ განაპარა.
 მღრღელი და ის კაცი,
 სად იყო ის ქაცვი, ოთხნივ მუნ შეკრბენ.

215

ოდეს თქვა მღრღელმან, ურთხეულ-ა-ა-არს“,
 კაცს გაეცინა, მღრღელმან თქვა: „რა არს?
 რა მწამე შენ ცილი;
 რადა გაქვს სიცილი,
 რა მაინახე?“

216

კაცმან მიუგო: „ვით აღუთქვენი,
 ამ აღავს მიხვდა კურთხევა თქვენი,
 იყო დალოცვილი;
 გამახსენდა, სიცილი
 მით მომივიდა“.

217

როცა რომ მღრღელმან ჩამოილოცა,
 ბიჭსა და გოგოს ბრძანება მოსცა;
 უთხრა: „წადით ფარვით,
 წირვას დაესწარით

ორნივე ერთადა.

218

თქვენს დედ-მამასთან საქმესა თქვენსა,
მე გავარიგებ სუყველას დღესა“.

ბიჭი, გოგო ჩქარა,
მღრღელი, კაცი წყნარა
წავიდნენ საყდარს.

219

ბიჭმან გზაზედა გოგოს მიუთხრა:
„ჩვენ ხომ გვირგვინი, მღვდელმან გვიკურთხა,
წავიდეთ ჭაღასა,
უკუვსძვრეთ ჩაღასა, წირვას რას დავდევთ?“

220

გოგომ მიუგო: „რადა ხარ ბრიყვი?
„რას დავდევთ წირვა“ მაგას რად იტყვი?
რამან გაგასტერა,
შეიტყვევ შენ ვერა
რაცა ქნა მღრღელმან?

221

წიგნი უკითხა ჩვენს ქაცვზედ ხევას,
შენ მას უძახი გვირგვინთ კურთხევას?!“

– შორს დაუჭირა.

მაჯა დაუჭირა

ბიჭმა გოგოსა.

222

გოგომ უხრინკა, ხელიდან დასძვრა,
ხელ-ფეხიანად მან ტანი დაძრა,
უკან გამოექცა,
მღრღელს ფეხთ ქვეშ მოექცა,
ესრეთ მიუთხრა:

223

„იმ ბიჭს ეგონა, ჯვარი დაგვწერე,
ბევრი მიუთხრ, ვერ დავაჯერე:
დამეჭიდა ძაღლად,
მიმათრევდა ჭაღლად,
მე გამოვექეც!“

224

მღრღელმა სიცილით გოგოს ჰრქვა: „წადი,
მაღე იქნების, რისაც ხართ მწადი!

ნუ გეშინიანო,

არ არის გვიანო,

ეს საქმე თქვენი!“

225

მივიდა, მღვდელმან ზარებს დარეკა
ყოველი ერი საყდარს შარეკა;

წირვა ისმინეთო,

დგომა ითმინეთო,

გარეთ ნუ დასდით!

226

როდესაც რომე მღვდელთ უამი წირეს,
კვლავ ქადაგებას მოყვნენ, გაპირეს;

იწყეს იგავადა,

141

არა იგ ავადა
დედ-მამათ ჰკითხეს:

227

„ერთს უდაბურსა მთასა, დელეში
მშიერსა მგელსა წინ ეღვას ლეში,
იქნების, დაინდოს
და პირი არ ჰკიდოს?“
მათა თქვეს: „არა!“

228

აგზებულს ცეცხლზედ რომ თივა იდოს,
მორჩების, რომე არ წაეკიდოს
სახმილს მგზებარესა,
თივას მდებარესა?“
თქვეს: – „არ მოარჩენს?“

229

მღრდელმან მიუგო: თუ ეგ კი იცით,
თქვენ რად არა ხართ სშჯულის სიმტკიცით?
რად თავსა არ იღებთ,
და არა არიდებთ?
გოგოებს ბიჭებს?

230

მინდურად, მთად, ჭაღად ერთად დადიან,
ვინ იცის, თუ რას ცოდვას ჩადიან,
გარჩეულსა სჯულსა
რად ხდით დახვანჯულსა
და არას ნადვლობთ?!

231

დროთ მოსულს ქალ-ვაჟთ რადას აყოვნებთ,
რად ჯვარს არა სწერთ, აწ რად აღონებთ?
რასათვის წაახდენთ,
სჯულთა გადაახდენთ,
არა გჩანსთ ცოდვად?

232

რად ემსგავსებით ქისტსა და დიდოს,
კერპთა მსახურთა, სჯულით უწმინდოს?
უშიშრად, ურცხვადა,
გვირგვინთ უკურთხადა
ცოლ-ქრმობას შერებით“.

233

ბიჭის მამამ ჰრქვა: საქმე ამგვარი
ჩვენ მოგვიხდაო, მისთვის მათ ჯვარი
ველარ დაგსწერეთო:
შავი შავკერეთო;
ვართ მგლოვიარე.

234

დედა მომიკვდა, მამა სულზედა
მიძეს და ვსტირი მუდამ სულ ზედა.
წინ მიღვას გუბენი,
მაქვს კალთა-უბენი,
ცრემლით დამპალი!

235

სევდით გონება მაქვს დაკარგული,

142

ჭირში ვარ, ლხინსა არ მაძლევს გული;
ამისთვის დამდგარა
და აღარ მამხდარა
მათი ქორწილი“.

236

მღრღელმან მიუგო: „ჯვარის დაწერას
უქორწილობა მოუშლის ვერას.
დღეს დავსწერ მათ ჯვარსა,
მოგარჩენ მათ ჯვარსა,
ადროეთ ქორწილს.

237

დღევანდელს ქორწილს ეს კაცი ცდილობს,
რომ დაულახავს, ბოდიშსა ხდილობს,
მზათა აქვს მას ხარჯი,
თავისი ნახარჯი,
შემოსაწევრად“.

238

ბიჭის მამამ თქვა: „ამ საქმეს ვკვირობთ,
ვერ გაგვიგია, როგორ აპირობთ;
ჩვენ თუმცა გვეთნება,
ვასრულოთ თქვენთ ნება,
როგორ მოხდება?“

239

მას მასპინძლობა აქვს ალაპური,
აწ გადარჩების მას რაღა პური,
რომ მისის ხარჯითა,
მოყრულებ გარჯითა
ჩვენ ის გაგსარჯოთ?“

240

იმ კაცმან უთხრა ბიჭის მამასა:
„ოღონც ნუ მოშლი საქმეს ამასა,
აღაპსა, ჭამასა
მე უხამ მამასა
მასუკან, სხვა დროს“.

241

დაიყოლიე[ეს], დართო ნებანი,
შვილს დაულოცა ქორწინებანი . . .
რა დასწერეს ჯვარი.
კაცთა, ქალთა ჯარი
შეკრბენ ქორწილად.

242

მის დროს იმ კაცის ცოლი ატირდა;
„რა ატირებსო?“ – ერი გაჰკვირდა!
მღრღელმან იმ კაცს ჰკითხა.
გალანძლა, გაკიცხა,
რაღა სცემო?

243

კაცმა შეფიცა: „არ მიცემია,
მიმოწმებია, რაც აქ თემია!
თქვენ ჰკითხეთ ყველასა,
თვით ჩემს ცოლ ლელასა,
თუ მისთვის მეცეს“.

143

244

მღრღელმან მიუგო: „თუ არ გიცია,
რაზედაც ტირის, მე არ ვიცია.
შენ გეცოდინება,
მისი ცრემლთ დინება,
მითხარ, რად არის?“

245

მიუგო კაცმან: „თვით მოგახსენოს,
ჰკითხე, თუ მისთვის მე რამე მევენოს.
რად მას აქვს ყვირილი,
თავს ცემა, ტირილი,
არცა მე ვიცია“.

246

მღრღელმან დედაკაცს ჰკითხა: „დედაო,
მითხარ შენ სტირი აწ რაზედაო?“
მან მღრღელს რქვა კანკალით:
„რასათვის დაგვკალით
თქვენის ხელითა?“

247

მღრღელმან მიუთხრა: „როგორ დაგვკალი?
გამაგებინე მე გზა და კვალი,
ასეთი რა ვქენი?
საწყენი აწ თქვენი
შემატყობინე!“

248

უთხრა: „აღაპი რომ მოგვიშაღე,
ორნივ ცოლ-ქმარნი მოგვედებით ხვაღე“.
შიშით წანწარევედა;
სიტყვასა წარევედა
ხანდახან სხვასაც.

249

მღრღელმან დედაკაცს მიუთხრა, ჰკითხა:
„ხვაღ თქვენ მოჰკვდებით, მითხარ, ვინ გითხრა?“
მან თქვა: „ჩემი ქმარი
ძილად წვა, სიზმარი
ნახა მან ეგრეთ“.

250

მიუგო მღრღელმან: „მოტყუებულხარ,
შენ მაგაზედა ნურასა სწუხარ.
არ არის ეგ სწორი,
გსმენია შენ ჭორი;
ჭორს ნუ აჰყვები!“

251

რაც სწადებია შენს ქმარს საქნელად,
არა ნდომია ქვეყნად სათქმელად.
მისთვის დაუფარავს,
საქმე მოუპარავს,
ვერა გნდობია.

252

რაც შენგან ქმარმან დღეს საქმე კარგი
ქნა, სულისათვის არს დიდი მარგი.
აღაპსა, ჭამასა

144

შენის ქრმის მამასა
ეს ურჩევნია
253

დღეის აღაპად აწ ესე კმარა,
რომ ჭირთა შინა ძმას მოეხმარა;
ნუ ხართ თქვენ უცები,
ზოგნი ტუტუცები
დედაკაცები.
254

ადექ, წავიდეთ, დავსხდეთ, ვილხინოთ,
დავლიოთ ღვინო და ვიდილინოთ;
რას ქვიან სიზმარი,
ტყუის შენი ქმარი,
განგებ უქნია!“
255

ეფიცებოდა თავის ცოლს ქმარი:
„ტყუილად გითხარ მე ის სიზმარი;
თუ გამუღავენდებოდა,
აღარ მოხდებოდა
დღეს ეს საქმენი.
256

თუ შენთვის მეთქვა, სხვაგან გამცემდი,
არც არა მაგდენს ხარჯსა მამცემდი,
საქმეს წაახდენდი,
აღარ მახდენდი,
გამაჯავრებდი.
257

მე შენ ტყუილი ამიტომ გითხარ,
მე კარგად გიცნობ, შენ როგორიც ხარ;
რასაცა მაისმენ,
წამზედ ვერ მაითმენ,
მაშინვე იტყვი.
258

ადექ, წავიდეთ, ნულარა სტირი,
შენ დაიბანე ხელი და პირი.
ჩვენ მიგველიან
ერთიერთ მღვდელიან
ქორწილად სხდომას“.
259

წამოაყენა და წარიყვანა,
სახქაროდ ცრემლი მან მაიბანა.
მივიდნენ ქორწილად;
მაყარს ხრმალ-მოწვდილად
შეასწრა თვალი.
260

ცოლმან ქმარს უთხრა: „აგერ სიკვდილი,
როგორ მზად გვიდგას ხრმალ-ამოწვდილი!
ვეჭვ, შენ ვერა ხედავ,
შენ მისთვისა ბედავ
აქ შექცევასა“.
261

მას კაცს უკანვე გაექცა ცოლი,
145

ქმარი უძახდა უკან გამყოლი:
„რამ გარდაგრიაო,
ეს მაყარიაო
ხმალ-ამოწვდილი“.

262

ცოლმა ქმარს უთხრა, „წავალო შინა,
ვინც უნდა იყოს, მან შემაშინა,
გული მიღონდება.
სულ ის მაგონდება,
რაც ნახე სიზმრად“.

263

კაცი მობრუნდა, გულს მიხვდა წყენა;
თვისი სიღედრი გამოუყენა.
დედამ ჩააგონა,
იქავ მაიყონა
ის დედაკაცი.

264

დასხდენ სადილად ჩირდილთ ქვეშ გრილად,
მოყენენ ლხინს წყნარად, ღვინის სმას წვრილად.
შადა შააპარეს,
სევდა განაქარვეს
მგლოვიარეთა.

265

გამართეს ლხინი ზმითა, შაირით,
გალობით, მღერით, ჩანგით, დაირით;
ფუნდრუკ-ხუნტრუცებით
ქალ-ვაჟნი ხუცებით
იქმოდენ სამას.

266

ოდეს ახადეს ქალს პირბადია,
პირთ სანახავად ვერცხლის ბადია,
ოთხის წლის ჭედილი,
რქებ ოქროთ ჭედილი,
მიართვა კაცმან.

267

ადგა, წავიდა მალვით მუნ კაცი,
სადაც შეტჭმოდათ ქალ-ყრმათა ქაცვი,
მან გათიბა მოლი,
მათი დასაწოლი
მუნ განამზადა.

268

როცა დრო იყო, წაუძღვა წინა,
ორივ საძილოდ იქ დანაწვინა.
მდადი, ძმა, მაყარი
არ იყვნენ გამყარი,
გვერთ უღვნენ მცველად.

269

მან მეფემ ციხეს აღარ ახანა,
თავს წანაყვირა ნაღარა-ხანა;
სტყორცნა ზარბაზანი,
გაუხდა ზათქანი,
დაჩეხა კარი!

146

270

ის ზარბაზანი რომ მან დასცალა,
მაგდენი ხანი აღარ აცალა;
ხელახლა გატენა,
განიშნა კართკენა
ზარბაზნის ტუჩი.

271

დაადგა ცეცხლი. რა შაიფეთქა,
გასტყვრა, გაუხვდა ზემო თავს ხეთქა.
ღმერთმანი აუწვა,
რასაც წამს დაუწვა,
მუცელ-ქმნულ შექმნა.

272

ის გოგო ჩემზედ გახდა ორსული,
რა დრო შეიქმნა შობად მოსული,
მე ვიშევე; სახელად
მათ დასაძახელად
მარქვეს „ქაცვია“.

ე.მწეხმისისაბან იმ ქალის უკანვე ბაბრუნება და
ბაჰრისათვის სიმწეხარე და ტირილი მწეხმისისაბან

273

თქვა მწეხმისან: „ვთქვათ,რომ კაცი დავქრთამოთ,
მას მივსცეთ ვერცხლი, ვასოთ, ვაჭამოთ,
იმით დაგიფაროთ,
რაც რამ მოვიპაროთ,
იმისგან მოვრჩეთ.

274

ვინც რომ არც სმითა, არცა ჭამითა
არ მოიგების მისებრ ქრთამითა
იმას რაღა უყოთ,
პირი რით დაუყოთ
რომ დაგვიფაროს?!“

275

ქალმან მწეხმისს კითხა: „ვინ არს აგეთი,
რომ არ მიიღოს მან ს[ა]მში ერთი:
ვერც მოვიგოთ ქრთამით,
ვერც სმითა და ჭამით?“
მწეხმისმან თქვა: „ღმერთი!

276

ღვთისა მეშინის, ჯერ ყრმა ვარ წმინდა,
მას ვეკრძალვი, თუმცა რომ მინდა;
შიშითა, ძრწოლითა
შენთანა წოლითა
ჯერ ვერ ვიხარებ!

277

წადი,სადაც გყავს შენ მეგობარი,
ნუ შეიქნები მათი მეგობარი!
პირობით იყავით,
ნაპოვნი იყავით,

იყარეთ წილი.

278

თუ ღმერთი ჩემს თავს შენ გარგენს წილად
მშობლით ვიკურთხვით ჩვენ საქორწილად.

შეგირთავ ცოლად,
გვერთ დასაწოლად.
ვეოფ სჯულიერად”.

279

ქალმან გაშინჯა,არ იყო ავი:
წამოდგა,მწყემსსა დაუკრა თავი,
მწყემსმა პირს აკოცა,
კარგ სიტყვით დალოცა
და გაისტუმრა.

280

წავიდა ქალი,გზას განეშურა.
დასაღამოვდა,მზეც ჩაეწურა.
სიღამეც მოვიდა,
იქითვე წავიდა
სირბილ-ძუნძულით.

281

მწყემსმან იფიქრა,მეტად შეწუხდა.
თვალნი საწვიმრად მას აუქუხდა:
თქვა:ჭკვა წამივიდა,
ეს რა მამივიდა,
რამ დამაბნელა!

282

ასე შევიქენ უცოდინარი,
ვერ მოვიფიქრე სამჯობინარი.
გაუშინჯავადა,
საქმე ვქენ ავადა
აჩქარებულად!

283

ღვთისა წყალობა განვაგდე ბედი,
ხლოს მოსული შორით მორბედი.
მე ბედი და წერა
შევიფერე ვერა,
განვაგდე ნებით.

284

ჩემის გაყრისა არ იყო მწადი,
მე კი მიუთხარ, „უკანვე წადი“.
ჭაღას უდაბურში
მარტოკა გაუშვი
მე საყვარელი!

285

რად საცხოვარი არცად გავყარე,
მას თან არ გავყევ, რად გავყვარე,
ეს რად არა ვქენი,
რასთვის შევიქენი
ასე უცვები?

286

ვიქმენ ზარმაცად, დაძვრა დამზარდა,
მას თან არ გავყევ, საცა დამგზავრდა

გავხადე ოხრადა,
საკენეს-საოხრადა,
ჩემ სატირლადა.

287

ვამე,თუ ღმერთმან მე ეს მიწყინოს,
მე დასაწვაავად ის აღმიტყინოს,
რომ ჩემი ტრფიალი
გავხადე ტიალი,
მე განვეშორე!

288

ხორცს ვესათნოე მცონარებითა,
სულს კი არ გავყვე უკან რებითა,
შევიქენ უდებად.
სახმილთა უდებად
ვით გარდავრჩები?

289

ვამე თუ, სულო, გისწრას ღამემა
და შეგაშინოს გზაზედ რამემა!
დაგიხედეს გზის მცველი,
ავაზაკ,მზირ-მძარცველი,
არ გყვანდეს მშვეელი!

290

ვამე, თუ, სულო, ღვიმესა ბნელსა
ჩავარდე სადმე შენ ხნარცვსა ძნელსა,
ხვეწო შენს მსხნელსა,
შენ აღმომყვანელსა
და არ გისმინოს!

291

გაჯავრებულმან არ გიგდოს ყური,
იძიოს რამე მან შენზედ შური;
აღარ გაგიკითხოს,
საქმე გაგიკიცხოს,
ნიშნიც მოგიგოს.

292

ვამე თუ,სულო,გიყარონ წილი,
სხვას ვისმე ერგოს შენზედ ქორწილი!
შევიქნა მე წბილი.
შენ,—სული მე ტკბილი—
მით დამეკარგო?!

293

შენ ასეთს ვისმე ხელთ ჩაუვარდე,
რომ იმას გულით შენ არ უყვარდე.
მან არა გახაროს,
ჩაგაგდოს ღრმა ხაროს,
მოგიდვას ცეცხლი.

294

ვამე თუ, სულო, არ გაჰქნდეს მადლი;
მრუდად მეხმაროს კოდ-სასწორ-ადლი,
მან გზა აგირიოს,
ცოდვა მოგირიოს
ჩემს ნაქნარს მადლსა!

295

ვამე თუ, სულო, არ მოგიწონონ!
ჩემგნით მოწყული, რაც მოგიწონონ!
 ცოდვამან დასძლიოს,
 სახმილს მიგაძლიოს,
 დაუშრეტელსა.

296

ვამე თუ, ხორციც, არ დარჩეს მთელი,
მოკვდეს, დაუდგეს თვალთა ნათელი;
 ყურებითა სმენა,
 სასაუბროდ ენა,
 მას მოეშალოს.

297

ვამე თუ, ხორციც უძრავად, ტანი
გახდეს ვანიდამ მალ გასატანი
 აყროლდეს, ასუნდეს
 საყვარელს არ სურდეს,
 მისილა ჭკრეტა.

298

ადარა იამოს დასანახავად,
მალე წაიღოს დასამარხავად;
 მიწას მიაბაროს,
 მინიზ-მიაბაროს
 და გამობრუნდეს.

299

ვამე თუ, ხორციც შეჭამოს მგელმან,
ანუ მიწაში მატლმან და გველმან.
 რად ვქენ საძაგელმან,
 საწვაგ-სადაგელმან,
 არ გავყევ სულსა!

300

ხორცს გვერთ დაუდექ ტიალად სული;
მშივრად გაუშვი შორს გზას წასული,
 არ გაყვა საგძალი,
 ექმნების რა ძალი
 სიარულისა?

301

ვამე თუ, სულო, შენა გციოდეს,
ანუ გწყუროდეს, ანუ გშიოდეს;
 ან რამე გტციოდეს,
 მით ცრემლი გდიოდეს,
 ჩემგნით გულს გაკლდეს!

302

ღმერთო, ნუ მიზამ ცოდვის პასუხსა,
ნურას მომივლენ საქმეს საწუხსა;
 შენ, ჩემო გამჩენო,
 მომკვლევლო, დამრჩენო
 შენ გეაჯები!

303

იესოს ქრისტეს, ღმერთს მაცხოვარსა,
თავიანს გცემ და გთხოვ ამ სათხოვარსა:
 იმ ჩემს საწყალს სულსა,
 შორს გზას წასულსა,

შენ მაეხმარე!

304

მას ჩემს საყვარელს, ღმერთო, მოყვარე;
დავწორებულვარ, აწ შამამყარე
გულითა მართლითა,
პირითა ნათლითა
შეურცხვენელად!

გქალის მშვიდობით მისვლა თავის
ამხანაგებთან და ნაპოვნზედ წილის ყრა

305

ქალი მივიდა, სად ყვავილს ჰკრეფდენ
არ წასულიყვნენ, მას ქალს ეძებდენ
მოსთქმიდენ, ტიროდენ,
ხმა-მადლა ყვიროდენ,
სახელს უძახდენ.

306

მირბოდა ქალი, შორიდამ ნახეს,
აგერ მოვაო, მათ დაიძახეს.
იმათ გაუხარდათ,
დიდათა უყვარდათ
მათ ერთმანერთი.

307

მივიდა, ჰკითხეს, სად გაიპარე,
ამდენს ხანს პირი რად დაიფარე?
თქვა, ყვავილთ საკრეფლად,
კარგისა საძებრად
გავეყვ ქალასა”

308

როგორც შორიდამ სტვირთა ხმა ესმა,
ან რაც ამბავი მას უთხრა მწყემსმა,
თავთ გარდასავალი,
ვითარ ვლო სავალი,
მიუთხრა ყველა.

309

მათ ჰრქვეს: „გვეგონა, გიკბინა გველმან,
ანუ შეგჭამა დათვმა და მეელმან;
ვსტიროდით, ვსწიოდით,
ტყეში დავსდიოდით,
შენ დაგეძებდით.

310

შენს ძებნაშია ვჰპოვეთ მუტრუკი,
გასუქებული კარგი ტუტრუკი:
ხვალ ჩვენ წილი ვყაროთ,
ერთადა შევყაროთ,
ვინც რამე ვპოვეთ”.

311

მეორეს დღესა წილთა საყრელად
ცხვარი გარეკეს ჭალითგან ველად;
ჯვარედინთა გზათა

წილს იქმოდენ მზათა
უცხოს მგზავროთათვის.

312

მწყემსის მაგიარ ჯოხი დანასვეს,
ქუიდ დახურეს, ჩოხა ჩააცვეს;
მათ თვალთა სამხელად
უწოდეს სახელად
„ქაცვია-მწყემსი“

313

ზედ გამოაბეს ნაპოვნი ვირი,
მას აოუდვეს პირში აღვირი.
თვით განდგნენ განზედა,
ჯვარედინს გზაზედა
დანაწყვეს წილი.

314

ვისაც ეპოვნა სულ არაფერი,
მან წილად დადვა კოჭბითა ფერი;
მუტრუკის მპოვნელმან
წილში გამთხოვნელმან
ტარ-კვირისტავი

315

მან ქალმან დადვა ნემსი და ძაფი,
გარდაზდიოდა თავს ოფლის ქაფი
ქნა შიშით კანკალი,
თქვა: „ღმერთო, მამკალი,
თუ სხვას ხვდეს მწყემსი.

316

ღმერთო მომხედე მე უბადრუკსა!
მწყემსის სანაცლოდ ვირის მუტრუკსა
ნუ მარგენ წილადა
მე გასაწბილადა,
არგინე სხვასა!

317

არ განვაშორებ შენს უღელს ქედსა,
ოღონდ ნუ გამყრი მას ჩემსა ბედსა,
მე იმისთვის ხელსა
გუღს სახმილსა ცხელსა
ნუ მამიკიდებ!

318

სადაც რომ იყოს ის ჩემი სული,
იყოს დაფარულ შენგნით დაცული;
საცა იყოს ბნელი,
გასაძლისი ძნელი,
მას განაშორე!“

319

ქალებმა შორით შეასწრეს თვალი,
ნახეს, რომ მგზავრი არს მამავალი;
გარდაუდგნენ წინა,
წილის ყრისათვისა
დაუკრეს თავი.

320

მოვიდა კაცი ჭკვათამყოფელი;

ჰკითხა: „რა გაქვსთო გასაყოფელი?“
ქალთა ჯოხი ცმული,
ვირი ზად დამბული,
აჩვენეს კაცსა.

321

უთხრეს: „ჯოხზედ რომ ჩოხა აცვია,
სახელად ჰქვია „მწყემსი ქაცვია“
ვირი ხომ ვირია,
უძეს აღვირია,
ორიგ ჩანს თვალით“.

322

კაცმან ქალთ უთხრა: „წადით სამთავე,
ერთად დანიშნეთ ჩხირნი საცნავე;
ქუდშიგან ჩაყარეთ,
თვალთ ხელი მაფარეთ.
მე კი ამოგკრეფ“

323

ქალებმა უთხრეს: „მზათა გვიწყვია,
შენ ხომ დაწყობა არ შეგიტყვია?
თვალთ რად დაიფარავთ,
ხომ არ მაიპარავთ,
გვიცნობ ვერც ერთსა“.

324

მან ცარიალი ქაღალი ხელთა
ქალთ მისცა, უთხრა: „წილთა საყრელთა
ნიშნებზედ მოუსვით,
ხანი გამოუშვით
მუნ ერთი წუთი.

325

რაც მაგ ქაღალდზედ დაიწერება,
თქვენგნით ის უფრო დაიჯერება.
ვის რა ეფერების,
მაში ეწერების,
აქ მომიტანეთ.

326

მე წავიკითხავ, თქვენ გაიგონეთ;
გინდ დაიწუნეთ, გინდ მაიწონეთ“.
ხმა ვერ ამოიღეს,
ქაღალდი წაიღეს
სამთავ ქალებმან.

327

თავიანთ ნიშნებს ზედა მოუსვეს
ცოტა რამ ხანი მათ მაგოუშვეს.
ქაღალ[დ]ზედ დააჩნდა
ბეჭდისებრ დაასხდა
მათი ნიშნები.

328

კაცს მოუტანეს წერილი ქალთა.
კაცმან გაშალა თავისი კალთა,
უთხრა, დადევითო,
ყური უგდევითო.
აიღო ხელთა.

329

„ცარიელს ქაღალდს თქვენს ხელში ნაჭერს
ზედ ეტყობიან, თქვენც ხედავთ ნაწერს;
უგდევით ყურია,
არ გმართებთ შურია
ერთმანერთისა.

330

ვისიც წილად ძეს მუნ კოჭბით ფერი,
მან ქმარი ძებნოს თვისი საფერი!
თუ ვერა იპოვნოს,
მან სული იცხოვნოს,
ქმნას მოლოზნობა.

331

ვისიც წილად ძესტარ-კვირისტავი,
იმისი იყოს ტან, ვირის თავი.
ასე ამბობს მწერი:
„მას შეუსხდეს მწერი,
ოდეს ზედ შეჯდეს“.

332

ვისიც წილად ძეს ძაფი და ნემსი,
იმისი იყოს „ქაცვია მწყემსი“,
უწოდოს აქ მასა,
ნუ გასტეხ ალთქმასა,
რაც ღმერთს აღუთქვა!

333

ნახეთ ცოლ-ქმრობის ბიდი და წერა,
საფერს საფერი როგორ აფერა
მათ შუგამავალი
არ ყვანდათ მრავალი,
თვით ხედნენ ერთმანეთს.

ზ. ქაცვია-მწყემსისაბან მამასთან მოციქულის
ბაბზაგნა და ცოლის შერთვისა დასტურისა და
მამობრივის კურთხევის თხოვნა და მამისაბან
კურთხევა

334

ოდეს ქაცვიამ ამბავი წვრილად
შეიტყოქალი მას ერგო წილად,
გულითა ღმობილად, ხელთა აღპყრობილად
მადლობდა ღმერთსა.

335

მამასთან გზაგნა მან მოციქული:
„კაცი შევქნილვარ მე მოწიფული,

გთხოვ, კურთხევას მამურს; ცოლის შერთვის
დასტურს

თუ დამცემთ, დრო არს“.

336

მამამ უბრძანა: „ცოლის შერთვისა
ჯერ დრო არა გაქვს, იყავ შენთვისა;
შენ ხარ ოცი წლისა, ვერ გიზამ ქორწილსა
მე შენ უდროოდ“.

337

შვილმან მიუგო: „ერთს სიტყვას ვიტყვი–
გთხოვ, არ მიწოდო მე მისთვის ბრიყვი–
შენ ქენ სამართალი სწორე და მართალი,
ნუ სჯი თვალღებით“.

338

შვილმან დაუწყო მამასა პჭობა,
„რად არ გახსოვნსო შენი ბიჭობა,
ჩხიკე-შაშვ და ღიჭობა, ქაცვ ნაცვთა მირჭობა,
წელთ თექესმეტობა?!“

339

შენ რატომა ქენ, რად მაიხდინე,
თექესმეტი წლისამ რაც ჩაიდინე?
საცოლო აცდინე, ნაცს სისხლი აღინე
ეკალზედ ხევით.

340

ბევრი გეხვეწა და არ ისმინე,
ასე გახურდი, ვერ დაითმინე!
მე როგორ გისმინო და როგორ ვითმინო
ოცი წლისამა?!“

341

თავი დაუკრა მძიმედ მამასა:
„შენ ნუ იწყენო, რაც ვსთქვი, ამასა;
მე ვსთქვი ხუმრობითა, არა გულწყრომითა,
რაც მოგახსენე“.

342

მამამ უბრძანა: „შენ შვილო ჩემო,
შენ მაგისტოვისა მე არა გცემო;
არ არის ჭორია, სუყველა სწორია
შენი ნათქვამი.

343

ნუ გეშის, შვილო, წამოდექ ახლო,
გლოცო, გაკურთხო, თავს ხელი გახლო!“
შვილმან ხელს აკოცა, მამამან დალოცა
ამ სიტყვებითა:

344

„ღმერთმან გაკურთხოს დამბადებელმან,
ცათა და ქვეყნის ამაგებელმან;
გიწვიმოს ციერი, არა გქმნას მშიერი
პურ-ღვინით, ზეთით!“

345

ესრეთ მოგრიოს შენ შენთა მტერთა,
ვით ერეოდეს ქარი ბზეთ, მტვერთა;
მამამან და ძემან, ვით დედისა სძემან
გზარდა, მან გზარდოს!

346

სულმან წმინდამან დაგცოს, დაგფაროს,
გიძღვეს, სიმართლის გზაზედ გატაროს:
კაი ბედს შეგყაროს, საყვარელს გაყვაროს,
გულით გახაროს!

347

ცოლი მოგცეს და ასულნი,ძენი,

ვითა სოლ[ო]მან, ჭკვიანი, ბრძენი;
მისებრ გაგამდიდროს, მკვიდრად დაგამკვიდროს
სახლით და კარით.

348

ღმერთმან გაცოცოცხლოს მრავალი წელი,
მაგრად გიმყოფოს ზურგი და წელი;
არ შეგყაროს სენი, ძნელად მოსასვენნი,
გამყოფოს მთლად.

349

ყმა მოგცეს ბევრი, გლეხი, მდაბიო,
გამონოს ნებით, რომ არ არბიო;
გქმნას კეთილ მსაჯულად, არვინ ყოს ტანჯულად
უსამართლობით.

350

ღმერთმან აღგავსოს გარდამეტებით,
ცხვრით, ძროხით, ქათმით, იხვ-ტრედ-ბატებით;
გიმრავლოს ღორები, აქლემნი, ჯორები,
ეტლებ-უნები.

351

სააქაოსა გახაროს გულით,
საიქიოსა გაცხოვნოს სულით!..“
რა ესრეთ დალოცა, თავზედა აკოცა,
ესრეთ უბრძანა:

352

„წამოდგე, შვილო, აიღე თავი,
ძებნე, მონახე შენ შესართავი;
აღახილე თვალი და მონახე ქალი
შენად საცოლოდ“.

ც. მამისაბან რჩევა და ჩვენება, თუ როგორ[ი]
ცოლი შეირთოს

353

შვილო, მონახე ქალი ასეთი.
ჭეშმარიტებით სწამდეს მას ღმერთი.
მოიყიდე კაცი, გინა დედაკაცი,
მას აძებნინე.

354

ერიდე კახპას, ურცხვს, ღლთს და კაპას[ს],
თორემ გიგინებს დედ-მამას, პაპას;
მალ-მალ გიზამს ჩხუბსა, გაიმახვავს შუბსა,
გაძგერებს გულსა.

355

გაქვს, თუ არა გაქვს, არ გაგიკითხავს;
გეტყვის: „არ მაცმევ შაიდიშთ ნიფხავს!
მოგიდებს ყისტებსა, წამოგკრავს ქიშტებსა,
ჩაგამტვრევს ცხვირ-პირს“.

356

ანჩხლი და ურცხვი, თუ არის მრუში,
ზედ შემოგჯდების, თუ ხელით უშვი;
მოგიდებს მიზეზებს, შემოგკრავს მით დეზებს,
დაგიჩხვლევს გვერდებს.

357

საითაც უნდა, იქითკენ წარებს,
გარდმოგიჭირებს მათრახებს მწარებს;
აგიდებს აღვირებს, გატირებს, გაყვირებს,
ისე გატარებს.

358

თუ ცოლს მიეცი ქმარზედ უფლება
ქმარი ღიაში უკუეფლება;
გაისვრება ლაფით, მის ჭუჭყს საპნის ქაფით
ვეღარავინ გარეცხს.

359

ისო ზირაქში ბრძენმან დასწერა
დედაკაცისა პერობა და ჭერა;
კარ-გვარად ქადაგებს, აქებს და აძაგებს
ისუ დედაკაცთ.

360

უმჯობეს არსო ლომთ-ვეშაპთანა,
ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა.
კაცისა ცხოვრებას, ასე განშორებას
გვაუწყებს ისუ.

361

ნუ გსურს ლამაზი პირ-სირინიზი,
არას გაამებს, თუ არის ბოზი.
ბევრი ყავს მას მტერი, მდეგნელი და მჭერი,
მახის დამრწყმელი.

362

ძნელია, მცველმან ის ასე დაცოს,
რომ მტაცებელმან არ წარიტაცოს;
მზირს უდგას მპარავი, ვერ შესძლებს მფარავი
მის სიფრთხილესა.

363

რაგინდ რომ მცველი იკრთობდეს ძილსა,
მაინც ვერ შესძლებს ბევრსა ღვიძილსა;
რა რომ თვალს დახუჭავს, მას მტერი აბუჭავს
ძალით თუ ნებით.

364

თვით ქალსა მართებს, რომ თავი დაცოს,
ქმარს თავი თვისი არცად წარტაცოს;
არ განშორდეს მფარავს, არ მიეცეს მპარავს
თავისის ნებით.

365

თუ ქალმან თავი თვითონ არ დაცო,
რამდენიც უნდა შენ იმამაცო,
ვერ შესძლებ დაცვასა, თუ შეიქს ტაცვასა
თვით თავსა თვისსა.

366

ბოზი ლამაზი ბევრს კაცსა აცდენს;
როგორც რომ უნდა, ისრე მოახდენს,
მოსთხრის კაცს, წაახდენს, მცნებას გარდაახდენს,
მოჰკლავს და წარსწყმენდს.

367

თუმცა შეადგა ლამაზი ბოზი,

ძნელად გარდურჩეს კათალიკოზი,
რომ არა აცდინოს და გარდახდინოს
სჯულსა და წესსა.

368

ნუ გინდა ბოზი, ანჩხლი და ლოთი,
თუ არ გინდოდეს შენს სახლში შფოთი;
ამათა ზდევეს ჩხუბი, ხელთ ხმალი და შუბი
უჭირავთ მზათა.

369

ნუ გსურს ქალთ ქმრობა შავ თვალ-წარბისა,
რომლისაც გული სხვასთან წარბისა;
შეგიყრის მარაქას, წაგართმევს ბარაქას
სახლსა და კარსა.

370

თუ ქალსა თვისი ქმარი არ უყვარს,
ვარდივით ფშვიდეს, იტყვის: „ფუ, სულ ყარს!“
იზიზღებს მიდგომას და ახლოს მიჯდომას
თავის ქმრისასა.

371

ქმრის მოღალატე თუნდა ქმართან წევს,
რომელიც უყვარს, გული მასთან სწევს;
ქმარს ახსენებს არად, კუროს კაის გვარად
მიაპყრობს პატივს.

372

ქმარს რომ უნდოდეს მასთან მიდება,
იტყვის: „დამესხენ, მე არ მინდება“
მალვითა, ფარვითა, ქურდულად პარვითა
უცხოს კი მისცემს.

373

ქმართან პირზედა წყალს არ შეისხამს,
კუროს რომ ნახავს, ხალებსაც ისხამს;
ქმართან პირს ატირებს, მყვართან ლხინს გაპირებს:
ორგულიბს ასრე!

374

ქმართანა შეიქს ტირილ-წუწუნსა,
და კუროსთანა სტვენა-წრუწუნსა
ქმარს მიიჩნევს ჭირად, კუროს მისაჭირად
თავსა შაირცხვენს.

375

ქმარს თავზედ საბანს გადააფარებს
ხელს კუროსაკენ გარდააპარებს;
ქმარსა ენით ტიტინს, კუროს ხელით ღიტინს
დაუწყებს მალვით.

376

რომელიც ქალი ქმარს სხვაზედ გასცვლის,
საუნჯისაგან თავის სახლს დასცვლის;
გახდების შიშველი, წახდების, მიმშველი
ვეღარვინ შემოსს.

377

მასწავლელს დამშლელს ვეღარ ითავსებს,
ვინც თვითონ უნდა, სახლს იმით ავსებს;
სახლს მოსთხრის, დაავსებს, დასტაქნებს დაავსებს

ღვინით, სხვათ ასმევს.

378

თავის ქმარს უზამს ასეთს ხუმარსა,
არ გამოუწყვეტს სახლში სტუმარსა.
კუროს სიყვარულით, მისის სიხარულით
მასპინძლობს მალ-მალ.

379

ცრუვსა და მავნეს სუყველას დასხამს,
არაყს და ღვინოს წყალსავით ასხამს;
არას უგდებს ყურსა, ღვინოსა და პურსა
სახლში გამოსწყვეტს.

380

კუროს უმზადებს კარგსა სადილსა;
და აღუსრულებს გულის წადილსა;
ღვინოს ასმევს წყლურად, ქმარს გაუხდის წყლულად
სულსა და გულსა.

381

კუროს მიათმევს ქადა-ნაზუქებს,
გატენილს ყვერულს, კარგად ნასუქებს;
როცა სადილს აჭმევს, ყავა-ჩაის ასმევს
ხილსაც მიათმევს.

382

მალ-მალ მიათმევს არაყ-ღვინოსა,
უნდა, რომ კურომ გაუღიმოსა;
მაღვით უზამს თვალსა: „შენ მთხოვ რასაც ვაღსა,
მოგართმევ მალე!“

383

აყურებინებს ქმარსა საწყალსა;
სწყურის, არ ასმევს მას ცვარსა წყალსა.
შიან, შესთხოვს პურსა, არას უგდებს ყურსა,—
მყვართან აქვს გული.

384

ქმარს ეტყვის: „ადექ აიღე წაღდი
და შეშისათვის ტყეშიგან წადი;
გამოგიცხო მჭადი, გიქმნა შეჭამადი
ჭინჭრის ფუშრუკი“.

385

როდესაც რომე ქმარს გაიტყუებს,
ქვეშაგებს გაშლის, ბალიშებს, ყუეებს;
მყვარს მოკიდებს ხელსა, მოეხვევის ყელსა,
ჩაკოცნის ტკბილად.

386

უკუწვებიან რბილად შტაქუნსა
და მოყვებიან ჩქარად ქაქუნსა;
საბრალოს ქმარს ქვეშა მიწა, ქვა და შეშა
ეგების ხმელად.

387

შეირთევ, შვილო, ცოლი ასეთი,
ეს საქმე სჭირდეს იმას არც ერთი;
ერიდე ამასა, მისმინე მამასა
ეს რჩევა, შვილო!

388

ქალს ნუ უვარყოფ თვალად ნასობით,
ნუ გწადს სიცოცხლე წელთა ასობით.
ოღონც ფხიზლად ვლიდეს, ქმარს არ სხვაზედ სცვლიდეს,
არ იყოს ანჩხლი.

389

ამგვარი ცოლი არ გიორგულებს,
გაუფროთხილდების შენს ბაღში რგულებს;
დასცავს, დაიფარავს, არას მაიპარავს
შენს საქონელსა.

390

სახლ-კარს მიუგდებს თვალსა და ყურსა,
ბარაქას დასდებს ღვინოს და პურსა.
თუ მიიხნევ ტკბილად, არც ის გაგიხდის წბილად,
არ გაგცვლის სხვაზედ.

391

ერთმანერთისა გულმინდობილად
ძილი, ღვიძილი გექნებისთ ტკბილად.
ქვეშ დაგიგებს რბილად, ზედ დაგხურავს თბილად,
დაგაწვენს ძილად.

392

არავინ წაგართმევს შენ იმას ძალით,
არცა მოგპარავს მას ქურდი მალეით
არ გექნების შიში, მისთვის კვნესა, ვიში,
არც არა ფიქრი.

393

თუ კაცს არა აქვს მართალი ძილი,
სიკვდილი არის მისთვის ღვიძილი;
ვარდების გონებას, დაიწყებს ღონებას,
წაიღებს ფიქრი.

394

თუ კაცი რასმე საოხრავს ოხრავს,
თავისის ტანის ძვალებს გამოხრავს;
ბევრისა ურვითა, შვიდითა თუ რვითა,
დანამჭლობს ხორცსა.

395

კაცი მიმყოლი სევდა-ფიქრისა
სიკვდილისაკენ ქართებრ მიქრისა:
ფიქრი არ ასვენებს, აუშლის ავს სენებს,
დანასნეულებს.

396

ჯავრი უდროოდ კაცს დანაბერებს,
ასეთს ლახვარსა გულს დანაძგერებს;
მასაც არ აჯერებს, მოჰკლავს, არ აბერებს
მეტი ნაღველი.

397

რაკი დამეხავს ელვა-ქუხილი,
დაისეტყვების ყანა თუ ხილი,
რას არგებს წუხილი? მკედარ-თვალ-დაწუხილი
ვედარ აღგების.

398

ლამაზის ცოლის პატრონი კაცი
არს ფიქრისაგან შორს წარნატაცი,

მისთვის შიშნეულობს და მისთვის სნეულობს,
შინ არს, თუ გარეთ.

399

ფიქრობს: ვაი, თუ დედალი ჭრელი
ვიღოდეს სადმე ფრთა-დაუჭრელი;
ჩემთან კი ბუდობდეს, სხვათა კვერცხს უდებდეს,
მე კი ვაკვებევდე!

400

იტყვის: ვაი, თუ გაფრინდეს შორსა,
თავისის ნებით მიეცეს ქორსა;
იმან ითვალტვინოს, მე კი ამადრტვინოს
მისის ნადვლითა!

401

იტყვის: ვაი, თუ ეს მინა ჩემი
იყოს ვისიმე სხვის მინაჩემი;
შიგ ასხას მან წყალი, დამაგდოს საწყალი
მე უჭურჭლოდა.

402

იტყვის: ვაი, თუ ეს ჩემი ცოლი
ავის საქმისა იყოს გამყოლი;
მე არა უყვარდე, საყნოსლად უყარდე,
სხვასა სუნევდეს!

403

რა არს ლამაზი დედალი ჭრელი
თუ კი არ უყვარს საკენკის მყრელი?
რა ხელი ეყრების, მასამც შაეყრების
ხრინწ-წიტ-წიწაკი!

404

შენ გეყოლების შავი დედალი,
შენს საქათმოში კვერცხის მდებალი;
ამას იტყვის ქურდი: „შავია და ცუდი,
რათ მოვიპარო?“

405

შენს კარ-მიდამო შეიქს კაკანსა,
მოგართმევს კვერცხით სავეს ბაკანსა,
გიჩეკს წიწილებსა, გიზრდის წვრილს შვილებსა,
სხვა რაღა გინდა!

თ. სწავლა მამისაბან, რომ თვალის ნღომას
გული არ მიაყოლოს

406

თუ კაცსა გული არა აქვს მთელი,
ცუდია მისთვის თვალთა ნათელი.
სჯობს, თვალი დაწუხდეს, გული კი არ წუხდეს
კაცისა სევლით.

407

სიბრმე უდროოდ კაცს არ აბერებს,
თუ გული მთლად აქვს, კიდევ ამღერებს!
თუ გულს რამ ეწყინა, სატკენი ეტკინა,
მაღე მოკვდების.

408

რადგან გულით არს სიცოცხლე, კდომა,
სჯობს, გულს უსრულო, არ თვალთა ნდომა;
ნუ ზდეგ თვალთ ნდომასა, გულთა წახდომასა,
გული სჯობს თვალთა

409

თვალთ სიამოვნე არს ერთი წამი,
გულთ სიამოვნე-მრავალი ჟამი.
თვალთ ნამუშააკევი არს ნაეშმაკევი
გონება ღვთისა.

410

თვალი შორს წავა; რასაცა ნახავს,
ამბავს მოუტანს, გულთანა ძრახავს;
რასაც მაიწონებს, გულში გაიწონებს
ნდომის ღლახვარსა.

411

რასაც კარგს ნახავს, გულს მოუნდება,
თუ ვერ იშოვნა, მით აჭმუნდება:
დაიწყებს ღონებას, ჯ[ა]ერს მისცემს გონებას,
წაიხდენს თავსა.

412

ნახა, კაცისა გული მოკედება,
ყოველი ასო სულ თან გ[ა]ჰყვება.
თვალი არს მცდენელი, კაცთა წამხდენელი,
შემასმენელი.

413

რადგან თვალებსა არ აქვს დანდობა,
არც ძმობა გემართებს და არცა დობა,
ჩვენთა თვალებისა გზისა-კვალებისა
მიდევნ-მიყოლა.

414

თვალთა ნდომამა ევა აცდინა,
ღვთისა მცნებასა გარდაახდინა,
ეშმაკთ თქმა ისმინა, გულით ვერ ითმინა
უთვალობანი.

415

ოდეს ადამ ბრმად ღმერთმან დაბადა,
ნათელი ეცვა ტანთა კაბადა.
იყო გონებითა, არ დაღონებითა
ტანთ საცმელთათვის

416

არას ზრუნავდა, ეძინა ტკბილად.
ღმერთმან ამოსჭრა მას გვერდი რბილად,—
ადამ იყო კაცად, ევა დედაკაცად
უქმნა გვერდითა.

417

ევაც ბრმა იყო ადამის მზგავსად,
ადამის შემწედ და მისათავსად.
დასხნა სამოთხესა, არა სამს-ოთხს ხესა
მრავალთა ხილთა.

418

ღმერთმან უბრძანა ადამს და ევას:
„თქვენ ნუ დაუწყებთ მას ერთს ხეს რხევას!

სხვა რაც ხილი იყოს, ყველა თქვენი იყოს,
იმას კი ნუ შჭამთ.

419

ნუ იმ ხილს თქვენ შჭამთ, მისგან მოჰკვდებით;
როგორც იყავით, ისევ გახდებით.
ნუ გასტეხთ მცნებასა, თქვენ ჩემს ბრძანებასა
ზედა დადექით!“

420

გველმან ეშმაკმან მიუთხრა ევას:
„მე მოგიხრობო შენ კაის რჩევას;
ვერა ჰხედავ შენა, როგორ დანაშევნა
ღმერთმან სამოთხე?!“

421

სიმშვენიერე სამოთხის ხილთა,
ანუ მფრინველთა ტკბილად დახილთა
არ ითქმის ენითა, ვერ გასმენს სმენითა,
არ ძალმიც ქება!

422

რასაც ხის დაცვას გეტყოდათ ღმერთი
იმ ხეს ასხია ხილი ასეთი,
თუ რომ ის შეშჭამე, შენ იმავე წამე
სუყველას ჰნახავ“.

423

ევა სცადა, ჭამა, ხილი იხილა,
ეშმაკის რჩევით თვალი იხილა.
რაც მან თვალით ნახა, გულით ვერ დასახა
ენით სათქმელად.

424

ევამ ჰრქვა ადამს: „ვიხილე თვალი,
სასიარულოდ ვსცან გზა და კვალი;
განვაგდე მე ძნელი აწ ღამე მე ბნელი,
ღღე გამითენდა!“

425

ადამ ჰრქვა ევას: „მითხარო შენა,
თვალთა ნათელი რამ აღგიშენა?“
მიუთხრა ევამა: „იმ ხისა რხევამა,
რომელსაც ვსცევდით.“

426

რასაც ხის დაცვა ღმერთმან გვიბრძანა,
ის ხილი გველმან მე მომიტანა.
რა ისი შევჭამე, მაშინვე ერთ წამე
თვალთ ამეხილა.

427

აჰა, ის ხილი, შენცა შეშჭამე,
ღღე განითენე, განაგდე ღამე!“
–ადამცა შეშჭამა, იმასაც ერთ წამა
თვალთ აღეხილა.

428

რა დაინახეს წითელ-ყვითელი,
შემოეცარცვათ ტანთა ნათელი,
მოუნდათ ლაბადა, ჩაიცვეს კაბადა
ღელვის ფურცელი.

429

ტანთ სიშიშველეთა ორთავ სრცხვენოდათ,
მოწყენით იქმნენ, არ მოლხენოდათ;
ტანთ სიშიშველითა, სირცხვილის შიშითა
დაცაიმაღნენ.

430

უწოდა ღმერთმან: „ადამ, ადამო!
სად მიმაღულხარ? აქ ჩემთან გამო!“
ადამ ხმა-ყო მალე:–„შიშით დავიმაღე
სიშიშველის გამო“.

431

პრქვა ღმერთმან ადამს: „რად ხარ მშიშველი?
ვინ გითხრა შენა, რომ ხარ შიშველი,
უკეთუ არ შჭამე, რომლისა გამცენ მე
მხოლო არ ჭამა?“

432

ადამ მიუგო: „რომელიც მამე
შენ დედაკაცი, მის სიტყვით ვშჭამე.
ჯერ თვითან შეჭამა, მერე მე მაჭამა
იმ ხილთაგანი“.

433

ღმერთმან დედაკაცს პრქვა: „ჰყავ რასთვინა?“
დედაკაცმან პრქვა: „გველმან მაცდინა
ჭამა იმ ხილისა, მით თვალთ ახილვისა,
გველმან მირჩივა“.

434

პრქვა უგალმან გველს: „რამეთუ ეს ყავ;
ყოვლს პირუტყვთ-მხეცთგან წყეული იყავ!
ხვიდოდე მკერდითა მუცელზედ თრევითა,
მიწასა სჭამდე!“

435

დედაკაცისა და შენსა შორის,
მისთა თესლთა და შენს თესლთა შორის
დავდვა მე მტრობა, არა პირფერობა
ერთმანერთისა!

436

იგი საკვდავად შენს თავს უმზერდეს,
დასაკრავადა დიდს კეტს უღერდეს:
შენ იმისთა პრჭაღთა, მის ვაჟთა თუ ქაღთა,
უმზერდე კბენად!

437

დედაკაცსა პრქვა: „განმრავლებითა,
განამრავლე, და მწუხარებითა,
სულთქმნითა შენითა, კვნესითა, ქმნითა
შენე შვილნი შენნი!“

438

ქმრის მიმართ იყოს მიქცევა შენი!
გეუფლებოდეს შენ ქმარი შენი!
შენ ქმარსა მონებდე, უსმენ-უგონებდე,
რასაც გეტყოდეს!“

439

ხოლო ადამსა პრქვა: „რად მაიხდინე,

შენის ცოლისა სიტყვა ისმინე.
და შენა შეშტამე, რომლისა გამცენ მე
მხოლო არ ჭამა?

440

წყეული იყავნ საქმეთა შენთა!
ჭმუნვითა შტამდე ყოველთა დღეთა
თივასა ველისას, ნაოფლსა სველისას
სტამდე პურსა შენს—

441

ვიდრე მიქცევად შენდა მიწადა,
რომლით მოღებულ იქმენ კაცადა;
რამეთუ შენა ხარ მიწა და წყალ-ცეცხლ-ქარ
მიწადცა იქცე!“

442

ნახეთ, თვალთ ნდომამ ამათ რა უყო
ყელთ სასიკვდინე გარდაცვა გულყო.
სცანთ, მათ ქნეს სარფა რა, აჭამა ფანფარა
ედემთ ხილთ ნაცვლად.

443

ადამს და ევას ტანთ სამოსელი,
არც აბრეშუმი, არც ბანბა, სელი.—
ნათელი განძარცვა, ტყავფუჭი ტანთ აცვა,
განადო გარეთ.

444

თვალთ ღამაზთ ნდომამ მრავალი წმინდა
კაცი მოკლა და კიდევ წარწყმინდა;
წარღვნა მოიყვანა, წყლით დანთქა ქვეყანა,
ენა ურივნა.

445

თვალმან გულს ამცნო ცათა შევენება,
გულმან დაუწყო გოდოლს შენება;
ქვეყნითგან ზეცადა მით აღსვლას ეცადა,
ღმერთს აწყენინა.

446

ნუ მისცემ გულზედ უფლებას თვალთა,
თორემ აგირევს გზათა და კვალთა,
წავიყვანს მრუდადა, გატარებს ცუდადა,
დაგდალავეს რებით.

447

თვალი გულის არს წინამძღვარი,
მეტად ხარბი და გაუმაძღარი;
ნდომით არ ამდიდრებს, არცა დანამკვიდრებს
ერთფეროვნებით.

448

კაცს რომ ტანთ ეცვას, არა სციოდეს;
მაძღარი იყოს, არა შიოდეს,—
ფერთია საცმელთა, გემოთი საჭმელთა
სხვას მოანდომებს.

449

ქაცვიაშ უთხრა თავის მამასა:
„არც თქვენ მიბრძანეთ, სრულ ვყოფ ამასა,
არ მივსდევ თვალთ ნდომას, არცა გულთა ცდომას,

ვზღვევ ღვთის ნაბრძანებს.

450

რასაც მე ღმერთი სარჩოს მიბოძებს,
სახლ-კართ შეუდგამ სვეტებს, მით ბოძებს;
მე სხვა არვინ ვიცი გულში დანამტკიცო
მაქვს ღვთის მინდობა.

451

მე არ გავიღებ ამაში ფასსა,
არც ლამაზს ვეძებ, არც თვალად ნასსა;
რაც ბედმან მახვდინა და წილში მარგინა,
იმას შევირთავ!

452

მე ერთი ქალი შემხვდა ჭალასა,
არვინ ატანდა მოსვლად ძალასა;
თავისის ნებითა, ვარდთ გვირგვინებითა
ოვიდა ჩემთან.

453

შემომადღივა ვარდის კონები,
სიტყვა მომიგო მოსაწონები:
„ჰა, შენ ჩემო, ვარდი! შენს ხელთ ჩამოვარდი
შენად საცოლოდ!“

454

არ ჩამოვართვი მის ღროსა ვარდი;
უთხარ: უკანვე ქენი ნავარდი,
თუ შენ გერგი წილად, ფიცხლავ საქორწილად
მამას ვსთხოვ დასტურს.

455

ახლა შევიტყვე, სამს ქალს ჩემზედა
წილი უყრიათ წერა-ბედზედა;
მას ქალსა ვრგებივარ, მე მისი ბედი ვარ!
ბედს ვერ წაუვალ“.

456

მამამ შეიღს უთხრა: „რას ჰქვიან ბედი?
როდის და დაგინდობს, საწუთრო ყბედი,
შენ ასე გატაროს, რომ არ გაგამწაროს,
რაგინდ ტკბილ იყო?“

457

რადგან შენს საქმეს ღმერთზედა ავღებ,
ბედის ხსენებას რად არ განავღებ?
რას ჰრქვიან აწ ბედი?—ყრმა ვიყავ, დავბერდი,—
ჯერ ვერ მიცნია

458

შვილო, ყრმა ხარ და თუნდა დაჰბერდე,
რაც ღმერთმან მოგცეს, უნდა დასჯერდე;
კარგია თუ ავი, თეთრია თუ შავი,
უნდა ითავსო.

459

შემთხვევითი არს და არა ბედი
წყნარად მავალი, გინდა მორბედი,
რომ წანაწყდეს ლოდსა, გინა ოქროს ზოდსა,
უეცრად კაცი.

460

არ არს არსებით მყოფელი ბედი,
მან მოგცეს რამე,—ნუ გაქვს იმედი!
მეფეთ სიმაღლისა, გლახათ სიდაბლისა
სახელ არს ბედი.

461

საწუთროს სოფლის ჟამთა ცვლილობა,—
დღეს შერიგება, ხვალ აშლილობა,
გლახობა, მეფობა, სიძვირ-იეფობა
ღვთით არს, არ ბედი.

462

კაცს არას არგებს ბედის მინდობა,
ღვთის უვარყოფა არ შაენდობა,
ღმერთს მიანდ[ე]ვ თავი, შენი შესართავი
იმასა სთხოე.

463

ღმერთმან რისიცა გაგხადოს ღირსი,—
იყოს ბნელ ღამე, თუ ნათელ დღისი,—
მიიღე ორივე, მადლობა მოჰრივე
ღვთის ნაბოძებსა.

464

ნუ ემზგავსები უმეცართ ბიჭებს:
ნი მიაჩემებ ბედს ღვთისა ნიჭებს.
ღვთისგან შეწყალებას, ჭირს ღხინად ცვალებას
უწოდენ ბედსა.

465

რაც კაცი უღმრთოდ საქმეს გაბედავს,
დაბრმობილ არს და ვერასა ხედავს;
ორს პოებს, თუ ერთსა, თუ არ მადლობს ღმერთსა,
თავსაც დაკარგავს“.

0. ქაცვია მწყემსისაგან კითხვა, თუ ვითარ
მოყვანა წყლით რღვნა თვალთ
ღამაჲთ ნღომამა

466

შვილმან ჰრქვა მამას: „მითხარ, მამაო,
წარღვნა ვითარ ქმნა თვალთ ნღომამაო?
ასეთი რა ქნაო, ქვეყანა დანთქაო,
შეიძლო ვითო?“

467

მამამ ჰრქვა: „ შვილო, აწ <<დაბადება>>
სრულად ვით გითხრა, დაგვიანდება.
ძნელი არის, შვილო, არა საადვილო,
ქორწილს მოგაცდენს“.

468

შვილმან მიუგო: „თუ დამრთავთ ნებას,
ეგ მირჩვენია ჩემს ქორწინებას;
რად მინდა ჯერ ცოლნი, ყმაწვილნი ჩემ ცოლნი
ცოლნითა მჩაგვრენ

469

ცხვარ[რ]თა მწყემსობით ბრიყვად გამზარდეთ,
ახლა თქვენ ჩემად სწავლად დაზარდეთ,

ყველა თქვენა გძრახავს, რომელიც მე მნახავს
ასე უცებსა.

470

მამავ, ამბობენ ავთა სიტყვათა:
ჭკვიანმან კაცმან შვილი ბრიყვათა
რატომ გაზარდ[ა]ო, რასთვის დაზარდაო
მის სწავლასაო!

471

მამავ, მოვიცდი ქორწინებასა,
თუ კი მასწავლით რასმე მცნებასა;
რას ვაქნევ ცოლი რთვის, ბრიყვს დამცინოდენ თავს
სწორ-ამხანაგნი!

472

სულ მაჯავრებენ თავის დაცინით,
ცხვრისებრ „ბეჭითი“, თხისებრ კიკინით.
ფიცავ მაცხოვარსა, აღარ ვზღვევ ცხოვარსა
მე დღეის იქით“.

473

მამამ ჰრქვა „შვილო, ამაღ დაეზარდი,
არც მე ვარ სწავლით კარგად ნაზარდი.
ერთს ამაზედ ვზარობ, აქა-იქა ვმეზავრობ,
ვერ მომიცლია.

474

არც მე მაქვს, შვილო, ცოდნა მაგდონი,
მძლივ მისწავლია ან-ბან-გან-დონი“.
შვილმან ჰრქვა მამასა: „მე გკითხავ ამასა,
რად არ ისწავლე?“

475

მამამ მიუგო: „ჩემსა ყრმობაში
სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში;
მით აკლო სწავლამა, ჩვენში ლეკთ დავლამა
წიგნნი წარსტყვენნა!

476

დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები,
ჩემის დროს ყრმანი უწვერთელ-უცები.
მე ამაღ შეწყობით, გარჩევით, შეტყობით
ვამბობ ვერასა“.

477

„მამავ, მასწავლე, რაც შენ იცოდე,
მე მასა ვსჯერვარ, თუმცა იტყოდე:
მარტო თვალთა ნდომა, რღვნით ქვეყნის წახდომა
გამომიცხადე!“

478

მამამ ჰრქვა: „რადგან არ დაიშალე,
ბაღში ჩირდილში ქვეშ რამ გაშალე;
მუნ და[ვ]სხდეთ, წამოვსწვეთ; თუ რამ მიდგს, წამოვსწვეთ
ჩემ საღვინითა.

479

მე—თიხის კოკა, ზნოანი ჭური,—
რასაც ვადენდე, შენ უგდე ყური;
დალივე გულითა, არ წვრილად კულითა,
თას-ყანწ-კათხ-სირჩით.

480

ჯერ ეს მაჭარი შენ სვი ხარბადა,
მერმე მე გეტყვი ყველას ამბადა;
დალივე გულუხად, ნუღარ მოხვო კულუხად
საგაისოლა“.

481

შვილმან ჰრქვა: „მამავ, ლექსად წყობითა
მართლა არ მესმის მე შეტყობითა;
თქვენ ბრძანებთ იგავად, მე მესმის იგ ავად,—
მიბრძანეთ ამბად.

482

ლექსად ითქმიან შემოკლებითა;
ან მომატებით, ან მოკლებით;
სიტყვა განმარტებით, არ კლებით, არ მატებით
ამბის თქმა მსურის.

483

როგორც ეწეროს წინასწარ თქმული,—
წარღვნით ქვეყანა იყოს დანთქმული,—
ისრე გამაგონეთ, მართლა ჩამაგონეთ
მე, ბეხს, მამაო.

484

მამავ, რომ ლექსავ, ყოყმნობ, აყენებ,
ფიქრით სენს რასმე თავს მიაყენებ;
ბრმა-ცალთვალა ხარო, ეგეც არ მოსთხარო,
რომლითაც ხედავ.

485

ბერიკაცი ხარ და მოკლებული,
ჭკვა არ შეგექნას დამოკლებული;
რად მიზდ[ევ] წერასა? ვაი, შენს წერასა!
რა ცუდად შერები!

486

ვინ წაიკითხავს გრძლად შენს ნაწერსა,
სულ გაგინებენ თეთრს უღვაშ-წვერსა;
მაგ წიგნს გიწუნებენ, არად ირწმუნებენ
შენს ლაპარაკსა“.

487

მამამ ჰრქვა: „შვილო, რაც გამაგონე,
არა ჰქენ ავად, რომ მამაგონე,
ავ-რიგად წანახდენს, ჭკუვას გარდაახდენს
კაცს მეტი ფიქრი.

488

მე ლექსად სიტყვებს ამად ვაწყობდი,
უფრო ტკბილად ჩნდა, ამას ვატყობდი;
არ მაქვნიდა იმედი, შენს ამბად ისმენდი
მოუწყენელად.

489

აქ მოდი, შვილო. ახლოს დამიჯე;
რაც რომ მოგითხრა, კარგად გაშინჯე!
მე სიტყვებსა სწორსა, არ თუ არაკს, ჭორსა,
გეტყვი მართალსა.

490

სიტყვას არც კლებით, არც მომატებით,

ყველას მოგითხრობ ჭეშმარიტებით.

მე რაცა ვსთქვა ენით, შენ ის ყურის სმენით
კარგად შეიტყევე.

491

შენს შვილს მიუთხარ ეს ამბებია:

<< მე მომითხრობდა პაპა-ბებია>>,

არს ბრძენთ ბრძანებული, არ მოგონებული
ცუდი ამბავი.

492

ესე ამბავი კარგია, შვილო,

საუკუნო არს, საშვილის-შვილო!

ესე ლაპარაკი არ არის არაკი,
გესმოდეს, შვილო.

493

სწავლად წინ ფეხი წამოდგი ნებით,

ყურით ისმენდე, გულთ მოდგინებით!

შვილო, შენს მამასა ნუ მიზამ ამასა;

რომ არ ისწავლო.

494

შვილო, იხმარე ჭკუვა და გონი,

შენ გაიგონე ეს გასაგონი:

დასია, დაგონი, საწვაგ სადაგონი,

ნუ გრწამს ნურც ერთი.

495

შვილო, თუ ამას არ შაისმენდე,

რასაც შენ მიკვეთ, მას არ ირწმენდე,

ბერს-კაცს თეთრწვერასა ნუ მიკვეთ წვერასა,

ცუდად ნუ გამრჯი.

496

ვარ ბერიკაცი დიდად ნასარჯი,

საწუთროსაგან მწარედ ნატანჯი

შიშველის ფეხებით აქა-იქ ჩეხებით

ტყვეობისაგან“.

497

შვილმან მამასა მიუთხრა ფიცით:

„სწავლას მოუჭყევები გულისა მტკიცით;

მასწავლი ტკბილადა, რად გაგხდი წბილადა

მე შენ, მამაო!

498

უსწავლელობა არს წარსაწყმენდი,

თუ არ მდომოდა, თავს არ გაწყენდი;

სახლ-კარს დავირთევედი, ცოლსა შევირთევედი,

ვიქორწინებდი“.

499

„კარგია, შვილო, რადგან აგრეა,

რომ ცოლის ნდომამ არ გარდაგრია;

შენის ჭკუვისაგან, შენ სხვის ბიჭისაგან

ჰქმენ უმჯობესი.

500

როგორც მე ნდომამ ჭკვას გარდმას[დ]ინა,

ისრე არ გიყო, არ წაგახდინა;

ვით მე ჭალა[ს] შინა ჩხიკემან შემაშინა,

შაშვ-ქაცვმან, კაცმან.

501

ჭალასა შინა დამაქორწინა,
მოლი დამიგო, ცოლთან მაწვინა;
მსუსხეველა ჭინჭარნი, მიკბენდენ ჭინჭველნი,
მხხვლეტდენ ეკალნი.

502

შვილო, ყოფილხარ ბიჭი ბიჭური,
არა გემთხვა რა ჩხიკვ-შაშვ-დიჭური;
ვით მაშვრალს წყურვილმან, მე მიყო სურვილმან
გულთ განხურვება.

503

ვმადლობ ღმერთს, შვილო, ხარ გონიერი
მძლეთა მებრძოლთან ძალ-ღონიერი;
წყალთან წყურვილისა, ქალთან სურვილისა
გაქვს მოთმინება.

504

ამისთვის გწყალობს, შვილო, შენ ღმერთი,
რომ კარგი საქმე შენა ჰქენ ერთი:
ვარდთ გვირგვინებითა, თავის თავს ნებითა
გაძლევდა ქალი.

505

შენ რომ იმ ქალთან არ შეიგინე,
ღვთისა მცნებაზედ იგულთმოდგინე,
ჰქენი მოთმინება, ამისთვის ინება
შენთვის კეთილი!

506

ვით დედა-შენმან, კარგი ქალობა,
გულს აქნევიანა ქვა-ფიქალობა;
ნდომანი ითმინა, მე არა მისმინა
ჯვარდაუწერლად.

507

ვინც ღვთის ბრძანებას არ ეურჩების,
მრავალს განსაცდელს გარდაურჩების.
გულის წმინდობითა, ღვთისა მინდობითა
განემარჯვების.

იპ. წარღვნის ამბავი: ნომს კილობნად შესვლა

508

ადამის ტომთა კაცთ ძეთა ძენი
იყვნენ ზოგ-ზოგნი ჭკვიანი, ბრძენი;
კაცნი დიდებულნი, ღვთის ძედ წოდებულნი
სიწმინდის გამო.

509

ცხოვრობდენ წელსა ცხრა-ასზედ მეტსა,
სამოცს, ორმოცსა და ათერთმეტსა,
სიცოცხლის სიგძითა, ასულით და ძითა
განმრავლდენ კაცნი.

510

კაცთ შვნეს ასულნი, ღამაზნი ქალნი,
ღვთის ძეთ რან ნახეს, ზედ დარჩათ თვალნი .

შეირთვეს ცოლებად, შვილთა საყოლებად
თავ-თავისთვისა.

511

ღმერთს არ ეკეთა გრძლად ყოფნა ხორცად,
ას-ოცის წლისა ქმნა დას[ა]ხოცად
თვალთ ლამაზთ ნდომამა და გულთა ცდომამა
ეს მოახდინა.

512

ცხრა-ასისაგან ასისა მოკლნა,—
რვა-ასის წლისა დღე შეუმოკლნა,—
ესრეთ შესძლო თვალმან და ლამაზმან ქალმან,
შენ რომ იკითხე.

513

ღვთის ძეთ შვნეს შვილნი გოლიათ-გმირნი,
შესახედავად გულთ გასაგმირნი,
მაღალნი, დიდები, არ აქენდათ რიდები
არასფერისა.

514

არას ისმენდნენ ღვთის ბრძანებასა,
იქმოდენ ყველას თავის ნებასა.
ქმნეს უმჯულოვება, უსამართლოება
განმრავლდა ქვეყნად.

515

ყოველთ ხორციელთ ქმნეს თვისი ნება,
თავის გზას მისცეს ქვეყნად ხრწნილება;
უსამართლობითა, არ გულმართლობითა
გახრწნეს ქვეყანა!

516

რა ეს სცან ღმერთმან, გულს მიხვდა წყენა,
და შეინანა მათი გაჩენა!
ღმერთმან ამ საქმითა, ინება დანთქმითა
წარღვნა ქვეყნისა.

517

ღმერთმან სულ ქვეყნად აკვირვა თვალნი
და ვერცად ნახა კაცნი მართალნი!
ერთი ნოე პოვა, იმას ესათნოვა
სიმართლის გამო.

518

ნოემ შვა სამ ძე: სემ, ქამ, იაფეთ.
პრქვა ღმერთმან ნოეს: „ძელთ ჭრად ისწრაფეთ!
მწადს წყალთ დიდობანი; აგე კიდობანი
ოთხ კედლად ბუდებ.

519

შიგნით და გარეთ მოკირე კირით;
წვიმა მოჰხდების ექვსისა კვირით
დღისითა, ღამითა, წუთითა, ჟამითა
შეუწყვეტელად.

520

სამასის წყრთისა იყოს სიგრძენი,
ორმოცის წყრთისა მისი სიგრძენი,
ოც-და-ათეული წყრთითა განწყრთეული
სიმაღლე მისი.

521

კარგად გაწყობით მაგრად შეკარი,
იგვრდივად უქმენ კიდობანს კარი;
ორ-სამ სართულებად იყოს დართულებად
ქვე საყოფელად.

522

აწ მე მოვხადო ქვეყნად რღვნა წყლისა,
განსახრწნელადა ხორცთა ყოვლისა,
არიან რომლისა სული სიცოცხლისა
ცას ქვეშ ქვეყნადა.

523

მათ ყველას ექმნას წყლის გამო დანთქმა,
მე შენთან ჩემი ვამკვიდრო აღთქმა!

524

იყოს რაც ქვეყნად ქვეწარმავალნი,
ნათესაობით, გვართ მრავალნი,
ყოვლნი ხორციელნი, არ მარტო ტიელნი,
წყვილნი, თუ ტოლნი:

525

პირუტყვ-მხეც-მფრინველ და ქვემძრომელნი
მშვიდნი, გინა თუ მრისხველ-მწყრომელნი;
მამალნი, დედალნი, მამაცნი [და] ხრდალნი
თვითოს გვარისა.

526

წმინდათაგანი შვიდ-შვიდი ტოლნი,
და არაწმინდა თვითო ქმარ-ტოლნი
შეკრიბე თესლადა, კიდობნად შესვლადა
მამალ-დედალნი.

527

შენთვის და მათთვის სასმელ საჭმელნი,
სიობისათვის არ ნედლნი, ხმელნი,
ერთის წლის სამყოფნი, მით კიდობნად მყოფნი
შენ გამოზარდე.

528

ღვთის [ბრძანებულნი ქვეყნის] ცხოველნი
ნოემ კიდობნად შესხნა ყოველნი.
ეგრეთვე საჭმელი, ქვევრებით სასმელნი
დადგა კიდობნად.

529

ნოეს კამბეჩი დავიწყებოდა,
სადღაც სიცხითა ლაფში წვებოდა;
კიდობანს გარეთ ყვიროდა მწარეთა
დიდისა ხმითა.

530

სახელს უძახდა ნოეს კამბეჩი:
„რასათვის ვრჩები სულ უკან ბეჩი?
რასათვის მაგდებო და არ შემაგდებო
მეც კიდობანში?“

531

ნოემ ჰრქვა კამბეჩს: „ვეჭობ, კამბეჩი
მაგისთვის გერქვას, ყოფილხარ ბეჩი;
რღვნის შიშით გვაქვს ძრწოლა, ლაფშიგან ჩაწოლა

რა დროსი იყო?

532

კინაღარ დარჩი მაგ კარგის ბანით!
მაღე ამოდი, ჩამოძვერ ბანით “
თვისი ენა კამბენს დაავიწყდა მას ბენს
ნოეს ძახილით

533

ამად იძახის კამბენი „ნოეს“!
თუ შენ გეგონოს არ სარწმუნო ეს,—
როცა მას ნახევდე, შენ მე დამძრახევდე,
თუ მე ვსტყუოდე!

534

ოდეს სულ შეკრბენ მას კიდობანსა;
ღმერთმან დახურა გარედამ ბანსა;
დაუცო, დაჩურთა სარკმელ-სანათურა
ხუხრუტანები.

535

განახენა ღმერთმან ცის საქონელი
და ჩამოღვარა გასაბანელი;
ქვეყნის მწიკვლთ საწმენდი, წარწყმდა წარსაწყმენდი,
მოიცვა წყალმან!

536

ორმოცი დღე და ორმოცი ღამე
კოკურებ ასხა წვიმამ მუდამე.
განმრავლდა რა წყალნი, წარიღვნენ საწყალნი
ქვეყნად მყოფელნი!

537

რასაც რომ ღმერთმან ხორცი ახორცა,
კიდობანს გარეთ ყველა დახოცა.
აღარ დარჩა კაცი, აღარც დედაკაცი,
არც სხვა ხორც-სხმულნი.

538

გადიდდა ასე, გამაღლდა წყალნი,
თხუთმეტს წერთას ქვეშ ქმნა მთანი მაღალნი.
სულ მოკვდენ ყოველნი, რაც ხორცნი ცხოველნი
იყვნენ ცას ქვეშე.

539

ზედ კიდობანი იტაცებოდა,
შიგ მსხდომთ სიცოცხლე ეოცებოდა.
ნოე ფეხზედ დგა, ილოცებოდა.
სხვათ შიშით მუხლი ეკეცებოდა.

540

ვირემ მთათ წყალი შესცილდებოდა,
იქით და აქეთ კლდეთ ეხლებოდა,
მიმოაწყდებოდა და არ გატყდებოდა
ღვთის ძლიერებით.

541

ას-ერგას დღემდის ქუხილი, ელვა,
წვიმა და ქარი, და წყალთა ღელვა;
კიდობნისა რყევა, გულზიდება, რწყევა
შიგ მსხდომარეთა!

542

ერთი ფიცარი შუვა ხიდილი,
შიგნით სიცოცხლე, გარეთ სიკვდილი!
სიკვდილმან ძმა-დობა, უყო მათ დანდობა,
არავინ მოკლა.

543

მაშინ დამიყვრდნენ ყოველნი მტერნი;
ქორნი, კაკაბნი, ალაღნი, მწყერნი;
კაც, ასპიტნი გველნი, ცხვარნი, თხა და მგელნი;
კატა და თაგვნი.

544

ვეშაპ, ფასკუნჯნი, მარტორქა, სპილო,
–ერთად სამყოფლად არ საადვილო,–
ლომ-ვეფხვნი, ანთარნი, ფოცხვერნი, აფთარნი,
და ვასილისკო–

545

დაემეგობრენ ერთმანეთს ყველა!
არას აწყენდის მსუქანს ბატს მელა;
კურდღელთა მწვევარნი არ იყენენ მღვევარნი,
ქათამთა-ტურა.

546

სიკვდილ-სიცოცხლე იქმნენ ვით ძმანი,
მოკვდავთ საკვდავად გაკმინდა ხმანი.
სიკვდილმან კლა ვერა, ვირემ არ განერა
რღვნას კიდობანი.

547

მეშვიდეს თვესა ღმერთმან ინება
კიდობნად მყოფთა შვება, ლხინება;
ბრძანა დადგინება, შესწყვიტა დინება
ზეციდამ წყლისა.

548

კიდობანიცა მაღალსა მთასა
ზედა შეაგდო არარატთასა.
დადგა და დაყენდა, აღარა არყევდა
კიდობანს წყალი.

549

წყალმან მრავალი აკლო, შემცირდა:
მეათეს ვეგმდი მთა წყალს შესცილდა;
ერთ თერთმეტის თვისას თავს აჩენდა მთისას,
მოაკლდა ასე.

550

ნოემ გაუშვა სარკმლით ყორანი:
„სცანი, თუ ღმერთმან წყალთ უყო რანი?“
ყორანმა სცან მთანი, გაშალა მან ფრთანი
მუნით საფრენლად.

551

აღარ მობრუნდა ამბის სათქმელად,
ვირემ არ გახდა ქვეყანა ხმელად.
ის დღე გამოვიდა, რომ აღარ მოვიდა
გაუშვა ტრედი.

552

ტრედმან ეძება, ვერ პოვა ხმელი,

შესასვენებლად ფეხთ-დასადგმელი;
დაღალული ფრენით, დაჯდა პირის ღრენით
კიღობანზედა.

553

ნოემ განახვანა ბაგა, სარკმელი,
კიღობნით გარეთ გამოყო ხელი;
ტრედი აიყვანა, ისევ შეიყვანა
კიღობანშია.

554

ნოემ შვიდიოდ დღე მაიცადა,
შვიდს დღეს უკანა კიდევა სცადა,
წყალს რა მოველინა, კიდეც წარავლინა
იგივე მტრედი.

555

ტრედი გაფრინდა, განხდა ნაპირად,
შრტო ზეთისხილთა მიიცა პირად;
მოუტანა ნოეს, ჰრქვა: „არს სარწმუნო ეს,
ჩანს წყალთ მოკლება!“

556

ნოემ კიდევა შვიდს დღეს ითმინა;
შვიდს დღეს უკანა კიდევ აფრინა
ტრედი მესამედა, გზავნა მეამბედა,
გაუშვა სარკმლით.

557

ტრედმა ნავარდი შექნა ტყე-ველად,
ბნელში ნაჯდომმან შესაქცეველად.
ტყეში დაიძინა, აღარა შესძინა
კიღობნად მისვლა.

558

ნოემ აჰხადა ზეთ სართული,
რაც კარად-ბანად აქვნდა დართული.
გარდახედა მთითა, წყალს მოაკლდა ღვთითა,
გამოჩნდა ხმელი!

559

ხმა შემოესმა ნოეს ღვთისაგან:
„ნოე! ამოდი კიღობნისაგან
შენდ და შენი ცოლი, ძენი შენი და მათი ცოლი
გრევე ყოველნი.

560

რანიც არიან სულ ხორც-შესხმულნი,
კიღობნად მსხდომნი შენგნით შესხმულნი
პირუტყს-მხეც-მფრინველნი, მოძრავი, სულთ მქმინველნი
გამოიყვანე.

561

კიღობანი დგეს მანდავ მთაზედა,
თქვენ სულ გამოდით ქვეყნად ხმელზედა.
განმრავლდით, აღორძინდით, დასახლდით, დაბოძგინდით
ქვეყანაზედა!

იბ. ენის შერევისა და ბოღლის ამბავი

562

წარდუნას უკანა ნოეს თესლ-ტომნი
კიდევ გამოჩნდენ წინააღმდეგომნი
ღვთისა ბრძანებისა, არ გაგონებისა
მოქმედნი კაცნი.

563

ძალით და ღონით ფალავანები
იყვნენ, მათ იწყეს გალავანები;
იხმარეს გმირობა, შეკრეს მათ პირობა
ქმნა საწადელთა.

564

შექნეს ალიზი, ატანეს ქვები,
მით აღიშენეს მათ ქალაქები;
კოშკებით, ციხეებით, აგურთა კირცხებით
ქმნეს სიმაგრები.

565

ცას რომ შახედეს, ნახეს ვარსკვლავნი,
ხელნი აწოდეს, არ შესწვდა მკლავნი.
თქვეს გოდლის აგება, მით ვსწვდეთო აგება
ზეციერს საქმეს.

566

შეკრბენ ერთხმობით აღსაშენებათ
რომლითაც აღსვლა ზეცას ენებათ;
აქვნდათ ერთი ენა, მათ სიტყვა და სმენა
განუყოფელი.

567

მოყვნენ გოდლისა აღშენებასა,
მიმართეს აღმა ცათ შვენებასა.
მაღლამდის ანაგეს, ბევრი დღე წანაგეს,
კვირა, თვე, წელი.

568

თქმულა, ასეთი მაღლად გებული,
ვით მე გიჩვენო აღრიცხვებული
აღაჯი, თუ მილი? გმართებს შენ დუმილი
მის სარიცხველად.

569

ასჯერ ასად ქმენ, თქვი ბილიონი,
და ასჯერ ასად კვადრილიონი,—
ცხრა ამდენი მილი არის გაზომილი
სიმაღლე მისი.

570

ამისი მწადდა აღრიცხვა ვერსად,
მაგრამ ვისწავლე მე ნულა ვერსად.
ვარ სინანულითა, აღრიცხვა ნულითა
რომ ვერ შევიძელ!

571

აწ აღივსენით ჩემის მაღლითა,
ეს აღმირაცხეთ მტკავლად, ადლითა,
ციფირ-ნულებითა, შეწმასნულებითა,
ნულის მცოდნელთა.

572

რასაც დღეს ვირი დამაკებული
წავიდის მაღლა აკიდებული,

ზიდევდის ტალახსა, მოსძოვდის ბალახსა
ორს წლამდის ვერა.

573

როდისაც ვირი ქვე ჩამოვიდის,
თავის ტოლს მუტრუკს პატრონს მიგვრიდის.
რა აქვნიდა მას განი, ზომით შინაგანი
ის კი არ ვიცი.

574

რა გოდლის საქმე ღმერთს მოეხსენა,
ღმერთმან უწყინათ, ურივნა ენა:
ვინც ითხოვდის კირსა, მისთვის ტიკის პირსა
ხსნიდენ წყლისათვის;

575

ვინც რომ ითხოვის ქვა და ტალახი,
მას მთართვიან ხე და ბალახი!
განეყოთ ენანი, ყურითა სმენანი,
სხვადასხვა რიგად.

576

რა რომ განიყვნენ მრავლად ენებად,
ველარ შეუძლეს გოდლის შენებად,—
ცალ-ცალკე არესა, სხვა-და-სხვა მხარესა
განთესულ იქმნენ.

577

უქროლა ქარნი. ყარა მეხნი.
სულ ქვეყნად მოზღო გოდლის ნატეხნი.
სრულად დანაქცივა, ავად შეაქცივა
მათი ნაშენი.

იღ. ადამის საჩივარი

1

ადამს ჰკითხეს: რატომ სტირი,
რად სწუხ, რა გაქს საწუხარი?
რად არ გიციინიან პირი
ხარ მჭმუნვარე, განუხარი?

2

მან თქვა: ამაღ არ ვიციინი,
ჩემის ბრალით ბევრი კვდების;
ერთმევიან თვალში ჩინი
კუტდების და ყურთ აკლდების.

3

ამაღ ჯავრით სულთ მხდებიან,
არა მაქვს რა საღხინარი;
თუმც ყვავიან, სულ ხმებიან
ჩემს ბაღში რგავს რაც ხილნარი.

4

ყველა ისევ მერთმევიან,
რაც მაქვს ღვთისგან ნაბოძები;
ცა ქვეყნითურთ მექცევიან,
უცვდებიან მას ბოძები!

5

მტერმან ასე წამახდინა,

მამატყუვა, მამადორა;
ღვთის მცნებასა გარდმახდინა,
დიდს პატივსა მამაშორა.

6

სახლი მკვიდრად აგებული
დამიქცივა, მამიშალა;
ვით დედაზარდლთ ბუზთ გებული,
ფერხთ ქვეშ ბადე გამიშალა.

7

აქ მაშინჯ[ეთ] მის მტრის ძმაცვა,
რა დამირწყო მან მახეა;
ტანთ ნათელი შემომძარცვა,
ცხვრის ტყავფუჩი მამახვია!

8

თესლ-ტომითურთ სულ წარმწყმინდა,
ძირით, ქოქით ამამაგდო;
სამოთხეში მჯდომი წმინდა
ჯოჯოხეთში უკუმაგდო!

9

გულს მაძგერა მტერმან შუბი,
გამადინა სისხლი ღვარად;
წინამძღვართან მიგდო ჩხუბი,
თვით შემექნა წინამძღვარად.

10

მას ღვთის მემობელს მტერსა ვყვევარ,
მივაჩნივარ საძაგელად;
წინ მიმიძღვის და მიყვევარ
ცეცხლში საწვად, სადაგელად.

11

მაქვს ცეცხლის ტბის შიში, რიდი,—
ეგ ზებიან დაუშრეტად,
გრძლად ზედა ძეს ბეწვის ხიდი,
ზედ მსვლელს გახდის თავში რეტად.

12

ვინც იშენა სიბრძნით ვანი,
ქვეშ შეუდგა შვიდი სვეტი,-
ის არს ჩემი სათაყვანი,
არავინ მიხსნის მე მის მეტი.

13

ვინც რომ ჩემთვის ჯვარზედ წმინდა
გარდადინა სისხლის ღვარი,
მე მის მეტი არვინ მინდა
მას ძნელს გზაზედ წინამძღვარი!

14

მე მასა ვთხოვ, მომეახლოს,
მიძღვეს გზაზედ, მთლად მატაროს;
რომ ცეცხლის ტბამ ვერა მნახოს,
ასე რიგად გამაპაროს!

15

საყვარელო, მოდი, მნახე,
ერთი თვალით გამიცადე;
დანარღვიე შენ ის მახე,

მტერმან მიდგა, რაც მე ბადე.

16

ამასა გთხოვ, ჩემო მყვარო,
დამიცო და დამიფარო:
გზაზედ მცველი არ გამყარო,
ოდეს მანდით დამიბარო.

17

გეაჯები, ჩემო მყვარო,
შეიწყნარო ჩემი სული—
ოდეს წინ შენ შეგეყარო
სიკვდილის დროს ამოსული.

18

მოწყალება შენი, მყვარო,
მამაკვდავსა მამაშველე;
შენი უკვდავების წყარო
გულს მაპკურე, დამასველე!

19

ნუ ხარ ჩემზედ გულნაკლულად,
კარგი ვანი განმიმზადე;
ნუ მამყოფებ გულმოკლულად,
მიწყალობე, რაც მიქადე!

20

შენ სურვილის სახმილითა
გულს მიდაგავ ცეცხლის ალით:
რად საპკურად ხმავ მილითა
და არ მიშრებ შენ მას წყალით?

21

ღმერთო ჩემო! ნუ დამკარგავ,
ნუ აიღებ ჩემზედ ხელსა;
ნუ დამწვავ და ნუ დამდაგავ,
ნუ მამიდებ ცეცხლსა ცხელსა!

22

დავით გალად დანერგული
ვარ უშრტო და მე უფეს[კ]ო,
აწ მომძებნოს დაკარგული
ვედრებ, ქრისტეს მეუფესო!

23

ღმერთო! შენ შემქენ კაცადა ცეცხლი, ქარ, წყალი, მიწა, მე,
მე შენსა მცნებას გარდავხე, ამაღ აღარად მიწამე;
დღე შემიმოკლე სიცოცხლის, ჟამი მიწუთე, მიწამე
ჯოჯოხეთშიგა ჩამავდე, სული მიტანჯე, მიწამე.

24

ნეტავი ისევ მიწადა მე ვყოფილიყავ, არ კაცად!
ავების აღარ ვიწოდი, რომ ვიქნებოდი აღარცად;
აწ მე მაქვს კიდევ იმედი, ამაღ ვარ მე გულმამაცად.
ქვეყნად ძეს ვესავ დამხსნელად და მეგულების მამა ცად!

ივ. მელიქიძე ღვთისმეტყველის შრომა და „ღვთისმეტყველის“
ქმნის იბრუნი

1

ღვთისმეტყველის შრომა შეგვიჩვენებს: ძმას ვარდი უძღვენ, დას ია.
ღვთისმეტყველის შრომა: ნუ ესაგო, შემწვედ ნურად გჩანთ დასია.

თქვენც მას ესევდით, ვისაც რომ ესვენ ანგელოზთ დასია,
იგი არს ღმერთი ერთი, და დასია ბევრად ასია.

2

აწ აქეთ იგი ნათელი, ვინც ნათლად დავითს უქია;
ვისგან ცა ნათობს, სამყარო, ქვე მოკრთის მისი შუქია.
იწამეთ მშვიდი, მდაბალი, უღელ-ტკბილ, ტვირთ-მსუბუქია;
თავის ხრა, ზორვა კერპისა ფუჭი რამ თამასუქია.

3

დავით იშენა წალკოტი, ძოდან ვსთქვი, რაც რგო ხედაო;
კიდევ გაჩვენებ თვალითა, თუ იმას ვერა ჰხედაო:
გვერდი მამისა თვით დავითს როგორც რომ უსახევედაო,
ვერეთ დაირგო, მოიბა, რომ[ექლსაც ჩვენ გვირხევედაო.

4

დავითის ბადის ხილი სჯობს სხვათა წალკოტის ხილებსა:
ვინც შჭამს სნეული, გაჰკურნავს, ბრამს თვალებს აღუხილებსა;
დანაჭერინებს პირს ტკბილად, მოწყენილს მოალხინებსა,
განახალისებს მადლზედა, ცოდვაზედ განაფრთხილებსა

5

ბაღი დავითის ბადისებრ აროდეს აღშენდებიან:
არც მისებრ ხე-ღა დაირგვის, არცა არ ზედ მოებმიან,
მის ბაღში კრავი დამჯდარა, სხვისაში მგელნი ჯდებიან,
კრავად გონებენ დავსილნი, მაგრამ ტყუილად სცდებიან.

6

დავით შეემოსე ხილითა, რომელიც მოსა ხე დავით;
მას ხეს მოხედა უფალმან კეთილის მოსახედავით.
ნუ მედავებით, მარიდეთ გულს ლახვრად მოსახედავით,
ის დავით კარგით მოსა ხით, მე დავით მოსახედ ავით.

7

მან დავით თავის ბაღშია იმენა ცხოვრების ხენია,
ტკბილის ნაყოფის მომბმელი, სამკურნლოს ცვარის მცხენია;
დაუჯდა მას ქვეშ ჩირდილსა, არა სწავავს მას სიცხენია,
იმ უკვდავების სასმლითა მითვრა და მით მოლხენია.

8

ამად ამ წიგნსა სახელად უწოდე „დავითიანი“,
დავით შევაწყევ, შევეკონე, ვით ვარდნი და ვით იანი.
გულსა მოვსწყვიტე მუწუკი, მება ზედ ავი თიანი,
ზედ გულზედ ვიბი იგი ხე კაციანი და ღვთიანი.

იზ. ანდერძი დავით ბურამისშვილისა

1

ადარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,
არც ზედ დამდერა, აწ ამას ვსტირი:
ცრუემან საწუთრომ მარიდა პირი,
არ აღმისრულა მან დანაპირი

2

მკითხა ცოდვისა, მიხსენა ძვირი,
ვით გალსა ხესა, განმიხმო ძირი;
დამაგლახაკა, გამხადა მწირი,
საყვარლისაგან მქნა განაწირი.

3

გული მიშავა ვითა ნახშირი,

გამაყრვევინა თავზე თმა ხშირი.
პირი დამიჭკნო ვითარცა ჩირი,
ღამაშვებინა დაღმა ჩიხვირი.

4

შემყარა ძნელი ილაო-ჭირი,
გულზედ მასვია მჭვლად დანაჭირი;
მომიახლოვდა მწარე სიკვდილი
ცელ-გაღესილი, ხრმაღ-ამოწვდილი.

5

ვინ ხართ ღვთიანი და მადლიანი,
კოდ-სასწორ-მართალ, სწორ-ადლიანი,
ვთხოვ, შემობრალთ, როს მკვდარი მნახთ,
შენდობა მითხრათ, როცა დამმარხთ!

6

ვისაც რამ გცოდე, ვთხოვ, შემინდოთ,
ჩემზედ გონება აღმოიწმინდოთ;
მე აღარ ძალმიც თქვენი რა წყენა,-
სიტყვის თქმად ენა მე დამეყენა.

7

თუ გინდათ კიდევ მაგინოთ თქვენა,
ვერ გავიგონებ, დამიდგა სმენა;
აღარ მაქვს სუნთქვა, არც ამოქშენა,
მანვე დამშალა, ვინც აღმაშენა.

8

მცხედრად მდებარე, გულ-ხელ-კრეფული.
მივალ, არ მიმდევს თან ერთი ფული;
თუ რამე მაქნდა, ყველა მანდ დამრჩა:
ყმა, სახლ, ბად, ბოსტან, თეთრი თუ ფარჩა.

9

ყველას გაფიცებ ამ საფიცარსა:
თუ ღმერთი გრწამდეთ, ამ სამს ფიცარსა
ნუ გაიძნელებთ ასაშენებლად,
გარს ნურას უზამთ დასაშვენებლად.

10

ნუ გაირჯებით შესაღებლად,
მსუბუქი ქენით წასაღებლად.
ფასს ნუ დაჰკარგავთ დასახატავად,
თეთრს გაუფრთხილდით დასაფანტავად:
მალ მაეშლების მას სილამაზე,-
მიწა ეყრების, ქვა, სილა მაზე.

11

ვისაც გინდოდესთ თქვენ ჩემთვის კარგი,
თან გამატანეთ ასეთი ბარგი,
რომ ცუდ-უბრალოდ არ დამეკარგოს,
საწყალს ჩემს ცოდვილს სულს რამე არგოს.

12

ჩემს ცოდვილს სულსა ეს შეაწვევა:
მღვრდლის წირვა-ლოცვა, საკმევლის კმევა;
მშიერთა ჭმევა, შიშველთა ცმევა,
უსამართლობით არვისი რთმევა.

13

მკვდარს არას მარგებს ტყება-ტირილი,

ვერ გამაცოცხლებს თავს დაყვირილი;
სჯობს, არ ჩაიცვათ ტანთ ძაძა-ფლასი,
მიმიცეთ რამე მღვრდელთ წირვის ფასი.

14

ვამე ცოდვილსა, მე უმადლოსა,
დავრდომილობით უხუც-უმღრდლოსა!
მე ვინ მილოცავს, ან ვინ მიწირავს,
ან ვინ დამმარხავს, ვინ დამიტირავს?!

15

უმკვიდრო ვიქმენ, არ დამრჩა შვილი,
რომ მას აღენთო სანთელი-ცვილი;
ექნა ალაპი. აედგა ტაბლა:
ასე მაღალმან მე დამამდაბლა!

ივ. მღვრდელთ ვედრება დავით
ბურამისშვილისა

1

მღვრდელო, რაც ღმერთმან მაღლი მოგმადლა,
არც აგიწონა, არც განგიადლა;
დაუფასებელს არ დასდვა ფასი
არცა ერთი და არცა ათასი.

2

უსასყიდლოდა მღვრდლობის კურთხევა,
მოგცა ღირსებით მარჯვენეს მთხვევა;
ასე გიბრძანა: ვით შენ მოგეცა,
უსასყიდლოდა სხვათ მიეც შენცა.

3

ახლა მე თქვენა ამასა გვედრებ,
ღვთის ნაწყალობებს ნე დანაყვედრებ;
მკვდრისა პატრონსა სიკვდილის დროსა
ბევრს ნუ შეუკვეთთ სამარხს-სამკვდროსა!

4

რაც განვიძრახე აწ მე განძრახვა,
აწ თქვენცა გმართებსთ თვალთა დანახვა.
როგორც მკვდარს უნდა კარგად დამარხვა,
აგრევე ქვრივს-ობოლთ უნდა შანახვა.

5

ცოცხალი რომე პატარად ვღირდი,
მკვდარს რად მედების მე ფასი დიდი?
მღვრდელო, შენს მაცა, ძვირად ნე მყიდი,—
რაც მოგითვალონ, მას მიითვლიდი!

ით. საფლავის ქვაზედ დასაწერი

1

წმინდა იოანე კახეთს ზედაძენს
სასწაულობით ქვიტკირს ცრემლთ ადენს;
ქართლს წმინდა შიო ღვიმეს ძვლებს ავლენს,-
ორნივე შვრებიან სასწაულს ამდენს.

2

ამ ორს მონასტერს მაქენდა ალაგი,

სასაფლაო და ძვალთ შესალაგი;
ორივ ქვიტკირით აღშენებული,
სახლ-გალაენებით დამშვენებული.

3

ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფქოდ სად დავიმარხე!
ხორციოთ აქ ვლპები, აწ ჩემი სული,
არა ვიცი რა, სად არს მოსული!

4

ვით მე არ მინდო ცრუმან საწუთრომ,
ეგრეთვე, ვგონებ, არცა შენ გინდოს,
შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა,
ღმერთმან შენ შენი ცოდვა შეგინდოს!

კ. სულის ამბავი

1

აწ მოისმინეთ სულის ამბავი,
რაც შემთხვეოდეს კარგი თუ ავი;
გულმტკივნეულობს, კვნესს რასაც სენით,
ყველას მოგიტხრობსთ თავისი ენით.

2

დაბადებითგან მე კაცის სული,
ღვთის პირით გამო ვარ გამოსული;
არსთ ნაწილობით უკვდავ-უბერი,
მიწას, წყალს, ქარს, ცეცხლს შიგ ჩანაბერი.

3

ეს ოთხი ნივთი ღმერთმან შემზადა,
კაცი ამისგან შექმნა, დაბადა;
მისცა ქვეყანა ქალაქ-დაბადა,
მას ხელმწიფობა თავის მზგავსადა.

4

როდისაც რომე ქვეყნად, სოფელად,
მოვიდა კაცი შიგ სამყოფელად,
ორნივ თან ვახლდით ხორცი და სული
მისად მყვანებლად ზედ შეთვისული.

5

ოდეს ხელმწიფედ, მეფე სვიანად
გახდა, განმსხვილდა ძირ-ფესვიანად,-
ქვეყნის ნაყოფი ჭამა, გასუქდა,
ყოვლი სამძიმო განუმსუბუქდა.

6

თავზედ დაესხა სიხარბით რეტი.
კიდევ მოუნდა სხვა მაზედ მეტი.

ქვეყნად ყოფნასა აღარ დასჯერდა,
მაღლა ზეცადა აღსვლად შემზერდა.

7

ვერ შეიფერა კაცმან დიდება,
ზღულისხმობით პატივის დება;
პირუტყვის მზგავსად არაწმინდება,
შექმნა საწუთროს მიღებ-მოღება.

8

მე სული ვიყავ, ურჩევი ტკბილთა,
ხორცი ურჩევედა, რაც სჭრიდა კბილთა;
რასაც ვიტყოდი, არას მისმენდა,-
ხორცის ნათქვამსა უფრო ირწმენდა.

9

კაცმან მე ასე გამამანძულა,
ხორცი იყვარა, სული მიძულა.
თავისი თავი ხორცს ამსახურა,
ხორცსა ჩანაცვა, ხორცსა დახურა.

10

თვისი ცხოვრება ხორცზედ გარდაგო,
არა მომცა რა სულს საფარსაგო,
იკაცისმკვლეულა, იქურდ-იბოზა,
ყოვლის სიბილწით მოხუნა, განმგოზა.

11

მიყვა საწუთროს განცხრომას, შვებას,
მეტად დრანჯობით სიძვა-მრუშებას;
არ მაიგონა დამბადებელი,
თვისი აღმშენი, ამაგებელი.

12

ღვთისა მცნებანი არ დაიმარხა,
დაბრმდა, სწორე გზა ვერ დაინახა;
ასე ურიგოდ კაცი მოიქცა,
ვითარდა აღშენდა, ისევ დაიქცა.

13

თავის თავს უყო ასე ზიანი,
ხორციით მიწაში სჭამენ ჭიანი,
მე, სული მისი, აქ ვიტანჯები,
სამართალში ვარ და ვისაჯები.

14

ტანთ მიჭირებ[ენ] ცხელ-ცხელს გაზებსა,
გველნი ნაკუთალთ მღერენ გაზებსა,
ლომ-ვეშაპ-მგელნი დიდს პირს მიღრენენ,
თვალებს მიჭყეტენ, მყეფენ, მიღრენენ.

15

ეშმაკნი შავნი თეთრ გრძელ კბილებით
მიკრაჭუნებენ, მკაწვრენ ფრჩხილებით;
სვეტზედ მიკრულსა ცეცხლის საბელი
გარს მახვევია განუქრობელი.

16

ნავთი და კუპრი თავს დამდის მილით,
ფერხთქვეშ ტბა მიდგას სავსე სახმილით;
ტანზედ მხვევის მატლი უძილი,
ნეტამც არ მაქვნდეს მე გრძლად ღვიძლი!

17

ღმერთს აღარ ესმის ჩემი ვედრება,
“ხორცს რად მიყეო”,-მას იყვედრება;
ღმერთი შეიქმნა ჩემზედ გულმწყრალად,
მსაჯა და მადვა ეს ცოდვა ბრალად:

18

კაცი ჩემს სზგავსად გავამხატვავნე,
შენ-ჩემი სული-თან გაგატანე;
განაგულდიდე, განამპარტავნე,
სულიც ცოდვილი აქ მამიტანე.

19

ასე ურიგოდ კაცი ატარე,
კარგი აძულე, ავი აყვარე;
სულით აურვე, ხორციით ახარე-
მე ასე როდის შენ დაგაბარე?

20

ოდესაც ხორცი შენ, სულს, გჩაგრევდა,
შენ გასუსტებდა, თავს ამაგრევდა,
გხამდა მოძღვართან შენ აღგეარა,
წირვა-ლოცვაზედ ს[ა]ყდარს გეარა.

21

მღვდელი მიკმევდა სუნად სურნელად,
ლხინებას ყოფდა შენ საკურნელად,
მომხსენდებოდა, შენს საქმეს ვსცნობდი,
შენ გადიდებდი, ხორცს დავამცრობდი.

22

შენ ეს არა ჰქენ მცონარებითა,
თავი მოღალე ცუდად რებითა;
შენ გამოუდექ ხორცის გემოსა,
ტანთ განიცარცვე, რაც რომ გემოსა.

23

მოხველ ხორციითა სული შიშველი,
ახლა მე შენა ვერას გიშველი.

ვირემ ახალსა ხორცს შეისხემდე,
რაც თავზედ გესხმის, უნდა ისხემდე.

24

ოდეს სჯად დაჯდეს მართალ-მსაჯული,
მან განარჩიოს ყოვლი ხვანჯული.
შენს ნაქნარს საქმეს სასწვრით მოგიწონს,
არ დაგიკარგავს, რასაც მოგიწონს.

25

უკეთუ ქვეყნად თვისნი და ტომნი,
რომელნიც გყვანან შენ კაის მდგომნი,
მშიერთ გიჭმევენ, მწყურვალთ გისმევენ,
შიშველთ გიმოსენ, მღვრდლით მსხვერპლთ გიკმევენ;

26

გარდაგიხდიან შენს თანამდებსა,-
მით დაგიშრეტენ ნავთთ ცეცხლნადებსა.
უკეთუ არა, ცოდვასა, მადლსა
მსაჯული გასხხრეკს კოდს, სასწორს, ადლსა.

27

რომელიც მხარე წონაში დასძლევს,
საუკუნოს სახლს იმ მხარეს გაძლევს!..
ვირემ ამ სიტყვას სული ისმენდა,
ხსნას იმედობდა, ტანჯვას ითმენდა.

28

რა რომ ისმინა, სასწვრით აწონა
ცოდვა-მადლისა, არ მაეწონა.
იცოდა, რომე ცოდვა დასძლევდა,
თქვა: ვაიმეო, საქმე გაძნელდა!

29

საწყალობელო შენ, თაო ჩემო,
არა ვიცი რა, ვის მიგაჩემო?
ვისთან წავიდე, ვისა მივმართო,
რომ შენი საქმე მისგან წარვმართო?

30

ჩანს, შენი მხსნელი აღარცადაო,
აღარც ქვეყნადა, აღარც ცადაო;
აღარც მამა გყავს, აღარც დედაო,
აღარცა ძმა და აღარცა დაო!

31

ვაიმე, მამავ, ვაიმე, დედავ,
ძმაო და დაო, ვერც ერთსა გხედავ!
ვინ ხართ ღვთიანი, მწყურის მიშველეთ,
ერთის ცვარის წყლით პირი მისველეთ!

32

ისმინეთ, ძმანო, სულ, ბატონ-ყმანო,
ჩემებრ მანდიდამ აქ მოსაყვანო,
მანდ ცრუვ-საწუთრო ყოფილა ცუდი,
ხევ-ხნარცოვანი, გზა ვიწრო, მრუდი.

33

აქ ნავთო მდინარე ცეცხლ მონაკიდი,
ზედ გასავლელი წვრილ საბლის ხიდი;
განისწავლენით, ჯამბაზებრთ წარეთ,
რომ არ ჩასცვივდეთ, დაიწვნეთ მწარეთ!

34

განისწავლენით, ჯამბაზებრთ წარეთ,
რომ არ ჩასცვივდეთ, დაიწვნეთ მწარეთ!
რომ არ ჩასცვივდეთ, დაიწვნეთ მწარეთ!

კა. ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება

1

ჰე, ღმერთო, აღმიხილე თვალი გონებისა,
დამანახვე, მაცნობე მე გზა ცხოვნებისა!
შენის ნების გზაზედ დაუცემლად მატარე,
და მას შენსა საყვარელს გულითა მაყვარე!

2

ღმერთო, განმიხვენ ყურნი კეთილთ სიტყვის სმენად,
განმიმაგრე გული სარწმუნოების რწმენად;
აღმაყოფე, ვითა ხე, ნაყოფით კეთილად,
და ნუ მყოფ მე ხენეშად ძირით მოკვეთილად!

3

მე ვარ, ვითა აღდაჭი, ბიცი და მლაშობი,
დედისაგანვე ცოდვასა შინა ნაშობი;
უშრტო და უნაყოფო, ვით გალი განმხმარი,
უძეო, უასულო, არარად სახმარი.

4

საწუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ვნებული,
მრავალს განსაცდელსა შინა შეყვანებული,
სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული,
დაკარგული ცოდვით, არ მადლით მოძებული.

5

ამისთვისა ვსთხოვ დიდის ხევწითა ყველასა,
თავიანთ მადლისათვის მიზემდენ შეველას;
გავსტეხე ათი მცნება, მთლივ ვერ დავიმარხე,
ცოდვასა შინა მოგკედი, მიწად დავიმარხე.

6

არა გამყვა რა თანა საწუთროს სოფლისა,
მუნ დამრჩა სასყიდელი სისხლისა, ოფლისა;

ვისაცა ის დარჩეს, ყოს ესრეთ მოხსენება,
რომ მედირსოს სასჯელსა შინა მოსვენება.

7

მოიხსენე, უფალო, სჯად შენდა მოსული,
დავით გურამისშვილის უბადრუკი სული;
გვერდთ, ხელთ, ფერხთ სისხლი შენი სასწორს აბრად შეუდეგ,
განუმსუბუქე, მძიმე ცოდვანი შეუნდეგ.

8

ჯვარცმითა, სიკვდილითა შენითა მონაყიდს,
დაუშრიტე, ასხურე სისხლი აღ-მონაკიდს!
უფალო, შეისმინე დავითისა თქმული,
აღმოიყვანე სულით ჯოჯოხეთს დანთქმული.

9

ღმერთო, ისმინე დავით მონისა შენისა,
დაუამე ტკივილი ძნელისა სენისა.
იხსენ სული მისი უკუნითა ბნელითა,
და ნუ სტანჯავ სატანჯველითა მით ძნელითა.

10

ეს წიგნი, ლექსად თქმული, არის სული იმისი,
ღმერთმან იხსნას წარწყმედისაგან სული მისი;
ღმერთო, ნუ გასტეხ სიტყვას დავითის პირისას,
მიეც ლხენა, კურნება მას დღესა ჭირისას.

11

ღმერთო, მისმინე დავითის საგალობელი,
მიწყალე დიდის წყალობით საწყალობელი;
უსჯულოება ამხოცე, უფროს განმბანე,
და ეს სიმღერა მის თქმას, მოძახილს აბანე;

12

აქედითო ღმერთს ყოველნი სულნი ცხოველნი,
ხართო მისი არსობის პურისა მთხოველნი;
ფსალმუნით, ებნით, წინწილითა კეთილ-ხმითა,
ძნობითა, ორღანოთა, ბობლნით, მწყობრის თქმითა!

13

ესე სიტყვანი მე მაქვს ასე შეტყობილი,
მწყობრი არსო სიტყვანი ლექსად შეწყობილი;
ამისთვის კანუნად არ მიჩანს თქმა ლექსისა,
და მოძიება რიტორთ საზომი ექსისა.

14

მომიხსენონ, სხვას არავის რასა ვთხოვ მეტსა,
ვსთქვი წელსა ათას-შვიდას-სამოც-და-თოთხმეტსა,
თვესა ნოემბერსა ოც-და-ცხრასა გასულსა.
დიდება მამასა და ძესა წმინდასა სულსა!

15

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე,
ამინ და ალილუია, ვით თვით არს მისვე ხნისამდე!
წამკითხველნო, ამაზედ თქვენ ნურას მედავით,
და რომ ეს ასე ვსთქვი გურამისშვილმან მე დავით.

16

თქვენ ვერ დასთმობდით ჩემგნით ნათქვამსა,
რაც თქვენგნით თქმული აწ მე დავითმე.
მის ღვთის ძის მამის დავითის სესხა
გურამისშვილი ვიყავ დავით მე;

17

ამად ქაჩალმან მის თმის ნავარცხნი,
ქოჩრად მოვისხი, თავზედა ვითმე,
აწ თქვენ ამაზედ რა ცილობა გაქვთ,
არა ვიცი რა, რას მედავით მე!

სარწყავისა და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა

ეს კაცი ასე ილოცავს: ¹

ღმერთო მაჩვენე ყანები
ამ სარწყავთ მონაყვანები;
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა.

ყოვლად წმინდაო, დამადევ
წყლურზედ წამალი სამთელი,
შემაძლებინე აღვანთო
მე შენს წინაშე სანთელი.

¹ ეს ლექსი გურამისშვილის ავტობიოგრაფიას აქვს წამმდგანებული.